

716 /2
1929

УДК 62-40
62-40.000.00

ВВЕДЕНИЕ



Годы 295



97

საქართველო

KAVKASSIONI

საზოგადოებრივი და მეცნიერების კავშირი

RECUEIL GEORGIEN ARTISTIQUE ET SCIENTIFIQUE

წიგნი მესამე

პარიზი—1929

რეზამონი

დ ე დ ა

მშობელი დედა თვალ-ანაცრემლი,
ყვითელ ნიკაპზე დამჭკნარი კანით,
ცრემლები წვიმად ჩამონაცვენით
მე მომიგონებს ტუჩის კანკალით.

უკანასკნელ წუთს ველარსად მნახავს,
ალბად, უნდოდა ახლოს ვყოლოდი;
გავუსწორებდი ხელებს გადამხმარს—
და სამარხზე დამედო ლოდი.

როცა სტოვებდა ამ წუთისოფელს,
გულ-დაწყვეტილი თვალს მოარებდა,
ალბად, უხმობდა მახლობელ მყოფელს
და ჩემს ცხოვრებას ჩააბარებდა.

ვიცი, ვერას-დროს შემდეგ ვერ ვნახავთ
ერთი მეორეს ისე ვშორდებით;
დედა-შვილურად შენ არ დამზრახავ,
და მაპატივებ კეთილ შენდობით.



რეო ამონი

გ ზ ა ზ ე

თეთრი ხიდიდან იშლება ცა და
ქუთაისის ათრობს მაისის მთვარე.
დიდი მშვენება მან განიცადა,
ბევრს კიდევ სხვასაც კვლავ უთვალთვალებს.

რიონს ზღაპრები მოაქვს მაისში,
მთის ხომალდები უკან მას ახლავს;
ჩამოვარდება და ქუთაისში
კალთებს უკოცნის ძველსა ნასახლარს.

არქიელის მთა—მძინარე მდევი,—
თავს დანგრევიან ციხე, ტაძარი;
ერთ დროს უდრეკი და მძლევა-მძლევი,
დღეს — გრძელი ღამის ტკბილი ზღაპარი.

არქიელიდან გასაოცარად
ანკარა სივრცე გადაფრენილა,
იქვე დამდგარა მოსალოცავად,
შორს ყვავილებში გადაფრენილა.

თვალეზ ქუჩუნა მწვანე ყვავილა,
გრილი ნიავით გამონამთვრალი,
მრგვალ გორაკებზე წამოწოლილა
და ლილებს უხსნის დილას ცისკარი.

დალუნულ ცაზე მყუდროდ დვივიან
ცეცხლის ვარდებივით ვარსკვლავები;
ჯაჭვის ხიდს გაღმა დავლურს უვლიან
კლდის ქალწულები თეთრი მკლავებით.

სამხრეთის ქარებს ბაღებთან მოაქვთ
რიონ-ველების ნელსაკრავები;
შიდა ქუჩებში მზის მიდამოა
გადმოხურული მთების კარვებით.

აქ პოეტები ლექსებს ჰკონავენ,
მზის აივნებზე ოცნების რთველში;
ხრიოკ ცხოვრებას ღიმილით ჰკლავდენ,
ნათელ სიტყვების ტკბილ გამოთქმებში.

აქ პოეტებმა ვარდის უბნებში
ბედნიერება გამოაფინეს
და მცხოვრებლებთან მზე საუბრებში
ანგელოსები შემოაფრინეს.

შორეულ საზღვარს ასცილდებოდა
გავარდნილ მერნის წვრილი ტორები;
მძინარე ქალაქს აცვივდებოდა
ცეცხლის სიტყვების მეტეორები.

ნაკაიავდრებს უბან-შუკები
მთვარის ნამქერით აივსებოდა,
წყნარი ქარების სტვირ-დუღუკები
რიონ-პირებზე გაისმებოდა.

და ნამქერებზე ნელი ნაევბში,
მორცხვი ტრფიალის თვალ-არიდებით,
მისრიალობდენ ზვირთებ-ქარვებში
ავთანდილები და მთვარიდები...

გნახავ კიდევ და მომიაღერსებ.?
მზის ამიდებით თუ დამიხვდები.!
გრძელ სალამურებს კვლავ ააკვნესებ,
ლურჯ ტაროსების დაირის ხმებით.

ნეტავ ვიცოდე, თუ კიდევ ისევ
ხარ უტურფესი როგორც იყავი.!
როცა ღიმილით სახე ამივსე,
თმები ორ წყებად გადამიყავი.

ნეტავი ერთხელ კიდევ მენახოს
მაგ ბროლის მკერდზე მთვარე დაღვრილი;
ეს ხეტიალი გადამელახოს
და მოვსულიყო შენთან დადლილი.

სულ აგიფუშეს მაისის გზები.?
თუ გახსოვს ყრმობის გზნება ფიცხელი.!
გიმნაზიასთან გრილი ნიგვზები...
იქ მოსეირნე დიდი ოცხელი.

ხავერდის ხმები, თბილი ქუჩები,
მოკლე კაბები წინსაფარებით;
ტან-ანათქვირი, ანაქურჩები,
წყნარი ჯირითი ლურჯი თვალებით...

ერთხელ მომიტანს დღე გახარებას,
რასაც ველოდი, მაგრამ რა ვიცი...
თუ გადაურჩი ამ მწუხარებას,
თუ არ გავთავდი, არ გადავიწვი.

რ ა ლ ფ ი

ზ ო ზ ი ტ ა ს

გამშვენებდა ყოვლად სრული
სიცოცხლე და სიყვარული,
გაგიმეტა ბედმა ავად:
საწვალებლად, სატანჯავად!

ვინ წყეულმა დაუნდობლად
წარგიტაცა სადღაც ობლად,
ისე გულქვად რამ აქცია
შენი სისხლი დააქცია?!

რა ლამაზად ვლიდენ დღენი,
მეგობრებში იყავ მშვენნი!
აწ მშვიდობით ის სიამე,
ისიც მოჰკვდა, შენც ეწამე!

ნეტავ მიწამ სად დაგფარა,
ან სამარე გაქვს თუ არა?
თუ დაგგლიჯა ქარმა თმები
და ყორანმა კი თვალები?

მტკიცედ შერჩი შენს იდეალს,
რაც სჭირია სიმხნეს მაღალს
ყველა შესძელ, ყველა სცადე,
ვალი წმინდათ მოიხადე!

აწ უკუნის ძილით გძინავს,
მაგრამ შენი სისხლი ბრწყინავს,
მკვდარიც ცოდვას ფარდასა ჰხდი,
სასახელო მსხვერპლი გახდი!

პარიზი. 1929 წ.

რ ა ლ ფ ი

ხ ს ო ვ ნ ა

ჩემო კარგო, სად ხარ, სადა,
ვით დაეშვა ცივად ფარდა!..
გულს თუ ჩაგრჩა უკეთეს დროს
რაც გატკბობდა და გიყვარდა?

უკუბრუნებელ წყლულად დამდევს
შენი ბედი ისე მწარე,
ადრე ცოცხალს მაინც გმზერდი,
ცივი გფარავს აწ სამარე.

არავისთან მე შენს სახელს
არ ვიძახი არასოდეს,
ჩემი წმინდა სალოცავი
რად მინდა, რომ ბრბომ იცოდეს?

შენს სახსოვრად რაცა მქონდა
ყველა შენებრ დამეკარგა,
შენს შემდეგ ვერას ვეწყობი
წვალების და ტანჯვის გარდა.

შენს საფლავთან ყვავილებით
არას დროს არ ვიარები,
მაგრამ გულში მისვენისხარ,
და შენს ხსოვნას ვეფერები.

ჩემი ცრემლი არვის ახსოვს,
ისე, ვით შენც არ გინახავს,
მხოლოდ ოდეს შენ გიგონებ
შიგნით თვითონ ჩემს გულს სწვეთავს.

საფრანგეთი.

ოდენკური. 1929 წ.

ს ტ ე ფ ა ნ ე კ ა ს რ ა ძ ე

ს ა ნ ა პ ი რ ო ძ ა ლ ა ძ ი

(დასასრული)

111

«ტარიელი» თრთოდა და მოწომილის ტოკვით მიაპობდა ტალღებს. ტალღები დმუოდენ, ტორტმანობდენ, დორბლ-მორეულნი ენარცხებოდენ ერთი-მეორეს.

ჰქრდა ნელი არავი, ქარი სამხრეთისა, თბილი და მლაშე. რაზმს ხომალდის ბანზე გაეშალა ბანაკი. ისხდენ თოფის კანდახებზე, თოკებზე; ზოგი მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო. მდუმარებით აბოლებდენ თამბაქოს და მდუმარებითვე შესცქეროდენ ქაშფი გახვეულს, უდაბურსა და ღარიბ ტყიან ნაპირს, შორი მანძილზე თავმდაბლად რომ გაჰყურებდა ზვირთების თავდასხმას.

შესცქეროდენ აგრეთვე ზვირთებს, რომელნიც ხომალდის ფერდებს ფერად ქსოვილებად სტყორცნიდა თავის ქაფს; ქაფი იშლებოდა, მაგრამ მალევე მოულოდნელად კვლავ უცნაური ქსოვილები დგებოდა.

ეს იყო სანახაობა წუთით თვალის გამართობი და მცირეოდენ სიხარულის გამომწვევი, მაგრამ სიხარულს გაველო და რაზემელები, სხვა ფიქრებში გართულიყვნენ და სდუმდენ.

სდუმდა ბანაკი.

როგორც სიხანს, ეს დუმილი აწუხებდა ანტოშკას. ანტოშკა—მაკარჩუკის თანაშემწე; ანტოშკა—ქერა, ლურჯთვალება და ცხვირ-აზნეჭილი. ასეთი კაცი იჯდა ღუზის ბაგირზე ანდროსა და მაკაროს პირდაპირ და როგორც მუდამ, საოხუნჯოდ განწყობილს, თვალები უთამაშებდა.

ანტოშკამ დაამთქნარა და სანამ ამთქნარებდა, ჩანთა მოიძებნა, იქიდან შავი პური ამოიღო, დიდი ლუკმა მოტეხა და გაფხენილ პირში ჩაიჩარა. ამაზე თვით ანტოშკამ გაიღიმა და ღიმილით მიაჩერდა ანდროსა და მაკაროს. ამით არ გაუცინიათ. მეორე ლუკმაზე ანტოშკამ ისევ დააღო პირი, თითქო ემთქნარებოდა. მაგრამ ბიჭებმა არც ესლა გაიცინეს. ანდრომ წარბებიც კი შეიკრა და უკმაყოფილოდ გაიფიქრა:

«შე უბედურო, სულ-მუდამ როგორ უნდა ღლაბუცობდე კაცი!»—

მაშინ ანტოშკამ ჩანთიდან ჭოვრი ამოიღო, ამხანაგებს ზურგი მიუქცია და გულნატკენი შეუდგა ნაპირის ზევრვას: თან ფიქრობდა:

«მაინც რამ დააღონათ ეგ ბრიყვები, აღარც მღერიან, არც იცინიან, საუბარიც მოიშალეს...»—

ჭოვრში ბევრი არაფერი ინახებოდა და ანტოშკამ ხან ცხვირსახოცი თუ შეები დაასუფთავა, ხან მანძილი მისწი-მოსწია, მაგრამ არა ეშველა, ნაპირიცა და ტყეც ბინდში გახვეულივით მოსჩანდა.



«ეხ, რას იზამ ამხანაგო, დაისვენე როგორმე...»—თავისთავს ურჩია ანტონოვი.
ჭოგრე ჩამოიღო, ბაგირს თავი მიაყრდნო და გულადმა წამოწვა.

ანდრომ უკმაყოფილოდ გადახედა ანტონოვს, მისი იატაკზე გდება არ მოეწონა და უნდოდა ღრენით შეეტია: რას დაგდებულხარო, მაგრამ გადიფიქრა და ხელი ჩაიქნია.

ანტონოვს მრუდე ფეხები ებადა და ამ მრუდე ფეხებზე ეცვა იმგვარადვე მობრილი ჩექმები, მტვერიანი და ერთობ დანაოჭებული. ეს მოვლენა სასაცილო იყო; ანდრომ თვალი მოჰკრა და წარმოდგენებში გართულმა ოდნავ გაიღიმა, მერმე ღრმად ამოიხსრა, თითქმის ამოიგმინა და თუთუნე მოსწია.

იჯდა ანდრო გაუნძრევლად და აბოლებდა. —არ ეხალისებოდა, თორე მეორე მხრიდან ხმა-დაბალი საუბარი მოესმა, ადგებოდა და მივიდოდა.

— ქვეყანა ორი ბანაკად გეიყო ჩემი ძმა—მეგრული კილოთი აცხადებდა ვილაც— მტერი და მოყვარე; რომელიც ჩვენთან რომ არაა, ის მტერია—

—წორი სიტყვაა, პოლიტიკა არ ჭირია ამას— თავდაპირველად დაეთანხმენ და ხმებზე ემჩნეოდან, რომ ასეთი სიტყვები ბევრჯერ მოუსმენიათ ძველადაც და შეიძლება ძველადვე არ მოსწონებიათ, მაგრამ დათანხმებულან, როგორც ესლა.

ანდრომ შუბლ-ქვემოდან, მტრულის თვალებით გაჰხედა მოსაუბრეებს; ესენი იყვნენ ხნიერი გლეხები, რომელთაც მშვიდობიანად გაეჩარათ პირში გამუტრული ჩიბუხები და ისე ხანდაზმით სწევდნენ, რომ არც სამხედრო ბანაკი იგულისხმებოდა მათ მოქცევაში და არც მტრის სიახლოვე.

ანდრო დაცხრა, გულის სიკეთემ სძლია:

—მშვიდობიანი ხალხია—გაიფიქრა და უფრო დაღონდა; შემდეგ აზრთა მსვლელობამ დედა მოაგონა: დგას დედა სანთელივით სათნო და ეუბნება ანდროს:

—ვის ებრძვი შვილო, შენს ქვეყანას? მამა-შენს? რომელიც ისეთივე ღარიბია როგორც შენი ქვეყანა?—

უბრალო სიტყვები ღრმად წვდებოდა ანდროს, მაგრამ ეთაკილება დათმობა, და როცა თავაზიანად უპასუხებს: თავი დამანებე დედა, ბავში კი არა ვარ, გავიზარდე— დაბნეულია და ვერ გაუტრკვევია, თუ ეს უსწავლელი ქალი, როგორ გამოიგონებს, ან როგორ დაალაგებს ასეთ საგულისხმიერო სიტყვებს? ნუ-თუ დედობრივი სიყვარულის ძალით?

დედის მოგონებაზე, ანდროს მისი სიტყვებიც მოაგონდა და კიდევ უპასუხა:

—თავი დამანებე!

მაგრამ საკუთარმა ხმამ შეაკრთო და კრთომით თვალი მოავლო ირგვლივ: ხო არ სმენიათო.

ანტონოვა კვლავ გულ-აღმა იწვა და თავის წარმოდგენებს უღიმოდა.

მაკაროს თვალები მიელულა, პირქუშად იჯდა და ვერ გამოიცნობდი, თვლემდა თუ არა.

ხომალდი ნაპირს მიახლოვებოდა. ხომალდი მიილტოდა და სილიანი ნაპირი, ზღვას რომ დაეღტო, მისდევდა ხომალდს. ტყეც ახლოს იყო, მეჩხერი, ფერად რუხი.

შორს კი,ერთი საათის მანძილზე, დიდრონ ალევებში იმალებოდა სოფელი.

IV

სოფლის დანახვაზე გული ნაღველით აევსო ანდროს.

ცხადია, ეს სოფელიც აჯანყებულია;

სოფელი ღარიბია და იქ ღარიბები ცხოვრობენ. მშვიდობიან დროს ესენი არიან მიწის მუშები, მეთევზენი, მწყემსები.

მაგრამ ესლა აჯანყებულან და ანდრო უნდა ებრძოლოს მათ.

ზოსიმესაც უნდა ებრძოლა, მხოლოდ ზოსიმემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და სახლში დარჩა:

— არა ჩემო ბიძია— ჩუმად უთხრა ჭალარამ ანდროს— ნამუსად გამინდვია შენთვის, ხალხს მე არ ვებრძვი—

ზოსიმემ რომ ასე უთხრა, კომიტეტს მოერიდა, ავადმყოფობა მოიმიზეზა, სიმსდალე გამოიჩინა: ეს კი არ ვარგა, ქურდული საქციელია...—

ასეთმა ფიქრებმა ანდრო ააღელვა, უნებურად თავისი თავი წარმოიდგინა ზოსიმეს ადგილას:

— მერე, რას იზამდი ყმაწვილო კაცო? გაბედავდი? ვითომ? თუ გაბედავდი, რატომ ზიხარ ამ, ვილაც ანტოშკასთან...—

ანდრომ შუბლზე ხელი გადასვა და ნაოჭები უჩინანად დაისრისა.

ეს შუბლზე ხელის გადასმა, დედისადმი ჩვეულებრივი «თავი დამანებე»-ს უდრებდა; მაგრამ თუ იქ დედა თავს ანებებდა, აქ ფიქრები არ ეშვებოდნენ. ეტყობა, ეგ საკითხი დიდი-ხანა ყრუდ უტარებია ანდროს და ესლა მტკიცედ გამოკვეთილი ზრახვანი დაეუფლენ გონებას:

— ვთქვით გაბედე... თოფიც მიუგდე...—

ანდროს წარმოუდგა თავისი განდგომის სურათი; ყმაწვილი ალელდა; მას სახე გაწითლებოდა და გული ძალუმად უცემდა.

ანდრო ნელა წამოდგა, უნდოდა რონინი და ფიქრთა გართობა. მაგრამ ხომალდი ირხეოდა და ყმაწვილიც დაბარბაცდა. მაშინ ანდრო ზურგიით მიეყრდნო ხომალდის კიდეს. ის მისჩერებოდა დადუმებულ ანტოშკას და წარმოდგენათაგან გონება დაბნეულს, ესმოდა მხოლოდ თავისი გულის ცემა.

— ეი, ანტონ!— მოულოდნელად აღმოხდა ანდროს მწყრალი ხმა.

— ჰა— გამოეხმაურა ანტოშკა, სახე მოიბრუნა და რა შეხედა ანდროს, წარბები შეიკრა. ჰკითხა;

— რა იყო ამხანაგო?—

ანდრო მოეშვა, ოდნავ გაიღიმა:

— რა იქნებოდა ანტოშკა, ადამიანებს რომ ერთმანეთისათვის თავიანთი ზრახვანი ვერ დაემალათ?—


— რა?—

ანდრომ გაუმეორა:

— რა იქნებოდა მეთქი ანტონ, ადამიანებს თავიანთი ზრახვები რომ ერთმანეთისათვის ვერ დაემალათ?—

შუბლზე ანდროს ოფლი გამოსვლოდა და ხელით მოიწმინდა.

— რა იქნებოდა?...— კითხვა გააგრძელა ანტოშკამ და უთუოდ საუბრის გუნებაზე დადგა, ფეხმორთხმული რომ წამოჯდა და ჯერ პაპიროსი ითხოვა:



— შენ ერთი თუთუნი მესროლე...—

ანდრომ ზიზლით მიუგდო პაპიროსი და ანტოშკა შეუდგა ლითონის სასწიხს

კვესას.

— ესე იგი, კარგი იქნებოდა, რა თქმა უნდა— ცეცხლი რამდენჯერმე ჩაუქრა ანტოშკას, ამბობდა:

— ესე იგი გულისნადები რომ ვერავის დაემალა ჩვენთვის, ჩეკისტებისათვის, კარგი იქნებოდა, ეს, კარგი... აბა, ხალხს დაეცხრილავდით მაშინ, ამხანაგო—

ანდრო გაფითრდა. საყვედურით აივსო. უნდოდა ეყვირა:

— მე ეს არ მითქვამს შე ბრიყვო, ბრიყვო...— წუთით ძარღვებში სისხლი დაუდგა და უნებურად მუშტები მოეკუმშა, მაგრამ ვერც იყვირა, ვერც გაშორდა იქაურობას. იდგა მღელვარე და მისი ზრახვები უჩინარ იყო სხვებისათვის. როგორც მისთვის სხვათა ზრახვები.

V

დიდხანს ყბედობდა ანტოშკა. რამდენი რამე სთქვა. აჯანყებაც ახსენა. ზღვა და ტაროსიც მოაგონდა; ბოლოს, ანდროს შეეხო და ჰკითხა:

— დღეს ამხანაგი ფინთად გამოიყურება, არც ფერზეა რალაც, ნეტავ ჯანზე როგორაა?— და ვითომ პასუხი მიეღოს, თვითონვე გააგრძელა:

— არა უშავს. გაივლის—

ანდრო ყურს არ უგდებდა, ხმა ესმოდა მხოლოდ ანტოშკასი და ანტოშკას ხმა ჰქონდა ისეთი უაზრო-თამამი, ისეთი კადნიერი, რომ მისი ცალკე სიტყვები, სმენას რომ წვდებოდა, უსაბუთოდ ეჩვენებოდა ანდროს, ხოლო მთელი ლაყობა უშვერად.

— მას კი ანდროს, დღეს ამ ხომალდზე, ამ მშვენიერ ზღვაში, უნდოდა ბევრი საკითხი გადაეჭრა...

ანტოშკას ავი თვალთ შეხედა და მძიმე ნაბიჯით გაეცალა.

ისევე-ისე ნალვლიანად სდუმდა ბანაკი.

ანდრო ბანაკსაც გაშორდა.

განმარტოვდა ანდრო. იდაყვით ხომალდის მოაჯირს დაეყრდნო და გარინდებული არაფერზე ფიქრობს, არც არაფერს გრძნობს.

ან, რა ფიქრია, შემთხვევით ფეხი ლითონის თოკს მოსდო და გონებაში დასტურირი დასდო: დიახ. თოკიაო! ან, რა გრძნობაა ასეთი გრძნობა, ფისი შეიყნოსო და გონებაშივე სთქვა: ეს თოკი ყოფილა გაფისულიო!

და მრავალი ამგვარი მოვლენა ახალგაზნდა კაცს მოთმენას უკარგავდა. ბევრჯერ, თავის თავს საყვედურით მიმართა: —განა ეს არის საფიქრალი?— და როცა ასე საყვედურობდა, სწორედ მაშინვე, თითქო მისი გონება ნაწილებად დაუყვიათო, ერთი ნაწილაკი თავისთვის იტყოდა:—რალა ადამიანია ეს ანტოშკა? —მეორე ეცილებოდა: ან ადამიანობა რალაა საზოგადოთ?

და მას კიდევ სხვა აცხრებოდა და გულ-გრილად მოძღვრავდა:—გეგმა-შეწონილი ფიქრი შეუძლებელი ყოფილაო—

ეს უკანასკნელი აზრი ამოიჩნია ანდრომ; მოეწონა და დათანხმდა:

— დიახ, დიახ შეუძლებელია!—

შემდეგ ეს მოწონება და დათანხმებაც იამა და ესლა მეტის სიყვარულით დახედა ტალღებს: იქ, ზღვის ღორი გამოკრთა ერთგან თავისი ხავერდოვანი ზურგიით და



თუმცა, შესაძლებელია არეულ ტალღებში ზღვის ღორი მოლანდებოდა, მაგრამ ანდრო მადლიერი იყო ამ მოლანდებისაც

ანდრო დამშვიდდა.

ეკე, ზღვის უბე. იქვე სოფელი. შორს უნდა იყოს ჯერ კიდევ; და ყველაფერი ისე დაბუდებულა თავიანთ ადგილას და თუ ხმაურობს, ან ბორგავს ისევე თავის საბუღარში—თითქოს ირგვლივ მშვიდობაა და არ არის აჯანყება.

ვთქვათ, ეს ზღვაც არ არის ზღვა; არც ხომალდი ირყევა აქა; მხოლოდ სანაპირო ქალ აქის გარე უბანია და უბნის ალის ჩრდილებში დაფენილ შარა-გზაზე, ორივე ნაპირას, პატარა მერცხლებივით ლამაზი სახლებია.

ამ სახლებში მოსხანს რიკულებიანი აივანი და იგივე აივანი დატვირთული აყვავებული ვენახით.

ეს სახლი ეკუთვნის ზოსიმეს.

ამის მოგონებაზე ანდრო ილიმის და გული უფრო უძგერს.

განა რა სახარბიელოა სახლი ზოსიმეს ეკუთვნოდეს, მხოლოდ სახლიდან აივანზე გამოდის ახალგაზდა, ქერა ქალი.

ვნახათ, ანდროც ალვის ძირას ქუჩაში დგას

—ეუყუნა— თავისთვის აბობს ანდრო და ქალს სალამს აძლევს; შემდეგ ხმა მალა ეკითხება:

— ზოსიმე სახლშია?—

— ამხანაგი ზოსიმე შინ არ გახლავთ— ოდნავ დასცინის ქალი და რადგან ანდრო ეზოში შემოსულა, პპატიყობს:

— მობრძანდით—

— როგორ ბრძანდება ეუყუნა?— მორიდებით უწვდის ხელს ანდრო და თავის ხელში გრძობს ქალის თხელსა და სათუთ თითებს.

ანდროს ნელი ყრუანტელი უვლის ძარღვებში. ეუყუნა სკამის გამოსატანად შედის ოთახში; ანდროც სკამის გამოსატანად მიიწევს და ორივენი იციინიან და კედლის დიდ სარკეში ხედავენ თავიანთ სახეს და ერთი-მეორეს:

ანდრო შავგრემანი, ეუყუნა ქერა და თვალეები ლაქვარდი, იებრ ნათელი.

ეუყუნა სკამს დაწვდა.

ანდრო გრძობს ახალგაზდა ქალის სუნუნელს, მის სიახლოვეს და როცა ქალი სახეს მოიბრუნებს და ეუბნება:

— მომეშველეთ მაინც— ანდროს ხმა კი არ ესმის. წუთით თვალთ უბნელდება და თავ-დავიწყებით გაიწევს.

— კიდევ თუ გაგიბეღიათ!—

ემუქრება ამის შემდეგ ეუყუნა.

ქალს წარბები შეუკრავს. განარისებულია. მაგრამ თვალეები შესამჩნევად დაბინდებია.

აღტაცებული ანდრო სდუმს; შემდეგ ანდრო იციინის; გულწრფელად გაბმით და დარცხვენილი ეუყუნაც იციინის.

მოდის და ნუ გაიციინებ; ჯერ კიდევ ანდროს საქციელით გაჯავრებული იყო ქალი, წიგნი რომ გახსნა. წიგნიდან უნებურად თხელი ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩებზე მიიღო, ვითომ ვაჟის შეგებას მოიწმენდა;



მართალია: ცვირსახოცი ხელათვე ჩამოიღო ჟუჟუნამ, მაგრამ ანდროს ვინა
 ეშველა:

- ხა—ხა—ხა—ხა—
- კარგი ახლა! რა დაგემართათ!—
- ანდრომ სიცილი შესწყვიტა:
- რა წიგნია?—
- ქალმა გამოწვევით უპასუხა:
- მგზავრის წერილები—

ამ მშვენიერ «მგზავრის წერილებში» ყველაფერი ნათელია და არაფერი სადა-
 ვო, მაგრამ ანდრომ, იქნებ ძალის გამოსაჩენად, გამოწვევა მიიღო და განჩით გაიღიმა:

— ჰო, ვიცი— დაბეჯითებით ამბობდა ანდრო, თითქოს საწინააღმდეგოც ბევ-
 რი სცოდნოდა— ვიცი, რუსი ოფიცერი თავისი გენიალური აღმოჩენით, მერე მოხვევ
 «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნდოს»— ჟუჟუნა გაწყრა.

ჟუჟუნა გამოედავა. კამათობენ. საგანი საგანს სცვლის. ერთმა მეორე გამოიწვია:

- ეს თქვენობით ლაპარაკი...— საყვედურით იძახის ანდრო— ეს ქალბატონო-
 ბით და ბატონობით მომართვა; სულ თქვენი ბრალია, დავიწყებული მქონდა!—
- და როგორც ხშირად ამ კამათში, ჟუჟუნამ ესლაც დასცინა:
- ტყუილად შიშობთ ბატონო, საკმაოდ დავიწყებული გაქვთ, თუ კი ოდესმე
 გახსოვდათ, ან იცოდით—
- ანდრო შესდგა.

ცხადია დასცინოდენ, მაგრამ ისე მოხერხებულად, რომ ყოველი მისი საწინა-
 აღმდეგო სიტყვა, ან თავის მართლება, ჟუჟუნას გამარჯვება იქნებოდა; თან არც მო-
 ძველებული მოსაზრების გამოჩენა სწადდა, თორემ ეტყოდა:

- წვრილ-ბურჯუნაზიული სახოგადოების ნაშთია—
- მაგრამ კარგი...— ისევ ჟუჟუნა ეკითხება— ერთი მითხარით, ვინ არის
 თქვენი უფროსი?—

— უფროსი? როგორ თუ უფროსი?— ვერ გაიგო ანდრომ.

— აი, უფროსი, ვისი ნებასაც თქვენ უკავშირებთ თქვენს საქციელს და გა-
 არჩევთ ავს კარგისაგან; ვისაც შეგიძლიათ თავი შეწიროთ; მაგალითად, ძველად ღმერ-
 თი იცოდენ, თქვენ ხომ ღმერთი არა გწამთ?—

- არა, რა თქმა უნდა— დათანხმდა ანდრო და პასუხიც დაებადა:
- სინიდისი! სინიდისია ჩემი უფროსი—

— ვერ გამოიკეთ— უკმაყოფილოდ ამბობს ქალი— სინიდისი თქვენშივეა; თავის
 განწირვა კიდევ, გულისხმობს, რაც თქვენს გარეა, რასაც თქვენი თავ-განწირვა ესა-
 რგებლება...—

— მივხვდი ბატონო, მივხვდი. თქვენი უფროსი ვინ არის, ერთი ვიცოდეთ?—
 კითხვა მიუქცია ანდრომ.

ჟუჟუნამ დარწმუნებით მიუგო:

— ჩემი უფროსია— სამშობლო — და ამ გულუბრყვილოდ გაცემულ პასუხ-
 ში გამოკრთა ჩამოყალიბებული ადამიანის რწმენა.

მაშინ ანდრო დიდის ცნობის მოყვარეობით მიაჩერდა ჟუჟუნას და ქალის სა-
 ხის გამომეტყველებამ, ჩვეულებრივ რომ ქალწულებრივ სათნო იყო, ხოლო ესლა
 მკვრივი და ბასრი თითქოს ფოლადიაა, ანდრო გააოცა; არ ელოდა.



— ჩემი ამგვარი უფროსი, პარტიაა—ოდნავ მოშვებითა და უხალისოდ სთქვა.
 — რომელსაც ჩვენი ქვეყანა ებრძვის, მთელი ჩვენი ქვეყანა... ესეც შენი უფროსი,
 როსი, თავის სანაქებო სინიდიისითურთ—
 ქუქუნა სიხარულს არ ფარავდა.
 ანდროს უნდოდა ეთქვა, რომ ქალის მოსაზრებანი არ იყო ღრმა; ეტყოდა აგრეთვე სხვა რამესაც, მაგრამ მხოლოდ ეს უთხრა:
 — ასე ქალბატონო, ულამაზო გოგონები მუდამ ჭკვიანები ხართ!—
 ეს ულამაზობის ტყუილი იგივე ქათინაური იყო, ანდროც იღიმოდა და ალტაცებულ ქალს თვალეზში ჩასცქეროდა.
 საუბარი უეცრად გათავდა.
 ქუქუნას თვალეზი აეგზნო. რამდენჯერმე გაისმა მისი მუქარა:
 — მეორეთ არ გაბედო—
 მაგრამ ანდრო იცინოდა და მუდამ ცხვირსახოცს აწვდიდა. ამაზე ქუქუნაც იცინოდა.

— არ გაბედო ანდრო—
 შემდეგ ისინი აივნიდან ხედავდნენ მათ თვალწინ გაშლილ ზღვას. ხედავდნენ კიდევ სომალდს, გაშლილ ზღვაში რომ მიიწვოდოდა და ფიქრადაც არ მოსვლიათ მაშინ, თუ ზოსიმეს სახლი სომალდიდანაც დაინახებოდა.

VI

უთუოდ დაინახებოდა— გადასწყვიტა ანდრომ და რომ ზოსიმეს სახლი შორიდან მაინც დაენახა, თავი აიღო.
 სახლი არ სჩანდა. არც უბანი. სანაპირო ქალაქი შორს დარჩენილიყო და მას შემოხვეოდა მოლურჯო ბინდი.

— ეი ანდრო, ბიჭო ანდრო!—
 სომალდის მეორე მხარედან იძახდა ვილაც. მაკაროს ხმა იყო და ანდრო, ნელის ნაბიჯით გაჰყვა ძახილს.
 აჯანყებულ სოფელს მოახწიეს. ანდრომ სულ ახლოს დაინახა ზღვის უბე, რასაც ფართო მდინარე ერთვოდა. მდინარის ორივე ნაპირას მიმოფანტულიყო ყავრით დასურული სოფლის სახლები და ალვის ხეები.

სოფელში ძაღლის ყეფა არ ისმოდა და შარებზე ადამიანი არ მიმოდიოდა. მდინარის ერთ მხარეს ბორანი ება და იგი მიტოვებულყოფით გამოიყურებოდა.
 ყურადღება არ მიუქცევია ანდროს სოფლისათვის, არც სიცალიერე შეუნიშნავს მისი, მხოლოდ გულს გაურკვევეი ნალველი შემოაწვა და მწუხარებით გაიფიქრა:
 «ვინ იცის სად არის ქუქუნა: ის იბრძვის საღდაც და აი მეც ვიბრძვი!»
 სომალდი მდინარეს გაუთანასწოროდა, ნახევარი წრე გავლო და მდინარესაკენ გაეშურა.

ამ ადგილას, ზღვაში შემოსულიყო მდინარის მუქი წყალი და ის ფერითაც გამოირჩეოდა და არც ღელავდა. პატარა სომალდი ნელის ტაატით შეუდგა მდინარეს.
 ბანაკი ფეხზე იდგა.
 დაღვრემილი რაზმელები თამბაქოს აბოლებდნენ და ცდილობდნენ სოფლის მხარეს არ ეტკირათ, ან რა სასიამოვნო იყო ასეთი სოფლის დანახვა! თოფებს სინჯავდნენ.



ჩანთებს ჰკრავდენ. უეცრად, შორს ტყეში თოფი გავარდა. მას მეორე მხარეში გადევნიდა. მასში გავარდა და მისწყდა.

- თოფის ხმამ ბანაკი ააღელვა.
- გაისმა ხმები. ჩახმახები ჩხარუნით შეაყენეს.
- მოემზადეთ!
- ჰატ ბიჭებო!

ზოგი მოაჯირს ამოეფარა, ზოგი გაწვა. თავდასხმა ეგონათ და ემზადებოდნენ, მაგრამ სროლა არ განმეორებულა. მხოლოდ, შორი ტყეს ესლა უფრო რუხი ფერი მიეცა და ის იღუმლად გამოიყურებოდა და გულს აკრთობდა, თითქოს იქ, გაურკვევი, საშიში ძალა დაბუღებულაო.

ხომალდი მშვიდობიანად მიადგა ნაპირს და იგი ბორანის გვერდით დააბეს. ბორანი, გამოცდილ ბერი-კაცივით ვაყუჩებულიყო და მდინარე შესულით ეხეთქებოდა მას, მაგრამ ვერ არხევდა.

ხომალდი ოდნავ ქანაობდა მდინარეში.

რაზმი ხმელზე გადმოვიდა; ტყვია- ფრქვევები გადმოიტანეს. ხომალდს გუშაგები მიუჩინეს და რაზმი არეული ნაბიჯით გაუდგა შარა-გზას.

ანდროც რაზმში იყო. სხვებთან ერთად მიდიოდა, მაგრამ სხვები შეტაკების მოლოდინს აელელებდნენ და ავად აგზნებულნი, ისინი გაფაციცებით ზვერავენ მიადგომს. ანდრო კი, თითქოს არ ესმის რა ხდება, მოდუნებული იყო. «აი, მეც ვიბრძვი»- გონებაში დაუსრულებლივ იმეორებდა ის აკვიატებულ აზრს და თუმცა ამ წინადადებამას პირვანდელი აზრი და ყვედრების სიმწვავე დაჰკარგოდა, მაგრამ ნაღველს თანისთან უმატებდა და მუდამ, როცა ასე ფიქრობდა, თავისთავად იგულისხმებოდა ქუჩუნა, რომელიც აგრეთვე იბრძვის, მაგრამ სად, რომელ მიდამოში— ვინ იცის?

— აი, ვიბრძვი, ვიბრძვი—

მგონი მტვერია ამ შარაზე. დიდი ხანია წვიმა არ ყოფილა და ურმის თვლებით დასერილი მიწა გამხმარა.

რაზმს ანტომჟა მიუძღვის; მას მაუზერი ჰკიდია და კანდახზე სქელი თასმის ფოჩი.

ეზოებს ჩაუარეს.

ვეერ-აგერ ფანჯრებში ჩნდებოდნენ ცნობისმოყვარე ქალები, რომელნიც წამსვე იმალებოდნენ. ერთგან ღობის ძირას ბეკა ძალლი იწვა; ძალლი დამფრთხალი შევიდა ეზოში და არ დაუყვებია.

რაზმს სვლა არ შეუწყვეტია ანტომჟამ ისე გაგზავნა ორი რაზმელი სადლაც; იქნებ ადგილობრივ ხელისუფლების მოსაძებნად.

შემდეგ მოსახვევში რაზმს ერთი შეიარაღებული ცხენოსანი შემოეფეთა. მხედარმა ცხენი მოაგდო და ანტომჟა წინ გადაეღობა.

რაზმი შესდგა.

ცხენოსანი გაცხარებით უამბობდა ანტომჟას რალაცას და ხელს ტყისაკენ იშვერდა. ცხენოსანს რაზმელები შემოეხვიენ.

— დაჭრილები სახლებში დავაწვინეთ, კო ბატონო—

ეს სიტყვები შორიდან გაიგონა ანდრომ, ახლო არ მისულა. ცხენოსანმა მათ რაზმი მოუქნია ცხენს.

რაზმი ჩქარის ნაბიჯით გაეშურა ტყისაკენ.



უკვე თოფები ხელში ეჭირათ და წინ ფრთხილად მიიწევდენ.

ტყე იწყებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ წინ იდვა გვალვისაგან გამხმარი ქაობი და ყვითელი შამბნარი,

— აჰა, ბიჭო სისხლი!

— სისხლი, სისხლი!

ამბობდენ ჩურჩულით და რომ სისხლი დაენახათ, რაზმელები სიარულში დაბლა იცქირებოდენ. ანდრომაც დაიხედა დაბლა. მას სისხლი არ დაუნახავს, მხოლოდ ერთგან, დამსკდარ ქაობსა და ხმელ ლაქაშში ფრინველთა ფერადი ნაკრტენი გაბნეულიყო.

უეცრად თოფი გავარდა.

ტყეში რამოდენიმე ნაბდის ქუდი გამოკრთა და რაზმი აირია და არეული შამბნარში გაწვა.

VII

საუზმობდა კოტიკო და მოხუცი მამა; დედა სუფრის თავში იჯდა; ტიქები წინ ელაგა და საგანებელში გართული უცდიდა, როდის მოითხოვდენ ჩაის.

— რას შვრები შვილო? ჩაის დავლევდი— შემკრთალი ხმით შეეკითხა დედა შვილს. კოტიკო შეეყოყმანდა, მაგრამ ადგა.

— იცი, მეჩქარება დედა— ბოდიშით სთქვა და მეორე ოთახში გავიდა. ოთახის კარები ღია იყო და კოტიკოს დედის სიტყვები ესმოდა:

— რალა ესლა გეჩქარება შვილო, ამ არეულ ღროს. წუხელიც ჩეკისტები იყვნენ, გული გადამიბრუნდა...

მწუხარებით ამბობდა დედა.

«ჩეკისტების» ამბავი კოტიკომ არ იცოდა. არც მამას სცოდნოდა:

— ჩოროთ ხნაეთ— თეთრი წარბები უკმაყოფილოდ ასწია მამამ.

კოტიკოს წუთით გული შეუქანდა. ერთბაშად წარმოუდგა დატუსალება, ნესტიანი სარდაფი, მაგრამ კრთომა არ გაამეღავნა. ქუდი აიღო და დედას მოღიმარის სახით ეჩვენა:

— აბა, რომელი ჩეკისტები, დედა? ბავშები? სახლი გაჩხრიკეს?

— არა შვილო, ისე, ახალგაზდანი კი იყვნენ, ღვთის წინაშე.

— ეს არაფერია, დედა, მერწმუნე არაფერია.

შვილის იმედიან კილოს დედა მართლა ერწმუნა. უთუოდ მამაც დაიმედდა; მან სახლკით ტუჩები მოიწმინდა და ჩაი ითხოვა:

— ჩაი, ჩემო ბატონო, ჩაი ჩემო ხელმწიფეო.

— მაშ, მე წავედი, ამბობს კოტიკო.

— ბედნიერად შვილო.

დედის ეს უბრალო სურვილი რატომღაც მუდამ აღონებდა კოტიკოს და ის ცდილობდა არ გაეგონა. ესლაც, კოტიკომ კარები ხმაურით გააღო. ამ ღროს მამაც კოტიკოს ეუბნებოდა:

— ერთად წავიდოდით, კოტიკო!

არც ეს გაიგონა კოტიკომ. წავიდა.



ამის შემდეგ მოხუც დედ-მამას ერთმანეთში ბევრი არაფერი უთქვამთ. მამაკაცი მალე წამოდგა, ხოლო მანამდე თავაზიანად უსაყვედურებდა თავის მეუღლეს:

- ადამიანო, დახევესდი მაინც, როგორ იქნება—
- შემდეგ ქილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა:
- მეც გაუდგები, დროა—

კიდევ მცირედი ხანი და მოხუცი გამოჩნდა ეზოში; მას პორთფელი ეჭირა და ჯოხს იბიჯებდა.

დილა იყო გრილი, საამური.

სოფელ ბალახში ცვარი იდგა. ცვარი ნელა ორთქლდებოდა და ამ ანაორთქლს სია ნისლივით მიმოაფენდა მიდამოს. აღმოსავლეთით კი, ღრუბელ-აშლილ ცაზე ამოდიოდა მცხრალი მზე.

— გაწვიმდება ჩემო ხელმწიფე— თავის გონებას ესაუბრებოდა კოტიკოს მამა:— ძალიან დაძრულა ღრუბლები—

- შორით მოხუცმა კოტიკოს მოჰკრა თვალი:
- დაჰკრავენ იმედია...— გაიფიქრა მოხუცმა და გამხიარულდა.

კოტიკო, სანაპირო ქალაქის მოწინავე ახალგაზდა, ძალიან მიიჩქაროდა ამ დილით. იცოდა, ქუჩებში შეიარაღებული ბიჭები დადიოდნენ და ხალხს ატუსაღებდნენ. ბევრი დაეტუსაღებიათ. სავსე იყო ჩეკა, სატუსაღო. გაუქმებული ეკლესიაც გუშინ გავესოთ. კოტიკომ ქუჩა გალია და მეორეში გავიდა.

— ჰეი კოტიკო, ამხანაგო კოტიკო, ამხანაგო...

აედევნა კოტიკოს ერთი თექვსმეტი წლის თოფიანი ბიჭი, რომელიც სულდა-ულტუმელად მოსდევდა და მოსძახოდა:

- ამხანაგო კოტიკო—
- კოტიკომ ირგვლივ მიმოიხედა და მოცდა ამჯობინა:
- აჯან!— გაეხმაურა კოტიკო ბიჭს.

ბიჭმა ხუმრობა გაიგო და გაიცინა:

— ბევრი ჯანი ბატონო კოტიკო—

— ჰაი გმადლობ ჩემო გოგია, მეტი ხომ არაფერი?— ისევ იხუმრა კოტიკომ და ვითომ წასვლა დააპირა, თანაც მიმხვდარი იყო, რომ სწორედ ეს გოგია იქნებოდა წუხელ სახლში, მის დასატუსაღებლად. ბიჭს შერცხვა, შეიშმუშნა და უხერხულად მიუახლოვდა:

- როგორ არა კოტიკო, თქვენი დაქვერის ორდერი მაქ—
- კოტიკომ წარბები შეიკრა:
- ორდერი შეინახე ბიძია! გესმის?
- კი მესმის, მარა...
- მარა რა!— მწყრალად იკითხა კოტიკომ.
- არაფელი, ოღონდ ამ საღამოს მე რომ არა, სხვა დაგიჭერს—
- კოტიკო წუთით დაფიქრდა, რალაც მოისაზრა:
- კარგი ჩემო გოგია, კარგი. ეხლა შენ წადი—
- ბიჭი წავიდა. კოტიკო მობრუნდა და ბაზრისაკენ გაეშურა.

ბაზარში, თითქმის არავინ მიმოდიოდა. უმეტესობა დარაბებისა დახშული იყო და ამ დახშულ დარაბებზე, რკინის დიდრონ ბოქლომებიდან, კანდიერად გამოიყურებ-



ბოდა ბეჭედ დასმული ლუქი. გაეღოთ მხოლოდ ორიოდე პატარა სავაჭრო, სადაც ვინა
ვით მუშტრის მოლოდინში, მოწყენით იჯდენ ხნიერი ვაჭრები. პატარა სავაჭროების
გასწრივ, კუთხეში ვაჭრობდა მუშათა მთლიანი კოლპერატივი.

კოტიკო კოლპერატივში შევიდა; მიიხედ-მოიხედა; ცარიელი თაროები დაი-
ნახა და სთქვა:

- დიდი ხალვათობა ყოფილა თქვენს სავაჭრო დაწესებულებაში —
- სალაროს ხელადან ახალგაზდა ქალმა თავი გამოჰყო და კოტიკო მიესალმა:
- სალამი ალებ-მიცემობას!

ქალს არ გაუცინია:

— რა ამბები კოტიკო?— მოუთმენლად შეეკითხა ქალი.

კოლპერატივში მყიდველი არავინ იყო, მაგრამ კოტიკომ ხმას დაუწია:

— აი, რა მარცხა: შეიძლება მე დამატუსაღონ და თუ დამატუსაღეს, ამას ადვი-
ლად გაიგებ, მაშინ სოლომონსა და ბატონ დავითის შორის შენ იქნები კავშირი—

— კარგი! ახალი კოტიკო?

კოტიკო უკვე კარებში იყო.

— არა მცალია!— დაიძახა და წავიდა.

კოლპერატივის გვერდითვე, მეორე სართულზე, სახელმწიფო დაწესებულება
თავსდებოდა. კოტიკომ კიბეები სწრაფად აირბინა და დაუკითხავად გამგის ოთახში
მოექცა.

გამგე, ხნიერი კაცი, სავარძელში იჯდა და ნერვიულად აბოლებდა თამბაქოს.
კოტიკოს დანახვაზე საჩქაროდ წამოდგა. ხელი გაუწოდა და ხელათვე დაუწყო კითხვა:

— მაშ, როგორ არის საქმე, აჰ? რაო, რას ამბობენ, კიდევ ვერ გადაწყვიტეს?

— ჯერ ვერა, ხომ იცით ბატონო დავით...

მაგრამ ბატონმა დავითმა ხელი ჩაიქნია და კოტიკოს შეაწყვეტია:

— ვიცი ძმობილო, ვიცი. ტყუილია ეგ შიში. რუსეთი ამ საქმეში ვერ ჩაერევა,
რადგან ეგ საქმე, ჩვენი შინაური საქმეა, ჩვენი და ჩვენი ქართველ კომუნისტებისა და
ერთმანეთში ჩვენვე უნდა მოვრიგდეთ. ხოლო, როგორ, იარადითა თუ სიტყვით, ეგ
რუსეთს არ ეხება, გესმით? გაიგეთ? ამას დაურთო ისიც, რომ ხალხი ვერ ითმენს. სამოც
დათუთხმეტი შეიარაღებული ვაჟკაცი დგას და იცდის. მოდი და ისინი გააჩერე! სამი
დღეა ვაჩერებთ ძმობილო, გესმით, სამი დღე! ესლა კიდევ ციხეებშიაც შეიხედე! ცნო-
ბები მოდის, რომ ტუსაღებს უნდათ საქმის დაწყება. გესმით! აი, როგორც გენებოთ! —

გამგე გულწრფელად იყო აღშფოთებული.

კოტიკოს ცოტათი შეებრალა პატიოსანი მოხუცი; შეებრალა მისი გულუბრყვი-
ლო წარმოდგენა რუსეთის ჩარევის საგანზე და რატომდაც საჭიროდ სცნო მოხუცის
სიტყვები დაედასტურებია:

— მე თქვენს ერთო გეთანხმებით, ჩატონო დავით...

მოხუცს ეს იამა:

— მაშ წადით კაცო, დატრიალდით სანამ დროა. გახსოვდეთ, ჩვენი სანაპირო ქა-
ლაქი ათასამდე მებრძოლს შემატებს საქმეს— თითქმის მუდართი იძახდა ბატონი დავით.

კოტიკომ გამგესაგან მიიღო ცნობები, თუ რამდენი კაცი ჰყავდათ, რა იარაღი
გაჩნდათ და დაემშვიდობა.

ნავთსადგურში დღესეც ერთი გემი იტვირთებოდა; მხოლოდ ორთქლმავალი არ სჩანდა და ჯალამბარის ხმაური უფრო მინელეზულიყო და დრო-გამოშვებით ისმოდა. სოლომონის ჯგუფი გემთან მუშაობდა.

კოტიკომ შორიდან დაინახა მუშები და მათკენ გაემართა.

— გამარჯვება თქვენი!

— კოტიკოს გაუმარჯოს!

სოლომონი ჯგუფს გამოეყო, ბარს დაეყრდნო და ასე უსმენდა კოტიკოს. კოტიკო დაწვრილებით უყვებოდა სოლომონს დავითის სიტყვებს; სხვა უბნის ცნობებიც მოეტანა, მაგრამ განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ:

— სანაპირო ქალაქი ათასამდე მებრძოლს შემატებს საქმეს—

სოლომონი ისმენდა უხმოდ და თითქმის ნაღვლიანად. კოტიკომ მოხუცს მოწყენა შენიშნა და დადუმდა. რამდენიმე ხანს მოხუცს ხმა არ ამოჟღერებოდა; ბოლოს, როდესაც უარის ნიშნად თავი გადააქნია და უნდოდა რაღაც ეთქვა, სწორედ ამ დროს, შორიდან, ძალიან შორიდან ყრუდ მოისმა გრგვინვა.

ამ ხმაზე მოხუცი გალახულივით მოიხარა ბეჭებში.

წამით მიდამომაც სუნთქვა შეიკრა და იმ გრგვინვას ყური დაუგდო.

მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს.

ჯალამბარი დადგა. გემის ბანზე უცხოელი მეზღვაურები გადმოდგენ.

გაყურდა ყოველი და ამ დადუმებულ ჰაერში უფრო მკაფიოდ მოისმა გრგვინვა.

—ეჰე, ზარბაზანი.

უთუოდ სოფლებს ჯარი შესევია და ზარბაზანი მინდვრებს სცემს და სოფლის საბადებელს სრავს.

სოლომონი წელში გასწორდა, თავი აიღო და მას თვალები ავსოდა ჯანყითა და მრისხანებით:

— ხომ გესმის ჩემო ბიძია! ვერ გევიმარჯვეთ!

კოტიკო უსიტყვოდ გაშორდა მოხუცს. მოხუცი ადგილიდან არ დაძრულა.

ოციოდე ნაბიჯი გაეწეო კოტიკოს, ნავთსადგურში რომ გამოჩნდა ზოსიმე ორი შეიარაღებული ახალგაზრდის თანხლებით.

— ამას აქ რა უნდოდა!— იყვირა ზოსიმემ კოტიკოს დანახვაზე.

— წეიყვანეთ, ახლავე წეიყვანეთ!

შეიარაღებულები შემობრუნდნენ და კოტიკო მათ გაჰყვა.


— თქვენი კაი გამარჯობა ამხანაგებო!— მიუახლოვდა ზოსიმე მუშებს.

პასუხი არავის გაუცია.

უკვე გახშირდა ზარბაზნის გრიალი. სასაწარკვეთილ გმინვის მზგავსად ისმოდა იგი შორიდან და მიდამოს ათრთოლებდა.

— რას გაჩერებრლხართ, რატომ არ მუშაობთ!— იძახდა ზოსიმე და, როგორც მისი მისალმება მუშებისადმი, აგრეთვე ყოველი სიტყვა მისი, იყო მღრინავი და ბოროტი.

— ჰე-ჰე-ჰე— იცინოდა შემდეგ ზოსიმე— აჯანყება გამომიწყვეს. მათრახი მაგათ, კუდიანი მათრახი, სამად დაწნული მათრახი... ვითომ რაი და მთავრობას ჩამოვაგდებთო. ახლა? ნახვენ თვალის სეირს, კი, მოგეცა ოხენა—



შეუპოვრად იქნევდა ხელს ეს ჭადარა კაცი და თითქო მისი ხელის აქნევით, შორს, სადღაც სკდებოდა ყუმბარა, რომ იმის რისხვას აქამომდე მოეხწია, ხალხი დაფერთხო, ხოლო ზოსიმეს ენახა დამფრთხალი ხალხი და დამტკბარიყო.

მუშები არ დამფრთხლან.

— გუშამ სხვა ხმაზე გალობდი ზოსიმე — უბრალოდ, აუშფოთებლად უსაყვედურა სოლომონმა ჭადარას და ამ დადუმებულმა ხმამ, უკანასკნელი სიმშვიდე დაუკარგა ზოსიმეს. იქნებ კიდევ ელოდა ის ამ საყვედურს, ბეჭებში რომ გასწორდა და მოხუცისაკენ მუქარით გაიწია:

— ჰაატ ყაზახო, რას ბედავ თუ იც! შენ ფიქრობ, ანდრო მიშველისო?! ვერა, მე ნუ მოვკვდე, შენ ვერავინ გიშველოს. ვიცით ვინც ბძანდებით და რა საქმეებსაც ეწევი. ყველაფერი ვიცით, დარდი ნუ გაქ, ყველაფერი —

სოლომონი არც შერხეულა.

სამაგიეროდ ხვთისო მივარდა ზოსიმეს, მკლავში ღონიერად ხელი ჩაავლო და შემთაბრუნა:

- კაცო, შენ წერას აუტანხარ ძმაო. წადი გზა ნახე, გონებას ნუ გვიმღვრევ!
- კი, მე წავალ, მარა ეს იყოს ძალის ბალანი, სოლომონ, თუ შენ არ განანო! ზოსიმე წავიდა.
- დრტვინავდენ მუშები.

IX

მზე იჯდა ზღვაში ნახევრად, ხოლო მეორე ნახევარს მზისას გავარვარებულნი ზეცა აეჭრტილებია და იმ ადგილის მწერას თვალი ვერ უძლებდა. დამშვიდებული ზღვა ფერად იყო ლურჯი და ოდნავ მეწამული.

გამარჯვებული «ტარიელი» ბრუნდებოდა სანაპირო ქალაქში. რაზმს ისევ ბაქანზე მოეყარა თავი და კვლავინდებურად სდუმდა. დაქანცული სახეები, თვალები სავსე ნალვით — ეს იყო გამარჯვების შედეგი.

რამდენიმე რაზმელი მსუბუქად დაეჭრათ.. მაკაროც დაჭრილი იყო. მას შეხვეული ხელი მკერდზე ეკიდა და ჭრილობიდან გამონადენ სისხლს იოდი შერთვოდა და დოლბანდი გაეშავებია.

— მოიცა მაკარო, თვალის სეირი გაჩვენო! ხალისიანად ეუბნებოდა მას ანტოშკა «ნეტავ რა სეირი» — ჟუკმაყოფილოდ კითხულობდა თავის გონებაში, დაღლილი მაკაროს. მას არც სეირი უნდოდა ანტოშკასი, არც საუბარი, მხოლოდ ჭრილობა ეწოდა და სახსრებში ოდნავ სისუსტეს გრძნობდა.

— ფერი წაგსვლია ბიჭო — მზრუნველობით გადახედა ანდრომ დაჭრილს და ანდროს კილოში კითხვაც იგულისხმებოდა, დაჭრილმა მხრები აიჩეჩა და უგულოდ მიუგო:

- რა მიშავს —
- ამსობაში ანტოშკამ ვილაცას ხმა-მალა დაუქახა:
- ერთი, ამხანაგო ტყვეები მომგვარე, ტყვეები —
- განკარგულების დროს, ანტოშკა ფეხზე წამოდგა და ვიწრო მკერდი, რაც შეეძლო გამოაჩინა. შემდეგ ხელები დაისრისა, გაიღიმა და ისევ საჩქაროდ დაჯდა.
- ტყვეები მალა!
- ტყვეები!
- ვილაცამ ვილაცას სიტყვა გადასცა. ვილაც წავიდა.



ტრუმის სახურავი ასწიეს და სულ-გაკმედილმა ბანაკმა თვალები იქით მიაქცია, საიდანაც ტყვეები უნდა ამოეყვანათ. მალე ტრუმის კიბეზე ნაბდის დაქექილი ქუდი გამოჩნდა. ქუდი ტყვეს სახეს უფარავდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ტყვე გამხდარი და ხნე გლუხ-კაცი იყო. მას მეორე მოჰყვა, ახალგაზნა, უქულო და თმა აჯეჯილი.

ისინი წელა ამოვიდნენ მალლა. ბანაკის დანახვაზე ოდნავ შეკრთაღნი დადგენ და არ იცოდნენ რა ექნათ.

— იქით წადი ძმობილო! — თოფიანი დარაჯი ამოჰყვა მათ სა ანტომგასაკენ მიუთითა.

რახმელებმა ერთი თვალი კი მოაგლეს ტყვეებს, თორემ ხელათვე შეიკრეს წარბები და თ ვი ჩაჰკიდეს. ან რას უნდა დაჰკვირებოდნენ? ერთმანეთს შეხედავდნენ და იგივე გლუხები იყვნენ, როგორც ეს ტყვეები; მხოლოდ ეს არის, ძველსა და დახეულ სამოსში, ტყვეებს მზის დამწვარი, შავი სხეული გამოუკრთოდათ და ჭირნახულ სახეზე ემჩნეოდათ გავლილი ტანჯვა და შიში. მოხუცი ტყვე გაუბედავი ნაბიჯით მიიწეგდა წინ. მას მიჰყვებოდა ახალგაზნა; ახალგაზნა ფეხში იყო დაჭრილი. მას ჭრილობა პერანგის ნახევით შეეხვია, მაგრამ სახელდახელოდ შეხვეული ჭინჭი სისხლს ვერ აკავებდა, თანაც ყოველ ფეხის გადადგმაზე იხსნებოდა და ახალგაზნა ტყვე იძულებული იყო, თუმცა დიდის ტანჯვით, მაგრამ მაინც დახრილიყო, რომ იქნებ უკეთ შეეხვია წყლული. ეს არ ხერხდებოდა და ახალგაზნა იბნეოდა და ღელავდა; ამ დროს მას შიშველი ნეკნები მოუჩანდა გვერდზე იმ ადგილას, სადაც პერანგი ამოეხია და ტყვე ხედავდა თავის ნეკნებს და აგრეთვე თავის სისხლიან ნაკვალევს, რაც უფრო აბნევედა და უშწევდ ხდიდა მას.

რახმელებმა რა ნახეს დაჭრილის მტკივნეული სვლა, ჯერ შეეცოდათ იგი, მაგრამ შემდეგ განრისხდნენ და გული გაუკერბათ:

— რას ჯანყდებოდა! — გულისთქმა ეუბნებოდა დაღვრემილ რახმელებს: — ჩვენ ხომ ვითმენთ? მასაც მოეთმინა?!

ტყვეები ანტომგას მიჰვარეს სა ანტომგამ მკაცრი სახე დაიჭირა:

— სახელი? — ჰკითხა მოხუცს.

მოხუცმა ვერ გაიგო, დაიბნა:

— როგორ ბატონო, ვერ გევიგე მახარია*)

ანდრო თავ-ჩაღუნული იჯდა იქვე და მოხუცმა თითქო თანაგრძობი ჰპოვოდა, მას მიმართა:

— მითხარი, შენ შემოგველე, რას ამბობს ეს კაცი, ვერ გევიგე მახარია, წორეთ ვერ გევიგე — წითლდებოდა მოხუცი და ხელებს შლიდა გულუბრყვილო ღიმილით.

— სახელს გეკითხება; რა გქვია! — თავი არ აუღია ანდროს.

— ჰოო, სახელი? — გაუხარდა მოხუცს — ტაგუ შენ შემოგველე, ტაგუ, მახარია. მოხუცი კვლავ გულუბრყვილოდ იღიმოდა და ასე მოღიმარი მისჩერებოდა ანტომგას.

ანტომგა თანისთან იღრუბლებოდა სახეზე და თვალეში ბოროტი ნაპერწკლები უკრთოდა.

— თოფი რა უყავი! — ერთბაშად ჰკითხა მან მოხუცს და თვალი გაუსწორა. მოხუცი შეკრთა, ღიმილი წამსვე გაუქრა და თითქო გაქცევას ლამობსო, ოდნავ დაიხია და შესდგა:

*) მახარია — მეგრულად, გამახარებელი.

— მახარია, გადავადე, შენ შემოგველე— დაიბნა, უზომოდ აირია მოხუცი და უთუოდ თვითონვე მიხვდა, კარგად რომ ვერ სთქვა და ისევ დაბნეულმა, სცადა სიტყვის გასწორება:

— ჰო, ჩემი ბატონი და ა, ხელში მეჭირა დედის ნაჩუქარი ჩალამ-კალამი. თქვე რომ მობრძანდით, შემეშინა და გადავადე...

ანტონას სახე უბრწყინავდა და სდუმდა.

მოხუციც შესდგა. მიხვდა საბრალო ბერი-კაცი, რომ რაღაც დააკლო, რომ საქმე კარგად ვერ არი; მან ერთი კიდევ სცადა თავის მართლება, დედის ნაჩუქარი ჩალამ-კალამი ისევ ახსენა, მაგრამ ირგვლივ სდუმდენ და მოხუცმა იგრძნო, რომ არ სჯეროდათ მისი სიტყვები და ისიც დადუმდა; მერმე უშუბლზე ოფლი გამოსვლოდა და ოფლს დიდხანს იწმენდა, ხან თითებით, ხან მთელი თათით.

— გაუფვი ანტონა, რას აწვალებ...— ჩუმად გადაულაპარაკა მაკარამ ანტონას, მაგრამ ანტონამ ეს არ გაიგონა.

— ასე რომ შენ მონაწილეობა არ მიგიღია!— დარწმუნებით შეეკათხა ანტონა მოხუცს.

— არა შენ შემოგველე, როგორ იქნება— სიტყვა დაუდასტურა ანტონას მოხუცმა. მაშინ ანტონამ ხმა-მადლა გაიციხა.

ამ სიცილზე ახალგაზდა ტყვე აშფოთდა:

— ან გამიშვი, ან დამსვით სადმე!— სასოწარკვეთით იყვირა მან.

უზომო ტკივილისაგან დაჭრილს ფერი წასვლოდა და სახის კუნთები მოღრეცოდა; დგომითაც ისე იდგა ფეხზე, თითქო ტოკავს და მალე დაეარდებოდა. ყვირილზე რაზემელებმა თავი აიღეს.

— გავიშობ, მარა ეს მითხარი, ლებულობდი თუ არა მონაწილეობას— ტკბილი ხმით იკითხა ანტონამ.

— ვლებულობდი— გადაჭრით მიუგო ახალგაზდა ტყვემ; აგზნებული თვლები მუქარით მიანათა ანტონას და წასასვლელად შემობრუნდა. მოხუციც დაფაცურდა; ეხლა მანაც გულადათ შეხედა ანტონას, დაჭრილს ხელი მიამწვლა და გაჰყვა.

— წადით!

განკარგულება დაადევნა ტყვეებს ანტონამ. შემდეგ კმაყოფილებით მოუბრუნდა მაკაროს:

— ტყვიის ხორცია ორივე

— ჭრილობას მაინც უნდა შეხვევა

— არა ამხანაგო, ტყვიის ხორცია, ვთქვი მე.

დადუმდენ. ანტონამ იწყა ნელი სტენა.

★

კვლავ ისმოდა ქალაქში ზარბაზნის გუგუნე, როდესაც «ტარიელი» ნაპირს მოადგა. ზარბაზნი ეხლა უთუოდ ახლო სცემდა და იგი ორი მხრიდან მოისმოდა, ჩრდილოეთით უფრო ხშირი და მკვეთრი, აღმოსავლეთით იშვიათი და ბუნდოვანი.

«ტარიელი» საჩქაროდ დაიწალა.

რაზმი ნაპირზე გადმოვიდა და დუმილით გაეშურა ქალაქისაკენ. რაზმს ისევ ანტონა მიუძლოდა წინ და რადგან ტყვეები მის უკან მოდიოდნენ, ანტონამ რატომღაც რევოლვერი იძრო და ხელში დაიჭირა, მაგრამ მალე ისევ ბოხჩაში ჩააგო.

დაჭრილი მაკარო ცხენზე შეესვათ და მას ანდრო ფეხით მოსდევდა. რაზმმა სი-



დი გაიარა. შემდეგ სწორსა და გრძელ ქუჩას შეუდგენ; ბევრი იარეს, მაგრამ ქუჩაში არც ერთი გამვლელი არ შესვდებოდა.

სდუმდა ქუჩა.

ქუჩაში, ელექტრონის ბოძებზე წამით სანათურები აინთა და ხელათვე ჩაქრა; თითქო ყვითელი დაქოები დაფხენ და გაფრინდნენ.

ფანჯრებიდან იცქირებოდნენ შემკრთალი ქალები; და ყველაფერიც, უდაბურო ქუჩები თუ დამფთხალი დაქოები და ქალები, ჰქმნიდნენ შიშიანობის მძიმე სურათს ღრუბლებიც არეულიყო ცაზე და დამარცხებულ ჯარივით რუხი და ბევრი, მიისწრაფოდა დასავლეთისაკენ.

უთუოდ ასეთ დროს არის, მოხუცებს რომ ცრემლები ადგებათ თვალებზე და რა ხედავენ თავის ირგვლივ მოზარდ ჭაბუკებსა და ქალწულებს, უნებურად სინანულის გრძნობით, აგონდებთ წუთისოფლის უმადურობანი და იქნებ არ ამბობდნენ, მაგრამ მათი სათქმელი ერთია:

— ეს ბაბული, ბაბული, ასე იყო თურქობის დროს, ასე იყო ალიხანოვის დროსაც—

რაზმი ბაზარში შევიდა. იქ დუქნები დაკეტილი იყო. რკინის გზით გამგზავრებული რაზმი რამდენიმე საათია დაბრუნებულიყო; მათ მიტინგიც გაემართათ და ეხლა, სამი დღის მოუსვლელი გაზეთები ხელთ ეჭირათ და ისევ შეიარაღებულები, თუმცა სხვადასხვა დავალებებით მიიჩქაროდნენ, მაგრამ გაზეთს კითხულობდნენ და წაკითხულ ამბებით თავზარდაცემულნი—დგებოდნენ:

— დაიხვრიტა, დაიხვრიტა, დაიხვრიტა!

რამდენი ნაცნობი მებრძოლი; მებრძოლი, გამობრძმედილი ხალხის მეგობრობაში და ეხლა: დაიხვრიტა!

ქუჩაში რევკომის თავჯდომარე გაზეთს კითხულობდა. მან რაზმი დაინახა და უნდოდა ზურგი ექცია, მაგრამ დაჭრილ ტყვეს თვალი მოჰკრა და ანტოშკასთან მივიდა და რალაც უთხრა. ანტოშკამ ჯიუტად გააქნია თავი. თავჯდომარემ სთხვავა. მაშინ ანტოშკამ ხმას აუწია:

— მე ვაგებ პასუხს—

ტყვე ლასლასით მიჰყვებოდა ტაგუს. დაჭრილს ფერი წასვლოდა და როგორც გემზე, აგრეთვე აქაც, თეთრ ქვებზე რჩებოდა სისხლიანი მისი ნაკვალევი.

რაზმი პარტიულ კომიტეტის შენობაში შევიდა, ხოლო ორი ტყვე, დაჭრილი ჭაბუკი და მოხუცი ტაგუ, ანტოშკას და ანდროს თანხლებით ჩეკაში გადაგზავნეს. დაჭრილ მაკაროს ეტლი მოგვარეს და შინ გაისტუმრეს.

XI

ჩეკის კომენდატურაში ახალ მოხულთ ზოსიმე და ანტოშკა დაუხვდათ. ისინი სიებს სინჯავდნენ, მაგრამ ტყვეების მოსვლაზე სიებს თავი ანებეს.

— გამარჯვებას გილოცავ ამხანაგო!

ხელი ჩამოართვა ანტოშკამ მაკარუკსა და ზოსიმეს. ზოსიმემ ავის თვალთ შეხედა ანდროს, მაგრამ წამსვე პირი იბრუნა და ტყვეებს თვალიერება დაუწყო. ანდრომ ეს სხვაგვარად განმარტა. იფიქრა: მოხუცი ნაწყენია აჯანყების წინააღმდეგ რომ ვიბრძოდე!

ასეთმა ფიქრმა ყმაწვილი დააღონა.

— კარგია ამხანაგო, კარგია!



ქართული
ლიბრთეკა

მაკარჩუკმა ტყვეები ანტონშკას ჩააბარა და ანტონშკამ ისინი საკანში წაიყვანა.

— ნუს, ანდრეი, ეს კონტრევოლუციონერბეი ნახევარ საათში აქ მომგვარე—
შეუვალი კილოთი მიმართა მაკარჩუკმა ანდროს და ორდერი გადასცა. ზოსიმე ამ
დროს სიებს სინჯავდა.

ანდრომ თოფი აიღო და უსიტყვოდ გარედ გამოვიდა. ორდერს დახედა: მა-
მა - მისის სახელი და გვარი. მეორედ წაიკითხა ორდერი, ისევ მამა - მისი. მაშინ ან-
დროს გული ეტკინა და მთვრალივით წავიდა ბაზრისაკენ მამის დასატუსაღებლად.
გზაში მას ხედებოდენ შეიარაღებულთა ჯგუფები, რომელთაც ახალ-ახალი
ტუსალები მოჰყავდათ.

ანდროს ყურადღებე არ მიუქცევია, თორემ მის გვერდით ჩაატარეს ღვთისო
და კოტიკოს მამა; ჩაატარეს აგრეთვე მარიკა და კიდეც ბევრი ბინადარი სანაპირო
ქალაქისა.

გაზეთები იყიდა სოლომონმა, როდესაც დღის ნათელი უკანასკნელი თრთოლ-
ვით ებრძოდა მოახლოვებულ მწუხრს. ილეოდა ნათელი მწიფობის თვის ერთის
დღისა და ამ ნათელის დაღვევას ყრუოლვით ატყობდენ ქალაქის ალენდრები, ალვე-
ბი თუ აკაციები; სახლებიც იბურავდენ სახეს და ქუჩებიც, დავარდნილ პირუტყვე-
ბივით უხმოდ მიგდებულებოდნენ.

— მამა - ჩემო, რამდენიმე ხნით გიბარებენ, წამობრძანდი—

სოლომონი მიხვდა. დაიბნა. ალალ ბერი-კაცს თეთრი უწალთუნები ჰქონდა
ხელში და დაფაცურდა; თითქოს უწალთუნებს ქისაში ინახავს და ქისას რომ ჯიბეში
ვერ პოულობს იმან შეაწუხაო.

— ესლავე შვილო— ამბობს სოლომონი.

შემდეგ ამავე წინადადებას იმეორებს, მაგრამ შვილოს მაგივრად «ჩემო ბა-
ტონო»ს ამბობს:

— ესლავე ჩემო ბატონო—

თანაც სოლომონი შვილს თვალეებში არ უცქერის, თავისი დაბნეულობა რა
დაჰფაროს და ასე გამოჩნდეს, ვითომც ყოველდღიური ამბავი ხდებოდეს და არაფე-
რი უცნაური.

ხმა არ გაუცია ანდროს მამისათვის. ეწოდა გული და აფორიაქებული სული
მკერდში მოზღვავებოდა და სუნთქვას უხშობდა. გზაზე მამის კისერს მოჰკრა თვალი;
მოხუცი კისერი, ნაოჭებიანი და უთუოდ სუსტი უწომოდ.

— სად არის მაკარჩუკი!— თითქმის ყვირილით იკითხა ანდრომ.

კომენდატურაში მხოლოდ ანტონშკა იყო, რომელიც საჩქაროდ ფეხზე წამოდგა.

— რა იყო ამხანაგო, რა მოგსვლია— მიუფადილა ანტონშკამ ანდროს.

— აჰა, მოგიყვანეთ მამა! აჰა, ესეც თქვენ!

განრისხებული იძახდა ჰაბუკი. თოფი თავდავიწყებით მიაგდო კუთხეში და
თვითონ, ღონიერ ნაბიჯით გავიდა გარედ.

XII

ხშირ-ხშირად და უცნაურად იკლაკნებოდა ელვა ცაზე და წამით ქვეყნიერე-
ბას ანათებდა, უეცრადვე რომ ჩამქრალიყო და გამოუცნობი დარჩენილიყო— მართლა
ქვეყნიერება ესა თუ მართლადენ წყვდიადი.

ლამეცისე მოვიდა, თითქოს უზარმაზარი გომბეზო კრუალით დააჯდა ქვეყანას.

სად წავიდეს ანდრო.

უთუოდ ესლა, სახლში დედა იცდის. უთუოდ ესლა, მამა საკანში ნის, ხოლო სხვა დედები, ხოლო სხვა მამები მოთქმით ჰგოდებენ და მათი გოდებაა ბრძოლაში მოკლული შვილი:

მერე რამდენი მოუკლავთ!

რამდენი დაუხვრეტიათ! ამბობენ: ეუუუნა...

— ეხ. ვინ ამბობს... ტყუილია —

მეხი გავარდა.

ანდროს მსხვილი წვეთები დაეცა თავზე, მხრებზე და ის ნელი ნაბიჯით დაიძრა. დიდხანს იარა და როცა მაკაროს სახლში კარი შეაღო და სინათლე დაინახა, გაეხარდა დიდათ, თუმცა ვერ მოეგონებია — განზრახ წამოვიდა თუ ალალ-ბედმა მოიყვანა აქა.

— შემოდი, შემოდი, როგორ დასველებულხარ —

მიეგება სტუმარს მაკაროს ცოლი. ანდრო შინაური კაცი იყო ამ სახლში. ქუდი მოიხადა და კუთხეში ისროლა.

— თავი დამანებე ნუციკო... არა უშავს, არ მინდა —

მაკაროს ცოლმა ძალით გახადა სველი ხალათი და მაკაროს პალტო მოახურა. მერე ორივენი მერე ოთახში გავიდნენ. იქ მაკარო ტახტზე წამოწოლილიყო გაშლილ სუფრასთან. სუფრაზე ელაგა ღვინო. საჭმელები.

სუფრას უხსდნენ მაკაროს სიმაური და ერთი ცუცხო სტუმარი.

— ჩვენი კაცია, გააგრძელებ — ანდრო გააცნო სტუმარს მაკარომ, მაგრამ სტუმარი დადუმდა და დაღონებული ატრიალებდა ხელში ღვინით სავსე ჭიქას. მოხუცმა სიმაურმა ნელა ამოიოხრა. შემდეგ თითქოს თავის თავს ესაუბრებო, სიტყვა:

— ეჰ, ჩემო ბიძია, ბეური ვერაფერი გვევიგე ამ ცხოვრების, მარა რაც გვევიგე ყველაფერი ავი —

ანდროს მოუბრუნდა, აღდგერძელა:

— გისურვებ რომე, სიხარულში მომწიფებულისევი ჩემო ბიძია —

სადღეგრძელო დაცივისებური გამოვიდა და სხვებმა უსიტყვოდ შესვეს.

მყუდროება ჩამოვარდა.

— რა ამბებია ახალი — დუმილი დაარღვია ანდრომ.

რამოდენიმე ხანს პასუხი არავის გაუცია; ყველა სდუმდა და ამ დუმილში ის-მოდა ფანჯრებზე წვიმის უხაპუნნი.

შემდეგ სიმაურმა სტუმარზე მიუთითა:

— რალა ამბები ჩემო ბიძია, ეს კაცი გურიიდანაა გამოქცეული, აოხრებენ იქა-ურობას... სამეგრელოს თუ იკითხავ... ეჰ-ჰე —

ამოიოხრა სიმაურმა და რადგან ხელმეორედ დადუმდა, მაკაროს მეუღლემ გააგრძელა:

— ბევრი დაუხვრეტიათ, ძალიან ბევრი; თურმე ხალხი ვაგონებში შეუდენიათ და შიგ დაუხვრეტიათ; უიმე ანდრო, ეუუუნაც... —

— ეუუუნა? — ანდრო სკამზე შეტორტმანია, მაგრამ თავს სძლია, ტუჩები მოკუმბა, შუბლი შეიკრა და გაქვავდა.

ამის შემდეგ ანდროს ხმა არ ამოუღია.

სვამდა ღვინოს ბეჯითად, მაგრამ ისე, თითქო ღვინოს კი არა სვამს, არამეო სხვა რამეს შვრებო. არც ყურს უგდებდა სხვებსა. ასე იჯდა დიდხანს.



ამ ხნის განმავლობაში უკანა კარებს ვილაყები მოადგენ და შიგ არ შემოსუქნენ
ლან, გარედან იკითხეს:

— აქ ანდრო ხომ არ არის —

ნუციკომ იტყუა და მოსულებს ანდროს ყოფნა დაუმალა.

მოსულები წავიდნენ.

სიმაური სუფრაზე თვლემდა. მან სტუმრების წინაშე მოიბოდიშა და ადგომა დააპირა. სიმაურთან სხვებიც ადგნენ და ანდროც წამოდგა.

— ნახვამდის, მშვიდობით — ამბობდა ანდრო.

— რომ არ გაგიშვებ ანდრო არ იცი! — სთხოვდა ნუციკო.

— უნდა წავიდე! ნახვამდის. მშვიდობით! —

ვერ გააჩერეს ანდრო და იგი გამოვიდა გარედ.

წვიმდა. ანდრო აუჩქარებლივ მიდიოდა ამ წვიმაში და როგორც პატარა ხო-
მალდზე, ეხლაც არაფერზე ფიქრობდა:

«უუუუნა, უუუუნა» —

ნეტავ ეს სიტყვა თუ სწვიმს სმენას რომ არ შორდება.

— უუუუნა! —

ამბობენ: რონოდებს ტყვია-ფრქვევი მიუყენეს და ხალხი შიგ დახოცესო; და-
ხოცილები დამარხეს, ხოლო რონოდები აქ ჩამოიყვანეს და ეხლა ნავთსადგურში ჩუ-
მად დგანანო.

— ჰო, ნავთსადგური, უუუუნა, ნავთსადგური —

ანდრომ ნაბიჯს აუჩქარა.

XIII

განუწყვეტლივ წვიმდა.

დროგამოშვებით ელავდა და ელვის ნათელი წამით აცხრებოდა ფანჯრებს და
ქრებოდა. სალომეს, ანდროს დედას და სალომონის მეუღლეს, ნაღვლიანი სახე ილა-
ყვზე დაეყრდნო და წვიმის ხმაურს ყურს უგდებდა, რომ იქნებ მეუღლის ან შვილის
ნაცნობი ნაბიჯი გაეგონა. დიდი ხანი გასულიყო ამ მოლოდინში. შუალამეს გაველო
და მამლებსაც ეყვივლათ, მაგრამ სალომე მაინც იჯდა და ელოდა.

არც მოუთმენლობა, არც საყვედური. მხოლოდ თვალეებში მშვიდი და ღრმა
ნაღველი გამოუკრთოდა და მოლურჯო ქუთუთოებში ემჩნეოდა დალილობა.

«დაჭერილი რომ არ იყოს, სალომონი ამდენ ხანს მოვიდოდა; აკი ღვთისოც
დაატუსაღეს; სახლში მოიკითხეს და წაიყვანეს ღვთისო» —

და როცა ასე ფიქრობს სალომე, უზომოდ სწუხს თავის მეუღლის ბედზე: არც
ქვესაგები, არც ვახშამი. მაგრამ ანდრო? ბიჭი სახლში არ მოსულა და მას ჩეკაში იბა-
რებენო — თრჯერ მოაკითხეს შეიარაღებულებმა. ვთქვათ, ანდრო პარტიულია და მას
იერ დაიჭერენ, მაგრამ... ვინ იცის... —

დედის გული რაღაცას გრძობს და ნაღველს ჩვეული სალომე იტანჯება უხმოდ.

ქალი ჩუმად ადგა, ლამფას დაუწია და დაწვა.

ეხლა ნახევრად ბნელა ოთახში.

ამ სიბნელეში უფრო გარკვევით ხმაურობს წვიმა; ელვაც მეტის ნათელითა
და ხანგრძლივობით ადგება მინებს და ამ დროს, ეზოში მოსჩანს ტირიფი; იგი თითქო
თმაგაშლილი ქალწულია, სადღაც მიიჩქარის, კიდევ ირხვევა, მაგრამ ადგილიდან ვერ
იძვრის, დასველებულა და სწუხს ქალწული.



«ვაი ნანა, ვაი უბედურო, ყუყუნაზე ამბობენ მოუკლავთ» — ფიქრებიც, ერთი მეორეზე უმძიმესი იზადებიან ამ სიბნელეში და უკანასკნელ სიმწვიდეს იტაცებენ.

სალომემ ამოიოხრა.

«ნეტავ სად არის გახარება, ნეტავ როდის იქნება გახარება!» —

მოხუცი სალომონი კერპი კაცია. ასეთ კითხვაზე ის მუდამ ღელავს და იმედიანად გაიძახის: დარდი ნუ გაქვს სალომე, მალე, სულ მალე! —

მაგრამ სალომემ თავისი მოხუცის ამბავი იცის და სათნოდ იღიმის.

«თორემ, გახარება თუ იყოს, რატომ მოკლავდენ ყუყუნას? ან რა გახარებაა — შვილი ცალკე ცხოვრობდეს და მომდურავ მამას ხმას არ სცემდეს?» —

უეტრად ფიქრები შეწყდა და სალომე სმენად გადაიქცა.

ვიღაცამ ჭისკარი გააღო; კიბეზე ამოვიდა და აივნის კარებს აწვალებს.

— ანდრო, შვილო მისი ჭირიმე... —

სალომე ლოგინში შეფრთხილდა და წამოდგომა დააპირა: მიეგებებოდა თავის შვილს, მიუალერსებდა, მაგრამ მოაგონდა, რომ ანდრო ამაზე მუდამ ჯავრობს.

ყმაწვილი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა თავის ოთახის კარებს. კარები ბოქლომით იყო დაკეტილი.

ოდნავ ბარბაცობდა ანდრო, ჯიბეში რომ კლიტე მოიძებნა და ბოქლომს მოუზმანა. კლიტე ბოქლომის ჭუჭრუტანაში არ შედიოდა; უთუოდ თუთუნით ავისილა კლიტის ნაჩვრეტი. სული შეუბერა.

სიბნელეში არაფერი ჩნდა. შემდეგ ჯიბიდან ასანთი ამოიღო, მაგრამ ყუთი წვიმას დაელტო და იგი გახსნისათანავე დაიხსნა და დაიფანტა.

შვილის ასეთი წვალევა არ გამოპარვია სალომეს; მცირედდენ ხმაურით, მის სმენას რომ წვდებოდა, თითქმის ყველაფერი მიხვდა და ბევრი ყოყმანის შემდეგ სალომე ადგა. ლამფას აუწია. აივანიც ოდნავ განათდა.

დედამ ოთახის კარი გამოაღო და შვილს დაუძახა:

— ანდრო ხარ შვილო! —

— დედა! — ერთბაშად თავი ანება ანდრომ გასაღებს და დედისაკენ გაიწია; ხმაც ისეთი ჰქონდა მას ამ დროს, თითქოს ცრემლები ყელში ებჯინებოდა.

დედას გული დაეწვა:

— რაია ნანა, შენ შემოგველე —

შვილს მიუახლოვდა, ხელი მოავლო. ანდრომ დედის მოფერება მიიღო, მაგრამ წამიერი გულის სიჩვილე დასძლია და ხმა გაიმავრა:

— მამა დავატუსაღე, დედა! ხალხი დაეხოცე, დედა! რა ვქნა მითხარი! —

სალომეს სინანული მოესმა შვილის ხმაში და თუმცა საშინელებას ამბობდა იგი, მაგრამ დედას გული არ შეჰქანებია.

— შემადი შვილო, სახლში შემადი! —

ანდრო შეჰყვა.

განთიადისას, როდესაც დაქანცულ ანდროს თვალ წინ უდგებოდა ავდრიან ღამეში ნახული, ტყვიით დაცხრილული რონოდები, ის ნანობდა, რომ თოფი ჩეკაში მიაგდო.

თუმცა, თავის ოთახში, მაგიდაზე საკუთარი მაუზერი უდევს.

ერის მარია რემარკე

დასავლეთით ახალი აკაფირია

(თარგმანი გერმანულით)

ეს წიგნი არ უნდა იყოს არც ბრალდება და არც აღსარება. მან უნდა მოახდინოს მხოლოდ ცდა, მოგვითხროს იმ თაობის შესახებ, რომელიც ომის მიერ განადგურებულ იქნა იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ყუმბარებს გადაურჩა.

I

ჩვენ ვიმყოფებით ფრონტიდან ცხრა კილომეტრზე; გუშინ შეგვეცვალეს; ესლა ჩვენი კუჭი სავსეა ლობიოთი და ხორციით. ვართ მძღარი და კმაყოფილი. სადამოსათვის კიდევ, თვითეულმა შესძლო გავესო თავისი ჭურჭელი; ამასთან, იძლევიან აგრეთვე ძეხვისა და პურის ორმაგ პორციას — ეს ჩინებულია. ასეთი შემთხვევა უკვე დიდი ხანია რაც არ ყოფილა; სამზარეულოს ხარი, თავისი წითელი ტომატის თავით, პირდაპირ გვეპატიჟება; თვითეულს, გვერდზე ვინც გაუვლის, კოვზით მოუწოდებს და ერთი ჩამჩის ამოკვრით ჭურჭელს უვსებს. იგი სავსებით სასოწარკვეთილია, ვინაიდან მან აღარ იცის როგორ დააცალიეროს თავისი ვეებერთელა ქვაბი. ტიადენმა და მუელერმა იპოვეს სადღაც სარეცხი გობი და თადარიგისათვის საჭმელით პირამდე გაავსებოეს. ტიადენი სჩადის ამას მსუნაგობით, მუელერი — წინდახედულებისა გამო. სადსტენის ტიადენი ყველაფერ ამას, — ყველასათვის ამოცანაა. იგი არის და დარჩება მკვლე ფარგად.

უმნიშვნელოვანესი ისაა, რომ იძლევიან აგრეთვე თამბაქოს ორმაგ პორციას. თვითეულისათვის ათი ციგარა, ოცი პაპიროსი და ორი ნაჭერი საღეჭი თამბაქო, — ეს მეტად კარგია. ჩემი საღეჭი თამბაქო კაჩინსკის გაუფცვალე პაპიროსში, მაშასადამე, მექნება ორმოცი. ეს მეყოფა მთელ დღეს.

ამასთან, ყველა ეს წყალობა მაინცდამაინც ჩვენთვის არ იყო გამზადილი. ასე დიდებულნი არ არიან პრუსიელები. ჩვენ ამას მხოლოდ რაიმე შეცდომას უნდა ვუმალოდეთ;

ორი კვირის უკან ჩვენ უნდა წავსულიყავით ფრონტზე, რათა იქაურები გამოგვეცვალა. საკმაო სიწყნარე იყო ჩვენს ხაზზე და ამიტომაც მნეს ჩვენი დაბრუნების დღისათვის სურსათის ნორმალური ოდნობა მიეღო და ასორმოდდაათი კაცისათვის მომარაგება მზად იყო. მაგრამ სწორედ უკანასკნელ დღეს ჩვენს ფრონტზე, ინგლისურმა არტილერიამ შექნა დიდი სროლა და სქელი ფოლადის ნატეხები გამუდმებით ჩვენს



ადგილებს უბრალოდ დადენ, ასე რომ ჩვენ ბევრი დავკარგეთ და მხოლოდ ოთხმოცი კაცი გამოვედით.

ჩვენ ღამით წამოვედით და მაშინათვე დავეყარებით რომ ერთჯერ მაინც გულიანად გვეღირსოს დაძინება; ვინაიდან კაჩინსკი მართალია: არც ისე ცუდი იქნებოდა ეს ომი, რომ მეტი ძილი შესაძლებელი ყოფილიყო. ფორტზე ამგვარი რამ არასოდეს არაა, და ორი კვირა ყოველთვის დიდი დროა.

შუადღე იყო უკვე, როდესაც ზოგიერთი ჩვენთაგანი ბარაკებიდან გამოძვრა. ნახევარი საათის შემდეგ ყველა სტაცებს ხელს თავის ჭურჭელს და ვიკრიბებით საზმარეულს წინ, სადაც მსუქნად და მძლავრად სუნნელებდა. თავში არიან, რასაკვირველია მუდმივი მშვირები: პატარა ალბერტ კროპი, რომელიც ჩვენს შორის ყველაზე ნათლად აზროვნებს და ამიტომ ვხლა ეფრეიტორი; — მუელერი V, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის წიგნებს დაათრევს და მუსიკის გამოცდებზე ოცნებობს; ცეცხლის გრიალში იგი ფიზიკის გაკვეთილებს იწვირებს; — ლეერი, რომელიც გრძელ წვერებს ატარებს და მეტად უყვარს ქალები ოფიცერთა საროსკიპო სახლებიდან; იგი ფიცულობს, თითქოს იქაური ქალები სამხედრო ბრძანებით ვალდებული იყვნენ ატარონ აბრეშუმის პერანგი და სანამ რომელიმე უფროს ოფიცერს ესტუმრებოდენ, წინდაწინ უნდა იბანაონო; — მეოთხე მე, პაულ ბოიმერი. ყველა ცხრამეტი წლისა, ყველა ოთხი ერთი და იმავე კლასიდან ომში გასული.

ჩვენს უკან მჭიდროდ სდგანან ჩვენი მეგობრები. ტიადენი, მკლე ზენიკალი, იმავე ხნისა როგორც ჩვენ, რაზმში დიდი მჭამელი. იგი დაჯდება გამხდარი საჭმელად და ადგება გაბერილი ვით მაკე რწყილი; — ჰაიე ვესტჰუსი, აგრეთვე ჩვენი წლის, ტორფისმჭრელი, რომელსაც ჯარისკაცური პური ხელში შეუძლია ჩაიდოს და გკითხოს: აბა გამოიცანი რა მაქვს მუშტში; — დეტერინგი, გლეხი, რომელიც მხოლოდ თავის მამულზე და თავის ქალზე ფიქრობს; — დაბოლოს, სტანისლაუს კაჩინსკი, ჩვენი ჯგუფის უფროსი, ამტანი, მოხერხებული, გაქნილი, ორმოცი წლისა, მიწისფერი სახით, ლურჯი თვალებით, ჩამოშვებული მხრებითა და საკვირველი ყნოსვით სქელ ჰაერისადმი, მოყვარული კარგი საჭმელისა და მშვენიერ სურათიან ბარათებისა. —

ჩვენი ჯგუფი გაჩერებულია ქვაბების წინ რიგის თავში. ჩვენ მოუთმენელი ვხდებით, რადგან სამზარეულოს დაუეჭვებელი ბიჭი ჯერ კიდევ სდგას და იცდის.

ბოლოს კაჩინსკიმ დაუყვირა მას: «გააღე შინი ბულიონის მარანი, ჰაინრიხ! ხომ ვხედავთ, რომ ლობიო მზად არის.»

მან მძინარედ გააქნია თავი: «პირველად ყველამ უნდა მოიყაროს თავი.»

ტიადენი იღრიჭება: «ჩვენ აქ ყველა ვართ.»

უნტეროფიცერი მაინც ვერაფერს ამჩნევდა: «თქვენ ასე მოვიხდებით. მაშ სად არიან დანარჩენები?»

«მათ შესახებ დღეს შენ არ უნდა ზრუნავდე! სავლევ ლაზარეთი და მასიური სასაფლაო.»

სამზარეულოს ხარი მოჰკვდა, როცა მან ნამდვილი ამბავი გაიგო. იგი შეტორტმანდა. «და მე კი ასორმოცდაათი კაცისათვის მოვზარზე.»

კროპმა მას ფერდში მუჯლუჯუნი უთავაზა. «მაშ დაბოლოს ერთჯერ მაინც გავძლებით. აბა, შეუდექი!»

მაგრამ ტიადენს ნათელმა აზრმა გაურბინა. მისმა წაწვეტილმა, თავგურმა სახემ იწყო საკმაოდ შუქთფენა, თვალები ეშმაკობისაგან დაუპატარავდენ, ლაწვები აე-

ლენენ და მან წინ გაიწია: «კაცო, მაშ შენ ასორმოცდაათი კაცისათვისა გაქვს სწორი არა?»

უნტეროფიცერმა თავი დაუქნია უგულოდ და უაზროდ.
ტიადენმა: მას სამოსზე ხელი სტაცა. «და ძევიც?»
ტომატის თავმა კიდევ დაუქნია.
ტიადენის ღრანუები ცახცახებდნენ. «თამბაქოც არა?»
«დიახ, ყველაფერი.»

გაბრწყინებულმა ტიადენმა მიმოავლო ყველას თვალი. «დალაზვროს ღმერთმა, აი ამას ჰქვია ილბალი! მაშ ჩვენთვის ყველაფერი ყოფილა, რალა! მაშ, თვითეული მიიღებს — მოიცათ, — ნამდვილად სწორედ ორმაგ პორციას!»

მხოლოდ ეხლა დაუბრუნდა ტომატს სიცოცხლე ისევ და განაცხადა: «ეს შეუძლებელია.»

მაგრამ ეხლა ჩვენ თვითონ გამოვცოცხლდით და წინისაკენ გავიქაჩეთ.
«რატომ არის შეუძლებელი, შე სტაფილოს თავო?» შეეკითხა კაჩინსკი.
«რაც ასორმოცდაათი კაცისთვისაა, ხომ არ შეიძლება ოთხმოცს მიეცეს?»
«მგავს ჩვენ გიჟვინებთ,» წაიბუნლუნა მუელერმა.

«საუშემელი კიდევ ხო, მაგრამ სხვა პორციები მხოლოდ ოთხმოცი კაცისათვის შემიძლია გავცე», უნიახლოდა ტომატის თავი.

კაჩინსკი ჯავრდებოდა. «რაო, გინდა რომ გავდებულ იქნე? შენ ოთხმოცი კაცისათვის კი არა, არამედ მეორე რაზმისათვის მიიღე სანოვავე. გათავდა. შენ მოგვცემ მას. მეორე რაზმი ვართ ჩვენ.»

ჩვენ მივაწეით და მივჭეჭეით იგი. არავის მაინცდამაინც არ მოსწონდა ის; არა ერთჯერ იყო იგი დამნაშავე, რომ ჩვენ სანგრებში მეტად დაგვიანებით, ცივი საუშემელი მოგვდიოდა ხოლმე, რადგან პაწია ყუმბარათა ცეცხლის დროს საკმაოდ ანლოს არ გვიდგებოდა; ასე რომ, საუშემელის მომტანნი იძულებულნი იყვნენ ხოლმე უფრო მეტი გზა გაეველოთ ვინემ სხვა რაზმში; იქ, პირველ რაზმში იყო ბულკე, უფრო ყოჩალი ბიჭი, თუმცა იგი მსუნავი იყო, მაგრამ როცა საქმე ამაზე მიდგებოდა, იგი თვითონ დაათრევდა ხოლმე ქვაბებს სულ მოწინავე ხაზებამდე.

ჩვენ სწორედ შესაფერის გუნებაზე ვიყავით და ალბად მოხდებოდა ჯახი, რომ ჩვენი რაზმის უფროსი უცბად არ გაჩენილიყო. მან იკითხა სადავო საკითხზე და ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს სთქვა: «ხო, ჩვენ გუშინ ბევრი დავკარგეთ» —

მერმე ქვაბში ჩახედა. «ლობიო კარგი უნდა იყოს». ტომატის თავმა დაუდასტურა. «ქონთან და ხორცთან მოხარშული». ლეიტენანტმა ჩვენ აგვხედა. მან იცოდა ჩვენ რას ვფიქრობდით.

სხვა დროსაც იცოდა მან რალაც-რალაც, ვინაიდან იგი ჩვენ შორის გახდა დიდი და ჩვენს რაზმში როგორც უნტეროფიცერი კი მოვიდა. მან კიდევ აიღო სარქველი ქვაბიდან და შეიყნოსა. წასვლის დროს სთქვა: — მეც მომიტანეთ ლამბაქი სავსე. და პორციები ყველა განაწილდება. ჩვენ მათ მოვიხმართ. —

ტომატის თავმა სულელური სახე მიიღო. ტიადენმა მას ცეკვით შემოუარა.

— ეს შენ არაფერს წაგიხდენს! თითქოს მას ეკუთვნოდეს სამნეო უწყება, ისე იქცევა. აბა, დაიწყე, შე ძველო ღორმუცელავ, და არ გამოგვრჩე რამე —

— ხმა ჩაიკმინდა! — წაიშოშინა ტომატის თავმა. იგი გულზე სკდებოდა; ასეთი რამ მის გონებას არა წვდებოდა; მას ველარ გაეგო ამა ქვეყნისა ველარაფერი. და



თითქმის სურდა ეჩვენებია, რომ მისთვის ესლა ყველაფერი სულერთია, თვითნებულს და ურიგა თავისი ნებით, კიდევ ზედმეტი, ნახევარი გირვანქა ხელოვნური საფარი.

★

დღევანდელი დღე მართლა კარგია. ფსტაც კი არის და თვითნებულისთვისაა რამდენიმე წერილი და გაზეთები. ესლა კი მიეხეტილობთ მინდვრისაკენ ბარაკებს გადადმა. კროპს გამოუჩრია ილიაში მარგარინის კასრის მრგვალი სარქველი.

მინდვრის მარჯვენა კიდევ აგებული იყო ჯარისათვის ფენისადგილი, გადახურული, მყარი შენობა. ესაა კიდევ ისეთი რამ ახლად ჯარში გაწვეულთათვის, რომელთაც ჯერ არ უსწავლიათ ყოველი საგნიდან სარგებლობა გამოსწორონ. ჩვენ ვეძებთ ცოტა უკეთესს. ყველგან სდგანან გაბნეულად, სახელდობრ, პატარა, ცალცალკე ჩემები იმავე მიზნისათვის. ისინი არიან ოთხკუთხი, სუფთა, სულ ხისაგან აგებული, ყოველ მხრივ დახურული, შეუდარებელი, მოხერხებული დასაჯდომით. გარედან, გვერდებზე ხელის მოსაკიდი ყურები აქვთ, ასე რომ შეიძლება მათი გადატანა.

ჩვენ ვდებთ სამ ჩემას წრედ ერთს მეორესთან და მშვენივრად ვეწყობით შიგორ საათს ჩვენ აქედან გამომსვლელი არა ვართ.

მახსოვს კიდევ, დასაწყისში, ჩვენ ახლადგაწვეულები როგორ ვმორცხობდით ყაზარმებში, როცა საერთო ფენისადგილით უნდა გვესარგებლა. კარები იქ არაა, ზის ოცი კაცი ირთი მეორეს გასწორივ ვით რონდაში, თვალის გადავლებით ხედავ ყველას — ჯარისკაცი მუდამ მხედველობაში უნდა იყოს.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ ვინემ მცირე მორცხობის დაძლევა. შემდეგში ჩვენ ბევრ სხვა რამესაც შევეჩვიეთ.

აქ გარედ, ეს საქმე პირდაპირ სიამოვნებაა. მეტად არ ვიცი თუ წინად ამისთვის ყოველთვის სირცხვილით გვერდი რატომ უნდა აგვევლო, იგი ხომ ისევე ბუნებრივია როგორც ჭამა და სმა. შესაძლებელია საქირო არ ყოფილიყო ამის შესახებ გასაკუთრებით გვეთქვა რაიმე, რომ იგი ჩვენთან დიდ როლს არ თამაშობდეს და სწორედ ჩვენთვის არ ყოფილიყო ახალი რამ — მაშინ როცა დანარჩენებისათვის იგი დიდი ხანია თავისთავად აშკარა იყო.

ჯარისკაცისათვის მისი კუჭი და მონელება არის უფრო საყვარელი ვინემ სხვა კაცისათვის. მისი სიტყვათა ლექსიკონის სამი მეოთხედი მას ესება, და როგორც უმაღლესი სიხარულის ისე აგრეთვე უღრმესი გაჯავრების გამოთქმა აქ კოჟულობს თავის პირველად შეფერადებას. შეუძლებელია სხვანაირად ასე მოკლედ და მკაფიოდ გამოსთქვა აზრი, ჩვენი ოჯახები და მასწავლებელნი გაჰკვირდებიან, თუ ჩვენ შინ მივედით, მაგრამ აქ ეს არის ერთადერთი საერთო ენა.

ყველა ამას ჩვენთვის აქვს შერჩენილი უბრალოების ხასიათი, რადგან აქ ყველაფერი იძულებისგვარი საჯარო მოვლენაა. კიდევ მეტი: იგი არის ჩვენთვის ისე თავისთავად გასაგები, რომ სტომაქის სასიამოვნოდ დაცლა იმგვარადვე ფასდება როგორც, ვთქვათ, მშვენივრად შესრულებული, ყუმბარათაგან დამზღვევი საფარი.

ტყუილად არ არის ყოველგვარი ლაყბობისათვის მოგონებული სიტყვა: «ფენისადგილის პაროლი»; ეს ადგილები არიან სალაყბო კუთხენი და კლუბის სამაგიერო ჯარისკაცებისათვის.

ესლა ჩვენ აქ ვგრძნობთ თავს უფრო უკეთესად ვინემ თეთრად შეფეთილ საწებვირო ადგილზე. იქ შეიძლება უფრო ჰიგიენური იყოს, აქ კი უფრო მშვენიერია.

არსებობენ საკვირველად უაზრო საათები. ჩვენ თავს დაგვცქერის ლურჯი ცა.

ცისკიდურზე ჰკიდიან ღიაფერად გაბრწყინებული ყვითელი საპაერო ბალონები თბილისის
თრი პაწაწა ღრუბლები, ცეცხლის-მფრქვევ იარაღთაგან ნასროლი; ხანდახან მიიჩქარი-
ან ისინი ზევით ვით კონა ძნა, ოდეს მფრინავს დაედევნებიან.

მხოლოდ როგორც ძლიერ შორეული ქუხილი მოგვესმის ესლა ფრონტის ყრუ
ღრიალი. ყუმბარები ჩვენ ზემოდ რომ ზუზუნებენ, ჰფარავენ მას.

და ჩვენს გარშემო კი აბიზინებულ ველია. ნაზი ფოთლები ბალახთა ქანაობენ,
ყვავილები გვერდზე წვებიან, ნანაობენ გვიანი ზაფხულის ღბილ, თბილ ნიავეში, ჩვენ
გკითხულობთ წერილებს და გაზეთებს, ვეწვევით თუთუნს; ჩვენ ვიხდით ქუდებს და
ვღებთ მათ ჩვენს გვერდით, ნიავე ეთამაშება ჩვენს თმებს, იგი თამაშობს ჩვენ სიტყვე-
ბთან და აზრებთან.

სამი ჩემმა სდგას განათებულ, მინდვრის წითელ ყაყაჩოთა შორის.

მარგარინის კასრის სარქველს ვიდებთ ჩვენს მუხლებზე. ამგვარად, საუკეთესო
დასადები გვაქვს კარტის სათამაშოდ. კროპს თან აქვს კარტი. ყოველი გახსნილი ნო-
ლის შემდეგ, ჩვენ ვთამაშობთ შიბერამუსს. შეიძლება ასე მუდმივად იჯდე.

პარმონიკის ჰანგები მოგვესმიან ბარაკებიდან. ხანდახან კარტს თავს ვანებებთ
და ერთმანეთს ვუყურებთ ხოლმე. მაშინ იტყვის ერთი: «ახ, ბავშვებო, ბავშვებო — » ან
«შეიძლებადა უფრო ცუდათ წასულიყო საქმე — » და ჩვენ ერთი წუთით ვღუწვართ.
ჩვენში არის მაგარი, გამობრძმედილი გრძნობა, თვითუღმა იცის ეს და არ საჭირო-
ებს ბევრ სიტყვას, შეიძლებადა სრულიად ადვილად, რომ დღეს ჩვენ ჩემმაში არა
ვმჯდარიყავით, დალახვრავს, თითქმის ახლოს ვიყავით ამასთან, მაგრამ გადავრჩით და
ამიტომ არის ყველაფერი ახალი და მაგარი — წითელი ყაყაჩო და კარგი საქმელი, პა-
პიროსები და ზაფხულის ნიავე.

კროპი ჰკითხულობს: — ინახულეთ ვინმემ კემერისი?

— იგი წევს სან-იოზეფში, — ვამბობ.

მუელერს ჰგონია, კემერისის ზემო ბარძაყი აქვს გახვრეტილი, ეს კარგია შინ
დასაბრუნებლად.

ჩვენ გადავწყვიტეთ, იგი ნაშუადღევს ვინახულოთ.

კროპი წერილს იღებს. — უნდა გადმოქცეთ სალამი კანტორეკისაგან. —

ჩვენ ვიცინით. მუელერი ისვრის თავის პაპიროსს და ამბობს: — ნეტავი იგი
აქ ყოფილიყო! —

★

კანტორეკი იყო ჩვენი სკოლის მასწავლებელი, მკაცრი, პატარა კაცი, რუხი
ტანისამოსით, წაწვეტილი სახით. მას დაახლოვებით ისეთი ტანი ჰქონდა როგორც
უნტეროფიცერ ჰიმელშტასს, «კლოსტებერგის მრისხანებას». სხვათა შორის, სასაცი-
ლოა, რომ ქვეყნის უბედურება, ასე ზშირად, ტანით პაწა კაცებისაგან წარმოდგება.
ისინი არიან უფრო ენერჯიული და აუტანელი ვინემ მალღები. ყოველთვის ვცდილო-
ბდი ჩვენს განყოფილებებში რაზმის პაწა ხელმძღვანელებთან არ მოვხვედრილიყავი;
ისინი უმთავრესად დაწყველილი ტყავისმძრობნი არიან.

კანტორეკი ვარჯიშობის საათებში იმდენ ხანს გვიკითხავდა ლექციას, სანამ
ჩვენი კლასი მისივე ხელმძღვანელობით, დარაზმული არ წავიდა ოლქის კომანდოსთან
და იქ გამოცხადდა. იგი ესლაც თვალწინ მყავს, თუ იგი თავის სათვალეებიდან ცეცხლს
როგორ გვინთებდა და ალღელებული ხმით შეგვეკითხებოდა ხოლმე: წახვალთ ხომ,
ამხანაგებო? —



ამ აღმზრდელებს თავისი გრძნობა ისე სწორად აქვთ ჯიბაში განხლებულია ისინი იძლევიან მას მთელი საათების განმავლობაში. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ მაშინ ფიქრადაც არაფერი მოგვსვლია.

ერთი ჩვენთაგანი შეეყოყმანდა და მაინცდამაინც არ სურდა წამოსვლა. ეს იყო იოზეფ ბეჰმი, სქელი, კარგი ხასიათის ბიჭი. მაგრამ იგი დააჯერეს და არც შეეძლო მას თავისი თავი ცუდად გამოეყვანა. იქნებ სხვა ზოგიერთიც ისე ფიქრობდა როგორც იგი; მაგრამ არავის შეეძლო გამოგვკლებოდა, ვინაიდან სიტყვა: «მხალი» იმ დროში თვით მშობელთაგანაც კი ადვილად გასაგონი იყო. არავის წარმოდგენა არა ჰქონდა იმის შესახებ, რაც შემდეგში მოხდა. უფრო ჭკვიანი გამოდგა ლარიბი და უბრალო ხალხი; მას ომი თავიდანვე უბედურებად მიაჩნდა, მაშინ როცა დაღწინებულმა ხალხმა სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა, თუმცა სწორედ ამას უფრო მკაფიოდ უნდა წარმოედგინა მისი შედეგები.

კაჩინსკი ამტკიცებს, ესაა განათლების ბრალი, იგი აჩერჩეტებს ხალხს და რასაც კაჩი ამბობს, მას ის მოფიქრებული აქვს.

საკვირველია, ბეჰმი იყო პირველი, ვინც დაეცა. ერთი შეტევის დროს მას თვალში მოხვდა ტყვია და ჩვენ იგი მკვდარი დავტოვეთ. თანწამოდება არ შეგვეძლო, ვინაიდან სწრაფად უკან უნდა დაგვეხია. ნაშუადღევს უცებ გავიგონეთ მისი ძახილი და დავინახეთ, ვარედ როგორ მოხოხავდა იგი. რადგან იგი ვერაფერს ხედავდა და ტივილებიდან გაგიჟებულიყო, ამიტომ ვეღარ სარგებლობდა საფარით, ასე რომ იგი გადადმოდან იქნა მოკლული, მანამ ვინემ მას წამოსაყვანად მიუახლოვდებოდა.

კანტორეკი, ცხადია, არაფერ უთაშია — სად იქნებოდა მაშინ ქვეყანა, თუ ამას ბრალდება დაერქმეოდა. არსებობდა მრავალი ათასი კანტორეკი, რომელნიც დარწმუნებული იყვნენ, რომ მათთვის მოხერხებულად საუკეთესო საქმეს ჩადიოდნენ.

ჩვენთვის სწორედ ამაშია მათი გაკოტრება.

ჩვენთვის, ცხრამეტწლიანებისთვის უნდა ყოფილიყვნენ ისინი უთამაველებად და ხელმძღვანელებად ჩვენი დაჰასაკებისაკენ, ქვეყნისაკენ, შრომისაკენ, მოვალეობისაკენ, კულტურისაკენ და წინსვლისაკენ, მომავალისაკენ. ჩვენ ხანდახან დავცინოდით მას და ვეცულებოდით კიდევ, მაგრამ არსებითად გვეჯეროდა მისი. ავტორიტეტის შემეცნებასთან, რომლის მატარებელი ისინი იყვნენ, ჩვენს გონებაში დაკავშირებული იყო მეტი დაკვირვება და უფრო ადამიანური ცოდნა. მაგრამ პირველმა მკვდარმა, რომელიც ჩვენ ვიხილეთ, ეს რწმენა გაგვინაცარმტვერა. ჩვენ უნდა შეგვეგნო, რომ ჩვენი ჰასაკი უფრო პატიოსანი იყო ვინემ მათი; მათ ჰქონდათ ჩვენზე უფრო მეტი მხოლოდ სიტყვები და მოხერხებულება. პირველმა ზარბაზნათა ცეცხლის გრიალმა გვიჩვენა ჩვენი შეცდომა, და მასში ჩაიღუპა ჩვენი მსოფლმხედველობა, რომელსაც ჩვენ გვასწავლიდნენ.

სანამ ისინი სწერდნენ და ლაპარაკობდნენ, ჩვენ ვნახეთ უკვე ლაზარეთები და მომაკვდავები — სანამ ისინი სახელმწიფოსადმი სამსახურს უუდიდეს რამედ აცხადებდნენ, ვიცოდით ჩვენ უკვე, რომ სიკვდილის შიში უფრო ძლიერია. ჩვენ არ გადავქცეულვართ ამის გამო მუამბოხებად, დეზერტირებად, ლაჩრებად — ყველა ეს გამოთქმა მათთვის იოლი იყო —, ჩვენ გვიყვარდა ჩვენი სამშობლო სწორედ ისე როგორც მათ, და ყოველ თავდასხმის დროს ჩვენ მამაცად მივდიოდით წინ — მაგრამ ჩვენ ეხლა ვერკვევით, ჩვენ ერთბაშად ვისწავლეთ დანახვა. და ჩვენ დავინახეთ, რომ მათი ქვეყანისაგან აღარაფერი დარჩა. ანაზღუდულად ჩვენ საშინლად მარტონი შევიქენით — და ჩვენ განმარტებულად ბოლო უნდა მოგვეღო მისთვის.



★

სანამ კემერითან წავიდოდით, შევკარით მისი ნივთები; მას გზაში დავედებინა ისინი.

საველე ლაზარეთში დიდი საქმიანობაა; აქ სუნი სდის როგორც მუდამ, კარბოლის, ეთერის და ოფლის. ბარაკებში ბევრ რალაცას შევეჩვიეთ, მაგრამ აქ შეიძლება გული წაგივიდეს. ჩვენ კითხვა-კითხვით მივედით კემერითან; იგი წევს ერთ ზალაში და გვღებულობს ჩვენ სიხარულის სუსტი გამოსახვითა და უღონო აღლევებით. სანამ იგი უგონოდ ყოფილა, მისთვის საათი მოუპარავთ.

მუელერი თავს აქნევს: «მე ყოველთვის გეუბნებოდი, რომ ისეთი კარგი საათის თანწაღება არ შეიძლება-თქო.»

მუელერი არის ცოტა უხეში და სიმათლის მოყვარული. თორემ პირს დამუწავდა, ვინაიდან ყველა ხედავს, რომ კემერიზი ამ ზალიდან ცოცხალი ვეღარ გამოიპოვის იგი თავის საათს თუ არა, საესებით სულერთია, ბევრი—ბევრი შეიძლება შინ გადუგზავნოს კაცმა.

«როგორა ხარ, ფრანც?» ეკითხება კროპი.

კემერიზმა თავი ჩაჰქინდრა. «არა მიშავს — მხოლოდ ფეხში წყვეული ტკივილები მაქვს»

ჩვენ ვათვალისწინებთ მის საწოლს. მისი ფეხი მავთულის კალათის ქვეშ არის, ბალიში სქელად, თალად აქვს დადებული. მუელერს მე ფეხი ფეხზე დავაჭირე, ვინაიდან იგი მზად იყო კემერიზისათვის ეთქვა, რაც ჩვენ სანიტრებმა უკვე გარედ გვიტოვრეს: კემერიზის ცალი ფეხი აღარ აქვსო. ფეხი მოსჭრეს.

იგი გამოიყურება საშინლად, ყვითელი და ფითრი, სახეზე აქვს უცხო ხაზები, რომელთაც ჩვენ ასე კარგად ვიცნობთ, რადგან ისინი ათასჯერ გვინახავს. ეს არიან სწორედ, არა ხაზები, არამედ უფრო ნიშნები. კანის ქვეშ აღარა სცემს სიცოცხლე; იგი უკვე სხეულის კიდეზე გამოგდებული, შიგნიდან იმარჯვებს სიკვდილი, თვალებს უკვე დაჰპატრონებია იგი. აქ წევს ჩვენი ამხანაგი კემერიზი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინად ჩვენთან ერთად ცხენის ხორცს წვავდა და ყუმბარასაგან ამონათხარ ორმოში ჩვენსავით ჩაკუნტულიყო — იგი ჯერ კიდევ იგივე არის, და ჯერ კიდევ აღარ არის, გაცვეთილი, გაურკვეველი გადაქცეულა მისი სურათი როგორც ფოტოგრაფული ფირფიტა, რომელზეც ორჯერ გადაუღიათ. თვით მისი ხმა მოისმის ვით ნაცარი.

ვფიქრობ იმაზე, თუ ჩვენ მაშინ ომში როგორ წავედით. დედა-მისმა, კეთილმა, სქელმა ქალმა მოიყვანა იგი სადგურზე. დედა განუწყვეტლად სტიროდა, ამიტომ მისი სახე დაბრუნებული და გაბერილი იყო. კემერიზის რცხვენოდა, რადგან დედა-მისი არავის ყურადღებას არ აქცევდა და პირდაპირ ქონში და წყალში დნებოდა. ამასთან მუდმივ მე მომჩივებოდა, მუდმივ ხელს ავლებდა ჩემს ხელს და მეხვეწებოდა, გარედ ფრანცისათვის ყურადღება მიმიქცია. მაინც, ფრანცსაც ისეთი სახე ჰქონდა როგორც ბავუს და ისეთი ღბილი ძვლები, რომ ჩანთის ოთხი კვირის ტარების შემდეგ ფეხები გაუბტყელდა. მაგრამ როგორ შეგიძლია ბრძოლის ველზე ვინმეს ყურადღება მიაქციო.

«აბა ესლა შენ სახლში გაგისტუმრებენ», ამბობს კროპი, «შევებულებაში სამი-ოთხი თვე უნდა მოიცადო ალბად.»

კემერიზი თავს უქნევს. მე არ შემიძლია მისი ხელები კარგად გავარჩიო, ისინი არიან ვით სანთლები. ფხჩილებს ქვეშ სანგრების ტალახია, იგი მოსჩანს ვით საწამლავეი. მე მასხენდება, რომ ეს ფხჩილები აწი კიდევ გაიზრდებიან, გახდებიან გძელი ვით სარ-



დაფის მოჩვენებითი მცენარენი, როცა კემერიის მეტად ველარ ისუნტეპის სფეროში
მიდგას სურათი: ფჩხილები იგრიხეზიან ბურღივით და იზრდებიან, და იზრდებიან, და
მათთან ერთად თმა გახრწნილ თავისქალაზე როგორც ბალახი ნოყიერ ნიადაგზე, სწო-
რედ როგორც ბალახი, როგორაა ეს მხოლოდ შესაძლებელი — ?

მუელერი ილუნება მისკენ. «ჩვენ მოგიტანეთ შენი ნივთები, ფრანც.»

კემერიის თითით ანიშნებს. «დადე საწოლს ქვეშ.»

მუელერი სდებს. კემერიის ისევ საათს იგონებს. როგორ დაამშვიდო იგი, რომ
მასში რაიმე ეჭვი არ გამოიწვიო!

მუელერი ჩნდება ისევ, ხელში მფრინავთა ერთი წყვილი ჩექმებით, შესანიშნა-
ვი ინგლისური ფესხაცმელი, ლბილი ყვითელი ტყავისაგან, რომელიც მუხლებამდე ავ-
წვდება და სულ თავამდე შეიკვრება, — მეტად სანატრელი საგანი. მუელერი მისი შე-
ხედვით აღფრთოვანებულია, იგი ადარებს მას თავის საკუთარ უხეშ ჩექმებს და ჰკით-
ხულობს: «გინდა ჩექმები თან წაიღო, ფრანც?»

ჩვენ სამივე ერთსა და იმავეს ვფიქრობთ; თუნდ იგი გამოჯანმთელდეს, მას
შეეძლება მხოლოდ ცალი ჩექმა იხმაროს, მაშასადამე ჩექმები მისთვის ზედმეტი იქნე-
ბიან; მაგრამ ესლა, ამ პირობებში, საშინელებაა, რომ ისინი აქ დავეტოვოთ; — ვინაი-
დან აშკარაა, სანიტარები მათ წაიღებენ მაშინვე როგორც კი იგი მოჰკვდება.

მუელერი იმეორებს: «არ გინდა აქ დაგვიტოვო?»

კემერიის ეს არ უნდა. ესაა მისი საუკეთესო ნივთი.

«ჩვენ მასში გაგიცვლით რამეს», კვლავ წინადადებას აძლევს მუელერი, «აქ
შეიძლება მოვიხმაროთ ისინი.» მაგრამ კემერიის აზრს ვერ აცვლევინებს.

მუელერს მე ფეხს ვაპირებ; იგი ყოყმანით, უკანვე საწოლის ქვემოლ სდებს ამ
მშვენიერ ფესხაცმელებს.

ჩვენ ვმუშაობთ კიდევ ცოტას და მერმე ვემშვიდობებით.

«კარგად იყავ, ფრანც.»

მას მე დილით შესვლას დავპირდი. მუელერი ამაზე ლაპარაკობს; იგი ჰფიქ-
რობს იმ შესაკრავ ჩექმებზე და ამიტომ სურს იროზე აქ იყოს.

კემერიის კენესის. მას სიცხე აქვს. გარედ ჩვენ ვაჩერებთ ერთ სანიტარს და ვე-
უბნებით, კემერიის შეუშხაპუნოს.

იგი უარს ამბობს. «ჩვენ რომ თვითეულისათვის მორფის მიცემა გვინდოდეს,
მაშინ მთელი კასრები სავსე უნდა გვექონდეს — »

«შენ მხოლოდ ოფიცრებს უწევს სამსახურს», ეუბნება კროპი გესლიანად.

სწრაფად ვიკრები შუაში და პირველადვე ვაძლევ სანიტარს ერთ პაპიროსს.
იგი იღებს მას. მერმე ვეკითხები: «შეგიძლია საერთოდ შეუშხაპუნება?»

იგი შეურაცყოფილია. «თუ არ გჯერათ, რაღას მეკითხებით — »

ვაჩეჩებ მას ხელში კიდევ რამოდენიმე პაპიროსს. «გეთაყვა, გვიქენით ეს სიკე-
თე — »

«ჰა, კარგი,» ამბობს იგი. კროპი მიჰყვება მას შიგნით, იგი არ ენდობა მას და
სურს უყუროს. ჩვენ კი გარედ ვიცდით.

მუელერი ისევ ჩექმების შესახებ იწყებს ლაპარაკს. «შესანიშნავად მომერგებო-
დენ ისინი. ამ ჩემს ნავეებში ფეხები მისკდებიან. გჯერა, რომ კემერიის დილის სამსა-
ხურამდე გასტანს? თუ ღამე გარდაიცვალა, ხომ დავკარგეთ ჩექმები — »

ალბერტი ბრუნდება. «ფიქრობთ — — ? ჰკითხულობს იგი.

«გაკეთდა,» ათავებს მუელერი.

ვბრუნდებით ჩვენს ბარაკებში. ვფიქრობ იმ წერილზე, რომელიც სვალ დო-
ლით კემერიხის დედას უნდა მივწერო. მცივა, მინდა ცოტა სასმელი გადავკრა. მუე-
ლერი ჰგლეჯს ბალახსა და ლეჭავს. უცბად პატარა კრობი ისვრის თავის პაპიროსს,
სჯეგავს მას ფეხებით, დასჩერებია მას მოშლილი და დაღრეჯილი სახით, და ბუღლუ-
ნებს: «დაწყველილი ნეხვი, ოჰ ეს კრული ნეხვი.»

ჩვენ განვაგრძობთ სიარულს, ერთ ხანს. კრობი წყნარდება. ჩვენ ვიცნობთ ამ
გახელებას, იგია ფრანტის სიგიჟე, ყველას გამოუცდია ეს.

მუელერი ეკითხება მას: «მაინც რა მოგწერა კანტორეკმა?»

იგი იცინის: «თითქო ჩვენ ვიყოთ რკინის ჭაბუკები!»

ჩვენ სამივე მწარედ ვიცინით. კრობი ილანძლება; იგი მხიარულებს, რომ მას
ლაპარაკი შეუძლია. —

დიად, ასე ფიქრობენ ისინი, ასე ფიქრობენ ისინი, მრავალი ასი ათასი კანტო-
რეკი! რკინის ჭაბუკები, ახალგაზდანი! ჩვენ არც ერთი ოც წელს არ გადავცილები-
ვართ. მაგრამ ჭაბუკები? ახალგაზდობა? ეს დიდი ხანია გასრულდა. ჩვენ მოხუცნი ვართ.

II

ჩემთვის უცნაურია იმაზე ვიფიქრო, რომ შინ, ერთ-ერთ საწერ მაგიდის უჯრა-
ში ძეგს დაწყებული დრამა «საული» და მთელი კონა ლექსებისა. ბევრი სადამო გამი-
ტარებია ამაზე, ჩვენ ხომ თითქმის ყველას გვიქნია ამგვარი რამ; მაგრამ ის ჩემთვის
ისე არანამდვილი გახდა, რომ აღარც კი შემიძლია სწორედ წარმოვიფიქრო.

მას შემდეგ რაც ჩვენ აქა ვართ, გადაიჭრა ჩვენი ცხოვრება ისე, რომ ჩვენ ამა-
ში მონაწილეობა არ მიგვიღია. ჩვენ ვცდილობთ ხანდახან ყველაფერს თვალი გადავა-
ვლოთ და განვმარტოთ, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვაღწევთ. სწორედ ჩვენთვის, ოცწლიანე-
ბისათვის ყველაფერი განსაკუთრებით ბუნდოვანია, კრობისთვის, მუელერისათვის,
ლერისათვის, ჩემთვის, ჩვენთვის, ვისაც კანტორეკი რკინის ახალგაზდობას უწოდებს.

ხანდაზმულები, ყველანი მჭიდროდ დაკავშირებული არიან წარსულთან, მათ
აქვთ ნიადაგი, მათ ჰყავთ ცოლები, ბავშვები, აქვთ ხელობა და ინტერესები, რომელნიც
ისე ძლიერი არიან, რომ ომს აღარ ძალუძს მათი დაგლეჯა. ჩვენ ოცწლიანებს გვყავს
მხოლოდ ჩვენი მშობლები და ზოგიერთებს კიდევ — გოგონები. ეს ბევრი არაა — ვინა-
იდან ჩვენი ჰასაკისათვის მშობელთა ძალა უუსუსტესია, და გოგონები კი დანარჩენ ყვე-
ლაფერზე ჯერ გაბატონებული არ არიან. ჩვენთვის ამას გარდა სხვა რამ არ არსებობს;
ცოტა ოცნება, ცოტა სიყვარულობა და სკოლა; ამას იქით ჩვენი ცხოვრება არ წასუ-
ლა, და კიდევ, აღარაფერი დაგვრჩა.

კანტორეკი იტყოდა ალბად, რომ ჩვენ სწორედ ყოფნის კიდევ ვიდექით. ამ-
ნაირადაა ეს. ჩვენ ჯერ ფესვები არ გვქონდა გადგმული. ჩვენ მოგვიტაცა ომმა. სხვე-
ბისათვის, უფროსებისათვის, ომი არის ცხოვრების დროებითი შეწყვეტა, მათ კიდევ
შეუძლიათ მომავალზე იფიქრონ. ჩვენ კი იგი დაგვეუფლა და აღარ ვიცით, თუ როგორ
უნდა დასრულდეს ეს. რაც ჩვენ ვიცით, ჯერჯერობით ისაა, რომ ჩვენ განსაკუთრებუ-
ლად და მწარედ მოტყუებული ვართ, თუმცა ჩვენ ამის გამო, არც ერთჯერ დადარდი-
ანებული არა ვყოფილვართ.

★

თუ მუელერს კემერიხის ჩექმები ასე ძლიერ უნდა, ამიტომ იგი ნაკლებად არ
სწუხს კემერიხზე ვინემ სხვა, ვინც ტკივილით ფიქრობს მის შესახებ, მუელერმა ოცის

საქმის გარჩევა. თუ კემერიხს ჩექმები რაიმეში დაეხმარებიან, მუელერი უფრო ადრე ფეხშიშველი ირბენს რკინის ეკლებზე, სანამ მათ მიღებაზე იფიქრებდეს. მაგრამ კემერიხი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას ჩექმები სულაც არ გამოადგებიან, მაშინ როცა მუელერს კარგად შეუძლია ისინი გამოიყენოს. კემერიხი მოკვდება, სულერთია ვინ მიიღებს მათ. რატომ არ უნდა იყოს მუელერი ახლოს, მას ხომ მეტი უფლება აქვს მათზე ვინემ სანიტარს! და როცა კემერიხი უკვე კვდარია, მაშინ გვიან-ლა არის. ამიტომ მუელერი ესლავე თვალყურს ადევნებს მას.

ჩვენ დავკარგეთ აზრი სხვა დანარჩენ მოვლენებისადმი, რადგან ისინი ხელოვნური არიან. მხოლოდ სინამდვილენი არიან მართალი და მნიშვნელოვანი ჩვენთვის. და კარგი ჩექმები კი იშვიათი არიან.


★

წინად ეს სულ სხვაგვარად იყო. როდესაც ჩვენ ოქის კომანდოში წავედით, ჩვენ ვიყავით ერთი კლასი ოცი ჯაბუკისაგან შემდგარი, რომელთა შორის ზოგმა პირველად, ამაყად და ერთად გააკრუჩინეს თავი, მანამ ყაზარმებში ფეხს შეადგამდენ. ჩვენ არ გავაჩნდა რაიმე მტკიცე გეგმა მომავლისათვის, არა გვქონდა ფიქრები კარიერაზე და ხელობაზე. თვით პრაქტიკულად განწყობილ უმცირესობისთვისაც ყველაფერი ეს ისე ბუნდოვანი იყო, რომ ყოფნის ფორმა არ შეიძლებოდა გამხდარიყო; — მაგრამ სამაგიეროდ თავი გაქუქილი გვქონდა საეჭვო აზრებით, რომელნიც ჩვენს თვალში როგორც ცხოვრებას ისე ომსაც ამშვენებდნენ და თითქმის რომატიულ ხასიათს ანიჭებდნენ.

ათი კვირის განმავლობაში ჩვენ გვწოთნიდნენ და ამ ხანში უფრო გადაჭრით გამოვიცვალეთ ვინემ სკოლაში ათი წლის ყოფნის დროს. ჩვენ ვისწავლეთ, რომ გაკრიალებული ფოლაქი უფრო მნიშვნელოვანია ვინემ შოპენჰაუერის ოთხი წიგნი. პირველად განცვიფრებულმა, შემდეგ გამწარებულმა და ბოლოს გაგულგრილებულმა შევიგენით ჩვენ, რომ არა სული უნდა იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობისა, არამედ ჩექმების საწმენდი, არა აზრი, არამედ სისტემა, არა თავისუფლება, არამედ წრთვნა. აღფთოვანებული და კეთილი ნებით გავხდით ჩვენ ჯარისკაცებად; მაგრამ ყოველ ზომას ღებულობდნენ, რომ ეს ჩვენში აღმოეფხვრათ. სამი კვირის შემდეგ ჩვენთვის უკვე გაუგებარი აღარ იყო, რომ სამხედრო ხაზებიან ფოსტალიონს უფრო მეტი ძალაუფლება ჰქონდა ჩვენზე ვინემ წინად ჩვენ მშობლებს, ჩვენს ამზდელებს და მთელ კულტურულ წრეს პლატოდან გოეთემდე. ჩვენი ახალგაზდა, ფხიზელი თვალით ვხედავდით, რომ ჩვენი მასწავლებელთა კლასიკური შემეცნება სამშობლოს შესახებ, აქ ჯერჯერობით გადაიქცა პირფარეშზეც კი. მისალმება, გაჭიმვა, ალუმიის მარში, გუშაგად დგომა, მარჯნივ ირგვლივ, მარცხნივ ირგვლივ, დეზების მირაწკუნება, ლანძღვა, გინება და ათასი შეწუხება: ჩვენ წარმოგვედგინა ჩვენი ამოცანა სხვაგვარად და ვნახეთ, რომ გმირობისათვის ჩვენ ცირკის ცხენებით გვაშაბადებდნენ. მაგრამ ჩვენ მალე მივეჩვიეთ ამას. ჩვენ იმხანაც მივხდით, რომ აქ ზოგი რამ საჭიროც იყო, მაგრამ ზოგი კი სრულიად ზედმეტი. ჯარისკაცს ამისათვის ნაზი ცხვირი აქვს.

★

სამ-სამი და ოთხ-ოთხი ჩვენი კლასიდან გაგვანაწილეს სხვა და სხვა ჯგუფში, ფრიხიელ მეთევზეებთან. გლეხებთან, მუშებთან და ხელოსნებთან ერთად, რომლებთანაც მალე დავმეგობრდით. კროპი, მუელერი, კემერიხი და მე მოვხვდით მეცხრე



ჯგუფში, რომელსაც უნტეროფიცერი ჰიმელშტასი მეთაურობდა.

იგი ცნობილი იყო როგორც უმკაცრესი ტყამისმძრობი ყაზარმაში, და ეს იყო მისი სიამაყე. პატარა, ჩაბსკენილი ბიჭი, რომელიც თორმეტი წელიწადი მსახურებდა, მელიასებური. აწკეპილი უღვაშებით, სამოქალაქო სამსახურში ფოსტალიონად ნამყოფი. კროპს, ტიადენს, ვესტჰუსს და მე განსაკუთრებით მოგვკვიდა ხელი, რადგან იგი გრძნობდა ჩვენს ფარულ ჯიუტობას.

ერთ დღიას მისი საწოლი თოთხმეტჯერ ავაგე. ყოველთვის რაიმე არ მოეწონებოდა და დანაგრევდა ხოლმე. ოცი საათის მუშაობით — რასაკვირველია დასვენებით — ქვასავით მაგარი ჩექმები კარაქსავით ისე დავალბე, რომ თვით ჰიმელშტასმა ვერაფერი საჭოჭმანო ნახა; — მისი ბძანებისამებრ, კბილის საწმენდით კორპორალის ბინა სუფთად გავრეცხე; — კროპმა და მე დავალბე მივიღეთ ტანისამოსის საწმენდით და რკინის ხელნიჩბით ყაზარმის ეზო თოვლისაგან გაგვეწმინდა და გაყინვებამდე დავრჩებოდით იქ, რომ შემთხვევით ლეიტენანტი არ გამოჩენილიყო, რომელმაც ჩვენ უკანვე დაგვაბრუნა და ჰიმელშტასი კი სასტიკად დატუქსა. ამის შედეგი სამწუხაროდ მხოლოდ ის იყო, რომ ჰიმელშტასი ჩვენზე უფრო გაგულისებული დარჩა. ოთხი კვირის განმავლობაში, ყოველ კვირას დარაჯად უნდა გავსულიყავ და ამ ხნის განმავლობაში ბინაზე უნდა მემუშავა; — სრული ჩანთით იარაღიანად, სოველ, მერყევე სახტომზე «გადახტი, მარშ, მარშ» და «წაწეკი» უნდა მევარჯიშა, მანამ არ გავბინძურდი და ქანცი არ გამიწყდა; — ოთხი საათის შემდეგ ვაჩვენე ჰიმელშტასს ბწყინვალედ გაწმენდილი იარაღი, ყოველ შემთხვევაში, ხელებზე სისხლამდე ტყავი გადამძვრა; — კროპ, ვესტჰუს და ტიადენთან ერთად უხელთათმანოდ, საშინელ ყინვის დროს, საათის ერთი მეოთხედი «წყნარად დგომა» ვივარჯიშე; თვით ჰიმელშტასმა ჭიდროდ მოუჭირა ჩვენი შიშველი თითები თოვლის ლულაზე, და თვითონ კი ჩვენს მცირე განძრევას უცდიდა, რათა დანაშაული აღენიშნა; — ღამით ორ საათზე, პერანგის-ამარა, ყაზარმის ზემო სართულიდან ეზომდე რვაჯერ ჩამარბინ-ამარბინა იმის გამო, რომ ჩემი ნიფხავი რამოდენიმე სანტიმეტრით აცილებული იყო სკამის კიდეს, სადაც თვითეულს თავისი ნივთები უნდა დაეწყა. ჩემს გვერდით მორბოდა უნტეროფიცერი სამსახურში, ჰიმელშტასი, და ფეხს მამიჯებდა თითებზე; — ხიშტაობის დროს, მე უნდა მევარჯიშა ჰიმელშტასთან; მე ხელში მეჭირა რკინის იარაღი. მას კი ჯოჯის ხიშტი, ასე რომ, მას უდარდელად შეეძლო ჩემი ხელები დაეშავებია და დაეღურჯებია; ყოველ შემთხვევაში, ერთხელ ამ დროს ისეთი გავგულისდი, რომ მოხერხებულად გადავწვდი მას და ისე მაგრად ვკარი მუცელში, რომ იგი ძირს დაცა; როდესაც მან ჩივილი სცადა, რაზმის უფროსმა დასცინა მას და უთხრა, მეტი ყურადღებით უნდა მოქცეულიყავი; იგი იცნობდა თავის ჰიმელშტასს და ალბად ესიამოვნა ეს ამბავი. — მე შევიქენი შეუღარებელი ამძრომი; — მე ვეძებდი ჩემისთანას, ვისაც ჩემსავით დაჩოქება შეეძლო; — ჩვენ ვცახცახებდით, როდესაც მხოლოდ მის ხმას გავიგონებდით ხოლმე, მაგრამ ამ ველურად ქცეულმა ფოსტის ცხენმა მაინც ვერ დავიჯაბნა.

ერთ კვირა-დღეს, როდესაც კროპი და მე ბარაკების ბანაკში ჯოჯზე ჩამოვიდებულ ფეხისადგილის ყუთს ეზოზე მივათრევდით, ჰიმელშტასი, ბწყინვალედ გამოპრანჭული, სასიეროდ გამზადებული, სწორედ ჩვენ შეგვეყარა, წარმოდგა ჩვენ წინა და შეგვეკითხა, თუ როგორ მოგვწონს ეს მუშაობა, ჩვენ კი მოვიგონეთ, თითქო წავიბორჩიკეთ და ყუთიდან მას ფეხებზე გადავასხით. იგი გადაიჩრია, მაგრამ ჩვენი მოთმინების ფილაც ავსებული იყო.

«ციხეში გიკრავთ თავს», დაიყვირა მან.

კროსს მოთმინება დაეკარგა. «მაგრამ ჯერ გამოძიება, და მაშინ ჩვენც მივ-
ცემთ ჩვენებას!» სთქვა მან.

«როგორ ელაპარაკებით თქვენ, უნტეროფიცერს!» დაიღრიალა პიმელშტოსმა.
«გაგიჟდით? მოიცადეთ, მანამ გკითხავდნენ! რა გინდათ თქვენ ჰქნათ?»

«ბატონ უნტეროფიცერის შესახებ მივცე ჩვენება,» სთქვა კროსმა და გაიქიმა.

პიმელშტოსი ეხლა მიხვდა რაც მოხდა, და უსიტყვოდ გაგვშორდა. სანამ იგი
თვალისა და გვერდებზე, კიდევ მაინც დაიწყო ყინული: «მე ამას თქვენ გადაგიხ-
დით,» მაგრამ მისი ძალა უკვე მომსპარი იყო. იგი შეეცადა ამას ერთხელ კიდევ, გა-
დასახტომებზე «წაწევი და — გადახტი, მარშ, მარში»-ით. ჩვენ ვასრულებდით თუმცა
ყოველ ბძანებას; ვინაიდან ბძანება ბძანებაა, იგი შესრულებულ უნდა იქნეს. მაგრამ
ჩვენ ვასრულებდით მას ისე ნელიად, რომ პიმელშტოსმა სასოება დაჰკარგა. ჩვენს ნე-
ბაზე ვიჩოქებდით, მერმე ხელებს დაგაბჯენდით და ასე; ამ დროს მან, გაჯავრებულმა,
სხვა ბძანება მოგვცა. მანამ ჩვენ ოფლი მოგვივიდოდა, იგი უკვე იწვოდა.

მერმე თავი მიგვანება. თუმცა ყოველთვის კიდევ ღორებ-ძაღვებს გვეძახდა.
მაგრამ ამაში პატივისცემა იყო.

სხვა ბევრი პატიოსანი კორპორალებიც იყვნენ, უფრო გონიერნიც; პატიოს-
ნები რიცხვით უფრო მეტი იყვნენ. მაგრამ პირველად ყოვლისა, ყველას სურდა ეს კარგი
ალაგი აქ, ფრონტის გარედ, სამშობლოში რაც შეიძლება დიდ ხანს შეენარჩუნებია, და
ეს შეეძლო მათ, თუ ისინი ახლადგაწვეულებისადმი სასტიკი იქნებოდნენ.

თვითუკვლევს ჩვენთაგანს ხშირად ერგებოდა ხოლმე ყაზარმების ეზოს ყველა შე-
საძლებელ ნაწილის გასუფთავება. და ხშირად გაჯავრებისაგან გვიღრიალნია ხოლმე.
ამით ზოგიერთი ავადაც გამხდარა, ვოლფი ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა.
მაგრამ ჩვენ სამასხარად გავხდებოდით, თუ ვინმეს რამეს დაეუთმობდით. ჩვენ შევი-
ქენით მაგარი, უნდობი, უგრძობი, შურისმაძიებელი, უხეში — და ეს იყო კარგი; ვი-
ნაიდან სწორედ ეს პირობანი გვაკლდენ ჩვენ. რომ ასეთი განვითარებისათვის დრო არ
გვექონოდა და პირდაპირ სანგრებში გავეგზავნეთ, მაშინ ალბად, უმრავლესობა ჩვენგა-
ნი ჭკუაზე შეიშლებოდა. მაგრამ ეხლა მომზადებული ვიყავით იმისათვის, რაც ჩვენ
მოგველოდა.

ჩვენ არ დავიმსხვერით, ჩვენ შევეგუეთ; ჩვენი ოცი წელი, ჩვენ რომ ზოგიერთ
რამეში სიძნელეს გვიქმნიდა, ამაში მოგვეშველა. უუმნიშვნელოვანესი კი იყო, რომ
ჩვენში გაიღვიძა მტკიცე, პრაქტიკულმა ურთიერთშორისო გრძობამ, რომელიც
არძოლის ველზე გადაიქცა იმ საუკეთესოდ, რაც ომმა წარმოშვა: ამხანაგობად!

★

კემერიხის საწოლზე ვზივარ. იგი იხრწნება უფრო მეტად და მეტად. ჩვენს გა-
რშემო დიდი აურხაურია. ლაზარეთის მატარებელი მოვიდა, და ეძებენ, რომელი დაჰ-
რილის გადაყვანა შეიძლება; კემერიხის საწოლს ჩაუარა ექიმმა, არც კი შეხედა მას.

«შემდეგ-ჯერ, ფრანც,» ვუთხრები მე.

იგი ბალიშზე იდაყვებით ეყრდნობა. — ფეხი მომჭრეს.

მაშ, მას გაუგია ეს უკვე! თავი დაუვქნიე და ვუპასუხე: — გიხაროდეს, რომ ასე
გადარჩი.—

იგი დადუმებულა.

მე ვაგრძელებ — საუბარს: შესაძლებელი იყო, ორივე ფეხი ყოფილიყო, ფრანც.

ვეგელერმა დაჰკარგა მარჯვენა ხელი. ეს უფრო უარესია. შენ ხო მაინც შინ დაბრუნდები. —

მან ამხედა. — გგონია? —

— რასაკვირველია. —

იგი იმეორებს. — გგონია? —

— უსათუდ, ფრანც, შენ მხოლოდ ოპერაციის შემდეგ ჯერ უნდა დაისვენო. —

იგი მანიშნებს მისკენ გადავიღუნო. მე გადავიწიე მისკენ და მან ჩამჩურჩულა:

— ეს არა მჯერა. —

— სისულელეს ნუ ამბობ, ფრანც, ორ-სამ დღეში, შენ თვითონ დაინახავ ამას. რა დიდი რამეა: მოჭრილი ფეხი. აქ უფრო სხვა უარესიც არის. —

იგი ხელსა სწევს მალა. — შეხედე ამას, ამ თითებს. —

— ეს ოპერაციის მიზნითაა. კარგად სჯამე, შემდეგ გამომჯობინდები. კარგად გკვებავენ? —

იგი მითითებს თეფშზე, რომელიც ნახევრად სავსეა. მე ვლელდები. — ფრანც, შენ უნდა სჯამო. კვება მთავარი. აქ სავსებით კარგად იძლევიან. —

იგი უარობს. ცოტა ხნის შემდეგ ამბობს ნელიად: — ოდესღაც მსურდა ტყის უფროსი გამხდარიყავ. —

— ეს ყოველთვის შეგეძლება, — ვაიმედებ მას. — ეხლა აკეთებენ შესანიშნავ ხელღვნურ ფეხებს, ვერც კი შეამჩნევ თუ, რაიმე გაკლია. მათ სახსრებზე ამაგრებენ. ხელის პრათეზები ვისაც აქვს, შეუძლია თითებიც გაანძრის და იმუშაოს. და ამას გარდა, ბევრ ახალ რამესაც იგონებენ კიდევ. —

ერთ ხანს წყნარად წევს იგი. მერმე მეუბნება: — შენ შეგიძლია ჩემი ჩექმები მუელერს წაუღო. —

თავს ვუქნევ და ვფიქრობ, რა გასამხნევებელი სიტყვა ვუთხრა. მისი ბაგენი წაშლილი არიან, მისი პირი უფრო დიდი გამხდარა, კბილები წინ წამოწეულან, ისინი თითქო ცარცის არიან. ხორცი დნება, შუბლი უფრო თაღად გადმოდის, სახის ძვლები გადმოშვერილან. ჩონჩხი იმარჯვებს შიგნიდან. თვალები უკვე იძირებიან. რამოდენიმე საათში ყველაფერი ეს დასრულდება.

იგი არ არის პირველი, რომელსაც ასე ვხედავ; მაგრამ ჩვენ ვიზნებოდი ერთად, ეს ხომ მაინც სხვა რამეა. მე მისგან გაკვეთილები გადამიწერია. სკოლაში იგი ატარებდა უმთავრესად მიხაკისფერ ტანსაცმელს, წკიპად დაუთოებულს და სარტყელით. ჩვენ შორის იგი ერთადერთი იყო, ვისაც შეეძლო გიგანტურ ნაბიჯთა საქანელაზე კარგად ქანაობა. თმა სცემდა მას სახეზე ვით აბრეშუმი, როდესაც იგი მალა მიჰქროდა. ამიტომ კანტარგვი მის გამო ამაცობდა. მაგრამ თუთუნს იგი ვერ იტანდა. მისი კანი იყო მეტად თეთრი, მას რაღაც ქალური ჰქონდა.

თვალს ვავლებ ჩემ ფეხსაცმელებს. ისინი არიან დიდი და უხეში, შარვალი შიგ არის ჩატანებული. რაცა ავდგები, მოვსჩანვარ სქელი და მაგარი ამ ფართო მილებიდან. მაგრამ როდესაც ჩვენ საბანაოდ მივდივართ და ტანთ ვიხდით, უცბად ისევ გვაქვს ვიწრო ფეხები და ვიწრო ბეჭები. მაშინ ჩვენ ჯარისკაცები აღარა ვართ, არამედ თითქმის ბავშვები, არც კი დაიჯერებენ, რომ ჩვენ სამხედრო ჩანთების ტარება შეგვიძლია. ეს არის საკვირველი წუთი, რაცა ჩვენ ტიტვლები ვართ. მაშინ ვართ ჩვენ მოქალაქენი და ვგრძნობთ თავს დაახლოვებით ასევე.

ფრანც კემერიის გამოსჩანდა ბანაობის დროს პატარა და ვიწრო როგორც ბა-



ვში. და ეხლა წევს იგი აქ, რატომ ნეტა? მთელი ქვეყანა უნდა მოიყვანოს ამ საწოლის წინ და უთხრა: — ეს არის ფრანც კემერიხი, ცხრამეტ-ნახევარი წლისა, მას არ უნდა სიკვდილი. ნუ მოჰკლავთ მას!

ფიქრები ჩემი ერთმანეთში ირევიან. ეს ჰაერი კარბოლის და სპირტის აბინძურებს ფილტვებს, იგი ჰგავს სქელ ფლავს, რომლითაც იხზობი.

ბნელდება. კემერიხის სახე ფითრდება, იგი წამოიწევს ბალიშიდან და არის ისეთი ფითრი, რომ შუქსა ჰვენს. პირი ნელიად მოძრაობს. მე მას ვუახლოვდები. იგი ჩამჩურჩულებს: «თუ ჩემს საათს იპოვით, გამიგზავნეთ შინ.»

ალარ ვეწინააღმდეგები. რა-ღა აზრი აქვს. მას ველარ დააჯერებ. საბრალოდ ვგრძნობ ჩემს თავს რომ არ ძალმიძს ვუშველო. ეს შუბლი ჩაწეული საფეთქლებით. ეს პირი, რომელიც მხოლოდ-ღა კბილებია, ეს წაწვეტილი ცხვირი! და სქელი, მტირალი ქალი სახლში, რომელსაც მე წერილი უნდა მივწერო. ნეტა წერილი გაგზავნილი მქონდეს.

ლანარეთის მსახურნი მიმოდინა ბოთლებითა და კასრებით ხელში. ერთი გვიახლოვდება, მშინჯავ თვალს ავლებს კემერიხს და მიდის. ვხედავ, იგი უცდის, ალბად სპირდება მას საწოლი.

მე უფრო ახლოს ვუდგები ფრანცს და ველაპარაკები, თითქო ამას შეეძლოს მისი გადარჩენა. «ფრანც, შეიძლება გაგაგზავნონ კლოსტერბერგს, დასასვენებელ ბინაზე, ვილათა შორის. მაშინ შეგეძლება ფანჯრიდან უცქირო ველებს, ცისკიდურის ორ უკანასკნელ ხემდე. ეხლა მშვენიერი დროა, როცა წაყოფი მწიფდება, სადამოს, ყანები გამოიყურებიან ვით პერლამუტები, პაპელის ხეივანი კლოსტერის მდინარეზე, სადაც ჩვენ ვთევზაობდით ხოლმე! მაშინ შენ შეგეძლება მოიწყო ისევ აკვარიუმი და გააშენო თევზები, შენ გაისეირნებ ხოლმე და არავის კითხვა ალარ დაგპირდება, და აგრეთვე თუ მოგესურვება, შეგეძლება პიანოზე დაუკრა!»

მე ვილუნები მისი სახის დასანახად, რომელიც სიბნელეში იმყოფება. იგი სუნთქავს კიდეც, ნელიად. მისი სახე სოველია, იგი სტირის. აი სწორედ, რა დიდი სისულელე ჩავიდინე ჩემი რეგვენული სიტყვებით!

— ფრანც, — ვხვდები მე მას მხრებზე და ჩემს სახეს ვსდებ მის სახეზე. — გსურს ეხლა დაიძინო?

იგი არ მიპასუხებს. ცრემლები იფრქვევიან დაწვებზე. მინდა მოვწმინდო, მაგრამ ჩემი ცხვირსახოცი ჭუჭუყიანია.

გადის ერთი საათი. ვზივარ დაქიმული და თვალს ვადევნებ ყოველ მის გამოსახულებას, იქნებ სურს სთქვას რამე. ნეტა შესძლებდეს პირი დააღოს და იყვიროს, მაგრამ იგი სტირის მხოლოდ, გვერდზე თავ-გადადებულად. იგი არ ლაპარაკობს თავის დედაზე და დამძათა შესახებ, იგი არაფერს ამბობს, ყველა დაავიწყდა მას, — იგია ეხლა მარტოდმარტო თავის მცირე ცხრამეტ-წლიან სიცოცხლესთან ერთად და სტირის, ვინაიდან ის სტოვებს მას.

ეს არის ამდრევი და უმძიმესი გამოთხოვება, რომელიც მინახავს, თუმცა ტიადნთან ეს უარესი იყო, იგი ღრიალებდა თავის დედაზე, დათვივით მაგარი ბიჭი, და თვალეზ-გარდმოკაკლული, შიშით აღსავსე, თავის საწოლთან, სატევართი ექიმს ახლო არ იკარებდა მანამ არ დაემხო.

უეცრივ კენესის კემერიხი და იწყებს ხროტინს.

ვბტები ზეზე, მივრბივარ გარედ, და ვკითხულობ:

—სად არის ექიმი, ექიმი სად არის? —

თეთრ ტანსამოსს რომ ვხედავ, ვსტაცებ ხელს და ვაჩერებ. —წამოდით ჩქარა, თორემ კვდება ფრანც კემერიხი. —

იგი ხელიდან მისხლტება და ეკითხება იქვე მდგომ ლაზარეთის მსახურს:

—რა ამბავია? —

მას ეუბნებიან: —საწოლი 26, ფეხმოჭრილი. —

ექიმი სწყრება:—რა უნდა ვიცოდე მის შესახებ, დღეს მე ხუთი ფეხი მოვჭერი, მწვეს მე გვერდზე, ეუბნება ლაზარეთის მსახურს; —მიჰხედე, და გარბის საოპერაციო ზალისაკენ.

ვდივდივებ გაჯავრებისაგან, როდესაც სანიტართან ერთად მივდივარ. იგი შემომხედავს მე და ამბობს:«ოპერაცია ოპერაციას მისდევს, დილის ხუთი საათიდან — გადაირევა კაცი, გეტყვი მე შენ, მარტო დღეს თექვსმეტი მოჰკვდა — შენი კიდევ მეჩვიდმეტეა. ალბად, უსათუოდ ოცამდე ააღწევს — »

ჩვენ ვართ კემერიხის საწოლთან. იგი კვდარია, სახე ჯერ კიდევ სოველი აქვს ცრემლთაგან. თვალები ნახევრად ღია, ისინი არიან ყვითელი ვით ძვალის ძველი ფოლაქები. —

სანიტარი ფერდში მუჯღუგუნს მკრავს. — წაიღებ მის ნივთებს? —

მე თავს ვუქნევ.

ის მიდის:—ჩვენ ესლავე უნდა გვიტანოთ იგი აქედან, გვჭირდება საწოლი. გარედ ბევრი წევს.—

ვიღებ ნივთებს და ვაცლი კემერიხის მის საცნობ ნიშანს. სანიტარი მეკითხება მისი ნამსახურობის წიგნაკის შესახებ.ის აქ არაა. ვამბობ, ალბად იქნება ის საწურ მაგიდაზედ-თქო და მივდივარ. ჩემს უკან, ფრანცს უკვე ახვევენ ტილდში, სდებენ საკაცზე.

კარების წინ ვგრძნობ სიბნელესა და ქარსა ვით თავდახსნას. მე ვსუნთქავ ძლიერად, რამდენადაც შემიძლია, და ვგრძნობ ჰაერს თბილსა და ღბილსა ჩემს სახეზე, როგორც არასოდეს. ფიქრები გოგობზე, ამწვანებულ მდელოზე, თეთრ ღრუბლებზე უეცრივ იჭრებიან ჩემს გონებაში. ჩემი ფეხები წინ მიიწევენ ფეხსაცმელებში, მივდივარ უფრო ჩქარა, მივრბივარ. ჯარისკაცები მხვდებიან გზაში, მათი ლაპარაკი მაღელვებს, თუმცა არ მესმის კი. მიწაზე მომდინარეობენ ძალები, რომელნიც ჩემი ჩექმების ტყავით ჩემში იჭრებიან. ღამე ტკაცანებს ელექტრონივით, ფრონტი გრიალებს ყრუდ ვით დოლთა კონცერტი. ჩემი კუნთები მოძრაობენ ყოჩაღად, მე ვღრინავ და ვგრიალებ. ღამე ცოცხლობს, მე ვცოცხლობ. ვგრძნობ შიმშილს უფრო მეტად ვინემ ამას კუჭი ითხოვს. —

მუელერი სდგას ბარაკების წინ და მიცდის. მე ვაძლევ მას ჩექმებს. შევდივართ შიგნით. და იგი იცვამს მათ. მთერგენ ზემოწამილად. —

იგი იჩხრიკება თავის ჩანთაში და მოთვაზობს ცერველატის ძეხვის მშვენიერ ნაჭერს. ამას გარდა, მაძლევს ცხელ ჩაის რუმით.

III

მოიყვანეს სათადარიგო რაზმი. ჭურჭუტანები ამოტენილ და ჩალის საწოლები სწრაფად დაკავებულ იქნენ. ნაწილობრივ, ახლად მოყვანილები ხანდაზმული ხალხია მაგრამ არის აგრეთვე ოცდახუთი ჭაბუკი, რომელნიც საველე რეკრუტის ბანაკიდან გადმოუგზავნიათ. ისინი თითქმის ჩვენზე ერთი წლით უცროები არიან. კროპი ჯლიქსა მკრავს:«ნახე ბავშვები?»



მე თავს ვუქნევ. ჩვენ ვყოყნობთ, ეწონი ვაკრეჭივით თავს, ვყოყნობთ ხელოვნებაში, ვათვლიერებთ ახლადგაწვეულებს და ვგრძნობთ ჩვენს თავს ვით ქვის წელთა მეომრები.

კაჩინსკი გვეერთდება. ჩვენ გავდივართ თავლებზე და მივდივართ ახალ-მოსულებთან, რომელნიც სწორედ გაზის ნიღაბებსა და ყავას ღებულობენ. კაჩი ეკითხება ერთ უახალგაზდესს: — ჰაა, დიდი ხანია რაიმე გონივრული საქმელად არ მიგიღიათ? — იგი სახეს მანჯავს. — დილას ჭარხალის პური, სადილად ჭარხალის მწვანილი. საღამოს ჭარხალის კოტლეტები და ჭარხალის სალათი. —

კაჩინსკი მცოდნე კაცივით უსტვენს. «პური ჭარხალისაგან? მაშ თქვენ იღბალი გქონათ, პურს აცხობენ აგრეთვე ხის ნახერხიდანაც, მაგრამ რას ფიქრობ შენ ლობიოს შესახებ, გინდა ერთი კოვზი?»

ჭაბუკი წითლდება. — რად გჭირდება ჩემი დაცინვა! —

კაჩინსკი მხოლოდ ამას უპასუხებს: — წამოიღე შენი ჭურჭელი. —

ჩვენ ცნობისმოყვარეობით ავედვენეთ, მივყევართ მას ქოთანთან მისივე ჩალის ლოგინის გვერდით. მართლაც, ქოთანი ნახევრად სახვეა ლობიოთი ხორცთან ერთად. კაჩინსკი სდგას მის წინაშე როგორც ღენერალი და ამბობს: — თვალი აჭყიტე, ხელი აგძლე! ესაა სიტყვა პრუსიელების. —

ჩვენ განცვიფრებული ვართ. მე ვეკითხები: — ჩემო დრუნჩავ, კაჩ, საიდან გაჩნდა ეს? —

— ტომატის თავს კიდევ გაუხარდა როცა გამოვართვი. ამაში მივეცი მას ჩამოსახტომი ქოლგის აბრეშუმის სამი ნაჭერი. რაო, ცივი ლობიო ხომ უნაკლოდ გემრიელია! —

იგი მფარველობის გამოხატულობით აძლევს ჭაბუკს ერთ პორციას და ეუბნება: — როცა შემდეგში შენ ჭურჭელით ხელში აქ ფეხს შემოდგამ, მარცხენა ხელში გეჭიროს ციგარა ან საღეჭი თამბაქო. გაიგე? —


მერმე ჩვენ მოგვიბრუნდება. — თქვენ რასაკვირველია, ისედაც მიიღებთ. —

★

კაჩინსკი აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან მას მეექვსე გრძნობა აქვს. ყველგან არის ასეთი ხალხი, მაგრამ ვერავინ ხედავს მას წინააწინ, რომ იგი ასეთია. თვითუღრანაშმს ჰყავს ერთი ან ორი ამგვარი. კაჩინსკი არის უუგაქნილესი და მოხერხებული, რომელსაც კი ვიცნობ. ხელობით, მგონია, მეჩქემეა, მაგრამ ეს არაფერია, მან იცის ყველა ხელობა. კარგია მასთან მეგობრად ყოფნა. ჩვენ ვართ ეს, კროპი და მე; აგრეთვე ჰაიე ვესტჰუსი ნახევრად მისი მეგობარია. ჩვენ ვართ უფრო აღმასრულებელი ორგანო, რადგან ჩვენ კაჩის კომანდოთი ვმუშაობთ, თუ ისეთი რამ გამოტყვრება, როცა საჭიროა მუშტი. ამისათვის მას აქვს თავისი წილი.

ჩვენ, მაგალითად, შევდივართ ღამით სრულიად უცნობ მხარეში, ერთ პარტახ ბუდეში, სადაც, ხელაღვე შეატყობ, კედლებამდე ყველაფერი გაცილილია. ბინად გვაქვს პატარა, ბნელი ქარხანა, რომელიც მხოლოდ ესლა გაუშენებიათ. იქ დგანან საწოლები უფრო სწორედ, ტახტები, რამოდენიმე წყვილი ფიცარი, მავთულის ბადით ერთანეთთან გადაბმული. მავთულის ბადე უხეშია. დასაგები არაფერი გვაქვს; რაც გვაბადია, დასახურად გვჭირდება, კარავის ტილო მეტად თხელია.

კაჩი ათვლიერებს საგნებს და ეუბნება ჰაიე ვესტჰუსს: — აბა, წამო ჩემთან. — ისინი მიდიან სადღაც, ამ სრულიად უცნობ მხარეში.



ნახევარი საათის შემდეგ ისინი აქვე არიან, ხელები კისრამდე გატენილი, აქვთ ჩალით. კაჩს მიუგნია ბოსელისათვის, და აქედან ჩალა. ჩვენ ესლა შეგვეძლებოდა თბილად დაძინება, რომ ასეთი საშინელი შიმშილი არ გვაწუხებდეს.

კროპი ეკითხება ერთ არტილერისტს, რომელიც ამ მხარეში უკვე კარგა ხანია: — არის აქ სადმე ღუქანი? —

იგი იცინის. — გაცარიელებულია. ვერაფერს იშოვი. პურის ნამცეცსაც ვერ მიიღებ. —

— აღარ არიან მცხოვრებნი? —

იგი აპურუყვებს. — კი, რამოდენიმე. მაგრამ ისინიც აქ, თავს დასტრიალებენ ქვაბს და მათხოვრობენ. —

ეს ცუდი საქმეა. მაშ ჩვენ შიმშილის ქამარი მაგრად უნდა მოვიჭიროთ და დილამდე ვიცადოთ, სანამ სურსათს მოიტანდენ.

მაგრამ მე ვხედავ, რომ კაჩი ქუდს იხურავს და ვეკითხები: — საით, კაჩ? —

— ერთი ადგილი დავათვალიერო. — ის მიიზღაწნება გარედ.

არტილერისტი დაცინვით იღრბება. — დაათვალიერე. ამასთან კისერიც არ მოიტეხს! —

იმედ-დაკარგული ვწევებით და საგონებელში ვართ, დავხრათ თუ არა ეს რკინის საგნები. მაგრამ ეს მეტად საფთხოლოა. ამიტომ ვცდილობთ დავიძინოთ და თავლებს ვლულავთ.

კროპი სტეხს თავის პაპიროსს და ნახევარს მაძლევს. ტიადენი მოგვიტრბობს თავისი ეროვნული საქმელის შესახებ, ლობიო ლორით-ო. იგი სწყევლის მის შეკმაწვას უსატურეთ. მაგრამ ყველაფერი ერთად უნდა იქნეს მოხარშული, ღმერთი არ გაგიწყრებს, კართოფილი არ შეუტრია, ლობიო და ლორი ცალ-ცალკეა. ვილაცა ლულულებს, რომ ის თვითონ ტიადენს გადააქცევს ამ საქმელად, თუ იგი წამსვე არ ჩაიკმენდს ხმასო. ამის შემდეგ სიჩუმე სუფევს დიდ ბინაზე. მხოლოდ რამოდენიმე სანთელი ბეუტავს ბოთლების ყელში და ხანდახან არტილერისტი აპურუყვებს.

ჩვენ უკვე ცოტა ვთვლემთ, როცა კარები ფრიალებს და კაჩი ჩნდება; მგონია სიზმარში ვარ: მას აქვს ორი პური ილიაში და ხელში კი გასისხლიანებული ჩანთა ცხენის ხორცითურთ.

არტილერისტს ჩიბუხი პირიდან უვარდება. ის ხელით შინჯავს პურს: — მართლა ნამდვილი პურია, და მერე ცხელი. —

კაჩი ამის შესახებ არაფერს ამბობს. მას აქვს პური, დანარჩენი სულერთია. მე დარწმუნებული ვარ, იგი უდაბნოში რომ დასვა, ერთ საათში გააჩენს სამხარს ფინიკ— შემწვარისას ღვინიანად.

იგი მოკლედ ეუბნება ჰაიეს: — აბა შეშა. —

შემდეგ იგი აჩენს თავის კალთის ქვემოდან ტაფას, იღებს ჯიბიდან ერთ მუქა მარილს და ერთ ნაყერ ქონსაც კი — მას ყველაფერზე უფიქრია. მიწურზე ჰაიე ცეცხლს აღვივებს. ცეცხლი ტკიცინებს ქარხანის შიშველ თოხანში. ჩვენ მოვძვრებით საწოლებიდან.

არტილერისტი ყოყმანობს. იგი ფიქრობს, შეაქოს თუ არა კაჩი, იქნებ ამით გამო რამე მასაც უწილადონ. მაგრამ კაჩისკი სულაც არ უყურებს მას და არც დაგიღვეს. მაშინ იგი კრულვით მიდის.



კახმა იცის, ღბილად როგორ უნდა შესწვას ცხენის ხორცი. ფაზე კი არ უნდა დასდო, იმ წუთშივე გამაგრდება. ჯერ წყალში ცოტა უნდა მონარშო. ჩვენ წრედ შემოვუსკუპდით ჩვენი ჩანგლებითა და ვიტენით კუჭს.

ასეთია კახი. თუ ერთი წლის უკან, რომელიმე მხარეში მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში იყო, იგი იმავე საათში, იქვე, თუ რაიმე საჭმელი კი მოიძებნება, რაღაც ზეშთავონებით გატაცებული, თავზე ქედს იხურავს, გარედ მიდის და როგორც კომპასზე, სწორედ ისე მიემართება საჭმელის საზოგნელად.

იგი პოულობს ყველაფერს — როცა სიცივეა, პატარა სათბურებს და შეშას, თივას და ჩალას, მაგიდას, სკამებს — მაგრამ პირველად ყოვლისა საჭმელს. პირდაპირ გამოუცნობია, უნდა გეგონებოდა, რომ მას პაერიდან ჯადოსნობით გამოაქვს ყველაფერი. მისი უმაღლესი მიღწევა იყო ოთხი კოლოფი ზღვის კიბო. ჩვენ მაინც უფრო ქონი გვიჩვენოდა.

★

ჩვენ დავეყარენით ბარაკების მზიან მხარეზე. სუნი სდის კუპრის, ზაფხულის და ოფლის.

კახი ჩემს გვერდით ზის, რადგან მას საუბარი უყვარს. დღეს შუადღისას ერთი საათის განმავლობაში სალამის მიცემა ვივარჯიშეთ, ვინაიდან ტიადენმა მაიორს ცუდად მისცა სალამი. კახს არ სურს ეს დაივიწყოს. იგი გამოსთქვამს: — ფთხილად, წავაგებთ ომს, რადგან ძალიან კარგად შეგვიძლია სალამის მიცემა. —

კროპი მოკინკილობს ჩვენთან, ფეხშიშველი, შარვალაწყული, იგი სდებს თავის წინდებს ბალახზე, გასაშრობად. კახი იყურება ცაში, ერთ მაგარ ხმას უშვებს და ამბობს: — თვითეული მარცვალი ღობიღა სკდება. —

ორივე იწყებს დავას; ამავე დროს ისინი ერთმანეთს ერთ ბოთლ ლუდზე ენაძლავებიან მფრინავთა ბრძოლის შესახებ, ჩვენს ზემოდ რომ სწარმოებს.

კახს ვერ აცლებენებენ მის შესხედულებას, რომელსაც იგი როგორც ძველი ფრონტის ღორი ეხლა ლექსით ამბობს: «ერთნაირი ქირა, ერთნაირი ჭამა — ომმა დიდი ხნით ჭირი მოგჭამა.»

კროპი პირიქით, მოაზროვნეა. იგი ამტკიცებს, რომ ომის გამოცხადება უნდა იყოს ერთგვარი სახალხო ზეიმი, შესასვლელი ბარათებით და მუსიკით როგორც ცირკში ცხოველთა ბრძოლისათვის. მაშინ ასპანჯზე უნდა გამოვიდნენ ორივე ქვეყნის მინისტრები და დენერლები, მარტოდ მოკლე ნიფხვებში, შეიარაღებულნი მთრახვებითა და უნდა მიესიონ ერთმანეთს. ვინც ასპარეზს შერჩება, ის იქნება გამარჯვებული. ეს არის უფრო მარტივი და უმჯობესი ვინემ აქ, სადაც საბრალო ხალხი ერთმანეთს ეომება.

წინადადება მოწონებულია. მერმე ლაპარაკი ეხება ყაზარმულ წრთანას.

ამაზე მახსენდება ერთი სურათი. გავარვალებული შუადღე ყაზარმის ეზოში. სიცხე წყნარად სდგას ადგილზე. ყაზარმები პარტახის შთაბეჭდილებას სტოვებენ. ყველაფერს სძინავს. მხოლოდ მოისმის დოღზე ვარჯიშობის ხმა, სადაც გამთუყვანიათ ჯარისკაცები და ვარჯიშობენ ულაზათოდ, ერთხმოვანად, ჩლუნგად. როგორი სამნაირი შეფარდებაა: შუადღის სიცხე, ყაზარმის ეზო, და დოღზე ვარჯიში! ყაზარმის ფანჯრები ცარიელია და ბნელი. ზოგიერთზე გადმოკიდული არიან გასაშრობი საცვლები.

ოპ, ბნელო, დაობებულა ბინებო რკინის ტახტებით, უჯრედიან ლეიბებით;

შკაფებითა და მათ წინ სკამებით! თვით თქვენ შეიძლება სურვილთა მიზანი ყოფილი იყავით. აქ, გარედ თქვენ ხარო მხოლოდ ზღაპრული ანარეკლი სამშობლოსი, სადაც მისი საკუჭნაო საესეა გადმოდგმული საქმელის ორთქლით, ძილით, თამბაქოთი და ტანთსაცმელით!

კაჩინსკი ასწერს ამას ფერადების ბწყინვალეებით და დიდი ალტაცებით. რას არ გადავიხდით, რომ ჩვენ მათთან, იქ დაბრუნება შეგვეძლებოდეს! და ამას იქით სრულებითაც ვერ ბედავენ ჩვენი ფიქრები —

ოპ, თქვენი სამაცადინო წუთები განთიადისას — «რამდენად ნაწილდება იარალი მზ?» — თქვენი ტანთვარჯიშობის საათები ნაშუადღევს — «მუსიკოსნო, წინ წამოდექით. მარჯვნიო. გამოცხადდით სამზარეულოში კართოფილის საფცქვენელად.» —

ჩვენ ვნებივრობთ მოგონებებში. კროპს უცბად ეცინება და ამბობს: «ლოენეში გადასხედით.»

ეს იყო ჩვენი კორორალის უსაცვარლესი თამაშობია. ლოენე არის რკინისგზის სადგური, გადასაჯდომი. რათა ჩვენი შვებულება იქ უბრალოდ არ დაგვკარგოდა, გვევარჯიშებდა ჰიმელშტოსი «გადაჯდომას», ყაზარმაში. ჩვენ უნდა გვესწავლა, ლოენეში მოსული მატარებლისათვის გვირაბიდან მიგვესწრო. ტახტები წარმოადგენდენ გვირაბს და თვითეული მიადგებოდა მარცხნიდან. მერმე გაისმოდა ბძანება: «ლოენეში გადასხედით!», და როგორც ელვა ყველა მიძვრებოდა ტახტის ქვეშ, მეორე თავში მიღწევამდე. ეს ჩვენ მთელი საათობით გვივარჯიშნია.

ამ საუბარის დროს, გერმანული ჰაეროპლანი სროლით ჩამოაგდეს. ვით კუდიანი ვარსკვლავი ეცემა იგი კვამლში გახვეული.

ამით კროპმა წაავა ერთი ბოთლი ლუდი და უგუნებოდ სთვლის ფულს. — ჰიმელშტოსი როგორც ფოსტალიონი უსათუოდ უბრალოდ და თავდაბალი კაცია», ვსთქვი მას შემდეგ რაც ალბერტის უგუნებობა გაჰქრა, «როგორ მოხდა ეს, რომ იგი როგორც უნტეროფიცერი ასეთ ტყავისმძრობელად გადაიქცა?»

საკითხი კროპს ისევ აცოცხლებს. «ეს მარტო ჰიმელშტოსს კი არ დამართია, ბევრს, ძალიან ბევრს მოუვიდა ეგრე. როგორც კი მათ სამხედრო ნიშანი ანუ ხმალი გაუჩნდებათ, ისინი ხდებიან სხვა ადამიანებად, თითქო მათ ბეტონი ჩაეყლაპათ.»

«ეს სამხედრო ფორმის ბრალია,» მგონია მე.

«ეგრე დაახლოვებით», ამბობს კაჩი დაუდგება მართლა გძელ სიტყვას: «მაგრამ საფუძველი სხვაგან არის. შეხე, თუ ძალს კართოფილის ჭამას მიაჩვევ და მერმე მას ხორცის ნაჭერს მისცემ, ის მაინც ამას ებღღენება, ვინაიდან! ეს მის ბუნებაშია და თუ შენ, ადამიანს ერთ ნატეს ძალაუფლებას მისცემ, მასაც იგივე ემართება; იგი მას ებღღენება. ეს თავისთავად მოდის, რადგან ადამიანი თავისდათავად, პირველად ყოვლისა ცხოველია, და მერმე შეიძლება კიდევ, როგორც ეს ქონწასმული პურია, მასაც მცირე პატიოსნება ჰქონდეს წასმული. ჯარისკაცს ამაში ის გაეგება, რომ მუდამ ერთს აქვს ძალაუფლება მეორეზე; უნტეროფიცერს შეუძლია უბრალო, ლეიტენანტს უნტეროფიცერი, ჰაუპტმანს ლეიტენანტი ისე მოსწუროს, რომ ჯგუჯანე შეშალოს. და ვინაიდან ეს მან იცის, ამიტომ თავიდანვე ცოტათი ეჩვევა იგი ამას. აიღე სულ უბრალო ამბავი: ჩვენ მოვდივართ სავარჯიშო ადგილიდან და ვართ ძალღივით დალილი. სწორედ მაშინ გიბძანებენ: იმღერეთ. აბა ეს იქნება დანქარეული სიმღერა, რადგან თვითეული მარტო იმითაა ჯერ კმაყოფილი, რომ თოფის თრევა შეუძლია მაინც. და აბა, აბრუნებენ რაზმს უკანვე და კიდევ ერთი საათი უნდა ივარჯი-



შოს დასასჯელად ცუდი სიმღერისა გამო. დაბრუნებისას კიდეც: იმღერეთ, და მწლა იმღერებენ. რა მიზანი აქვს ყველაფერ ამას? რაზმის უფროსი გამსჯელებული იმ აზრით, რომ მას ამისათვის ძალაუფლება აქვს. არაგინ გაჰკიცხავს მას, პირიქით, იგი ცნობილია როგორც ყოჩაღი. ამასთან ასეთი რამ მხოლოდ სულ უბრალოა, არის კიდეც უფრო სხვა რამ, რომლითაც ერთი მეორეს ტყავს აძრობს. აბა, ჰკითხეთ ერთი თქვენს თავს: სამოქალაქო ცხოვრებაში, ვინც უნდა იყოს იგი, რომელ ხელობაში შეეძლება ასეთი რამ. ისე, რომ სამაგიეროდ მას დრუნჩში არ მოხვდეს! ხედავთ, და თვითეულს ეს აქვს თავში გამჯდარი! და ეს მით უფრო მეტად აქვს თავში გამჯდარი, რამდენად ნაკლებად მას როგორც მოქალაქეს სათქმელი აქვს.»

«ამას ჰქვია, უნდა იყოს დისციპლინა» — გამოსთქვამს კროპი მოგვიანებით.

«საბუთი», ღრუტუნებს კაჩი, «ყოველთვის აქვთ. შეიძლება ეგ არის. მაგრამ წვალება კი არ უნდა იყოს. აბა გააგებთ ეს ზეინკალს ან მოჯამაგირეს ან მუშას, აუხსენი ეს გლენს, და ესენი ხომ უმრავლესობაა აქ; იგი ხედავს მხოლოდ, რომ მას იქ ტყავს აძრობენ და მერმე მოდის ბრძოლის ველზე, და მან აქ იცის სწორედ, რაა საჭირო და რა არა. გეტყვი — უბრალო ჯარისკაცს აქ, ფრონტზე ისე უჭირავს თავი, — პირდაპირ დიდებულია! დიდებულია ეს!»

ყველა ეთანხმება ამას, რადგან ყველამ იცის, რომ მხოლოდ სანგრებში ისპობა წრთნა, რომ ფრონტიდან რამდენიმე კილომეტრზე იგი ისევე იწყება თავისი დიდი სისულოლით, მისალმებითა და ალღუმის სიარულით. ვინაიდან რკინის კანონია: ყოველ შემთხვევაში ჯარისკაცი დასაქმებული უნდა იყოს.

ესხლა კი ჩნდება ტიადენი, გაწითლებული კოკრებით დაწვევებზე. იგი ისე არის აღელვებული. რომ ენა უბოროძიკობს. გაბწყინებული, ასოებით გამოსთქვამს იგი. — ჰიმელშტოსი გზადაა ჩვენსკენ. ის ფრონტზე მოდის. —

★

ტიადენს განსაკუთრებული ჯავრი აქვს ჰიმელშტოსსზე, რადგან მან იგი ბარაკების ბანაკში თავისებურად აღზარდა. ტიადენი არის ქვეშაფსია; ღამე, ძილში ემართება ეს მას. ჰიმელშტოსი ამტკიცებს უდრეკად და მტკიცედ: რომ ეს მხოლოდ სიზარმაცეაო და მან თავის შესაფერი საშვალეა იბოვა ტიადენის განსაკუთრებლად.

მან მეზობელ ბარაკებიდან გადმოიყვანა მეორე ქვეშაფსია, რომელსაც კინდერფატერი ერქვა. იგი მან ტიადენთან მოათავსა. ბარაკებში იღვენ ტიპიური საწოლები, ორი საწოლი ერთი მეორეს მალა, საწოლი კი დაწული მავთულებისგანაა. ჰიმელშტოსმა ისინი მოათავსა ისე, რომ ერთს ზემო, მეორეს ქვემო საწოლი უნდა ჰქონებოდა. ქვემოდ დამწოლი, ცხადია, უბედურებაში ვარდებოდა. მაგრამ სამაგიეროდ, მეორე ღამისთვის საწოლები უნდა შეეცვალათ, ძირსმწოლარე ესხლა მალა ავიდოდა, ზემომწოლი ძირს ჩამოვიდოდა, რათა მას ესხლა სამაგიერო მიეზღო. ეს იყო ჰიმელშტოსის თვითაღწა.

გამოგონება საძაგელი იყო, მაგრამ აზრში კარგი. სამწუხაროდ, ამან ვერაფერი უშველა, რადგან სახრისი სწორი არ იყო: არც ერთს ეს სიზარმაცით არ მოდიოდა. ეს ყველას შეეძლო შეემჩნია, ვინც მათ ყვითელ-გოგირდის ფერს შეხედავდა. ამბავი დასრულდა მით, რომ რიგრიგობით თვითეული იატაკზე იძინებდა. ამის გამო შეიძლება რომელიმე ადვილად გაცივებულიყო.

ჰაიე ამ ხანად ჩვენს ახლოს ჩამოჯდა. იგი თვალებს მიჭუტავს და თავის თათებს ყურადღებით ზელავს. ჩვენ ჩვენი ყაზარმული ცხოვრების უმშვენიერესი დღე ერთად გავატარეთ: —



ეს მოხდა სალამოს, მანამ ჩვენ ბრძოლის ველზე გავიდოდით. ჩვენ გადაგვავსებდა ერთ-ერთ რეგიმენტში ჩასაწერად. მაგრამ გადასაცემლად ჯერ გარნიზონში გავიწვიეს, არა იქ, სადაც ახალგაწვეულები იყვნენ, არამედ სხვა ყაზარმაში. მეორე დღეს დილა ადრიან უნდა გამგზავრებულიყავით. სალამოს გადაწყვეტიტე ჰიმელშტოსისათვის ანგარიში გაგვესწორებია. რამდენი ხანია ჩვენ ეს გადაწყვეტილება მივიღეთ. კროპი მაინც ისე შორს წავიდა, რომ მან აზრად აიღო მშვიდობიანობისას საფოსტო სამსახურში შესულიყო, და შემდეგ, როცა ჰიმელშტოსი ისევ უბრალო ფოსტალიონი იქნებოდა, მისი უფროსი გამხდარიყო; ოცნებობდა, თუ როგორ მოთოკავდა მას იგი. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ჰიმელშტოსმა ვერ შესძლო ჩვენი დაჩაგვრა; ჩვენ ყოველთვის მოველოდით, რომ ჩვენ მას ერთჯერაც იქნება ღრანჭებს ამოვუმტვრევდით, სულ გვიან, ომის შემდეგ მაინც.

მანამ კი გვინდოდა მისთვის საფუძვლიანად გვეცემა. რა მოგვივიდოდა თუ იგი ჩვენ ვერ გვიცნობდა; უამისოდაც ხომ ხვალ დილით ფრონტზე მივდიოდით.

ჩვენ ვიცოდით, რომელ სამიკიტონში იჯდა იგი ყოველ სალამოს. როცა იგი ყაზარმებში დაბრუნდებოდა, მას უნდა გაეველო ბნელი, გაუმეხებელი ქუჩა. ჩვენ იქ ჩავიმაღეთ ქვების გროვათა უკან. მე თან მქონდა ლეიბზე ჩამოსაცემელი ზეწარი. მთლიანდინისაგან ვკანკალებდით, ნეტავ თუ მარტო იქნებოდა იგი. დაბოლოს გავიგონეთ მისი ფეხის ხმა; მას ვიცნობდით ზედმიწევნით; ძალიან ხშირად გავგიგონია ის დილაობით, როცა კარები გაფრიალდებოდა და — ადექით — დაიღრიალებდა ხოლმე.

— მარტოა? — წაიჩურჩულა კროპმა.

— მარტოა! —

ჩვენ გამოვხზოდით ქვათა გორაკის უკანიდან.

უკვე ბზინავდა მისი პორთუპეა. სჩანდა თითქო იგი შეზარხონებული იყო. იგი მოიმღეროდა; არაფერს მოელოდა და ჩავვიარა გვერდზე.

ჩვენ ვსტაცეთ ხელი ზეწარს, ფთხილად გადავებიჯეთ და უკანიდან ჰიმელშტოს უცბად თავზე ჩამოვაცვიტ, ჩამოვსწიეთ ძირს; ასე, თითქო თეთრ ტომარაში იდგა იქ და აღარ შეეძლო ხელების აღება. სიმღერა ჩაკვდა.

იმავე წუთში ჰაიე ვესტპუსი მას ზეშეახტა. გაქნეული იდაყვებით მან უკან დადმოგვყარა. და მერმე ჰიმელშტოსი ყოყოჩად მოემზადა, ასწია ხელი ვით სანიშნო ანძა, და მუშტი, ქვანახშირის ნიჩაბივით დაატაკა თეთრ ტომარას ისე, რომ შეეძლო მით ხარი მოეკლა.

ამის გამო ჰიმელშტოსმა წონასწორობა დაკარგა, გადავარდა ხუთი მეტრის მანძილზე და მორთო ყვირილი. ჩვენ ამისათვისაც ვიყავით მომზადებული, ვინაიდან თანა გვექონდა ბალიში. ჰაიე ზედახტა ჰიმელშტოსს, დაუდო ბალიში მუხლებზე, სტაცა ხელი ჰიმელშტოსს თავზე და ბალიშზე დაუჭირა იგი. მყისვე დაიხუთა მისი ხმა. ჰაიემ მას შესუნთქვის საშუალება მისცა და ჰიმელშტოსის ხახადან დიდებული ნათელი ყვირილი მოისმა, რომელიც შემდეგ ისევ ნაზი შეიქნა.

ტიადენმა მას შეუხსნა შარვალი და ჩაუწია. ამასთან მას კბილებით ეჭირა მათ-რახი. შემდეგ წამოდგა იგი და დაიწყო მუშაობა.

ეს იყო განსაცვიფრებელი სურათი: ჰიმელშტოსი მიწაზე, მუხლებზე დადებული ვით; ჰაიე ეშმაკსავით დაკრეჭილი სახით და სიამოვნებისაგან გაპობილი ბავით; მერმე, მოცახცახე, ხაზებიანი ნიფხავი მოღუნული ფეხებით, ჩაძრობილ შარვალში, თეითეულ დარტყმაზე რომ არაჩვეულებრივ მოძრობას ჰქმნიდა, რა მათ წინ ვით შემის

მჭრელი, დაულავი ტიადენი. დაბოლოს ძალით უნდა მომეშორებია იგი, რათა ესლა ჩემი ჯერიც ყოფილიყო.

ბოლოს ჰაიე ისევ შეადგა ჰიმელშტოსს ფეხებზე და როგორც დასასრული, გამართა ერთი კერძო წარმოდგენა. ჰგავდა, თითქო სურდა მას ვარსკვლავები დაეკრიფა, ისე ასწია მან მარჯვენა ხელი და მოეშადა სილის გასარტყმელად. ჰიმელშტოსი გადაკოტრიალდა. ჰაიემ ისევ წამოაჯინა იგი, მოამზადა და მეორედ, მარცხენა ხელით გააწნა პირველხარისხის ოვანი, მომიწნებული სილა. ჰიმელშტოსი აღრიალდა და მოჰყვა ლაწმღვა-გინებას. ფოსტალიონის დახაზული საჯდომი ელვარებდა მთვარეზე.

ჩვენ გაქცევით დავიმალეთ.

ჰაიემ მიმოიხედა და სთქვა ბოროტად და ცოტა გამოუცნობად: — შურისძიება სისხლიანი ძეხვია! —

ჰიმელშტოსი მაინცდამაინც ნასიამოვნები უნდა დარჩენილიყო; ვინაიდან მისმა სიტყვამ. ერთმა მეორე უნდა აზარდოს, თვითონ მისთვისაც გამოიღო ნაყოფი. ჩვენ გაგნდით მისი მეთოდებით განსწავლული მოწაფენი.

მან ვერ გაიგო თუ ამის გამო ვისთვის უნდა გადაეხადა მადლობა. ამასთან მან ზეწარი მაინც მოიგო; ვინაიდან, როდესაც ჩვენ ცოტა ხნის შემდეგ ერთჯერ კიდევ იქ მივედით, ზეწარი ველარ ვიპოვეთ.

ეს სადამო იყო იმის მიზეზი, რომ შემდეგ დილაზე ჩვენ ერთგვარად დამშვიდებული წავედით ფრონტზე. ამის გამო მეტად აღელვებულმა, ვილაც გაჩიოვდა გძელ-წვერიანმა დაგვიძახა ჩვენ: გმირი ახალგაზდობა.

IV

ჩვენ უნდა წავსულიყავით შანცებში. შემოღამებისას შემოვორდენ საბარგო ავტომობილები. ზეავცოცდით. არის სადამო თბილი, და შემოღამება გვეჩვენება ვით ფარდული, რომლის მფარველობაში ჩვენ თავს კარგად ვგრძნობთ. ის გვეართიანებს ჩვენ. თვით ძუნწი ტიადენიც კი მასაჩუქრებს ერთი პაპიროსით და მაძლევს ცეცხლს.

ჩვენ ფეხზე ვდგევართ გვერდით გვერდზე; დაჯდომა არავის შეუძლია. ამას არც მიჩვეული ვართ. მუეღერი დაბოლოს კარგ გუნებაზე დგება; მას აცვია თავისი ახალი ჩექმები.

მოტორები თახთახობენ. ვაგონები ინჯღრევიან და ჭრილობენ. ქუჩები გაფუჭებული არიან და სავსე ოღრო-ჩოღრო ადგილებით. არ შეიძლება სინათლის ქონება. და ჩვენ ვქანაობთ ისე, რომ თითქმის ვაგონიდან ვვარდებით. ეს ჩვენ აწი აღარ გვაწუხებს. რა შეიძლება მოხდეს; მოტენილი ხელი უკეთესია ვინემ ჭრილობა მუცელში და ზოგიერთს კიდევაც სურს სწორედ ასეთი კარგი შემთხვევა შინ დასაბრუნებლად.

ვხედავ კედელს; ის ეკუთვნის იმ სახლს ქუჩის გადაღმა რომაა. მე სმენად ვიქცევი. ვტყუვდები? ისევ მომესმის ბატების ყიყინი. თვალი შევავლე კაჩინსკის — ჩვენ ერთმანეთს მივუხვდით.

— კაჩ! მე მესმის იქიდან ქვების მსურველთა ხმები —

იგი თავს მიქნევს. — გავათაოთ თუ დავბრუნდეთ. აქ კარგად ვიცი ადგილები — რასაკვირველია, კაჩმა კარგად იცის. იგი იცნობს ბატის თვითეულ ფეხს ოცი კილომეტრის ირგვლივ.

ვაგონები არტილერიის ზონას მიუახლოვდენ. ზარბაზნთა სადგომები გადაცმული არიან ჩირგვებითა და შტოებით, რათა მფრინავთ ვერ მიაგონ და ისე სჩანან თითქო სამხედრო ქობთა დღეობა იყოს. ეს ქოხები აღბად მჩიარულად და კმაყოფილად გამოიყურებოდენ, რომ მათ მდგმურებს ზარბაზნები არა ჰქონოდათ.

ჰაერი დაბურულია ზარბაზნათა კვამლით და ნისლით. ენაზედ მწარედ გრძნობ
თოფისწამლის კვამლს. ზარბაზნები ისე გრიალებენ, რომ ჩვენი ვაგონი ზანზარებს, გა-
მძახილი ღრინაცულით მიჰქრის, ყველაფერი ირყევა. ჩვენი სახეები შეუმჩნეველად
იცილებიან. თუმცა ჩვენ სანგრებში არ მივდივართ, არამედ მხოლოდ შანცებში, მაგ-
რამ თვითუელის სახეს აწერია ესლა: აქ არის ფრონტი, ჩვენ ვართ მის წრეში.

ჯერ კიდევ არაა შიში. ვინც ჩვენსავით ხშირად ყოფილა ფრონტზე, სქელკანი-
ანი ხდება. მხოლოდ ახალგაწვეულები არიან აღლევებული. კაჩი ასწავლის მათ: «ეს
იყო შიში, თქვენ ამას გასკდომაზე გაიგებთ — ესლავე ჩამოვარდება.»

მაგრამ დახუთული გამძახილი გასკდომისა ჩვენამდე ვერ აღწევს. ის იბრჩო-
ბა ფრონტის ღრინაცულში. კაჩი ყურსუგდება: «აბა ამაღამ იქნება დაკადაკა.»

ჩვენ ყველანი ყურს ვუგდებთ. ფრონტი შფოთავს. კროპი ამბობს: «ტომებმა
უკვე დაიწყეს სროლა.»

სროლას უკვე გარკვევით ვარჩევთ. ეს არის ინგლისური ბატარეა, ჩვენი ნაწი-
ლის მარჯვენა. ისინი იწყებენ ერთი საათით ადრე. ჩვენთან იწყება სროლა ყოველთვის
ათ საათზე.

«რა ჯანდაბა მოუვიდათ მათ?», იძახის მუელერი, «რა, მათი საათი წინ გარბის?»
«იქნება დაკადაკა, გეუბნებით, ამას ვგრძნობ ძვლებში.» კაჩი მხრებს იჩეხს.

ჩვენთან ახლას გრიალებს სამი გასროლა. ცეცხლის ზოლი ნისლში ირიბად
იჭრება. ზარბაზნები ღრიალებენ და ზანზარებენ. ჩვენ გვაცივებს და მოხარული ვართ,
რომ დილით ადრე ისევ ბარაკებში ვიქნებით.

ჩვენი სახეები არც უფრო მკრთალი არიან და არც უფრო წითელი ვინემ სხვა
დროს; ისინი არ არიან აგრეთვე არც უფრო დაჭიმული ან მომძინარე, მაგრამ მაინც
სხვანაირი არიან. ჩვენ ვგრძნობთ, ჩვენი სისხლის სრბოლა კონტაქტში ხდება; ეს უბ-
რალოდ სიტყვა არ არის; ეს სინამდვილეა. ესაა ფრონტი, შეგნება ფრონტის, რომე-
ლიც ამ კონტაქტს იწყებს. იმ წუთში, როდესაც პირველი ყუმბარები დაისტვენენ, რო-
დესაც ჰაერი სროლისაგან იგლიჯება, უცბად ჩვენს ძარღვებში, ჩვენს ხელებში, ჩვენს
თვალებში ჩნდება დაძაბული მოლოდინი, ყურისცქვეტა, ძლიერი ფზიზლობა, გასა-
კვირველი მოქნილობა აზრებისა. მთელი სხეული ერთბაშად სრულ მომზადებაშია.

ხშირად ისე ვგრძნობთ თითქო იყოს შერყეული, მოქანავე ჰაერი, რომელიც უზ-
მო ცახცახით თავზედ გვევლება; ან თითქო ის იყოს თვითონ ფრონტი, საიდანაც მთ-
სხივოსნობს ელექტრო, რომელიც ნერვთა წვეროებს მობილიზაციას უხდენს.

ყოველთვის ერთი და იგივეა: ჩვენ მოვდივართ და ვართ მოწყენილი ან კარგ
გუნებაზე; — მერმე იწყებიან პირველი სადგომები ზარბაზნებისა, და ესლა ჩვენი ლა-
პარაკის თვითეულ სიტყვას სხვა პანგი აქვს.

როცა კაჩი ბარაკების წინ სდგას და ამბობს: «იქნება დაკადაკა — », სწორედ
ასეთი არის მისი შეხედულება, მორჩა და გათავდა; — მაგრამ როცა ამას აქ ამბობს,
მაშინ ამ წინადადებას აქვს ისეთი სიმახვილე როგორც ხიშტს მთვარიან ღამეში, იგი
პირდაპირ სურის აზრებს, იგი ახლსაა და ელაპარაკება იმ შეუცნობელს, რომელიც
ჩვენშია გაღვიძებული, «იქნება დაკადაკა» — . შეიძლება ეს არის ჩვენი შინაგანი და
დამალულ-დაფარული სიცოცხლე, რომელიც ძივიძიებს და კანკალებს. და თავისი თა-
ვის დასაცავად ემზადება, ფეხზე სდგება.

★

ჩემთვის ფრანტი არის თავზარდამცემი წყლის ტრიალი. როდესაც მისი ცენტრიდან ჯერ კიდევ შორსა ხარ, მდინარის წყნარ ადგილში, გრძობ უკვე მის ჩამორევ ძალას, თავისკენ რომ გიზიდავს, ნელიად, აუცილებლად, წინამდევობის გაუწყველად. მაგრამ, დედამიწიდან, პაერიდან მომდინარეობენ ჩვენში თავდაცვის ძალები — უფრო მეტად დედამიწიდან. არავისთვის არაა დედამიწა ისე მნიშვნელოვანი როგორც ჯარისკაცისათვის. როდესაც ის მიწას დაეკვრება, დიდი ხნით; და ის თავისი სახით და მთელი ტანით ჩაეხუტება მას ცეცხლით სიკვდილის შიშისა გამო, მაშინ არის მიწა მისი ერთად ერთი მეგობარი, მისი ძმა, მისი დედა; ის ჩაჰკენის მას თავის შიშსა და ძრწოლას და მიწა კლებულობს მას თავის მდუმარებაში და სიღრმეში; და მერმე გაუშვებს ისევ ახალი ათი წუთით სირბილისათვის და სიცოცხლისათვის, მერმე ჩაიკრავს ისევ მკერდში, და ხანდახან სამუდამოთ.

მიწა — დედამიწა — მიწა — !

მიწავ, შენი ადგილების ნაოჭებითა და ორმოებით!, სადაც კაცს შეუძლია ჩაეგდოს, ჩაძვრეს! დედაო მიწავ! შენ გვაძლევ ჩვენ საშინელების ფართხალში, განადგურების წინაშე, აფეთქებათა სიკვდილის ხრიალში, შენ გვაძლევ ჩვენ მოგებულ სიცოცხლის უზარმაზარ გამძლეობის ძალას! გაგიყებულნი შტურმი თითქმის დაფლეთილი სიცოცხლისა და ყოფნისა გვიბრუნდება შენგან ჩვენი ხელების საშვალებით, მით, რომ ჩვენ გადარჩენილები შენში ჩავწვებით, ჩავიმალებით და შიშის გადაძლეული წუთების ბედნიერებაში ჩვენი ტუჩებით შენს მკერდს ვეკონებით.

ჩვენ მივექანებით უკან მთელი ათასი წლებით, ჩვენი არსების ერთი ნაწილაკის მუჯღუგუნით, როდესაც პირველად დაიგრიალე ხარბაზანი. ესაა ინსტიქტი ცხოველის, ჩვენში რომ იღვიძებს, ჩვენ რომ წინ გვიძლევდა და გვიფარავს. ის შეგნებული არ არის. ის უფრო სწრაფია, უფრო ერთგული, უფრო უცთომელი ვინემ შეგნება. არ შეიძლება ეს განიმარტოს. მიდინარ და არ ფიქრობ არაფერზე — უცბად წევხარ ორმოში და თავზე გვიღიან ყუმბარის ნამსხვრევები — მაგრამ ვერ გაიხსენებ, წამოსული ყუმბარა გაიგონე, თუ მოსაზრება გქონდა დაწოლილიყავი. თუ მოსაზრების იმედი გექნებოდა, მაშინ უკვე გადაიქცეოდი გაპნეული ხორცის გროვებად. ის სხვა იყო, ის მარჩიელი ყნოსვა ჩვენში, რომელმაც ჩვენ ძირს დაგვავდო და გადაგვარჩინა, ისე, რომ არ იცი, როგორ. რომ ის არ ყოფილიყო, უკვე დიდი ხანია, აღარც ერთი ადამიანი აღარ იქნებოდა მთელი ფრანტის გასწორივ, ფლანდრიიდან ვოგეზებამდე.

ჩვენ მივემგზავრებით და ვართ მოწყენილი ან კარგ გუნებაზე — ჩვენ შევდივართ იმ ზონაში, სადაც ფრანტი იწყება, და ვხდებით ადამიანს — ცხოველად.

★

თავს ვაფარებთ თხელ ტყეს. სამზარეულოს ვეებერთელა ქვაბებს გვერდზე ჩავუარებთ. ტყის უკან ავტომობილებზე შევდივართ. ვაგონები უკანვე მიდიან. ხვალ დილით გათენებამდე კიდევ უნდა წამოგვიყვანონ.

ნისლი და თოფისწამლის კვამლი მინდორზე მკერდამდე სდგას. მთვარე ზე ანათებს. გზაზე მიდიან ჯარები. ფოლადის ქუდები სუსტად ანათებენ მთვარის სინათლეზე. თავები და თოფები ამოსული არიან თეთრი ნისლიდან, მოქანავე თავები, მოქანავე თოფები.

იქ შორს, წინ, ნისლი ისპობა. იქ თავები იქცევიან სხეულებად — ზედატანნი, შარვალნი და ჩექმები გამოდიან ნისლიდან ვით რძის ტბიდან. რაზმი მიდის პირ-

დაპირ, სხეულები ერთი მეორეს ეკვრიან და ხდებიან სოლად, ცალ-ცალკე თვეთ-
ულს ვერ არჩევ, მხოლოდ ერთი სოლი მიიწვეს წინ, და საკვირველად ივსება იგი
ნისლის ტბიდან გამომცურთი თავებითა და თოფებით. ერთი რაზმი, კოლონა — არა-
ვითარი ადამიანები.

ერთ გზაჯვარედინზე მოჰქრებიან მსუბუქი ზარბაზნები და ყუმბარათა ვაგონები.
მთვარის სინათლეზე ცხენებს აქვთ მოელვარე ზურგები, მათი მოძრაობა არის ლამა-
ზი; ისინი აქნევენ თავებს, ხედავ, როგორ ბწყინავენ მათი თვალები. ზარბაზნები და
ვაგონები მოსრიალობენ უკან დარჩენილ მთვარის ლანდშაფტიდან, მხედრები თავის
კასკეებით გამოიყურებიან ვით წარსულ დროთა რაინდები, — ესაა ერთგვარად შვე-
ნიერი და მომაჯადოვებელი.

ჩვენ მივიჩქარით საპიორთა პარკისაკენ. ჩვენგანი ერთი ნაწილი მხრებზე იდებს
მოღუნულ, წვეტიან რკინის პალებს, მეორე ნაწილი მავთულის რგოლებში უყრის
რგვალ რკინას და მიგვაქვს. ტვირთი მძიმეა და ძნელად სათრევი.

მიწა თანდათან უფრო დაჭრილია. წინიდან მოგვესმის ცნობა: «ყურადღება!
მარცხნივ ორმოა», — «ფთხილად, ორმო!» —

თვალები დაჭიმული გვაქვს, ჩვენი ფეხები და ჯოხები შინჯავენ მიწას, მანამ
იგი ჩვენი სხეულის სიმძიმეს მიიღებდეს. ერთბაშად ჩვენი სვლა ჩერდება. ვილაც და-
ეტაკა პირისახით წინა კაცის ეკლიან მავთულის რგოლს და იგინება.

ყუმბარით დანგრეული რამოდენიმე ვაგონი ავდია გზაზე. ახალი ბძანება. «პა-
პიროსები და ყალიონები ჩააქრეთ.» — ჩვენ მივადექით სანგრებს.

ამ ხანში სავესებით დაბნელდა. ჩვენ გარს ვუვლით პატარა ტყეს და მერმე
ჩვენ წინ არის ფორნტის ერთი ნაჭერი.

გამოუცნობი, მოწითელო სინათლე სდგას ცის ტატნობზე, თავიდან ბოლო-
მდე. ის მუდმივ მოძრაობს, და ხტის ბატარეის ცეცხლის შეჭრის გამო. მანათობე-
ლი ტყვიები მიჰქრებიან მასში მალლა, ვერცხლის ფერი და წითელი ბურთიკები, რა-
მელნიც სკდებიან და თეთრ, მწვანე, წითელ ვარსკვლავებად წვიმასავით იფრქვიან.
ისვრიან ფრანგული შუშუხენები, რომელნიც ჰაერში აბრეშუმის ქაღალგებსა შლიან და
სულ ნელიად, ნელა ძირს ეშვებიან. ისინი ყველაფერს დღესავით ანათებენ. ჩვენამდე
აღწევს მათი სინათლე; ჩვენ გარკვევით ვხედავთ ჩვენს ლანდებს მიწაზე. წუთის გან-
მავლობაში ეშვებიან ისინი ძირს მანამ სულ დაიწვოდენ. მერმე მაშინათვე გამოუშ-
ვებენ ახალს, ყოველგან, და მათ გარდა, მათ შორის ისევ მწვანე, წითელი და ლურჯი.
«ციცინათელები!» ამბობს კაჩი.

ზარბაზნთა გრიალი ძლიერდება ერთად ერთ დახშულ ქუხილად და მერმე
განიპნევა ისევ ჯგუფ-ჯგუფ ვახეთქის ხმებად. მშრალი ხმა ტყვიისმფრქვევთა ტაკა-
ნებს. ჩვენს ზემოდ ჰაერი გაჭექილია უხილავი ყეფით, ღრიალით, შტვენითა და სტე-
ნით. ესენი არიან პატარა ყუმბარები — მაგრამ მათ შორის მღერიან აგრეთვე დიდი ყუ-
მბარები; მეტად მძიმე ნამსხვრევეებად ეცემიან ჩვენგან უკან, შორს. მათ აქვთ მჭექა-
რე, ჩახლეჩილი, შორეული ძახილი მოყვიარე ირემის და სჯობნის პატარა ყუმბა-
რების ღრიალსა და სტვენას.

შუქთამცემნი შავს ცაზე ფათურს იწყებენ. ისინი სრიალობენ ცაზე ვით უზარ-
მაზარი, ბოლოში თხელად გადაქცეული სახაზავები. ერთი ზოლი სდგას წყნარად და
მხოლოდ მცირედ ცახცახებს. სწრაფლ მეორეა მასთან, ისინი ჯვარედინდებიან, მათ
შორის მოხვდა შავი მწერი და სცილილობს თავი დაახწიოს: — მფრინავი. იგი ვარ-
დება გაჭვირებაში, შუქისაგან ბრმავდება და ტორტმანობს.

ჩვენ ვარჯობთ რკინის პალოებს ერთი მეორედან სწორი დასმობისთვის. თუ ის ორ კაცს უჭირავს რგოლი, სხვები შლიან წვეტიან მათულებს. ეს არის საშინელი მათული, სქელად ჩასმული, გძელი წვეტებით. მათულის დაშლას მიჩვეული არა ვარ და ხელებს ვიფუჭებ.

რამოდენიმე საათის შემდეგ დავასრულებ. მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს დრო სანამ ავტომობილები დაბრუნდებოდნენ. უმრავლესობა ჩვენგანი მიწვა და მიიძინა. მეც ვცდილობ ამას. მაგრამ მეტად აცივდა. ამჩნევ, რომ ზღვასთან ახლოს ხარ, სიცვიისაგან ხშირად ვიღვიძებ.

ერთჯერ მაგრად ჩამეძინა. მაგრამ უცბად, ერთი მუჯღუგუნისაგან მივფრინავ, არ ვიცი სადა ვარ. ვხედავ ვარსკვლავებს, ვხედავ მანქანებს, და ერთ წუთს მაქვს შთაბეჭდილება, თითქო ერთი დღეობის დროს ბაღში ჩამძინებოდეს. არ ვიცი, დილაა ესე თუ საღამო. მე ვწევარ მოსალამოების თეთრ აკვანში და ვუცდი თბილ სიტყვებს, რომელნიც უნდა გავიგონო, თბილსა და მაცოცხლებელს — განა ვსტირი მე? ხელს ვავლებ თვალებს. პირდაპირ გასაოცარია. განა ბავში ვარ? ნაზი კანი — მხოლოდ ერთი წამით გძელდება ეს, მერმე ვცნობილობ კაჩინსკის სილუეტს. ის ზის წყნარად, ძველი ჯარისკაცი და აბოლებს ყალიონს, რასაკვირველია დახურულ ყალიონს. როგორც კი ის შემნიშნავს, რომ გავიღვიძე, ამბობს: «შენ უკვე იფრინე. ეს იყო მხოლოდ ცეცხლის გამჩენი ზარბაზნის სროლა, ჩაისტვინა აქ, ჩირგვებში.»

მე წამოვუჯექი; თავს ვგრძნობ საკვირვლად მარტო. კარგია, რომ კაჩი აქ არის. დაფიქრებული გასჩერებია ის ფრონტისაკენ და ამბობს: «სავსებით მშვენიერია მანქანათა თამაში, რომ ესე საშიში არ იყოს.»

ჩვენს უკან ვარდება ყუმბარა. ორიოდ ახალგაწვეული შიშისგან გარბის რამოდენიმე წუთის შემდეგ კიდევ გვივლის თავზე ანთებული ყუმბარა. უფრო ახლოს ვინემ წინად. კაჩი ფერთხავს თავის ყალიონს. «იქნება ცეცხლი.»

მაღე იწყება ესეც: ჩვენ მივზოხავთ ჩქარა, რამდენადაც ეს შეიძლება. შემდეგი ყუმბარა უკვე ჩვენ შორის ეცემა.

რამოდენიმე კაცი ყვირის. ცის კამარაზე აღიმართებიან მწვანე მანქანები. მიწა პაერში სცივია, ნატეხები ზუზუნებენ. გვესმის, როგორ ეცემიან ისინი, როცა ყუმბარის გახეთქის ხმა უკვე შეწყვეტილია.

ჩემთან ახლოს წევს თავზარდაცემული ახალგაწვეული, თავთეთრა ჯარისკაცი. მას თავისი სახე ხელებში ჩაუჭვდია. მისი კასკა გვერდზე გადაბრუნებულია. მე ვსწვდები მას და მინდა ის თავზე დავახურო. იგი გამოიჭყეტს, აგდებს კასკას და თავით მოძვრება ვით ბავში ჩემს ილიის ქვეშ, ახლოს ჩემს მკერდთან. ვიწრო ბეჭები უხტიან, ბეჭები როგორიც კემერისის ჰქონდა.

მე არ ვუშლი მას ჩემთან თავი დაიფაროს. მაგრამ კასკა რომ ცოტა მაინც გამოადგეს, ვადებ მას საჯდომზე, არა სიბრძევისა გამო, არამედ მოფიქრებით, რადგან იქ არის უფრო ამაღლებული ადგილი. თუმცა იქ სქელი ხორცია, მაგრამ ტყვია იქაც ატანს და ტკივილი კი პირდაპირ დაწყვეტილია; ამას გარდა, თვეთა განმავლობაში ლაზარეთში მუცელზე უნდა იწვეს და ამას შემდეგ თითქმის უსათუოდ იკოჭლებს.

სადღაც საშინლად დასკდა ყუმბარა. გვესმის ყვირილი გახეთქასთან ერთად.

დაბოლოს ყველაფერი წყნარდება. ცეცხლი ჩვენს უკან გადავიდა და ეცემა ესე სათადარიგო სანგრებში. ჩვენ ფთხილად ვიხედებით. წითელი მანქანები დაფათურებენ ცაზე. ალბად იწყება თავდასხმა.

ჩვენთან ჯერ კიდევ სიწყნარეა. მე წამოვჯექი და ვანჯღრევ ახალგაწვეულს
«ვაიარა, პატარავ! კიდევ კარგად გადავრჩით.»

ის დაბნეულად იმზირება. მე მას ვეუბნები: «მიეჩვენე.»

ის შენიშნავს თავის კასკას და იხურავს თავზე. ნელნელ სულეერდება ის. უცებ
წითლდება და მიეცემა მას არეული გამოხედვა. ფთხილად სწევს ხელს საჯდომისაკენ
და შეწუხებული შემომხედავს მე- მაშინვე ვხვდები: ზარბაზნის ციებციხელება. ამისათ-
ვის არ დამიდევს მისი კასკა სწორედ იქ — მაგრამ მე მას ვამშვიდებ: «ეს არაფერი
სასირცხია; უფრო სხვა ხალხს ვინემ შენ, პირველი სროლის დროს ნიფხავი სულ გაუ-
ვსიათ. წადი ჩირგვს უკან და გადააგდე შენი ნიფხავი. მორჩა — »

★

ის თვალისაგან იკარგება. სიწყნარე უფრო მეტია ეხლა, მაგრამ ყვირილი მაინც
მოისმის. «რა ამბავია, ალბერტ?» ვკითხვლობ.

«უკან ერთ ორ წყება რაზმს პირდაპირ თავში მოხვდა,»

ყვირილი გრძელდება. ეს არ არიან ადამიანები, ამათ არ შეუძლიათ ასე საშინ-
ლად იყვირონ.

კაჩი ამბობს: «დაჭრილი ცხენები არიან.»

არასოდეს გამიგონია ცხენების ყვირილი და ძლივს მჯერა. ესაა მთელი ქვეყ-
ნის უბედურება, ესაა წამებაში ჩავარდნილი ქმნილებანი; ველური, გამათეთრებელი
ტკივილი, რომელიც იქ ღრიალებს. ჩვენ გაფიქრებით. დეტერინგი წამოდგა. «ტყავის
მძრობელნო, ტყავისმძრობელნო, დახოცეთ მაინც!»

ის სოფლის მეურნეა და ცხენებს კარგად იცნობს, ეს მის გულს ხვდება. თითქო
განგებ, ცეცხლი ეხლა თითქმის სწყდება. და უფრო გარკვევით ისმის ცხოველთა ყვი-
რილი. არავინ იცის, საიდან მოდის იგი ამ ეხლა ასეთ წყნარ, ვერცხლისფერ მხარეში;
იგია უზილავი ვით მოჩვენება, ყველგან, ცასა და მიწას შორის, იგი გვწვავს განუზო-
მელად — დეტერინგი ხელდება და გაჰყვირის: «დახოცეთ, დახოცეთ მაინც, თქვე და-
წყველილებო!»

«ჯერ ხომ უნდა გარედ გამოიყვანონ,» ამბობს კაჩი.

ჩვენ ვდგებით ზეზე და ვეძებთ თავლას. თუ ცხოველთ დაგინახავთ, უკეთესად
ავიტანთ. მეიერს თან ჰოგრიტი აქვს. ჩვენ ვხედავთ სანიტარების ბნელ ჯგუფს და შავ,
დიდ ნაფლეთებს, რომელნიც მოძრაობენ. ესენი არიან დაჭრილი ცხენები. მაგრამ ყვე-
ლა არა. ზოგიერთნი დარბიან შორს. ეცემიან და ისევ გარბიან. ერთს მოგლეჯილი აქვს
ფაშივი, წელები გძლად გადმოჰყრიან. ის ფეხებით იბლანდება შიგ და ძირს ეცემა, მაგ-
რამ მაინც დგება ისევ. დეტერინგი თოფს იმარჯვებს და უმიზნებს. კაჩი მას ხელს უკ-
რავს და თოფი ჰაერში ვარდება. «გადაირიე — ?»

დეტერინგი კანკალებს და თოფს მიწაზე აგდებს.

ჩვენ ვჯდებით და ყურებში თითებს ვირჭობთ. მაგრამ ეს აღსაშფოთებელი
ხმა და ღრიალი და ტკივილი ატანს შიგნით, იჭრება ყოველგან.

ჩვენ ყველას გვაქვს გამძლეობა. მაგრამ აქ ოფლი გვესხმის. გინდა ადგე და გა-
იქცე, სულერთია საით, ოღონდ კი ეს ყვირილი არ გაიგონო. და ამასთან ისინი არა
ადამიანები, არამედ ცხენები არიან.

ბნელი ჯგუფიდან გამოდიან ისევ საკაცეებით. მერმე მოისმის ცალ-ცალკე
სროლა. ნაფლეთები ხტნიან და ეცემიან. ახ, დაბოლოს! მაგრამ დასასრული ჯერ მაინც
არაა. ვერ უახლოვდებიან დაჭრილ ცხოველებს, რომელნიც შიშით გარბიან ტკივილის



გამო დაღებულ პირით. ერთი ეცემა მუხლებზე, ერთი გასროლა — ერთი ცხენი ვარდება ძირს — კიდევ ერთი. უკანასკნელი შედგა ყალყზე და შემოტრიალდა ერთ ვარუსელში, წამომჯდარი ტრიალებს ფეხებ აშვერილი, ალბად ზურგი აქვს ჩატეხილი. ჯარისკაცი მირბის მისკენ და ჰკლავს მას. ნელად, მორჩილად ემხობა ის მიწაზე.

ჩვენ გამოვიღეთ თითები ყურებიდან. ყვირილი შეწყდა, მხოლოდ ჰკიდია ჰაერში მძიმე, მომაკვდავი ამოხვნეშა. და მერმე აქ ისევ — მხოლოდ მაშხალები, ყუმბართა სტვენა და ვარსკვლავები — და ეს განსაცვიფრებელია.

ღეტყინგი დადის და იწყებულება: «ერთი ვიცოდე, რა დანაშაული მიუძღვით მათ.» ის მოდის ჩვენთან, მისი ხმა აღელვებულია, იგი თითქმის საზეიმოდ მოისმის, როცა ამბობს: «მე გეტყვით თქვენ, ეს არის უუდიდესი სისაძაგლე, რომ ცხოველები ომში იმყოფებიან. —

★

ჩვენ უკან ვბრუნდებით. დრო არის ჩვენ ავტომობილებთან მივიდეთ. ცა ერთ ბეწოდ უფრო ნათელი შეიქნა. დილის სამი საათია. ქარი ახალია და ცივი, ტყვისფერი დრო ჩვენს სახეთ ნაცრის ფერს აძლევს.

ჩვენ ფთხილად მივბაჯბაჯებთ ბატის სიარულით ოღრ-ოღრ-ოზე და შევდივართ ისევ ნისლში. კაჩინსკი ლელავს, ეს ცუდი ნიშანია.

«რა დაგემართა კაჩ?» ეკითხება კროპი.

«ნეტავი შინ ვიყოთ», — შინ — ის ამბობს ბარაკებზე.

«დიდ ხანს არ დაგეჭირდება მოცდა, კაჩ.»

ის წერვიული ხდება. «არ ვიცი, არ ვიცი — »

ჩვენ მივდივართ სანგრებთან და მერმე მინდორზე, ჩნდება პატარა ტყე; ჩვენ აქ თვითეულ გოჯ მიწას ვიცნობთ; აი იქ არის სასაფლაო ამაღლებული გორაკებითა და შავი ჯვრებით.

სწორედ ამ წუთში ჩვენს უკან სტვენს, ვარდება ალი. სკდება, სუქეს. ჩვენ ვიკუნტებით — ასი მეტრით ჩვენ წინ ამოვარდა ცეცხლის ღრუბელი.

შემდეგ წუთში ტყის ერთი ნაწილი მიფრინავს ჰაერში, ნელიად ხდება მეორე ყუმბარა, სამი-ოთხი ხე ქანაობს და იბნევა ნაფოტებად. უკვე შტვენენ ვით ქვაბის ვენტილები შემდეგი და შემდეგი ყუმბარები — მაგარი ცეცხლი —

«საფარი!», ყვირის ვილაც — «საფარი!» —

მინდორი სწორია, ტყე შორსაა და საშიშიც; არ არსებობს სხვა საფარი სასაფლაოსა და სამარეთ გარდა; ბნელაში ჩვენ შევცვინდით შიგ, ვით მოჩვენება, თვითეული ეხუტება საფლავს გვერდიდან.

ერთი წუთით ადრე არ არის. სიბნელე გადასარეგია. ყველაფერი ირყევა და ტარტმანობს. უფრო შავი სიბნელე, უფრო ძლიერი ვინემ ღამე გვცემს ჩვენ უზარმაზარი კუზით, სცემს ჩვენს იქით. აფეთქებათა ცეცხლი ანათებს სასაფლაოს.

გამოსავალი არსად არაა. ვთამამობ და ყუმბარების აფეთქებისას თვალს ვავლებ მინდორს. ესაა ცეცხლმოდებული ზღვა, ზარბაზანთა ცეცხლი ჰქუხს ვით შადრევანები. შეუძლებელია აქედან ვინმე ცოცხალი გამოვიდეს.

ტყე ჰქრება. მას სთელავენ, ჰგლეჯენ, ნაფოტებად ხდება. ჩვენ აქ სასაფლაოზე უნდა დავრჩეთ.

იხეთქება მიწა. სწვიმს მიწის ნაგლეჯებით. ვგრძნობ მუჯლოგუნს. სახელო მომწყვტიყა ყუმბარის ნატეხმა. ვკუმშავ მუშტს. არავეთარი ტკივილი. ეს მაინცდამაინც

არ მაწყნარებს. ჭრილობა მხოლოდ გვიან იწყებს ტკივილს. ხელს ვკიდებ. გააწოროლი არის, მაგრამ დაჭრილი არა. ამ დროს სტეჟს ჩემი თავის პირდაპირ ისე, რომ თავბრუ მეხვევა. ელვასავით გამირბნის თავში: გრძნობა არ დაჰკარგო!, ვიძირები შავს ნაფხვენში, და მაშინათვე ვიწვევი ზემოდ. ერთი ნატეხი ხვდება ჩემს კასკას, ის ისე შორიდან მოდის, რომ მას ვერ სურის. თვალებიდან მიწას ვიშორებ. ჩემ წინ ამოითხარა ორმო, მე ამას გაურკვევლად ვხედავ, ერთსა და იმავე ორმოში ეგრე ადვილად არ ეცემა ყუმბარა, ამიტომ მინდა მასში ჩავძვრე; ჩერთი გაქანებით მივეშურები წინ, გაშოტვილი მიწაზე ვით თევზი — ამ დროს სტვენს ისევ; სწრაფად მივხახავ, ვეცემი საფარს, ვგრძნობ რალაცას მარცხნივ, ვეკვრები მას, ის ეცემა, მე ვკენესი, მიწა ივლიჯება, პაერის დაწოლა გრგვინავს ჩემს ყურებში, მივძვრები მის ქვეშ რაც ხელთ მხვდება, ვახურავ ყველაფერს თავზე, ეს არის შეშა, ტილო, საფარი, საფარი, უბადრუკი საფარი, ყოველი მხრიდან მცემი ნატეხებისაგან.

ვახელ თვალებს; — ჩემი თითები ჩასუიდებიან სახელს, ხელს. ვინმე დაჭრილი? ვუყვირი მას — არავითარი პასუხი — მკვდარია. ჩემი ხელი ფათურებს იქით, ხის ნატეხი — ესლა ვიცი, ჩვენ ისევ სასაფლაოზე ვწევართ.

მაგრამ ცეცხლი უფრო და უფრო მაგარია ვინემ დანარჩენი ყველაფერი. იგი ანადგურებს გონებასაც; მე მივძვრები უფრო ღრმად კუბოს ქვეშ, მან უნდა დამიფაროს მე, თუნდ თვითონ სიკვდილი მასში იყოს.

ჩემ წინ ითხრება ორმო, მე მას თვალებით ისე ვიჭერ როგორც მუშტებით, უნდა ერთი გადახტომით გავჩნდე იქ. — და ამ წუთს სახეში მხვდება, ვილაცის ხელი მქაჩავს ბეჭებში — ნუთუ მკვდარი გაცოცხლდა? — ხელი მანჯღრევს მე, მოვებრუნე თავი, წამის მოკლე სინათლეში მივშტერებივარ კაჩინსკის სახეს, მას ფართოდ აქვს პირი დაღებული და ჩამყვირის, მე არაფერი მესმის, ის მაქანებს მე, მიახლოვდება; ერთი წამით აღწევს ჩემთან მისი ხმა: «გაზი — გაზი — გაააზიი — გადაეცი სხვებს —!»

წამსვე ამოვძვრე ჩანთა გაზის საწინააღმდეგო ნიღბით... ვილაც წევს ჩემგან მოშორებით. მე სხვაზე არაფერზე ვფიქრობ: იქ რომ არის, მან უნდა იცოდეს: «გაააააზი — გაააზიი —!»

მე ვუყვირი, მივიწვევ წინ, ვურტყავ მას ჩანთას, ის ვერაფერს ამჩნევს — კიდევ ერთჯერ, კიდევ ერთჯერ — ის იკრუნჩხება მხოლოდ. ის ახალგაწვეულია. უნუგემოდ მივჩერებივარ კაჩს, მას უკვე ნიღბი აქვს, მეც ამოვიტაცე ჩემი, კასკა მვარდება, ვიცვავ ნიღბს, ვალწვევ იმ კაცამდე, ახლოსაა მისი ჩანთა, ვსტაცებ ხელს მის ნიღბს, ვაცმევ მას სახეზე, ის ხელს სტაცებს — თავს ვანებებ — და ერთი ნახტომით ვწევარ ორმოში.

გაზის ყუმბარების დახუთული ტკრაცანი ირევა ზარბაზნების ყუმბარათა აფეთქების ქუქაქუხილში. აფეთქებათა შორის მოისმის ზარების ხმა, რახუნი, ლითონზე კაკუნი, ბრახუნი აუწყებენ ყველგან — გაზ — გაზი — გაააზიი —

ჩემს უკან ტყაპანს ადენს რალაც, ერთჯერ, ორჯერ. ვწმინდავ სუნთქვისაგან დაორთქლილ ნიღბის სათვალებს. ესაა კაჩი, კროპი და კიდევ ვილაც. ჩვენ ოთხი ვწევართ მძიმე მოლოდინის დაჰვიმვით და ვსუნთქავთ ისე სუსტად, რამდენათ შესაძლოა.

ეს პირველი წუთები ნიღბით, სწვევტენ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს: არის ნიღბი სქელი? მე ვიცი საშინელი სურათები ლაზარეებიდან: გაზით სნეულნი, მთელ დღეებს რომ პირიდან ნაჯერ-ნაჯრობით დამწვარ ფილტვებს ისროდენ.

პატრონაზე პირდაჭერილი ფთხილად ვსუნთქავ. ესლა მოცოცავს ეს გაზის კვამლი მიწაზე და ეშვება ყველა ჩაღრმავებულ ადგილში. ვით ღბილი, ფართო მცენა-



რე ზღვისა, წვება იგი ჩვენს ორმოში, მოსრიალებს. მე კაჩს ჯლიქვსა ვცემ; უმჯობესე იქნება მალა ავძვრეთ და იქ დავწვეთ ვინემ აქ, სადაც გაზი უფრო მეტად გროვდება. მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვშვრებით: მეორედ ცეცხლის სეტყვა იწყება. ასე ჰგავს, თითქო ზარბაზნები კი აღარ გრიალებენ; ეს ისეა, თითქო თვითონ მიწა ირყევადს.

შხუილით რაღაც შავი მოჰქრის ჩვენსკენ. მიმიედ ჩვენთან ახლოს ეცემა: საფლავიდან ამოვდებულნი კუბო.

ვხედავ კაჩი ინძრევა და მეც მივხზნავ. კუბო დაეცა ჩვენს ორმოში მყოფ მეთხე კაცს, გაშვერილ მკლავზე, კაცი სცდილობს მეორე ხელით ნილაბი ჩამოიგლიჯოს. კროპი დროზე უსწრებს მას, უგრეხს ხელს ზურგისკენ მტკიცედ და იჭერს მაგრად. კაჩი და მე ვცდილობთ მას დაჭრილი მკლავი გავუთავისუფლოთ. კუბოს თავი დაშლილი და დანეთქილია, შეგვიძლია ადვილად მოვვლიჯოთ, მკვდარს ვავდებთ კუბოდან, ის მიგორავს, მერმე ვცდილობთ კუბოს ძირი დავშალოთ.

საბედნიეროდ, ჯარისკაცმა გრძნობა დაჰკარგა. და ალბერტს შეუძლია მოგვეშველოს. ჩვენ აღარ ვსაჭიროებთ დაჭრილს ფთხილად მოვვეკიდოთ და ვმუშაობთ როგორც შეგვიძლია, მანამდე კუბო ერთი ამოხვნეშით არ ნებდება მის ქვეშ შერტობილ ნიბებს.

თენდება. კაჩი იღებს ფიცრის ერთ ნატებს, უდებს მას დამსხვრეული მკლავის ქვეშ და ჩვენ ვუხვევთ მას მთელი შესახვევი მასალით, რაც გაგვაჩნია. ამ წუთში მეტი არა შეგვიძლია რა.

ჩემი თავი ზუის და ბრუ მესხმის ნილაბს ქვეშ, თავი მზადა გასკდეს. ფილტვები დაჯიმული არიან, მათ აქვთ ერთი და იგივე, ცხელი, უკვე მოხმარებული სუნთქვა. ძარღვები გაიბერენ. მგონია ვიხზობი. —

ნაცრისფერი სინათლე მოძვრება ჩვენთან. ქარი ჰქრის სასაფლაოზე. ორმოდან თავსა ვყოფ კიდევ. გასვრილ შემოთენებაზე ჩემ წინ აგდია მოგლეჯილი ფეხი. ჩექმა სავსებით მთელია, მე ვხედავ ამას სრულიად გარკვევით, ერთ წამში. მაგრამ ეხლა რამოდენიმე მეტრის დაშორებით ვილაც დგება ფეხზე, მე ვწმინდ სათვალებს, ის იღრუბლება ისევე ჩემი აღელვების გამო, მე მივშტერებივარ იქით — იქ, კაცი ნილაბს აღარ ატარებს.

რამდენიმე წამს ვიციდი კიდევ — ის ძირს არ ეცემა, ის იყურება, ეძებს, სდგამს რამოდენიმე ნაბიჯს — ქარმა განაპნია გაზი, ჰაერი თავისუფალია — ხრიალით ვიძრობ მეც ნილაბს და ძირს ვეცემი; როგორც ცივი წყალი იჭრება ჩემში ჰაერი, თვალები გასკდომას აპირებენ, ტალღამ წამლევსა მე და ვიძირები უკუნეთში.

★

ყუმბარების ჩამოვარდნა შეწყდა. ვბრუნდები ორმოსაკენ და ხელს ვუქნევ მათ. ისინი მოძვრებიან და იგლეჯენ ნილაბებს. ჩვენ ხელს ვკიდებთ დაჭრილს, ერთს უკავია მისი გაკრული ხელი. ასე სისწრაფით მივფარფატებთ აქედან.

სასაფლაო გადაბრუნებულია; ნანგრევთა ველს წარმოადგენს. კუბოები და მკვდრები გაბნეული ჰყრიან. ისინი ერთჯერ კიდევ იქნენ მოკლული; მაგრამ თვითუღმა მათგანმა, რომელიც დაგლეჯილ იქნა, თვითუღმა ჩვენთაგანი გადაარჩინა.

გალავანი განადგურებულია; სავლე რკინისგზა იქით მთლად ამოთხრილია; დაკლავნილი ფოლადები ჰაერში არიან აშვერილი, ჩვენ წინ წევს ვილაც, ჩვენ ვჩერდებით. მარტო კროპი მიჰყვება დაჭრილს.



ქართული
ლიბრერი

მიწაზე ახალგაწვეულია, მისი თქმის სისხლითაა დასვრილი; იგი ისეა დატყვე-
ლი სისხლისაგან, რომ მე ჩემს საველე ბოთლს ხელს ვავლებ, ჩაი რუჟით მივაწოდო
კაჩი ხელს მიჩერებს და მასზე ილუნება: «სად მოგხვდა, ამხანაგო?»

ის თვალებს ატრიალებს; ის იმდენად სუსტადაა, რომ პასუხს ვერ იძლევა,
ჩვენ ფთხილად ეჭრით მის შარვალს. ის კვნესის. «წყნარად, წყნარად, ეს ხომ
უკეთესი იქნება. — »

თუ მას მუცელში აქვს მოხვედრილი, მას არაფერი დაეღვენება. მას არ ურწყე-
ვია, ეს კარგი ნიშანია. ჩვენ გავატრავლეთ მისი თქმა. ეს არის დაკვილი ხორცი
ძვლები ნამსხვრევებთან ერთად, თქმის თავშია მოხვედრილი. ეს ახალგაზნა ვერასო-
დეს ვერ გაივლის ფეხით.

სოველი თითებით ვუზილაგ საფეტქლებს და ერთ ყლუპს ვაძლევ. მის თვა-
ლებში იწყება მოძრაობა. მხოლოდ ესლა ვხედავთ, რომ მის მარჯვენა ხელსაც სდის
სისხლი.

კაჩი სუიშავს ორ შესახვევ მასალას, რამდენათაც შეიძლება, რომ მით ჭრილო-
ბა დაჰფაროს; ვეძებ ტილოს, რომ მასზე გადავახვიო. ჩვენ მეტი აღარაფერი გვაქვს;
ამიტომ ვსჭრი მის შარვალს, რათა მისი ნიფხავის ნაჭერი როგორც შესახვევი მასალა
გამოვიყენო. მაგრამ მას ნიფხავი არ აცვია. მე მას ახლო ვაკვირდები; იგი არის ის
თეთრთავა, წინად რომ შემხვდა.

ამ დროს კაჩი აძრობს ერთი მკვდარის ჯიბიდან შესახვევ მასალას, რომლითაც
ჩვენ მას ჭრილობას ვუხვევთ ფთხილად. მე ვეუბნები ჭაბუკს, რომელიც ჩვენ დაკვირე-
ბით მოგვჩერებია: «ჩვენ ესლა საკაცეს მოვიტანთ.»

აქ აღებს მაშინ იგი პირს და ჩიფჩიფებს: «აქ დარჩით —

კაჩი ეუბნება: «ჩვენ ესლავე დავბრუნდებით. ჩვენ მოვიტანთ საკაცეს შენთვის»
ვერ გამოიცნობ, გაიგო მან ეს, თუ არა; იგი ჭყავის ბავშვივით ჩვენს უკან: «არ
წახვიდეთ — არ წახვიდეთ» —

კაჩი მიმოიხედავს და ფუჩუნებს: «განა არ უნდა აიღო რევოლვერი, რომ იგი
ჩააჩუქო?»

ჭაბუკი გადაყვანას ვერ გაუძლებს, და სულ ბევრი, ერთი ორი დღე გასძლვს
კიდევ. და სანამ მოკვდებოდეს, ისეთი საშინელება იქნება მისი სიცოცხლე. ის ჯერ კი
დეე გაბრუებულია და არაფერსა გრძობს, ერთ საათში ის გადაიქცევა აუტანელ რკი-
ვილთა გულის შემზარავ ყვირილად. დღენი, სანამ მას სიცოცხლე შეეძლება, ნიშნავენ
მისთვის მხოლოდ ტანჯვა-წამებას. და ვის სჭირდება ეს, ექნებიან მას ეს დღენი თუ
არა —

მე თავს ვუქნევ. «ხო, კაჩ, უნდა რევოლვერი აიღოს კაცმა.»

«მომეცი აქ», ამბობს ის და ჩერდება, მას გადაწყვეტილი აქვს, ვხედავ ამას.
მიმოვიხედეთ — მაგრამ ჩვენ ესლა მარტო აღარა ვართ. ჩვენს წინაშე იკრიბება მთელი
ჯგრაო, ორმოებიდან და ოღრო-ჩოღროებიდან მოძვრებიან თავები.

ჩვენ მოგვაქვს საკაცე.

კაჩი თავს აქნევს. «რა ახალგაზნაა» — ის იმეორებს: «რა ახალგაზნა, უდანაშა-
ულო ყმაწვილია — »

★

ჩვენი ზარალი უფრო ცოტაა ვინემ ეს მოსალოდნელი იყო: ხუთი მკვდარი და
რვა დაჭრილი. ეს იყო მხოლოდ მცირე ცეცხლით თავდასხმა. ორი მკვდარი ორმოში
იყო; ჩვენ გეჭირდება მხოლოდ მიწა მივაყაროთ.



ჩვენ ვბრუნდებით. ჩუმად მივფლაცუნებთ ბატის სიარულით, ერთი შეიშინებულ უკან. დაჭრილები მიიყვანეს სანიტართა სადგურზე; დილა არის არეული, დაჭრილთა მომვლელები ნუმრებიტა და ნიშნებით, დარბიან; დაჭრილები ღმუიან. იწყებს წვიმა.

ერთი საათის შემდეგ მივალწიეთ ჩვენს ავტომობილებს და ავფოფხდით ზედ. ეხლა უფრო მეტი ადგილია ვინემ წინად.

წვიმა ძლიერდება. ჩვენ ვშლით კარავის ტილას და ვიხურავთ თავზე. წყალი ეცემა ზედ და ტყაპუნებს. გვერდებზე ჩადიან წვიმის ცრემლები. ვაგონები ეხეთქებიან ორმოებში და ჩვენ ნახევრად ძილში აქეთ-იქით ვქანაობთ.

ავტომობილში წინ, ორ კაცს ხელთ უჭირავთ გძელი, ჩანგლიანი ჯოხები. ისინი ყურადღებას აქცევენ ტელეფონის მავთულებს, რომელნიც გზაზე არიან გაბმული ისე დაბლა, რომ შეიძლება თავი წაგვწყვიტონ. ორივენი დროულად სწევენ ამ მავთულებს თავისი ჩანგლიანი ჯოხებით და გადააქვთ ჩვენს თავზე. ჩვენ გვესმის მათი ძახილი: «სმენა — მავთული», და მთვლემარენი ჩვენ ვიჩოქებთ და ვსწორდებით ისევ.

ერთხმოვანად ქანაობენ ვაგონები, ერთხმოვანი არის ძახილი, ერთხმოვანად ეცემა წვიმა. ის ეცემა ჩვენს თავებს და იქ, წინ, მკვდრების თავებს, პატარა, ახალგაწვეულის სხეულს ჭრილობით, რომელიც მეტად დიდია მისი თეძოსათვის, ის ეცემა კემერიხის საფლავს, ის ეცემა ჩვენს გულს.

საიღლანაც მოისმის ყუმბარის ჩამოვარდნის ხმა. ჩვენ შევხტით, თვალებს ვაქყეტთ, ხელებს ვამზადებთ, რათა ჩვენი სხეული ავტომობილის კედლებს იქით ქუჩის ორმოებში გადავუშვათ.

მეტი აღარაფერი მოისმის. — მხოლოდ ერთხმოვანი ძახილი: «სმენა — მავთული! — ჩვენ ვიჩოქებთ — ჩვენ ისევ ნახევრად მძინარენი ვართ.

(გაგრძელება იქნება)

რახინდრანათ ტაგორე

ს ა ხ ლ ი ღ ა მ ვ ე ყ ა ნ ა .

(თარგმანი ინგლისურით)

თავი IV.

ნიკილის მოთხრობა.

3

არასოდეს ჩემს გულში ჩახედული არა ვყოფილვარ. ხშირად ვცდილობ გარედან შევხედო ჩემს თავს, — ისე, როგორც ბიძალა მხედავს მე. რა უბადრუკ, დიად სურათს წარმოვადგენ ალბად, ჩემი ჩვეულებით, ყველაფერს რომ მეტად სერიოზულად ვლებულა. ალბად უკეთესია, ეს ქვეყანა სამასხროდ აიღო ვინემ იგი ცრემლებით აავსო. ეს მართლაც ასეა მას შემდეგ, რაც ქვეყანა არსებობს.

ჩვენ ვიტკბარუნებთ პირს საქმელით და ვსიამოვნებთ განცხრომით მხოლოდ იმიტომ, რომ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ, ვით ცარიელ ჩრდილებს, იმ მწუხარებას, ყველგან რომ არის მოფენილი, როგორც სახლში, ისე გარეშე ქვეყანაში. თუ ჩვენ ერთი წუთითაც მას, მწუხარებას, ჭეშმარიტად მივიღებთ, სადღა იქნება ან ჩვენი მადა, ან ჩვენი ძილი?

მაგრამ არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო ჩემს თავს, თითქმის იგი ერთი ჩრდილთაგანი იყო და ამგვარად, მწუხარების ლოდი ჩემი გულის ქვეყანას მუდმივად მძიმედ აწევს.

რატომ არ უნდა გამოვიდე სამყაროს დიდ შარაგზაზე, და ვიგრძნო ჩემი თავი, როგორც ნაწილი ყოველივესი? კაცობრიობის უზარმაზარ, საუკუნოებრივ სრბოლაში, რა არის ბიძალა შენთვის? შენი ცოლი? რა არის ცოლი? უბრალოდ ბუშტი, შენი საკუთარი ჩაბერვით გაბერილი, დღე და ღამ მზრუნველობით ნაგუშაგები და ესღა ის მზად არის გასკდეს ნემსის წვეროს მიკარებაზე.

ჩემი ცოლი, — და ასე, უეჭველად ჩემი! თუ იგი იტყვის: «არა, მე თვით ჩემთვის ვარ,» უნდა ვუპასუხო მე?: «როგორ შეიძლება ეს? განა შენ ჩემი ცოლი არა ხარ?»

«ჩემი ცოლი», — განა ეს საბუთობს ნაკლებ, ვინემ ჭეშმარიტება? განა შეგიძლია დაატუსაღო მთელი პიროვნება ამ სახელის ჩარჩოებში?

ჩემი ცოლი! — განა არ ვესიყვარულეობდი ამ პაწია ქვეყანაზე მას, რაც იყო უუწმინდესი და უუტკბილესი ჩემს ცხოვრებაში და მკერდიდან არ ვიცილებდი მას, რათა მტვერში არ ჩავარდნილიყო? ამ საკუთრებეველის წინაშე რა არ შემიწირავს? — თაყვანების რა საკმეველი, ვნების რა მუსიკა, ჩემი გაზაფხულისა და შემოდგომის რა ყვავილები! და თუ იგი, ჩემი ცოლი, ვით ქალაღდის ნავი მიექანება არხის წუმპე წყალისაგან განა მე არ უნდა...?



მაგრამ აი, აქ არის ისევ, ჩემი განუსწორებელი ზეიმობა! რატომ — ვუმპე? — რატომ — არხი? — ეჭვიანობის დროს გადმოსროლილი უწმაწური სიტყვები ამ ქვეყნის ფაქტებს არა სცვლიან. თუ ბიძალა ჩემი არ არის, — არ არის და გათავდა; და ვერავითარი გაჯავრება, ვერავითარი გახელება და საბუთი ვერ გიშველის დაამტკიცო, რომ იგი არის. თუ ჩემი გული გატყდება — დაე გატყდეს! ქვეყანას ეს არ გააკოტრებს, ვერც თვითონ მე; ვინაიდან ადამიანი უფრო დიდია, ვინემ ის, რაც მას ამ ცხოვრებაში დაეკარგება. თვით ცრემლთა ოკეანეს აქვს ნაპირები, თორემ ისე არავინ იტირებდა...

მაგრამ საზოგადოება ხომ მხედველობაში უნდა მიიღო! მაგრამ ამაზე, დაე თვით საზოგადოებამ იზრუნოს! თუ მე ვსტირი, ვსტირი ჩემზე, და არა საზოგადოებაზე. თუ ბიძალა მეტყვის, რომ იგი ჩემი არაა, რას დავეძებ, სად იქნება ის, ვისაც საზოგადოება ჩემს ცოლს ეძახის?

ტანჯვა უნდა იქნეს; მაგრამ ყოველი ღონისძიებით უნდა დავიცვა თავი თვით-ტანჯვისაგან: მე არასოდეს არ უნდა ვიფიქრო, ჩემი სიცოცხლე კარგავს ღირებულებას იმიტომ, რომ მე მიმატოვეს და ტანჯვას მიმცეს. ჩემი სიცოცხლის სრული ღირებულება არ გაიცვლება ვიწრო ოჯახურ ქვეყანაზე, ჩემი ცხოვრება არაა დამოკიდებული ჩემი პირადი სიამესა და ჰუმუნის მცირე გამარჯვებასა თუ დამარცხებაზე.

დადგა დრო, როდესაც ბიძალას უნდა აეხადო ყველა იდეალური მორთულება, რომლითაც მე მას ვამკობდი. ჩემი სისუსტის ბრალი იყო, რომ მე ასეთ კერპთაყვანებაში ჩავვარდი. მე ვიყავ მეტად ხარბი. მე ბიძალასაგან შეეჭმენი ანგელოსი, რათა თვით ჩემი საკუთარი სიხარული გამეზვიადებია. მაგრამ ბიძალა არის ის, რაც არის. საბრთიყვეა მოველოდე, რომ მან ჩემი სიამოვნებისათვის ანგელოსობა დაიკისროს. ღმერთი სრულებითაც არაა ვალდებული მომცეს მე ანგელოსი, სწორედ იმიტომ, რომ მე წარმოდგენითი სრულყოფის სიხარბე მაქვს.

უნდა შევიგნო, რომ მე ბიძალას ცხოვრებაში მხოლოდ შემთხვევა ვიყავი. მის ბუნებას შეუძლია ალბად იპოვოს ნამდვილი კავშირი მხოლოდ ისეთთან, როგორცაა სანდიპი. ამავე დროს, ყალბ მორცხვობაში, მე არ უნდა მავიღო ჩემი უარყოფა, ვით დამსახურება. სანდიპს, რასაკვირველია, აქვს მიმზიდველი ღირსებანი, რომელთა ზეგავლენა მე თვითონ განმიცდია; მაგრამ ესლა დარწმუნებული ვარ, იგი არ არის უფრო დიდი, ვინემ მე; თუ გამარჯვების გვირგვინი დღეს მას წილად ხვდება, და მე გვერდს მივლიან, გვირგვინის შემთავაზებელი ერთხელაც იქნება პასუსს აგებს.

ამას ვამბობ არა კვეხნით; ნამდვილი აუცილებლობა მაიძულებს ჩემი თავი საშინელ გაპარტახებისაგან დავიფარო, — შევიცნო ყველა ის ღირებულება, მე თვითონ მართლა რომ ვფლობ; ამიტომ, ტანჯვათა საშინელი გამოცდით, დაე მოვიდეს განთავისუფლების სიხარული, — თვით ჩემი თავისადმი უნდობლობისაგან განთავისუფლება.

დაბოლოს მივედი იქამდე, რომ გავარჩიო რა არის ნამდვილად ჩემში და რა არის ჩემს მიერ სულელურად ნაოცნები; მოგებისა და წარალის ანგარიში შედგენილია და რაც დარჩენილია — ეს ვარ მე თვითონ, — არა დასახიჩრებული მე, ჩაცმული ძონძებში და ჰილოფში, არა დაავადებული მე, საინვალიდო დიეტაზე დაყენებული, არამედ სული, რომელმაც გამოვლო უუარესი და ცოცხალი გადარჩა:

ეს-ეს არის ჩემმა მასწავლებელმა გაიარა ჩემს ოთახში, დამადო ხელი მხარზე და მითხრა: «დაიძინე, ნიკილ; დამე შორსაა გადასული!»

მართალია, ისე ძნელი გახდა ჩემთვის დაძინება, — სანამ თვით ბიძალას არ დაუძინია. დღისით ჩვენ გვხვდებით ერთმანეთს და ვსაუბრობთ კიდევ; მაგრამ რა უნდა ვუთხრა მას, ოდეს ჩვენ პირისპირ, ღამის სიჩუმეში ვიმყოფებით? — ისე დარცხ-

ვენლად ვგრძნობ თავს გონებითა და სხეულით.

«როგორ მოხდა ეს ბატონო, რომ თქვენ თვითონ არა გძინავთ?» ვკითხვნი ჩემს მხრივ. ჩემმა მასწავლებელმა ცოტა გაიღიმა, ოდეს მტოვებდა და ამბობდა: «ჩემი ძილის ღამეები გაჰქრენ. მე ესლა მივალწი იმ ხანს, როდესაც ფხიზლობენ.»

ეს დავწერე და მიწოდდა დასაძინებლად წავსულიყავ, როცა ფანჯარით დავინახე, რომ ივლისის ღრუბელთა შიშვე ფარდა უცბად განიყო და ცაზე დიდი მბწყინავი ვარსკვლავი გამოჩნდა. მგონია, ის მეუბნებოდა: — სიზმართა კვანძები იფსკვნებიან, და სიზმართა ქვეყნის კვანძები იგლიჯებიან, მაგრამ მე ვარ აქ მუდმივად, — ქორწინების ღამეთა გარდაუვალი სანთური. —

და უეცრად ჩემი გული აღივსო ფიქრით, რომ ჩემი მარადიული სიყვარული ტკიცედ მიცდიდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, მატერიალურ ნივთთა ფარდის-უქანს; მრავალ სიცოცხლეში, მრავალ სარკეში, ვიხილე მისი სახე, — დამსხვრეულ სარკეებში, ელამ სარკეებში, დატეხილ სარკეებში. როდესაც კი შევეცდებოდი, სარკე იგი საკუთრებდამ გამეხადა და უჯრაში ჩამეკეტა, მაშინ სახის ხილვას ვკარგავდი მე. მაგრამ რაა? რა უნდა ვუყო სარკეს ან მის ანარეკლს?

ჩემო საყვარელო, შენი ღიმილი არ დასჯენება, და ყოველ გარიჟრაჟზე გამოჩნდება იგი ნორჩად, კინოვარის ნიშანით შენს შუბლზე!

— თავის მოტყუების რა ბავშური პირმოთნობაა! — დამცინის ეშმაკი თავისი ბნელი კუთხიდან, — სულელური ტიტინი ბავშოა დასაწყნარებლად! —

შეიძლება ასეა. მაგრამ მილიონი და მილიონი ბავშები მათი მილიონი ჭყავილით, უნდა გაჩუმებულ იქნენ. განა შესაძლებელია, რომ ეს ურიცხვი არსებანი მხოლოდ მოტყუებით იქნენ დაწყნარებული? არა, ჩემს მარადიულ სიყვარულს არ შეუძლია მომატყუოს, ვინაიდან იგი ჭეშმარიტია!

იგი ჭეშმარიტია; ესაა, თუ რატომ ვხედავდი მე მას და ვიხილავ კიდევ ხშირად თვით ჩემს შეცდომებში, თვით ცრემლთა უსქელეს ნისლს იქითაც. ვხედავდი მას და ვკარგავდი მას ცხოვრების ბაზრის ბრბოში, და ვპოვებდი მას ისევ; და მე ვიპოვი მას კიდევ ერთჯერ, თუ სიკვდილის მარყუჟს გავასწრე.

ახ, საშინელო, მეტს ნულარ მეთამაშები! თუ მე შენ ვეღარ მოგსდით შენს ფენტა კვალზე, შენს ნაწნავთა სუნელებზე, პაერში რომ არის გაბნეული, ამის გამო ნუ ამატირებ სამუდამოდ. უპირბადა ვარსკვლავი მეუბნება: ნუ გეშინის. ის, რაც მარადიულია, ყოველთვის უნდა იყოს აქ, ჩემთან.

ესლა წავალ და ჩემს ბიმალას ვნახავ. მან ალბად დაასვენა ბრძოლისაგან დაქანცული სხეული და დაიძინა. დავამჩნევ კოცნას მის შუბლს ისე, რომ არ გავადვიდო, — და ეს იქნება ჩემი თავყვანისცემის ყვავილთ-შეწირვა. მჯერა, სიკვდილის შემდეგ შემიძლია ყველაფერი დავივიწყო, — ყველა ჩემი შეცდომა, ყველა ჩემი ტანჯვა, — მაგრამ ეს კოცნა არასოდეს დამავიწყდება; ვინაიდან კოცნათაგან დაწული გვირგვინი მრავალ რიგრიგობით მშობიარობის შემდეგ, მარადიულ საყვარელს თავს დაედგმება.

როდესაც საათის ენა ახმაურდა და მომესმა ორჯერ რეკვა, ჩემი რძალი შემოვიდა ოთახში. «რას შვრები ძვირფასო ძმაო» წამოიძახა. «შეიბრალე შენი თავი, დაიძინე; ჯავრით ასე ნუ იკლავ თავს; არ შემიძლია შევხედო შენს სახეზე ტანჯვის ასეთ საშინელ აჩრდილს! — თვალები აევსენ მას ცრემლებით და გადმოდინდენ, როცა მე ის ასე მეაჯებოდა. კრინტიც ვერ დაეძარი, მაგრამ ავიღე მის ფერხთა მტკერი და წავედი დასაძინებლად.»

დასაწყისში არ ვეჭვობდი; არც არაფრის მეშინოდა. მხოლოდ ვგრძნობდი, რომ მე ჩემი სამშობლოსთვის თავი გადადებული მქონდა. რა წარმტაცი სიხარული იყო ამ დაუეჭვებელ თავდადებაში. ჭეშმარიტად, წარმომედგინა, თუ ადამიანს როგორ შეუძლია თავისი თავის მოსპობით, უმაღლესი ნეტარება მოიპოვოს.

მგონია, ჩემი სიგიჟე ნელ-ნელ თავის ბუნებრივ დასასრულს მიაღწევს. მაგრამ სანდო ბაბუს ეს არა სურს, ის ჯიუტად თავის თავს ააშკარავებს. მისი ხმის ბგერა გახდა ისეთი ინტიმური, ვით შესება; ყოველი მზერა მისი თითქო ჩემს წინაშე მოწყალეებისათვის მუხლებზე ეცემოდა. და ყველაფერი ამით იწვოდა ვნება, თავისი სიძლიერით ძირიან-ფესვიანად მოგლეჯასა და თმით თრევას რომ მემუქრებოდა.

სიმართლეს არ დავმალავ. ეს ამაფორიაქებელი სურვილი დღე და ღამ მოსვენებას არ მძლევედა. საშინელ მაცდუნებლად მეჩვენებოდა — ჩემში ატეხილი გრივალის. როგორი სირცხვილი იქნებოდა, როგორი საშინელება და როგორი სიტკბოება! ამას თან ერთვოდა ჩემი ყოვლის მძლე ცნობისმოყვარეობა, რომელსაც, მგონია, არავითარი საზღვარი არ უჩანდა. ის, ვის შესახებაც ასე ცოტა ვიცოდი; ვინც, სარწმუნოდ, არ შეიძლება ოდესმე ჩემი ყოფილიყო; ვისი სიჭაბუკეც ბრიალებდა ათას კაცონად, — თქ, რა საიდუმლოებაა მისი მოჩუაჩუხე ვნება, ასე უსაზღვრო, ასეთი მემამოხე!

დავიწყე თავყანისცემის გრძნობით, მაგრამ ამან მალე გაიარა. შევწყვიტე კიდევ სანდოპის პატივისცემა. პირიქით, დავუწყე მას ზემოდან ქვემოდ ყურება. ამის მიუხედავად, ეს ჩემი ხორცისა და სისხლის ჩონგური, გამშვენიერებული ჩემი გრძნობებითა და ოცნებითა, შესვდა მასში ხელოვან მსახიობს. რაა, რომ მე გავურბოდი მის შესებას, და დაბოლოს თვით ჩონგური მეზიზღებოდა; მისი მუსიკა — მუდმივ მომაჯადოებელი იყო.

უნდა გამოვტყდე, ჩემში იყო ისეთი რალაც... როგორ უნდა ვსტქვა?... — რაც მე მასურვებიებდა: ნეტავ მომკვდარიყავ!

ჩანდრანათ ბაბუ, როცა იგი თავისუფალ დროს პოულობს, ჩვენთან მოდის ხოლმე. მას აქვს შეძლება აღამაღლოს ჩემი გონება ისეთ მწვერვალამდე, საიდანაც შემიძლია ერთი წუთით ვიხილო ჩემი ცხოვრების საზღვრები, ყოველი მხრივ გადაშლილი რომ არის; ამგვარად ვხედავ, რომ ხაზები, რომელთაც მე საზღვრადა ვთვლიდი, მხოლოდ წარმოდგენითი იყვნენ.

მაგრამ რად მჭირდება ყველაფერი ეს? განა მართლა მსურს განთავისუფლება? დეე ჩვენს სახლს დაატყდეს უბედურება; დეე, ყოველივე კარგი ჩემში, შეიკუმშოს და გაშავდეს; მაგრამ დეე ნუ დამტოვებს ეს ჩემი სიგიჟე — მგონია ასეთი უნდა იყოს ჩემი ლოცვა.

ჩემი ქორწინების წინ, როცა ჩემს მახლს, ეხლა გარდაცვალებულს, ვხედავდი ხოლმე, სიმთვრალით გადარეულს — თავის ცოლს რომ ამ დამთხვევის დროს სცემდა ხოლმე. და მერმე ტიროდა. თმებს იგლეჯდა, იხვეწებოდა პატიებას. პირობას სდებდა: ერთი წვეთიც აღარ დაელია, და მერმე სწორედ იმავე საღამოს სვამდა

და სვამდა, — ეს მე ზიზლით მავსებდა, მაგრამ ჩემი სიმთვრალე დღეს უფრო სასიამოვნოა. სასმელი არც საშოვნელია და არც დასასხმელი: ის სჩქევს ჩემს ძარღვებში და არ ვიცი, როგორ შევჩაერო იგი.

განა ეს უკანასკნელ ჩემს დღემდე უნდა გაგრძელდეს? ხანდახან ავდგები და ვუყურებ ჩემს თავს და ვფიქრობ, რომ ჩემი ცხოვრება არის სულთამბუთაობის საშინელება, რომელიც უტბად განიფანტება მთელი მისი არასიმართლით. ეს გადაიცი მეტად საშინელ სიმახინჯედ. წარსულთან არავითარი კავშირი არ არის. რა არის იგი, როგორ შექმლო მას აქამდე მოსვლა, არ ძალმიძს გავიგო.

ერთხელ ჩემმა მანლის ცოლმა შემნიშნა მწარე ღიმილით: «რა საკვირველად სტუმარმოყვარე ბძანდება ჩენი ჩოტა რანი! მის სტუმარს ფეხის მოცვლაც არ უნდა. ჩვენს დროსაც იყვნენ სტუმრები, დიად; მაგრამ ასე არა ვყვებოდით თავს, ჩვენი სისულელისა გამო. მარტო ჩვენს ქმრებზე ვზრუნავდით. საწყალი ნიკილი ხარკს იხდის იმისათვის, რომ მეტად ახალდროების კაცია. ის უნდა მოსულიყო სტუმრად, თუ მას დარჩენა სურდა. ესლა კი ისეა, თითქო იგი მალე უნდა წავიდეს... შენ, პატარა ეშმაკო, განა შენი ცქერა, შემთხვევით მაინც, მის ტანჯულ სახეზე არ დავარდნილა?»

ამ დაცინვამ ჩემზე არ იმოქმედა; რადგან ვიცოდი, იმგვარი ქალები სანდიპისადმი ჩემი თავყანების ხასიათს ვერ გაიგებენ. მე მაშინ ჩავიცივი მსხვერპლთ-შეწირვის თავდავიწყების ჯავშანი და მისი დაცინვის ისრები უძლური იყვენ დამცემოდენ და მე შევრცხვინეთ.

8

რამდენი ხანია, რაც ჩვენ ჩვენი ქვეყნის შესახებ საუბარი აღარ გვქონია. ესლა ჩვენი მუსაიფი ეხებოდა ხოლმე თანამედროვე სქესობრივ საკითხებს, და სხვადასხვა თემებს, აგრეთვე პოეზიას, როგორც ძველ ვაიშნავას, ისე ახალს, ინგლისურს. საუბარს თანა სდევს პანგის ძირითადი ხმა, თითქმის ბოხი, ისეთი, წინად რომ არასოდეს გამოგონია, და რომელიც, მგონია, ბგერავს, ვით მამაკაცის ხმა. ხმა სიძლიერისა.

დადგა დღე, ოდეს ყველა ნიღაბი ჩამოვარდა. ჩვენ უკვე აღარ ვმლავედით, რომ სანდიპს ჰქონოდა რაიმე საბაბი მეტ ხანს დარჩენილიყო; ან მე — მქონოდა რაიმე საიდუმლო საუბარის საჭიროება. დაბოლოს, ყველაფერი მაჯავრებდა: ჩემი მანლის ცოლი, მთელი ქვეყანა, და მე აღვთქვი, აღარ გავიდე გარე აპარტამენტში, თუნდ ამისათვის სიკვდილი მომელოდაც.

მთელი ორი დღის განმავლობაში გარედ არ გამოვსულვარ; ვინაიდან მხოლოდ ესლა აღმოვაჩინე პირველად, თუ რამდენათ შორს შევსტოპე. ჩემი ცხოვრება, ვგრძნობდი, შეიქნა მეტად უგემური. რასაც მივეკარებოდი, ყველაფერი მსურდა შორს მეტყობოდა. ვგრძნობდი, რომ ვიცდიდი, მოველოდი — მთელის არსებით — მოველოდი რაღაცას, ვიღაცას; ჩემი სისხლი რეკდა რაღაც მოლოდინით.

ვცდილობდი თავი გამერთო სხვადასხვა საქმით. საწოლი ოთახის იატაკი საკმაოდ კრიალა იყო. მაგრამ დაქინებით, ჩემს თვალ წინ კიდევ უფრო გავაფერიე. საგნები ჩვეულებრივ იყვნენ დალაგებული; მე გავყარე ისინი გარედ და მერმე სხვაგვარად დავაწყე. დღეს ნაშუადღევს დროც ვერ ვიხელთე ნაწნავი გამეკეთებია; სწრაფად შევკონე თმა და წავედი საკუჟნაოში და ვედავებოდი ყველას ყველაფერზე. საკუჟნაოს მარაგი დაცარიელებულიყო და ალბად ბუერი რამ მოიპარეს; მაგრამ მხნეობა აღარ მყოფნიდა ვინმე პასუხისცემაში მიმეცა; რადგან ვფრთხილობდი. არავის გაეფიქრა: «სად იყვნენ თქვენი თვალეები აქამდე?»

მოკლედ, ის პირველი დღე შესწავლილი ვიყავი. შემდეგ დღეს ვცდილობდი წიგნის კითხვაში გავრთულიყავ. რას ვკითხულობდი, წარმოდგენა არა მაქვს; ვიცი მხოლოდ, რომ ფიქრებში გართული, წიგნით ხელში, მივდიოდი დერეფანში, გარეთა ბინისაკენ რომ არის, და შევჩერდი ფანჯარასთან, აივანს რომ გაჰყურებს, რომელიც გამართულია ოთახთა მთელი რიგის გასწვრივ, ჩვენი ოთხკუთხედი ეზოს იქითა მხარეზე. ერთი იმ ოთახთაგანი, ვგრძნობდი, გადავიდა მეორე ნაპირზე და ბორანმა შესწყვიტა მოძრაობა. და ჩემი თავი მეგონა მოჩვენება იმ ბიძალასი, როგორიც ვიყავი ორი დღის უკან, დასჯილი დავრჩენილიყავ დიდებული, სადაც ვიმყოფებოდი და არა მართლა აქ, საიდანაც უაზროდ მუდმივ უნდა მექცია.

როდესაც იქ ვიდექი, დავინახე, რომ სანდიბ ბაბუ თავის ოთახიდან აივანზე გამოვიდა, გაზეთით ხელში. შემეძლო შემემჩნია, რომ ის მეტად ნაწყენი იყო. ეზომ და მოაჯირმა მის წინ, მგონია, გამოიწვიეს მისი გაბრაზება. მან ისე ისროლა გაზეთი, თითქო სურდა მის წინ მყოფი სივრცე დაეგლიჯა.

ვგრძნობდი, ჩემს აღთქმას ველარ შევასრულებდი. ის-ის იყო მინდოდა დარბაზისაკენ წავსულიყავ, როდესაც ჩემს უკან მაზლის ცოლი დავინახე. «ოჰ, ღმერთო, ეს უკვე მეტის მეტია!» — წამოიძახა მან და ჩამიარა. აღარ შემეძლო გარე ბინისაკენ გზა განმეგრძო.

შემდეგ დილას, როცა მსახურმა ქალმა მოიბრინა და მითხრა: — უკვე დროა მარაგი გასცეთ-ო. — გადავუგდე მას გასაღები და ვუთხარი: — გადავიცი ჰარიმატის, მან მოაგვაროს ყველაფერი. — და !დავჯექი ფანჯარასთან, სადაც ინგლისურ საქარგ ნიმუშზე მუშაობა დავიწყე.

მერმე მოვიდა მსახური წერილით. «სანდიბ ბაბუსაგან», სთქვა მან. როგორი უსაზღვრო სითამამეა! რა უნდა ეფიქრა შიკრიკს? გულში თრთოლვა ასტყდა, როდესაც წერილს ვხსნიდი. წერილზე მიმართვა არ იყო, მხოლოდ სიტყვები: საჩქარო საქმეა, ეხება სვადესს. სანდიბ.

საქარგავი გვერდზე გადავადდე. ერთ წამში ფეხზე ვიყავ, ერთ - ორჯერ თმებს ხელი შევაველე სარკის წინ. საპირი, რაც მეცვა, დავიტოვე, გამოვიცვალე ქაკეტი, — ვინაიდან ერთ ჩემს ქაკეტთან მოგონება იყო დაკავშირებული.

უნდა გამეგლო აივანი, სადაც ჩემი მაზლის ცოლი დილაობით იჯდა და ბეტელს სჭრიდა ხოლმე. უარი ვსთქვი, ჩემი თავი უხერხულად მეგრძნო. — საითკენ, ჩოტა რანი, — დამიძახა მან.

— გარე დარბაზისაკენ. —

— ასე ადრე? დილით დარბაზობა? ეეჰ! —

და გავიარე ისე, რომ პასუხი არ გამიცია. ჩემს უკან მან დააღიღინა თავხედური სიმღერა.

(გაგრძელება იქნება)

თ ა მ ა რ ვ ა რ დ ა ნ ი ძ ი ს ა

თ ა თ ქ ა რ ი ძ ი ს მ ო ლ გ მ ა

თ ე ი მ უ რ ა ზ ხ ე ვ ი ს თ ა ვ ი

(«ჯაყოს ხიზნები»-ს შესახებ)

რომელიმე ნაწარმოების დაფასება თავისთავად სუბიექტიურია, — მაგრამ მაინც არის ერთი საზომსაღარი, რომელიც უმრალესობისათვის მისაღები უნდა იყოს: მხატვრული ნაწარმოები პირველად ყოვლისა მხატვრული უნდა იყოს, უნდა გვაძლევდეს სურათებს; შეიძლება ეს სურათები ოცნების ნაყოფი იყოს; შეიძლება სავსებით სინამდვილე იყოს; მკითხველის წინაშე შეიძლება გადაიშალოს: საზოგადოების, ერის, კლასის, წოდების, პიროვნების სურათები. რომანი მწერლობის ამ დარგს ეკუთვნის; რომანში განსაკუთრებული სიძლიერით ცხადდება ეს სურათული მხარე. ამიტომ სავსებ მისაღებად მიმაჩნია რომანის ის განმარტება, რომელსაც პატივცემული კრიტიკოსი ვლ. ბაქრაძე იძლევა.

როდესაც ბ-ნ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნებ»-ს ვკითხულობ: — ძალაუნებურად თვალ-წინ დგება ილია ჭავჭავაძის გმირი: — ლუარსაბ თათქარიძე. ილიამ მკვეთრი სიძლიერით დაგვიხატა ლუარსაბი — ტიპი, მთელი თავისი ფიზიკური, სულიერი, ზნებრივი და ქონებრივი ავლადიდებით. ლუარსაბ თათქარიძე არ არსებობდა, მაგრამ იგი ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებული ცოცხლი ტიპი იყო. ლუარსაბი გამოხატავდა: ბატონ ყმობის სისტემით შექმნილ თავადთა ერთ ტიპს. ვერავინ იტყვის: მთელი თავადაზნაურობა ლუარსაბ თათქარიძეთი იყოს წარმოდგენილი, მაგრამ არც არავის უარუყვია, რომ იგი ამ წოდების შვილი არ იყო; ლუარსაბი უსათუოდ გვაძლევს ბატონყმური დროის თავადაზნაურობის ერთი დიდი ნაწილის სახეს. მაგრამ რომ ეს სახე ყოფილიყო მკაფიო, გამოკვეთილი, მკაცრად მოხაზული და ადვილად დასანახი, ილიამ მისი დახატვისათვის მიმართა ისეთ საღებავებს, რომ შეუძლებელია მკითხველმა ლუარსაბს გულგრილად გვერდი აუაროს.

ლუარსაბი მეტად სასტიკი, მეტად ჭრელი და თვალისმჭრელი საღებავითაა დახატული. ლუარსაბი ზარმაცია — ეს მისი სიზარმაცე უმაღლეს წერტილამდე განვითარებული (ტახტიდან ვეღარ დგება!); ლუარსაბი უჭკუა — ეს იდიოტობამდე დასული (ბუზების თვლა!); ლუარსაბი უფიცია — მისი უფიცობა უსაზღვროა (უცნაურ სახელმწიფოთა ომი!); ლუარსაბი მსუნავია — ეს სიცოცხლეს ასალმებს მას (ცხრა ლიტრა კალმასი!); ლუარსაბი ცრუმორწმუნეა — ეს მისი ველურება (კენჭის ყლაპვა!); ლუარსაბი... — კიდევ შეიძლება ამგვარად დახასიათების გაგრძელება. მოკლედ: ილიამ თავისი გმირის ხასიათის თვითული ხაზი გაზვიადებამდე აიტანა. ამ მხატვრული ხერხის შემწეობით, ილიამ მოგვცა: — ტიპი მხატვრული, შემკრებელბითი ლუარსაბი, რომელშიც ჩვენი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი თავის თავს იცნობდა.

როდესაც მის ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნებ»-ს ვკითხულობ, ვხედავ, რომ აქ



იგივე ხერხია ნახმარი, რაც არის "გაცია-ადამიან"ში. მაგრამ მარტო მსგავსება ამით არ ამოიწურება. თათქარბის საზოგადოებრივი მოდგმა არ მოსპობილა, იგი განაგრძობდა ცხოვრებას. შეიცვალა პირობები, — შეიცვალა ლუარსაბი. ბატონყმური ცხოვრების შემდეგ ხანამ წარმოშვა ახალი ლუარსაბი, რომელიც ყალამს უცდის. შემდეგმა თაობამ კიდევ შემდეგი ლუარსაბი მოგვცა და ბოლოს, ლუარსაბს ვხედავ ჯაყოს ხიზნებში; ეს არის: თემურაზ ხევისთავი, თავადი; მაგრამ შეიძლება ის თავადიც არ ყოფილიყო. არამედ უბრალოდ, გლეხის, მღვდელის, ვაჭარის ან მოხელის შვილი, რადგან ის პირველად ყოვლისა — ინტელიგენცია.

პატივცემული კრიტიკოსი ბ-ნი ბაქრაძე ფიქრობს, რომ თემურაზი ცოცხალი ტიპი არ არის, არამედ მოგონილი და მოჭორილია.

რამდენად სწორია ეს?
ვინ არის თემურაზ ხევისთავი?
ჯავახიშვილი გვაცნობს მას: —

— თემურაზ ხევისთავი, ოცდახუთმეტი წლის ახალგაზნა მოხუცი გახლდათ, — ნათვადარი, ნამამულევი, ნამოღვაწარი და ნავეცილარი. —

ვინ იყო ის?

— სანამ თემურაზი ცოლს შეირთავდა, შეძლებულ მემამულედ ითვლებოდა. მაგრამ შემდეგ, როცა საკუთარი ბუდე აიშენა და საზოგადო საქმეებშიც უფრო ღრმად შესტოპა, მისი მამულიც უპატრონობისა გამო და ჯაყოს წყალობით თანდათან დაილია. უთავბოლო და განურჩეველი ქველმოქმედება, გაზეთის გამოცემა, რჩეულ წიგნების ბეჭდვა, რამოდენიმე ნიჟიერ ჭაბუკის გაზრდა, მარჯვნივ და მარცხნივ დახმარების გაწევა, ხშირი სტუმრობა და პატივი, ღარიბ ნათესავთა შენახვა და კარლია ოჯახი მუდმივ ახალახალ დამატებას მოითხოვდნენ. თემურაზიც ქართლში გათქმულ საყანურებს იქამდის ჰყიდდა ნაჭრობით, სანამ ხელთ არ შერჩა სახლკარი, ბალი, ვენახი და ასოდღე დღიური სახნავი. რადგან მამულის წყარო ჯერ თემურაზის ბედოვლათობით და მერე რევოლუციის წყალობით დაწყრთა და ბოლოს სულაც მოისპო, თემურაზიც და მისი ოჯახიც და საქმენიც ისე დაილივნენ და დადნენ, როგორც ზეთამოლეული ჭრაქი. —

რას აკეთებდა თემურაზი?

— ... ტფილისში მას მოუთმენლად ელოდებოდნენ მკვლე გაზეთი, კოტრი კოლოპერატივი, ძილმორეული კულტურული საზოგადოება. სახალხო სახლი, უფასო კურსები და ათასი უთავბოლო ჩხირკედელობა, ფუსფუსი, ჩურჩული, ლაყბობა და ენისმოსაფხანი ამბავი. —

რა მიმართულებას მისდევდა თემურაზი?

— თემურაზი რწმენით უკიდურესი რადიკალი იყო. თუმცა მუდმივსა და აკტიურ მუშაობას არ მისდევდა. მაგრამ მაინც ერთ ჯგუფში თანაგრძნობის ცხვირი ჰქონდა ჩაყოფილი და ზოგჯერ სახიფათო საქმეშიც ოდნავ თითსაც ურევდა. —

როგორ უვლიდა თემურაზი თავის მამულს?

— თემურაზი თავის ძვირფას ნაძენარის სანახავად როკის ხეობაში არასოდეს ასულიყო... თემურაზი ღალის დასათვლელად და მაზანდის გასაგებად ვერ იცლიდა, ამიტომ ჯაყოს ცნობას უცილობლივ იჯერებდა და ანგარიშსაც ისე მიიღებდა, როგორც მისი მოურავი ჩაუთვლიდა. —

და ჯაყო კი ატყუებდა თემურაზს.

რა მოხელე იყო თეიმურაზი?

— თეიმურაზის კარებს ვეჭილის წარწერა ჰქონდა. ათასში ერთხელ ვინმე ვხვდარეული გაბრიყვებოდა და თეიმურაზს საქმეს ჩააბარებდა. მე რე იმ საქმის პატრონი ჰქონებოდა და თავში ხელს იცემდა. რადგან თეიმურაზი საქმეს კი ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდის არასოდეს მიატანდა... —

თეიმურაზი მცოდნე კაცი იყო; მას ენციკლოპედისტს ეძახდნენ; მაგრამ ეს მისი ცოდნა შეეხებოდა ათასგვარ სხვა საკითხს ვინმე თავის საკუთარ ქვეყანასა და პრაქტიკულ ცხოვრებას. პატ. ბ-ნი ბაქრაძე ფიქრობს: თუ თეიმურაზი ენციკლოპედისტი იყო, ავტორმა რად ჩასჭრა ის ქართულ ისტორიაშიო. ამაში ბ-ნი კრიტიკოსი მხატვრული სიმართლის დაცვას ვერა ჰხედავს, და სწორედ ესაა დამახასიათებელი და მხატვრულად სრულფასოვანებით გამართლებული: რომ თეიმურაზ იყო ყოვლად მცოდნე, ის თავის გახეების ფურცლებზე ზანზიბარის საქმეებს აწესრიგებდა და თავისი ერის ისტორია კი არ იცოდა. აქ თეიმურაზი სისწორით არის დახასიათებული; თორემ იგი თეიმურაზ აღარ იქნებოდა. მას რომ სამშობლოს საქმეები სცოდნოდა და პორტ ჯიბუტის შესახებ კი არაფერი!

და აი: ესლა სდგება საკითხი: არის თუ არა თეიმურაზი ქართული ცხოვრების შვილი? ნუთუ ეს თეიმურაზი მოგონილია?

ნუ დავხუჭავთ თვალებს და თეიმურაზებს საქართველოში ბევრს დავინახავთ. თეიმურაზები ეკუთვნიან არა მარტო თავადაზნაურულ წრეს. არამედ ყველა წრეს, ვინაიდან თეიმურაზი შეიძლება იყოს აგრეთვე გლეხის, მღვდლის ან მოხელეს შვილი. თუ რომელიმე სხვა თეიმურაზს მამულიდან შემოსავალი არა ჰქონდა და გასასყიდი კი არაფერი, ის ცხოვრობდა სხვების ხარჯზე: საზოგადოებას ან პარტიას ან ოჯახს ან მეგობრებს მძიმე ტვირთად აწევებოდა და თავის მოჩვენებით საქმეს აკეთებდა და ვერად წოდებულ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა!

თეიმურაზი იყო განათლებული. ახალი დროის აზრებით აღჭურვილი, მაგრამ ეს ახალი აზრები, ეს მისი — ხალხოსნობა და რადიკალობა — დამყნობილი იყო თეიმურაზის ფეოდალურ ფსიქიკაზე. თეიმურაზმა თვითონვე აღმოაჩინა, თუმცა გვიან, რომ ჩვენ გვკლებია კულტურა, მაგრამ ამის მალამო მხოლოდ სიტყვებისაგან შესდგება. ის ზედმიწევნითი სისწორით ახასიათებს ჩვენს ცხოვრებას, როდესაც ამბობს:

— ჩვენს მამპაპებსაც სძულდათ ფულიანი ხალხი... ამიტომ მოხდა, რომ ფულიანების მახვილს ჩვენ დაფუპირდაპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი. — დენდობა და რაინდობა ესე იგი ფუქსავატური ცხოვრება. მფლანგველობა, ყოყოჩობა, კუდაბზიკობა, ნებამოშლილ ადამიანის უძლური ამპარტავენება და ლატაკის ჭექაქუხილი.

განა ეს სიმართლე არ არის? განა ჩვენი ცხოვრება ამას არ ლაღადებს? ნუ თუ ეს დახასიათება პირადათ თეიმურაზზეა გამოჭრილი? აშკარად არა. ეს დახასიათება ეკუთვნის ჩვენი ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს; მართალია: ამ ინტელიგენციას ჰქონდა ფეოდალური ფსიქოლოგია და ევროპიული მოწინავე აზრები. საზოგადო მოღვაწეობა დიდათ საპატივცემულო საქმე იყო; თავის თავისათვის მოღვაწეობა — დასაძრახი; საზოგადოებაზე ზრუნვა — დიდი სიკეთე; კერძოსთვის ზრუნვა — ბოროტება; თვით ისიც, ვისაც სახლკარი არ გააჩნდა და ჯიბე ცარიელი ჰქონდა, ისიც საზოგადომოღვაწეობდა; ვაჭრობამრეწველობა აბუჩად აგდებული და შრომა, დიად, შრომა სათაკილო; იმის მაგივრად რომ თეიმურაზს საკუთარი ქონებისათვის მოეწყო, კულტურულად მოეწყო და სამაგალითო რამე შეექმნა, ის ლაყბობდა მხოლოდ. —



თეიმურაზი მცოდნე იყო [რამდენი იყო სხვა — უვიცი!]; მაგრამ მისი ცოდნა იყო თეორიული; როდესაც მას შეეკითხებოდნენ მიწის განოყიერების შესახებ, ის ლექციას უკითხავდა ლიბინის კანონისა და გუანას შესახებ.

უნდა გავიხსენოთ თუ როგორ ახსიათებდა არჩილ ჯორჯაძე ქართულ ინტელიგენციას:

— ინტელიგენცია — ეროვნული კულტურის გამომხატველი, ხოლო უძლური; ერთის მხრივ თავის დოკტრინარობით და მეორეს მხრივ კი უნაყოფო თავის უღონობით — ინტელიგენცია უილაჯო მოწამე ხალხის გაჭირვების და ერის განსაცდელისა; ჩვენ... თეორიებში დახელოვნებულნი და სამართლიანობის პრინციპებში აღზრდილნი, ხოლო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი «დახლიდარების» გასახარებლად და ჩვენი გულის გასამხნეველად აბსოლუტებზე და მარადიულის უკვდავებაზე ვმუშაიფობთ... —

და აი, როცა თეიმურაზს ვუბრუნდებით, ვარდგენ საკითხს: განა თეიმურაზი მხატვრული გამოსახულება არ არის ზემოდახსიათებულ ინტელიგენციისა? და ეს ინტელიგენცია ხომ ჩვენი ერის შვილია!

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, როდესაც გაკომუნისტებულმა ჯაყომ ხელისუფლებასთან ერთად, თეიმურაზი საბოლოოდ გასცარცვეს, ის საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა: უმწეო და ულუკმაპუროდ დარჩა. თეიმურაზი არ ურიგდება ბოლშევიკურ რეჟიმს; მაგრამ ეს შეუირიგებლობაც ლაყბობაში გამოიხატება: ლაპარაკობს, არახუნებს სიტყვებს... ბოლშევიკებთან კი მსახურებს, მაგრამ ლაყბობის გამო ითხოვენ. ცოლი კი ეტყოდა ხოლმე:

— ყბედობას ისევ ის სჯობია, რომ ხელი გაანძრიო და ლუკმაპური იზოვნო! —

როცა ყველაფერი დაიწრიტა და თეიმურაზმა ლუკმის შოვნა ველარ მოახერხა, თეიმურაზი გაჰყვა თავის ნამოურავალ ჯაყოს, დასახლდა მასთან ცოლითურთ. ისინი გახდნენ ჯაყოს ხიზნებად; მარგო გახდა ჯაყოს ხასად. როცა თეიმურაზმა შეირყო ცოლის ღალატი, დამნაშავედ თავისი თავი აღიარა და გადასწყვიტა: საკუთარ ფეხზე დამდგარიყო:

— საქმე ათასია; საკომისიო მალაჩია... ან ბაყლეულობის დუქანი... ლიმონადის ან საპნის ქარხანა... ან ერბოთი და ყველით... ვაჭრობა... ან გაკვეთილები, ან პაპიროზის გაყიდვა... —

მაგრამ ეს იყო ცარიელი სიტყვები; საქმის უნარი მას არ გააჩნდა.

თეიმურაზი საკუთარი თვალით დარწმუნდა მარგოს ღალატში; ამის გამო ის ჯაყოს წინამდევ სიტყვათა კორიანტელს აყენებს და ჯაყო მასზე ხანჯლით მიიწევს; რა უნდა ექნა მას შიშველი ხანჯლის წინამდევ? ტრადიციული ვითარებაა: ჯაყოს ამშვიდებდა!

პატ. ბ-ნი ბაქრაძე სწერს ამ სურათის შესახებ, თითქო ავტორმა აქ მხატვრული ტაქტის უქონლობა გამოიჩინა. ვფიქრობ: პირიქით — აქ სავსებით დაცულია იგი. აქ: თეიმურაზი — უნებო და მოლაყბე, — უხეში ძალის წინ მარცხდება. თეიმურაზი იბრძვის კიდევ: როცა მას ჯაყო სახლიდან აგდებს, ის ჯაყოს ხანჯალს ცეცმა, მაგრამ ჯაყოს მაგარი მკლავები მას კიბეზე ჩაუშვებს; აქ იმარჯვებს შიშველი ძალა!

შეძრწუნებული თეიმურაზი უთავბოლოდ გარბის და ტბას როცა უახლოვდება, შიგ გადავარდება. რა უნდა მოვთხოვოთ მეტი ჩვენს უილაჯო. უნებო და გაცვეთილ თეიმურაზს?



ჩვენი პატივცემული კრიტიკოსი ვლ. ბაქრაძე შეწუხებულია იმის გამო, რამდენადაც ავტორმა არ დაახწია თავისი გმირი თეიმურაზი. ჩვენი კრიტიკოსი მხატვრულ კმაყოფილებას იგრძნობდა, რომ თეიმურაზს ასე დაესრულებია თავისი უნიადგო სიცოცხლე; მაგრამ თეიმურაზი ხომ თეიმურაზი აღარ იქნებოდა, რომ მტკიცე ნება გამოეჩინა: აქ თეიმურაზი თავის თავს არ ღალატობს; არც ავტორი ღალატობს მას.

თეიმურაზი გადარჩება და, როდესაც მარგო მის სანახავად მიდის, იგი მას ლაწმდავს და შემდეგ მასვე პატივებსა სთხოვს. მაგრამ უბედურება ამით არ სრულდება.

ჯაყოს სურს ეხლა თეიმურაზის ცოლი შეერთოს. თეიმურაზი თანხმდება; რატომ? იგი ასე განმარტავს ამას:

— არც შენ მოინდომებ, აღარც ჯაყო დამანებებს შენს თავს... მე ამ ქვეყნისა აღარა ვარ... აღარც ის არსებობს ჩემთვის. ორთავენი ერთმანეთისათვის მკვდრები ვართ. —

ჯაყოსა და მარგოს ქორწინება თეიმურაზისათვის უმაღლესი უბედურების მიღწევა იყო. თეიმურაზი თვით ესწრება ჯვრისწერას და თავის პიროვნების შესახებ ასე მსჯელობს:

— არც კბილები გაქვს საგლეჯად. არც მკლავი მოსაქნევად და არც ხმა შესატევად... ვაქკაცობის აღარაფერი გაცხია... —

ქორწილის დროს თეიმურაზი ჯაყოს თავისი ფილოსოფიური მსჯელობით ემუქრება [სამართალი ურმით დადის!]; და თეიმურაზი მიდის ადგილის საშოვნელად, საკუთარი გზის გასაკაფად, მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ უკანვე ბრუნდება:

— აი, ხომ მხედავ, ქაილით წავედი და გა...სრესილი დავ...ბრუნდი... დავმარცხდი. ყველგან და ყველაფერში დავმარცხდი...

მეგობარი ურჩევს მას სოფლის კოლპერატივში ჩადგომას ან მასწავლებლობას. და იცით? თეიმურაზი ამანვე უპასუხებს:

— მაგრამ ჩემი ძალა, ცოდნა და გამოცდილება ეგრე რიგად როგორ უნდა დ... დავახურდავო, რომ იგი სოფლის კოლპერატივს ან სკოლას შ...შევეწირო? —

მაგრამ დაბოლოს, გამოსავალი აღარ რჩება და თეიმურაზიც დგება კოლპერატივში ნოქრად, საიდანაც თავის საყვარელ მარგოს ხშირად უყურებს.

ჩვენი პატივცემული კრიტიკოსი ვლ. ბაქრაძე არდგენს საკითხს:

«თუ თეიმურაზი გამოყვანილია, როგორც ტიპი ქართული ინტელიგენციის, ჩვენი ვფიქრობთ, სიყალბეა და ცილისწამება»-ო.

ნუ თუ?

არსებითად: რანი არიან დამახასიათებელი თვისებანი თეიმურაზისა?

თეიმურაზი განათლებულია; მისი განათლება თეორიულია და არც ენება საქართველოს ცხოვრებას;

თეიმურაზი უპრაკტიკოა და ნამდვილი ცხოვრების არაფერი ესმის;

თეიმურაზი მეოცნებეა; ის აწესრიგებს საერთაშორისო საკითხებს, მაშინ როცა თავისი საქმე ვერ მოუგვარებია;

თეიმურაზია ფუქსავატი; მას ღირებულების მქონე არაფერი შეუქმნია და მისი საზოგადო მოღვაწეობა არის ჩხირკედელობა პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება.

თეიმურაზი მეურნულ უნარს მოკლებულია; თავის ქონებას ვერ უვლის და საზოგადოებაზე ზრუნავს;

თეიმურაზს არ უყვარს სისტემატიური შრომა; უღისციპლინოა; დარდიმანდი;



თეიმურაზი არის მფლანგველი. არავითარი ნივთიერი სიკეთე მის მიერ არ იქმნება. ის სახალხო მეურნეობის მანარალებელია;

თეიმურაზი არის თავის თავზე დიდი წარმოდგენის, არის ყოყობის გამომხატველი და ქვეყნის «ამშენებელი»;

თეიმურაზი არის პოლიტიკაში მოლაყბე, მეოცნებე და ბეცი;

თეიმურაზი არის უნებო ან მეტად სუსტი ნების, ნაზი და გაცვეთილი, ბრძოლა უნარსმოკლებული, მოქაქანე და ყბედი.

[«ჩვენ რაც ვართ, გაკეთებული ვართ... ჩვენ დონდლონი, დუნენი (ვართ)... ჩვენ ხედვად და სმენად უღონი ვართ...» იხ. ჭავჭავაძის გმირი ინტელიგენტი: «თათარანთ ქერიე»ში: არჩილი].

თეიმურაზს კარგი თვისებებიც ბევრი აქვს, მაგრამ მად არ ვეხებით.

ვის ეკუთვნის თეიმურაზი? უსათუოდ ქართულ ინტელიგენციას, და თვითონ თეიმურაზი კი არის: წარმომადგენელი ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილისა. ეს ის ინტელიგენცია არის, ლუარსაბ თათქარიძის მოდგმას რომ ეკუთვნის, — არა წოდებრივად, რასაკვირველია, არამედ ფსიქოლოგიურად. თეიმურაზი არ გამოხატავს მთელად ქართულ ინტელიგენციას, არამედ მის დიდ ნაწილს, რომელიც ასე სასტიკად დაახსიათა არჩილ ჯორჯაძემ.

ჯავახიშვილი საგანგებო მძიმე და შავი საღებავით ხატავს თეიმურაზს, — ტიპიურ წარმომადგენელს ქართული ინტელიგენციისა, რომელშიც მისი უარსაყოფი თვისებანი უმწვერვალესობამდე განვითარებული არიან. ამ შემთხვევაში ნახმარია იგივე ხერხი, რაც ლუარსაბ თათქარიძის შექმნის დროს. თეიმურაზს ხევისთავი პირადათ ალბად არც არსებობს, მაგრამ თეიმურაზში თავმოყრილია ყველა ის თვისება, რომელიც ჩვენი ინტელიგენციის დიდ ნაწილს ახსიათებს, და ეს თვისებანი მკაცრად, საშინლად, მკვეთრად, დაუზოგველად ტკივილებამდე არიან გამოკვეთილი: სხვა პირობებში თეიმურაზს ასე მკაფიოდ ვერ გავიცნობდით; ის მეტად ნათლად და ცხადათ გამოჩნდა სწორედ ბოლშევიკურ რეჟიმში, რომელიც გამოიკვდა, ეგზამენი არის არა მარტო თეიმურაზებისათვის, არამედ მთელი ერისათვის.

დაბოლოს, თეიმურაზი ცხოვრებაში ფეხს იკიდებს: კოლპერატივში ნოქრად დგება.

ისწავლის თეიმურაზი ცხოვრებას? — უსათუოდ. მაგრამ იგი საქართველოში როლს ვეღარ ითამაშებს. თეიმურაზის თაობა ბუნებრივად ჰკვდება. მოდის ახალი თაობა: — მტკიცე ნებიანი, საქმიანი, მშრომელი და პრაქტიკულ ცოდნიანი... აზიური ხასიათის მატარებელი და ევროპიული განათლების თაობა თეიმურაზთან ერთად ჩაბარდება წარსულს. მოდის ევროპიული ხასიათისა და განათლების თაობა. ეს თაობა გამოვა ნაწილობრივ ემიგრაციიდან და უმთავრესად იმ უხემ მუხრუჭიდან, რომელსაც ბოლშევიზმი ჰქვია.

თეიმურაზი ნამდვილი მოვლენაა, ჩვენი ცხოვრების შვილია, და ამგვარად, ადვილად განიმარტება ბნ ბაქრაძის გაუგებრობა:

«როგორ მოახეხა ავტორმა... რომელმაც შექმნა ისეთი ყალბი, მკრთალი და უსიცოცხლო ტიპები, როგორც თეიმურაზი და მარგო, როგორ მოახერხა მან ისეთი მხაცვრული ტიპის შექმნა, როგორც ჯაყოა. ეს ალბათ საიდუმლოებას შეადგენს მისი მხატვრული შემოქმედებისა.»

ასეთი საიდუმლოება, რასაკვირველია, არ არსებობს: ყველა მომქმედი პირი ცხოვრებისა და მხატვრული სიმართლით არის გადმოცემული.

ი. მანჭკავა

მ რ ი ს მ ა რ ი ა რ ე მ ა რ კ

მთელი საზოგადოებრივი აზრი ალაპარაკდა რემარკეს წიგნზე. ეს წიგნი ყველა ევროპიულ ენაზე ითარგმნა და ათიათასობით გავრცელდა; არც ერთ მწერალს ასეთი ყურადღება არ ღირსებია. ასე უცბად. ასე დროულად.

ლიტერატურული ქვეყნისათვის უცნობი ერის რემარკე — ერთად ერთი წიგნის ავტორი — მოულოდნელად შეიქმნა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ყურადღების ცენტრი.

«დასავლეთით ახალი არაფერია» — ასეთია სათაური რემარკეს წიგნისა. მე ვამბობ «წიგნისა», რადგან ეს არც რომანია, არც მოთხრობა, არც მემუარები. არა, ეს სულ სხვაა. ეს უფრო ლირიული პოემაა პროზად, ვინემ რომანი. რემარკეს წიგნს ზუსტად არც ერთი ლიტერატურული კვალიფიკაცია არ უდგება. ესაა ავტორის პირადი განცდანი, ხალასი და გულწიფელი განცდანი. ყოველგვარ ხელოვნურ საღებავისა და შემუშავებულ გეგმის გარეშე. უფანტასტიკო, უნილაბო, უავანტურო. აქ მოცემულია ომის სურათები ისე, როგორც ეს იყო ნამდვილად. აქ: ომის საშინელების ყოველი მოვლენა გაშიშვლებულია ძირამდე, მთლიანად, მთელი სისხავსით და სრული არსებობით.

ომზე ბევრი რომანი დაიწერა მოფიქრებული გეგმით, მთლიანი ფაბულით, პროპაგანდული მიმართულებით, ფანტასტიკით და ავანტურით. მარა ასე არავინ შეხებია ამ დიდ მოვლენას.

ანრი ბარბიუსის «ცეცხლი» და როლან დორჟელესის «ხის ჯვრები»ც ომს ეხება, ომის საშინელება და კომმარია აქაც დახატული; მარა თქვენ ვერ იგრძნობთ აქ განცდათა იმ სიმწვავეს, ადამიანი რომ სიკვდილთან პირისპირ სდგას. ბარბიუსის «ცეცხლი» პაციფიურ ჟანრზე აგებული, პროპაგანდული ფელოტონებია უფრო, ვინემ ხელოვნური ნაწარმოები. დორჟელესის «ხის ჯვრები» ნიჟიერადაა დაწერილი, მარა აქ არაა ის გენერალური ხაზი, რომელიც იღებდეს ამ უაზრო ტრადედიას ომს, — ომს, როგორც ბოროტებას თავის თავად. აქ ერთი ჯარისკაცი ლაპარაკობს: «მე გამარჯვებას იმას ვეძახი, რომ ცოცხალი გადავრჩი»; ან მეორე ადგილი: როცა ჯარმა სოფელში ჩაიარა, ორი მოქალაქე ამბობს: «დიალ, ჩვენ გავიმარჯვეთ» აქ პატარა ეპიზოდებია ომიდან და ცხადია: შთაბეჭდილება ვერ იქმნება მთლიანი, დიდი, იმაზე, რაც იყო. აქ ომის სურათების ნატეხებია და არა ომი და მისი განცდა. ალ. არნუს «კაბარე» და ფლ. შარპანტიეს «ურაგანა»-იც ომზეა დაწერილი, მარა იქაც იგივე ეპიზოდებია მოცემული. აქ, ყველგან ომის გარეგნული და ნაწილობრივი სილუეტია მოხაზული, ვინემ შემოქმედებითი სუნთქვა.



ფრანგი კრიტიკოსი პ. მილი სხვანაირად ფიქრობს: მისი აზრით: მხოლოდ სხვა მოდასახელებული ფრანგული რომანები იძლევიან დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ ანალიზებს თმის შესახებ. სხვა რომანებში, განსაკუთრებით გერმანულში, (აქ იგი რეზარკსაც გულისხმობს), არაა ის მთავარი, რაც არის ფრანგულში ე. ი. არაა მოცემული თმი ყველა მისი დამახასიათებელი ხაზებით და ფსიქოლოგიური ანალიზებით. იგი სწერს:

«მაგრამ ამ გერმანულ რომანებში, ომზე არავითარი ლირიზმი არაა. გამოფენა სილატაკის, სასომხიდილობის, «სარგებლიანობის» გრძნობის, რომელიც სულ იზდება და არავითარი შემოქმედება. «დოკუმენტები» მართალია, შეიძლება მეტიც იყოს. მარა ეს არ იძლევა შემოქმედებას. ეს იძლევა მხოლოდ დოკუმენტებს. ეს განსაკუთრებული სიძლიერით მოსჩანს რემარკეს, დასავლეთით ახალი არაფერია»-ში»

ეს შეხედულება მცდარია ძირეულად. თავიდან ბოლომდე. და ამას დაერწმუნება ყველა, ვინც რემარკეს წიგნს წაიკითხავს. ეს არის ერთი მთლიანი ტილო, სადაც ნათელი ფერებით, მძლავრი და მძიმე ხაზებით გამოკვეთილია ყველაფერი ის, «რაც თმმა გაანადგურა ან მის ყუმბარებს გადაურჩა». მართალია, თხუზულება ომის წინაღმდეგ არის მიმართული, მარა ისეთი ხელოვნური ოსტატობით და ბუნებრივობითაა შესრულებული ყველაფერი ეს, რომ თქვენ გრძნობთ მხოლოდ ამას. აქ მთელი თხუზულების გასწორვ ვერ შეხვდებით პუბლიცისტურ მონალოგებს, როგორც ბარბიუსის რომანში, სადაც იმის მტკიცებაა, რომ ომი ცუდია. არა, იქ მოცემულია ომის მთლიანი სურათი, ომი, როგორც იყო თავის თავად, და გრძნობთ, რომ ეს საშინელებაა, ბოროტებაა. რემარკეს ხელოვნური შემოქმედების გამარჯვება სწორედ აქაა.

რემარკე სწერს:— სადათ, უბრალოდ, ძალდაუტანებლად. ამ ვეებერთელა პოემეში, სადაც ყველა სახე ლირიულ ასპექტში ტყდება, არაა ერთი ყალბი ხაზი, ხელოვნურ ოსტატობით ან მძიმე ნაზრევით გამონაწერი. აქ ყოველი წინადადება, ყოველი სიტყვა შესატყვისია. სიტყვა ფარავს არსის მოცულობას, წინადადება სახის შინაგონობას და პირიქით. მკითხველს ეჭვიც არ მიაქვს ამ ლირიულ აღსარებაზე. აქაა წრფელი და უზადა განცდანი, ხალასი და სუფთა. აქ: ყოველი განცდა უდიდეს ტკივილებამდეა დაყვანილი. ეს ტკივილები მოდის საგნისა და მოვლენათა შინაგონიდან, ამას ვერ ხედავთ, მარა გრძნობთ. აქ: ყოველი სახე ბუნებრივობით იჭრება შთაბეჭდილებაში, როგორც ზღვა, როგორც სინათლის მონაშუქი, როგორც შუადღის სიცხე აღმოსავლეთში. ასე გგონია, დიდი მიწისძვრისაგან ვეებერთელა მთა გასკდა და მღვრიე შადრევანი გადმოიღვარა. ასე ნათელი და ბუნებრივია რემარკეს ლირიზმი.

რემარკეს თხუზულება თავიდან ბოლომდე ლირიზმია.

ლირიზმი ყოველთვის პოეზიაში იყო გაბატონებული. ამ ბოლო დროს იგი პროზაშიც მძლავრად იჭრება. აქ არაა მომქმედ პირების დახასიათება და ჩამოკვეთა, მათი დაპირდაპირება ერთმანეთთან ან გარემოსთან, მოქმედებით, აზრით, ფსიქოლოგიით, შეხედულებებით. არაა ავანტურა ან სხვა რაიმე კვანძი, რომელზეც ჩვეულებრივ შენდება პროზა; აქ ფაბულა არაა, ფაბულა დღემდე გაგებელი, სამაგიეროდ აქ ფაბულა არის მთელი სურათი! ლანდშაფტი აქ მწერლის შინაგონობაა, გარემო კი ნედლი მასალა. ეს სრულიად თავისებური მიმართულებაა მწერლობაში ფორმის მხრივ. ამ ფორმითაა დაწერილი რაბინდრანათ ტაგორეს «მებაღე»; ასე სწერდა ჯოლა ლომთათიძე. (უბის წიგნში, სახეობელაზე, თეთრი ღამე.) ლომთათიძის მთელი შემოქმედება ლირიული პროზის ფონზე იშლება.

ლიტერატურის ისტორიამ არ იცის არც ერთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ასეთი თავისებურობით სახავდეს ამ უდიდეს საშინელებას.

«გრიგალისებური ცეცხლი, შემაჩერებელი ცეცხლი, მინა, გავი, ტყვიათფრქვევი, ხელით სატყორცნი ყუმბარები, — ეს სიტყვებია და მხოლოდ სიტყვები, მაგრამ იგი შეიცავს მსოფლიო სევდას. ჩვენი სახე დაიფარა ტალახით. ჩვენი აზრები დაბნეულია. ჩვენ სასიკვდილოდ დავიდალეთ; როცა შეტევანზე უნდა წავიდეთ, ზოგიერთები მუშტით უნდა შევანძრიოთ, რომ გამოფხიზლდენ და წინ წავიდენ. ჩვენ თვალები დაბნელებული გვაქვს. ხელები დაჩხვლეტილი. წვივებიდან სისხლი გვდის.»

«გადის კვირეები, თვეები, წლები; მომაკვდავთა უფერულ სახეებში ვხედავთ, როგორ მიდის დრო ჩვენს ახლო... ჩვენ ვუკამთ, ვსვამთ, მივრბივართ, ვსტყორცნით ყუმბარებს, ვისვრით, ვკლავთ, ვწევებით. ჩვენ დავსუსტდით და დავჩლუნგდით. ჩვენ მარტო ის გვამაგრებს, რომ აქ ჩვენზე უფრო სუსტებია; უფრო დაჩლუნგებულნი, უფრო უმწონი, რომლებიც ღია თვალებით გვიცქერენ ჩვენ, როგორც დმერთებს, რომელთაც შეგვიძლია სიკვდილს გავქეცეთ.»

სურათი მძიმეა. სანამდე შეიძლება ადამიანი მივიდეს. ეს დაჩლუნგებულნი, სულიერად და ფიზიკურად დანგრეული ხალხი იბრძვის მაინც. იბრძვის, რადგან — თუ მოწინააღმდეგეს არ მოკლავენ, ის მოკლავს მათ. მხოლოდ თავდაცვის ინსტიქტი ამოძრავებს მათ. ამ ინსტიქტს ინერციით მიყვება ეს მანეკენთა არმია. ეს სრულიად უბრალო სურათია, რომელიც ომში მონაწილემ ნახა და განიცადა. მარა ამ უბრალო სურათს იქით არავის გადაუხედია. რემარკმა ამ უბრალო სურათს შორს ჩააყოლა თვალი და ავტორთან ერთად გრძნობთ უდიდეს მორალურ ტკივილს.

«მე ახალგაზდა ვარ, ოცი წლის, მარა ცხოვრებაზე მე ვიცი მხოლოდ საშინელება, მხოლოდ სიკვდილი და შიში, უაზრო მწუხარება და წამება... ბევრი წლების განმავლობაში ჩვენი საქმიანობა იყო მხოლოდ მოკვლა. ეს იყო ჩვენი მთავარი ხელობა. ჩვენი ცოდნა ცხოვრებისა განისაზღვრება მხოლოდ მოკვლით. რა იქნება შემდეგ? რა გამოვა ჩვენგან?»

ასე მსჯელობს პაულ ბოიმერი. იგი მეტად ღრმა და საინტერესო საკითხს აყენებს; დასკვნაც დამაფიქრებელია. ძველი თაობა, რომელიც ომის აპოლოგეტი იყო, განწირულია თავის თავად. მარა ახალი თაობა, რომელიც ომმა ჩაითრია, დაიღუპა ახალი ცხოვრებისათვის, რადგან მისი შინაგანი არსება და ძირითადი ხელობა — მოკვლა; ომმა ადამიანთა მილიონები იმსხვერპლა: მილიონები დაასახიჩრა, მარა, ვინც გადარჩა, ისიც უფარგისია. სულიერად დანგრეული, გამოფიტული, დაღლილი.

«როგორი სისულელეა ყველაფერი, რაც ამდენ ხანს იყო დაწერილი, თუ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო! ყველაფერი სიტყუა და სისულელე, თუ ათასი წლების კულტურამ ვერ შესძლო წინააღმდეგობა ამ სისხლის ტბებს.»

ამას ამბობს ბოიმერი; ღრმა აზრია ამ სიტყვებში, მარა ასე მსჯელობს ყმაწვილი, რომელის სული სუფთაა და რომელის მორალი ქალწულებრივი. აქ აზრი უკომპრომისოა. საზოგადოთ ასე არ მსჯელობს ცხოვრებაში ჩანდელი ხალხი. ასეთ საკითხს გვერდს უვლიან ან კომპრომისს აკეთებენ საკუთარ თავთან. მარა ბოიმერი ხომ ყმაწვილია; ცხოვრებაში როცა უნდა ჩაეხედა, მაშინ ეს უბედურება დაატყდა თავს, მას და მის თაობას. რემარკმა დიდი ვირტუოზობით დახატა ის სულიერი განადგურება, რომელიც ომმა გამოიწვია.

დღეს მთელი კულტურული კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი ომის წინააღმდეგია;

მხალავი გაზები დღესაც ამძიმებს ჰაერს;

განაბრძოლებ ველზე ისევ თოფისწამლის სუნია დარჩენილი;

მილიონ დასახიჩრებულ ცოცხალ ადამიანთა სახეები ყოველ დღე ანახლებენ
განსახებაში იმ საშინელ და ტრადიულ სურათებს ომის შესახებ, რომელსაც მომავალ
ლი თაობა ძნელად წარმოიდგენს;

დღეს ომის საწინააღმდეგო ბრძოლა გამართული.

ამ საერთაშორისო საზოგადოებრივ განწყობილებას უთუოდ ჰქონდა ერთგვა-
რი მნიშვნელობა იმ ტრიუმფში, რომელიც წილად ხვდა რემარკს.

რემარკეს წიგნში გრძობ სევდას, სევდას, სასოწარკვეთამდე რომ მიდის. სად
იყო ამდენი სევდა და ბოღმა! ყოველი სტრიქონი ბოღმისა და სასოწარკვეთის სურნე-
ლებითაა გაჟღენთილი! თუ არა ომის მონაწილე, სხვა ვერ დასწერდა ამას. ერთია, რო-
ცა ამბავი იცი... ეს ძალიან ცოტაა... სულ სხვაა, როცა საკუთარი ნერვების ასპექტში
გაიარს იგი; სულ სხვაა უშუალოდ შეგრძობა რაიმე მოვლენის და უშუალოდ განცდა.
რემარკე ერთი იმ პირთაგანია. რომელმაც საკუთარ მხრებზე გამოსცადა ომის საშინე-
ბის სიმძიმე. ამიტომაცაა მისი აღსარება გულწრფელი, მისი განცდები ხალასი...

რემარკეს წიგნი ხელოვნების მხრივ უნაკლოდ არაა შესრულებული. არის ალ-
აგ-ალაგ სუსტი ადგილები. ჩემის აზრით, ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან თემა ისე
დიდია, ისე გრანდიოზული, რომ ამის ასე დაძლევა დამწყები მწერლისათვის — ესაა
უდიდესი და წარმოუდგენელი გამარჯვება. ეს სუსტი ადგილები თქმის შეუმჩნევე-
ლია მთელი მოთხრობის გასწვრივ. იგი იფარება მოულოდნელი სახეების ვირტუოზული
მოხაზვით. აზრის სიღრმით, განცდების სიჭარბით, სისადავით, უბრალოებით, გულ-
წველობითა და ბუნებრივობით.

ერის რემარკემ მეტიც რომ არაფერი დასწეროს, ლიტერატურის ისტორიაში
იგი დარჩება უთუოდ დიდი მწერალი, რომელმაც სისხლისა და რკინის ეს კოშმარუ-
ლი ორგია დიდი ოსტატობით დახატა...

ამ წიგნს მომავალ მოდგმათა ყველა თაობა დიდის ინტერესით წაიკითხავს.

პარიზი

მ. წულუკიძე

ილია და აკაკი

(პროფილი)

ამბობენ: — უბედურებაა, როდესაც ორი ან რამოდენიმე ეპოქალური პიროვნება ერთსა და იმავე დროს ცხოვრობენ და ერთსა და იმავე დარგში მუშაობენ: — მათ შორის ჯიბრს, ჭიდილს პირველობისათვის პირადულ ნიადაგზე ბრძოლის ხასიათი ეძლევა, ამაში დიდი დრო, დიდი ენერჯია იხარჯება, მომქმედ პირების შემოქმედებრივი ძალა იჩაგრება, საზოგადოებრივი ატმოსფერო იწამლება, — ერის კულტურის წინმსვლელობა ფერხდება. ეს არ არის მართალი.

ისტორიამ ორივე ხასიათის მაგალითები იცის: — ისტორიულ პიროვნებათა ეთანხმებული მუშაობის და მეტაქეობისა პირველობისათვის. დრო, სინამდვილე — ცხოვრება ხან ერთს ამართლებს, ხან მეორეს, ერთსაც იტანს და მეორესაც, იმისდამიხედვით, თუ რომელი ესაჭიროება მისი მსვლელობის ხაზს.

საუკეთესო მაგალითებია: გოეთე და შილლერი გერმანიაში, აკაკი და ილია საქართველოში.

პირველთა შეთანხმებულმა მუშაობამ და მეგობრობამ მისცა გერმანელ ხალხს «ფაუსტი» — ეს კაცობრიულ კულტურის სიამაყე და შილლერის საუკეთესო დრამები. ორი დიდი ქართველის განცალკევებულ, დამოუკიდებელ მუშაობამ და ჯიბრმა დაუტოვა ქართველ ერს; «თორნიკე ერისთავი» და «განდევილი», «ნათელა» და «დიმიტრი თავდადებული», «ბაში აჩუკი» და «ოთარანთ ქვრივი».

გოეთემ და შილლერმა შეჰკრეს გერმანია: — კულტურული საფუძველი ჩაუყარეს მის პოლიტიკურ გაერთიანებას; ილიამ და აკაკიმ ჩამოასხეს მათ შემოქმედებაში მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სახე.

გერმანელ მწერლებს ერთი მიზანი ჰქონდათ და ერთი გზა, ქართველებს — ერთი მიზანი, გზა სხვა და სხვა.

შილლერმა პირველმა გადასდგა ნაბიჯი დასაახლოვებლად: იცნო მისი ოლიმპიელობა, იწამა მისი უფროსობა.

«გოეთეს სული იპყრობს ყველას, ვინც მასთან ახლოს არის». «მას, როგორც იულიუს კეისარს შეუძლია ერთსა და იმავე დროს მრავალი იყოს»-ო, სთქვა შილლერმა და მივიდა დიდ ვაიმარელთან.

უფროსმა უმცროსი გახსნილი გულით მიიღო, გამოწვდილი ხელი ჩამოართვა და შეიკრა მტკიცე მეგობრობა, რომელიც გოეთეს სიკვდილამდე გაგრძელდებოდა, რომ უფრო ადრე შილლერი არ გარდაცვლილიყო.

[მის სიკვდილთან ერთად გენიოს მწერალს გაუელვა აზრმა «ფაუსტი»-ს სიკვდილის შესახებაც... ინგლისელ ბაირონმა ეს მსოფლიო ლიტერატურის განძი იხსნა და ვიწყებისაგან და ახალი იმპულსი მისცა გერმანელ მგოსანს მის დამთავრებისათვის.]



ორ ეპოქალურ ქართველში პირველად ილიამ სცადა დამახსოვებელ ნაბიჯის გადადგმა... და დააგვირგვინა ის შემდეგით... კახეთში მოგზაურობის დროს ოთხმოციან წლების დასაწყისს, თელავში აკაკის სიტყვა უთქვამს, რომელიც დიდი აღფრთოვანებით მიუღია ქართულ საზოგადოებას. ილიამ ამ სიტყვისა და აკაკის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვა მაშინ: —

«საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერობით აღსავსე გულითა. აგრეთ თითონივე იგემა ბ-მა აკაკიმ ნაყოფი თავისი დანერგულისა და დათესილისა... ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას ამჯობინათ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტუარფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია... გაუმარჯოს აკაკი წერეთელს, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სანახოვროდ, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძობას, და ერთხელ გულს მოიცამს მამულიწვილობისათვის».

უპასუხოდ დარჩა ეს ნიბიჯი. ოლიმპიელობა, უფროსი მასპინძლის როლის თამაში საქართველოს მწერლობის ოჯახში დასწამა ილიას აკაკიმ? — ეკვი შეიტანა მის გულწრფელობაში? — თუ მეტოქეობის გრძობა ალაპარაკებდა დიდ მგოსანს, დიდ ქართველს?

ალბად პირველიც იყო და მეორეც...

რატომ უნდა ვერიდებოდეთ ამის თქმას: — ჩვენი დიდი მოღვაწენი უნდა გვანტერესებდნენ ჩვენ ისე, როგორიც იყვნენ, მთელი მათი ღირსებითა და ნაკლუვნებით... ისინიც ხომ ადამიანები იყვნენ... და როგორც ასეთები, უნდა გვიყვარდნენ ჩვენ ისინი — ვგრძობდეთ მათ სიახლოვეს...

აკაკიმ არ იწამა პირველობა ილიასი. და გვირგვინი ამის?! ერთ წერილში «თორნიკე ერისთავი»-ს ავტორი სწერს ივანე მაჩაბელს: — ილია ხვლიკადაც არ მიღირს—ო. აქამდე და ამის შემდეგაც ბევრი უკმეხი სიტყვა უძღვნა ერთმანეთს ორმა დიდმა ქართველმა, საჯაროდ და კერძოდ, ფარულად...

მეტოქეობა, შეურიგებლობა დარჩა და, სადაც იყო აკაკი, იქ არ იყო ილია და სადაც იყო ილია, იქ არ იყო აკაკი.

ორი თანასწორი ბუმბერაზის მუშაობა შეუძლებელი შეიქნა.

სხვადასხვაგვარობა ნიჭის, სხვადასხვაობა ხასიათის და შეხედულების, — აქედან გზის სხვადასხვაობა ერთი დიდი მიზნის მისაღწევად (— ჩვენ თავს უნდა ვეყუდნეთ —) ხელს უშლიდა შეთანხმებულ მუშაობას.

ილია მეცნიერულ აზროვნებით შემოიჭრა ქართულ ლიტერატურაში და აზრი დარჩა ბოლომდე მისი გზის მაჩვენებელი: — მისი შემოქმედება ნაფიქრია უფრო. «დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა აგმართულიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარედ გამდგარიყავით და გარემოების თვალთ-დამაბნელებელ ხაოსშია შემუცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს.



რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებათ, სხვა, ნი კი იმისი მონები არიან»-ო, ამბობს «საქართველოს მოამბე»-ს რედაქტორი, აკაკი კიდეც 25 წლის ახალგაზდა, 1862 წელს.

რუსეთში ყოფნის დროს მას უფრო ბელინსკი, ჩერნიშევსკი აინტერესებენ. აქ ის ჰეგელის ფილოსოფიასაც ეცნობა, რომელიც მას, ეტყობა, ძლიერ იტაცებს.

«ცხოვრება, როგორც ყოველი ჩოხარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჰკნება — იმისათვის კა არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა»-ო, ამბობს ილია «საქართველოს მოამბე»-ს პირველი ნომრის მოწინავეში.

აკაკი დაბადებული მხატვარია, ხელოვანი, ესთეტიკოსი: — გრძნობა იყო და დარჩა მისი სამოცი წლის სამწერლო მოღვაწეობის გზის გამკაფავი. 11-12 წლის ბავშვში ვერ ისვენებს და დედა მისის მიერ გაშენებულ ბაღში, ქვის მაგიდაზე სწერს ის ლექს-აკროსტიხს (პირველი მისი თარიღიანი ლექსი!). რუსეთში ჰაბუკ სტუდენტს პოლონელ მიცკევიჩის გმირი კონრად ვალენროდი იტაცებს, არ მოსწონს ნილილის-ტური შეხედულება ხელოვნებაზე, უარპყოფს პისარეუს და 1856 წელს, 18—19 წლის ახალგაზდა სწერს:

მივხვდი, რომ მხოლოდ მე მგონად
ვიყავი დაბადებული
და ხელი მივყავ მწერლობას
ის მიჩნდა ნეტარებადა
და მას შევწირე ყოველი,
რაც მქონდა და რაც მეებადა...
...ვეტროფდი პოეზიასა
და ბურჟუას დღეებში
წარმოვიდგენდი მზიანსა.

ილიას ძალა ლოლიკურ დასკვნებშია, დიალექტიურ აზროვნებაში; აკაკის — მხატვრულ განცდებში, ინტუიციასში.

«თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა დ კანონს — მხოლოდ ამ კანონს გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა. რომ მისი წარმოება არაფერმა შეაყენოს» ასე ამბობს ილია და ასეთია ის ყოველგან: პოეზიაში და პროზაში, სიტყვაში და პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

— ხან უგნური ვარ. ხან ბრძენი,
ხან არც ესა ვარ, არც ისა,
გარემოების საყვირი
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა,

მღერის აკაკი და ამ შეხედულებას მწერლის დანიშნულებაზე, ატარებს ის თავის მხატვრულ სიტყვაში, როგორც მგოსანი, მწერალი, მოლაპარაკე.

ილია ნ ა ა ზ რ ე ვ ს ა ს ხ ა მ ს ხ რ ც ს, ნ ა ფ ი ქ რ ს ა ძ ლ ე ვ ს რ ე ა ლ ფ ო რ მ ა ს;
აკაკი — ნ ა გ რ ძ ნ ო ბ ს, გ ა ნ ც დ ი ლ ს ხ ა ტ ა ვ ს, ა ს უ რ ა თ ე ბ ს.

ილიას ნაწარმოებში უპირველეს ყოვლისა ი დ ე ე ბ ს ვ ე წ ნ ო ბ ი თ, რომელნიც



შემდეგ მოქმედებაში გადადიან; აკაკის შემოქმედება მოძრაობის განხორციელებაში თვით და აქედან დასკვნის, იდეების გამოტანა ჩვენი საქმეა.

ილიას მისწრაფებაა: ნათქვამი გმირებს მეტი სიცოცხლე შთაბეროს, რომ ამბავი ლაპარაკად არ გადაიქცეს, აკაკის ეს არ სჯირია: — ის ნაგრძობს და ამიტომ ახლო ნაცნობ გმირებს აღწერს და ამოქმედებს.

ილიას შემოქმედებაში ასე ვთქვათ, მეტი ფსიქოლოგიაა, მეტი ახსნა და განმარტება; აკაკისაში — მეტი ამბავი, მოთხრობა; ამიტომ პირველის დანაწერს, თქმულს უფრო ვუფიქრდებით; მეორესას — განვიცდით.

ილიას შემოქმედება თავის, გონების ხორცშესხმული შრომია, დინჯი, აწონილ-დაწონილი.

აკაკის ნაშრომი — გულის, გრძნობის ნაკარხევი.

აქედან: — ილია უფრო მრავალმხრივია; აკაკი — ცალმხრივი.

ილია — მთავროვნება, მასწავლებელი, აღმზღელი, მქადაგებელი, სიტყვის და კალმით პოლიტიკური მოღვაწე;

აკაკი — მხატვარი, მომღერალი — გრძნობის მეფე, ერის გულის მესაიდუმლე, წინასწარმეტყველი.

ილიასაგან ხალხი სწავლობდა და სწავლობს — გამგანი ცტა იყო! —

აკაკის ხალხი თავიდანვე გრძნობდა, გრძნობს, მისდევდა და მისდევს, მღერის მის ლექსებს, იცინის მის ნაკვესებზე, უყვარს, თავისად მიაჩნია — ყველასათვის ადვილი გასაგებია.

ილია ჯერ კიდევ მხოლოდ ხალხის შეგნებული ნაწილის მწერალია: — მან რომ აკაკის ხალხობა მოიპოვოს, საჭიროა წლობით მუშაობა მის შესწავლაზე პოპულარიზაციაზე.

აკაკი უშუალოდ ახდენს გავლენას ერზე, ილიას შუამავალი, ამხსნელი, განმარტებელი სჯირია.

და შეიძლება: მეტოქეობა და ჯიბრი, შეურიგებლობა და ბრძოლა სჯირად, დიად, პირადულ ნიადაგზე არ ყოფილიყო ასეთი მწვავე და მოურიდებელი; შეიძლება მათ შორის გადებულობა ხიდი შეთანხმების, გაგების, საერთო მუშაობის, რომ არ ყოფილიყვნენ: — დიდ მოაზროვნესთან — ილია დიდი მხატვარი და გენიოსურ გაქანების მხატვართან — აკაკი აზრის კვეს-აბედი.

და არ სწამდა; — ილიას — ცხოვრების საზოგადო კითხვებზე მწერალი აკაკი — აქის მართლა მასპინძლად გრძნობდა თავს (მაგრამ გუნდრუკს უკმევდა აკაკის მხატვარს) — და აკაკის ილია (არა თუ როგორც მხატვარი, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწე დიდი ფორმატის საერთოდ). გრძნობათა ღელვის ამყოლი, გულის მესაიდუმლე ვერ აფასებდა ობიექტურად, მიუდგომელი გადაჭრით, დიდ თანამედროვეს — ის მას სუბიექტური განცდებით უდგებოდა.

ძლიერი მოაზროვნე, პოლიტიკური მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბუნებით ჭკუიანი დიპლომატიც იყო და ამიტომ ობიექტური უფრო.

ილია ფიქრობდა, სწონდა; აკაკი ჰფეთქდა, იწვოდა: — ორივე ერისათვის, მისი ბედნიერებისათვის...

ვინ გაამართლა ისტორიამ? რომელი ორში!...

ორივე ერთის აზრის იყვნენ; —

ჩვენ თავს უნდა ვეყუდნეთ-ო!

ეს იდეა, ილიას შეგნებით მრავალმხრივ მიდგომას საქიროებდა და საქიროებდა
შუბლით კედელი არ გაირღვევა, საქიროთა მოხერხებული ტაქტიკა, ხანდახან, პირველი
შეხედვით, შეუძლებელ დათმობაზე წასვლა. «კაკო ყაჩალი»-ს და «აჩრდილი»-ს დამწე-
რი თავისი მოღვაწეობის მეორე ნახევარში, ერის შენობაზე იერარქიული შეხედულებ-
ებისა იყო: სამოციანი წლების დემოკრატიული რადიკალიზმში კონსტიტუციონალურ
ლიბერალიზმმა შესცვალა: (*) ილია რეალისტიკა: მისი მუშაობის მიზანია «ჩატეხილი
ხიდის» გამთელება მძიმე ყოველდღიური მუშაობით და სწამს, რომ ის გამთელდება,
რადგან ამას, მისი აზრით, თვით ისტორია ითხოვს (იდეა ხმალის, გუთანის და აქროს)
აკაკი რადიკალია ბოლომდე, ბრძოლის მომხრე, მისი მომდერალი, — მისი ქა-
რთული სინამდვილის შეგნება დემოკრატიული:

მაგრამ გენდავ მომავალში
გამოსულა მუშად ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.

გზა გაჰყავს და ხიდსაც აგებს,
სისხლითა და ოფლით რწყულსა,
და მომავლის მოიმედე,
აღარ იმჩნევს წყლულად წყლულსა.

აღიარებს მხოლოდ ძმობას,
თანწირობას, სიყვარულსა
და საზღვარი არ ექნება
მის უმანკო სახარულსა.

«ნათელა»-ს ავტორი იდეალისტიკა: მხოლოდ ბრძოლით მოპოვებული «თვით
არსებობა არის მისთვის გზა და ხიდი» ერის ბედნიერებისაკენ.

ისტორიამ ორივეს თავისი უზღო, ორივე იცნო და შემდეგ თავისი გზით წავი-
და: — ქართველმა ერმა ორი დიდი ქართველი, ორი თანასწორი გულში ჩაიჭრა და იქ
ალუმარტა მათ უკვდავი ძეგლი.

გერმანელ ხალხმა გოეთეს და შილლერის სიცოცხლეშივე, მეგობრობაში შე-
თანხმებული შემოქმედება, სიკვდილის შემდეგ სიმბოლოდ გადააქცია და სამუდამოდ
ცოცხალჰყო...

ქართველმა ხალხმა თავისი ორი, სიცოცხლეში შეურიგებელი შვილი სიცოც-
ხლეშივე გააერთიანა სამუდამოდ, მოაშორა მათ გვარები, დაიტოვა სახელები და ამ
ძვირფას სახელებით მონათლა მთელი საუკუნე — საუკუნე გამოღვიძების, ბრძოლის—
მომავალის მტკიცე საფუძველის: — ილია და აკაკი.

(*) ილიას პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ შეხედულებათა შესახებ
ვეცდებით ცალკე სპეციალური წერილი მოვათავსოთ.

შალვა ამირეჯიბი

აჩრდილნი შარავანდელთანი

ქალები და კაცები

1877 წელს, თავისი ცხოვრების დასავალზედ, მოხუცი გრიგოლ ორბელიანი სწერდა სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს:—

«... მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობა და მასვე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მაღალ-ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით! მართლაც მეტად კარგი დრო იყო, სავესე მხიარულებითა, უზრუნველობითა და ამასთანა, საითაც შეჰხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს სავათნავს ლექსსა:

«ნეტა რომელს ვენაცვალო,
განა რამდენი თავი მაქვს?»

ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო, ჩემი აწ დაბერებულის გულისა გასამხიარულებლად, გასაყმაწვილებლად! დმერთმან გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით და ესლაც ჩემი თავი მიმაჩნია ბედნიერად, რომ მეც თქვენს საზოგადოებაში ვექცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად. პოეტად და ახლაც თქვენვე ხართ ჩემი ნუგეზის-მცემელი...»

დრო, რომელსაც პოეტი იგონებს და რომელსაც «მეტად ლამაზ დროს» ეძახის, ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლები უნდა ვიანგარიშოთ, — ეპოქა, როდესაც ქართველ საზოგადოებაში ახალი კულტურული ხანა აღინიშნა.

ისტორიული პირია ეკატერინეც, სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი, ის იყო თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული; დაიბადა 1816 წელს, მისთხოვდა სამეგრელოს მთავარს დავითს; იმის სიკვდილის შემდეგ მართლდ მართლ მართავდა სამთავროს. ვიდრე სამეგრელო საბოლოოდ რუსეთმა არ შეიერთა, და მიიცვალა 1882 წელს, ერთის წლით ადრე პოეტზედ. მისი «ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობაც», მართლა, ნამდვილი ამბავია და, ჭეშმარიტად, ეკატერინე იმ ეპოქის ერთი მშვენიებათაგანი იყო. გასათხვრობაში მას ეძახდნენ «წინანდლის ვარდს», და ეს სახელი თითონ გრიგოლ ორბელიანმა მოუგონა:

«წინანდლის ვარდო!

სულითა ტრედო,

გულითა წმინდავ, ვით მთისა წყაროს!»

სწერდა პოეტი, როდესაც ეკატერინე ჯერ კიდევ ათის წლისა იყო.

მაგრამ ვინ არიან ეს «სხვანაცო მრავალნი დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მალალ-ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით», როგორც ამბობს პოეტი?

ბევრი მაშინდელი სახლის არქივი სამუდამოდ დაიღუპა და რაც დროთა ტრიალს გადურჩა, ისიც თავმოყრილი და შესწავლილი არ არის. ამიტომ ყველა იმ ქალების ცინაობის ზედმიწევნით ჩამოთვლა, რომელთაც პოეტი ჰგულისხმობს, ძნელია.

დღემდე გამოქვეყნებულია მხოლოდ ნ. ბარათაშვილის და ნაწილი თვით გრიგოლ ორბელიანის წერილებსა, საიდგანაც შეგვიძლიან მივხედეთ, ვის ჰგულისხმობს პოეტი ამ სხვა მრავალთა შორის, ვინ იყვნენ ის სულით ამბულბებული ქალები რომლითაც სუნთქავდა მთელი მაშინდელი ქართული პოეზია, რომლებზედაც უტბო მწერალნი და მოგზაურნიც ბევრსა სწერდნენ და ურომელოთადაც ამ ეპოქის აღწერა სრული არ იქნებოდა.

იმ ერთხელ მიღებულ მშვენიერ ტრადიციის წყალობით, რომლითაც ბარათაშვილის ლექსები მუდამ მის წერილებთან ერთად იბეჭდებოდნენ, ზოგიერთი ამ სახელების ჩამოთვლა ძნელი აღარ არის. ამ წერილებში, რომლებიც ერთსა და იმავე დროს საუცხოვო ქართული პროზაც არის და პოეტის ლექსების მშვენიერი დამატება და განმარტებაც, ეს სახელები ისე კრთიან, როგორც ვარსკვლავები დამის ცაზედ.

რუსის მწერალი ზისერმანი, რომელიც თავადის ვარონცოვის დროს საქართველოში მსახურებდა, სწერს:

«დიდათ კმაყოფილი იყო თავადი ვარონცოვი, როდესაც მის მახლობლად ისხდნენ — ყველაზედ ჰკვიანი მარიამ ივანეს ასული ორბელიანისა (ფელდმარშალის თავადის ბარიათინსკის სიდდარი შემდეგში), მანანა ორბელიანისა, ან ელენე ვრის-თავისა. კნენა მანანა, თუმცა მაშინ უკვე ახალგაზდა არ იყო, იქნებოდა არა ნაკლები 45 წლისა, ერთი ულამაზესი ქალთავანი იყო...»

მანანა ორბელიანი ლევ ტოლსტოიშვილს დაგვიხატა თავის «ჰაჯი-მურატ»-ში. ამ ეპოქის საუკეთესო მკოდნე იონა მეუნარგია, მანანა ორბელიანს ქართველ მადამ რეკამიეს უწოდებს — «რომლის სალონში იკრიბებოდა რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული მწერლობაში, ხელოვნებაში, მმართველობაში, რომელიც იყო მეფედ ქართულის ზრდილობისა და გემოვნებისა ათას რვაას ორმოც წლებში...»

1835 წელს მანანა სწერდა გრიგოლ ორბელიანს:

«ვერადფერი გახლდათ შენი ლექსი «დიპლიპიტო». შენს დღეში ამისთანა უგემური ლექსი არ გითქვამს»-ო.

ამ სახელებს სხვებიც უნდა მივუმატოთ. ესენი არიან:

ეფემია ბარათაშვილისა, «ის სამგზის კურთხეული დედა», — როგორც უწოდებს იგივე მეუნარგია, — რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო დედა ერთის პოეტი სა და დაი მკორესი;

პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე — სალომე და მათი სამი ასული;

ბარათაშვილის დები და მისი გულითადი მეგობარი მაიკო ორბელიანი;

ყაფლან ორბელიანის ასული სოფიო, ბავშობაშივე გრიგოლ ორბელიანის დანიშნული;



ფალავანდიშვილის ასულნი — ელენე და მარო, რომლებსაც ბატონიშვილიშვილნი შაირი ჰქონდათ გაბმული;

თარხან-მოურავის ასული სალომე — გათხოვილი ივან კარლიჩ დეპნერზედ; დავით ჭავჭავაძის მეუღლე — ბატონიშვილი ანნა და მისი დაი ბარბარე — მეუღლე ილია ორბელიანისა.

ეს ორი უკანასკნელი ქალი ილია ბატონიშვილის ასულნი იყვნენ და, ამ რიგად მეფე გიორგი XII-ის პირდაპირი შვილისშვილნი. თავის დროზედ შამილმა ტყვედ წაიყვანა და მათი თავგადასავალი მრავალ ენაზედ არის მოთხრობილი. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ისინი ინახულა ფრანგის ცნობილმა მწერალმა ალექსანდრე დიუმა-შვილმაც და მათი თავგადასავალი თავის «კავკასიაში მოგზაურობა»-შიაც შეიტანა.

«როდესაც კნენა ორბელიანისა მიაშობდა თავის სამწუხარო თავგადასავალს კნენა ჭავჭავაძისა სტიროდა და ოდეს კნენა ჭავჭავაძისა მიაშობდა, სტიროდა კნ. ორბელიანისა»-ო, ამბობს ფრანგის მწერალი.

ესენი და კიდევ ისინი, ვისი სახელებიც ლეტამ წაიღო, ან რომელთა ვინაობის გამოსაცნობად ისევ იმავე გრიგოლ ორბელიანის ვრცელ მიწერ-მოწერას უნდა მივმართოთ, — აი ვინ იყო იმ «მეტად ლამაზი დროს» ქალთა რჩეული საზოგადოება, ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ქართული ცხოვრება ახალს რიგზედ და ახალს გემოზედ ეწყობოდა.

II

ეს წლები იყო სწორედ ის «რუსეთუმე»-ს ხანა, რომელმაც მთელ ქართველ მეცხრამეტე საუკუნეს ახალი ბეჭედი დაასვა. საზოგადოებაში გაჩნდნენ ადამიანები, კაცები და ქალები, რომლებსაც ცხოვრებაში ახალი აზრები და ახალი საქციელი შეჰქონდათ. ძველებურს ჟატიბს. შეიდიშს და ლეჩაქს, გეერდში უცხოური კრიოლინები და კაბრიოლეტები ამოუდგნენ. ახალმა მოდამ კაცებიც ისე ჩაიყოლია, როგორც ქალები. ნიკოლოზ პირველის ამ ეპოქაში, როდესაც, იონა მეუნარგიას მოსწრებულის თქმით, «ყველას პირზედ სამართებელი დასტრიალებდა», წვერ-ულვაში უნდა გაეპარსა ისეთ «მკვიდრ» ქართველსაც, როგორიც ყაფლან ორბელიანი იყო, რადგანაც «ზასხედატელად» ისიც ითვლებოდა სადღაც.

ასეთი სიახლე და ისიც ძველისაგან ასე განსხვავებული, ძველს თაობაში უკმაყოფილებას იწვევდა. ეს უკმაყოფილება ყველაზედ მკაფიოდ სვიმონ მაჩაბელმა გამოასთქვა, 1832 წლის შეთქმულობის მონაწილემ და «ყაზარმობაში» გამოვლილმა:

«ჩვენი დედამაძანი ამბობდენ. „თუ ეს ლეჩაქი მსურავს, თუ ეს ულვაში მასხიაო“ და ჩვენ ერთიც დაკვარგეთ და მეორეცა» — ამბობდა გიორგი ერისთავის მეგობარი. მაგრამ ახალთაობა ამ საყვედურებს არ ეპოვებოდა და ცხოვრების მიერ აღნიშნულ ახალ გეზს მდგრად მისდევდა. საქმე უბრალო სიახლე არ იყო და საკითხი ეხებოდა ცხოვრების დედაბუდიანად გარდაქმნას. დღის რიგში იდგა არა მოდის საკითხი: — საკითხი ლეჩაქისა და ულვაშების, არამედ მთელი ქართული ყოფა-ცხოვრებისა.

ამ სიახლით გატაცებამ გამოაძახილი მწერლობაშიაც კპოვა. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს გიორგი ერისთავის შეუდარებელი და ქართული კრიტიკისაგან ჯეროვანად დაუფასებელი „შეშლილი“. ამ დრამატიული პოემის გმირები ბეგლარ და ტასო ახალი ქართველები არიან; პირველი პოეტია, მეორე მისი ოცნება და საყვარელი არსება. მათი იდეალი, მათი სიყვარულის ენა, მათი გრძნობის სტილი ახალი არის.

ბეგლარის იდეალი არც ყარამანია და, თუ გნებავთ, არც ტარიელი.

რა გქონდა ერთი,
ხალხთან საერთო,
მიწას რად ეკარ,
უმჯობეს იყავ,
მზით დამწვარიყავ —
ვითარცა იკარ!

ამბობს იგი და ასევე ახალ გემოვნედ რომანტიულია მისი საყვარელი არსებაც:
მასსოვს, აქ ვიჯექ, ამ ზონარს ვქსოვდი,
მიშველე ბეჭვა, მე იმას ვთხოვდი;
კარგი, მითხრა მან, თითო ბეჭვაში
შენ მაკოცნიე მაგ ლამაზ თვალში.

ამ პოემაში გ. ერისთავმა თავის ცოცხალ თანამედროვეებს გადაამეტა. ტასო ბეგლარს არ მიათხოვეს და სხვაზე დაუპირეს გათხოვება. ქარწილის დღეს, როდესაც ტასო ვილაც კაპიტანს (ესეც სიააღე იყო!) ეკლესიაში უნდა წაჰყოლოდა, მტკვარში გადაეშვა. გ. ერისთავის „შეშლილი“ ტყუილად არ არის თითქმის ერთად ერთი ქართული ნაწარმოები, სადაც დრამა ასეთის ეპილოგით თავდება. ჭეშმარიტად რომ ცხოვრებაში ცოტა სხვანაირად ხდებოდა. გულის ტრალედია ორმოციანთა წლების ხალხსაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ როგორც ქვევითაც დავინახავთ, არავის ეს სიყვარული ისეთის დრამატიულის ეპილოგით არ დაუმთავრებია, როგორც ერისთავის გმირებს. მათ უყვარდათ და იტანჯებოდნენ, მაგრამ როდესაც ამის შემდეგ, სხვა ახალი ორმოცი წელიწადიც გავიდა და ცხოვრებას გადარბენილებმა უკან გადიხედეს, იქ მათი ტანჯვების ნასახიც აღარა სჩანდა და ცხოვრება გაბმულ სილამაზეთ მოეჩვენათ. ცხოვრება მართლა ასე ლამაზია! განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ცხოვრების სილამაზის ეს მარადისობა გრ. ორბელიანმა სუბიექტურად დაგვიხატა, როდესაც ეკატერინეს სწერდა: ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო-ო.

ამ «მეტად ლამაზ დროს» გულის ტრალედია გრიგოლ ორბელიანსაცა ჰქონდა. მაგრამ ვინ უყვარდა პოეტს, რამდენჯერ უყვარდა, ვინ ადრე და ვინ გვიან, იყო ერთგული ერთის სიყვარულისა, თუ სხვასაც უბრუნდებოდა — ისეთი საკითხებია, რომლებიც პოეტის ბიოგრაფებს გამორკვეული არა აქვთ. ეს საკითხები გამორკვეული არ არის პოეტის თხუთხულებათა უკანასკნელ გამოცემაში (ტფილისი. 1928 წ.), რომელსაც ვ. კატეტიშვილის წერილი და შენიშვნები აქვს დართული.

ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანი ბავშობიდანვე ყაფლან ორბელიანის ასულს სოფიოზედ იყო დანიშნული. მაგრამ ზედმიწევნით არ არის გამორკვეული, რამ შეუშალა ხელი, რომ სოფიო შეერთო?

1834 წელს პოეტი სწერდა ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლეს, სალომეს რიგიდან:

«ახ, ჩემი სოფიო! სად არის? ნეტაი ვახსოვარ? თუ შარშანდელ თოვლსავით არა და ვკმყოფობ იმისთვის; ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს. როდესღა უნდა შევიყარნეთ?»

1835 წელს, იმავე რიგაში ყოფნის დროს, პოეტი სოფიოს ლექსს უძღვნის:

ვარდი ხარ? — არა!
ზამბახი? — არა!

მაგრამ შენ დაწვთზე აღყვავებულნი,

არიან ორნივე შეზავებულნი.

ნეტარ მას ბუღბუღს, ვინც შენს ვარდს ზამბახს

ზედ დამღერს მარად ვით ეშხის ბანაკს.

სოფიოს შესახებ სწერდა პოეტი სხვებსაც და ეტყობა მანანა ორბელიანსაც, რომელიც შემდეგს უპასუხებდა:

«სასიამოვნო შენი სოფიკო აქ არის და ვნახე; კიდევ დაველაპარაკეთ მე და ეკატერინე (ჟავჭავაძე. შ. ა.) შენზედ. ის უარს არ ამბობს. კიდევ შევიერთამო ოღონდ ვნახო. აბა სადა ხარ ჩემო სიცოცხლე, რომ ერთ საათს ჯვარს გადაგწვრიდით და იქნებოდი ბედნაერი?... აბა ესლა, ჩემო კურკავ (მეტი სახელი პოეტისა მისი დაბალი ტანის გამო. შ. ა.) ეცადე რომ მოხვიდე მალე, თორემ რვა თვეზედ წამოვლენ პეტერბურგში და დამრჩები ცარიელი...»

სამწუხაროდ, ვ. კოტეტიშვილი არ ასახელებს, რომელ წელს არის დაწერილი ეს წერილი. მაგრამ როგორც ის ამბობს, ერთი წლის შემდეგ ამ წერილისა, სოფიო კავკასიის მთავარსამმართველოს წევრს ნიკოლოზ პავლესჟე ბეზაჯე გაათხოვეს.

1843 წელს, გათხოვილ სოფიოს შესახებ, ნ. ბარათაშვილი შემდეგსა სწერდა პოეტს:

«კნიაზი ჟავჭავაძე (დავითი. შ. ა.) თავისი კნინათი (ბატონიშვილის ილიას ასული ანა. შ. ა.) მარტყოფს იყენენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყენენ სავარსამიძის ცოლი, სივრიჩის ცოლი და ბეზაჯის ცოლი, ეს კი მუხრანეანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრანეანში, იმის ოთახში, შუადამისას დაბადებულიყავ? იქიდან კალასკაში კნიაზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ და კნინა და სავარსამიძის ცოლი ერთად უკან. დოვოლნო პოდრობნო!»

ამას გარდა ფიქრობენ, რომ ლექსი «სალამო გამოსალმებისა», დაწერილი 1841 წელს, (სოფიოს გათხოვების შემდეგ) თითქოს იმავე სოფიოს ჰგულისხმობდეს:

მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით!
მარად დღე ჩემი კურთხევა
ცად მიმართ შენთვის მექმნება,
ვიდრემდის სული მეღევა.
არ ლა აამონ აწ თვალთა
გული შენისა ხილვითა;
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე
უშენოდ შრომით, ზრუნვითა.
ეტლი რბის, სატრფო მშორდების...
თანა სდევს ჩემი მას სული
ვმზერ... შორს ძლივს და სჩანს... აღარ სჩანს...
რალასა ვუმზერ შმაგქმნილი?
სიშორის ნისლმა მიჰვარა
თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი
და გულით ოხვრა სიმწარის
აღმოუტყვევ უნებლი...
მშვიდობით! ვინცა დამატკბე
სიცოცხლის ნეტარებითა;

აწ ვისთვის გული მიკვნების
სული სწუხს განშორებითა,
ვის ხილვა არ და შემოსასკს
სიხარულისა ნათლითა,
არ განმასვენებს მწუხარეს
აღერსის ხმითა ტკბილითა!
მაგრამ ამ სოფელს შენს გარდა
ვინა მყავს მანუგეშებლად?
რომ შენც განშორდი, დამტოვე,
მწუხარებისა მე მსხვერპლად?

ყოველივე ეს, პოეტის ლექსიც სოფიოსადმი 1835 წელს მიძღვნილი, მისი მიწერ-მოწერაც სალომე ჭავჭავაძესთან, მანანა ორბელიანთან და სხვებთან, იმავე სოფიოს შესახებ, — სოფიოს გათხოვებამდე და ზემოდ მოყვანილი ლექსი და ბარათაშვილის წერილი — სოფიოს გათხოვების შემდეგ, ყოველსავე ეჭვს გარეშე მოწმობს, რომ პოეტი გათხოვების შემდეგაც არ ივიწყებდა სოფიოს.

რალამ შეუშალა ხელი, პოეტს სოფიო შეერთო?

პოეტს უყვარდა სხვა ქალიც. ეს ქალი ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ნინო იყო. პოეტის ეს სიყვარული ნინო ჭავჭავაძისადმი ეჭვს გარეშეა, რადგანაც ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვილი ლექსები, აღსავსე ღრმა სიყვარულის გრძნობით, დაწერილია 1827, 29, 31, 35 და 1851 წელს, ესე იგი განსაკუთრებით იმ ხანაში, როდესაც სოფიო გათხოვარი იყო და პოეტი მის დანიშნულად ითვლებოდა.

პოეტს რომ ნინო ჭავჭავაძე უყვარდა ამას მოწმობენ პოეტის ძმის ზაქარიას და ნ. ბარათაშვილის წერილები. 1835 წელს ზაქარია შემდეგსა სწერდა ძმას, გრიბოედოვზედ გათხოვილს და უკვე დაქვრივებულ, ნინოზედ —

“ბიჭო, არა გრცხვენიაან? რათ მატყუებდი. შენ ჩემზედ უფრო გყვარებია და ჩემ წინ მალაყებს რათ თამაშობდი? ესლა შენ დაგრა ბურთი და მოედანია“-ო.

ბარათაშვილიც სწერდა 1843 წელს:

ახალი ამბავი ანუ ჭორი ხომ გიყვარს; ამ ხელად ეს არის, რომ ნ. ალ—ნა (ნინა ალექსანდროვნა გრიბოედოვისა. შ, ა.) ოდესაში მიდის მ იენისს. შენ მანდ გაჯაგრდი!“-ო.

თუ რა უტყუარი სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული პოეტი ნინოსადმი, ამას მოწმობს მისი წერილიც. 1835 წელს, ის სწერდა სალომე ჭავჭავაძისას, ნინოს დედას:

«... ამ დროს მოვიდა ადიუტანტი და მომიტანა ორი პაკეტი, ერთი ჩემი ძმის (ის წერილი ხომ არა, რომელიც ზაქარიამ 1835 წ. მისწერა და ჩვენ ზემორე მოვიყვანეთ? შ. ა.) და ერთი კი ვერ ვიცანი, თუმცა დიდ ხანს დაკუთრე პაკეტსა... ვაი ჩემს გამოსულელებას, რომ ნინოს ხელი ადრესზე ვერ ვიცან, მაგრამ როგორ მოვიგონებდი ამ ბედნიერებას, მაშინვე სიხარულით დავაძახებინე პესსენიკებს, ანუ მომდერალსა და სალამომდე ვაღრიალე. ამათი ხმა რიგაში ისმოდა. ეს რუსული ლხინი გახლავსო. ესლა თქვენი წერილები ნაწილებსავით უბეში მაქვს და ყოველ დღე დაუჯდომელის მაგიერ ვკითხულობ*».

გამოდის. თითქოს პოეტს, ერთსა და იმავე დროს, ორი ქალი ჰყვარებია! ასეთ არა ბუნებრივ გრძნობას რომ თავი დავახწიოთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ორივე ამ



სიყვარულს გძელი მანძილი უდევს და მრავალის პერიპეტით არის აღსაყენი. ეს ღირსი სიყვარული, ეს ტანჯვა ორი გრძნობის შორის, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ სოფელს მხოლოდ ერთი სიყვარული სურდა, მაგრამ ბედმა ერთს გადაჰკიდა, როდესაც გული შეორესაკენ ეზიდებოდა. ამ ორმაგობაში პოეტს ბრალი არ ედო; სოფიოზედ ის ბავშვობაშივე იყო დანიშნული და როცა წამოიზარდა, გულმა სხვა არსებობისკენ წაზიდა. ამ გარემოებით უნდა აიხსნას მხოლოდ, რომ სოფიოს მხოლოდ 1835 წელს უწერს ლექსს, ესე იგი, როდესაც იმედი ნინო ჭავჭავაძის გულის მოგებისა სრულიად გაჰქრა და იმავე წინას კი 1827, 1829 და 1831 წლებშიაც. მაგრამ როდესაც ეს იმედი გაჰქრა, სოფიოს სახე ისევ წამოსცურდა პოეტის წინ. 1834 წელს, როდესაც სალომე ჭავჭავაძეს სწერდა სოფიოზედ, პოეტი ჭაბუკი აღარ იყო. შესაძლებელია დაცოლიანებაზედ ფიქრობდა. ასეთ წუთს სოფიოს დაეიწყება შეუძლებელი იყო, ერთი — რომ სოფიოს შერთვა, როგორც დანიშნულისა, ისედაც სავალდებულო იყო; მეორე — რომ თითონ სოფიოც ამ «მეტად ლამაზი დროის» ერთი მშვენებათაგანი იყო.

ვინც დასუნდა
თმა ლადანასა,
დაუდევნელად ბროლ მკერდზედ გაშლილს,
ანუ შეეხოს
შენს წელს კვიპაროზს
სიყვარულისა სარტყელით მოვლილს,
სიცოცხლე მისი,
ვითა მისი,
ნეტარებითა აჰყვავდეს ახლად
და ვითა დილა გაზაფხულისა,
სამოდ განვლონ მის დღეთა ნათლად,

სწერდა პოეტი სოფიოზედ იმავე ლექსში.

მაგრამ შეირთავდა თუ არა პოეტი სოფიოს, სოფიოზედ უფრო იყო ეხლა დამოკიდებული, ვიდრე პოეტზედ. სოფიოს რომ პოეტი უყვარდა ეჭვი არ უნდა გვექონდეს. ეს სიყვარული დამტკიცებულია პოეტზედ გათხოვების იმ თანხმობით, რომელზედაც მანანა ორბელიანი თავის წერილში ლაპარაკობს. მაგრამ სოფიოს თანხმობას ისეთი საყვედურის კილო სდევს, რომ მისი ტანჯვა იმ წლების განმავლობაში, როდესაც პოეტი ნინო ჭავჭავაძის სიყვარულს მისტიროდა, ეჭვს არა სტოვებს. მან იცოდა პოეტის ამ «სხვა» სიყვარულის ამბავი და ეს გარემოება სათაკილო ყოფაში აგდებდა.

მით უმეტეს, ეს გარემოება თვით გრიგოლ ორბელიანისათვის უნდა ყოფილიყო აშკარა და სწორედ ამითი უნდა აიხსნას, რომ სოფიოს დასაყოლიებლად პოეტს მანანა ორბელიანისა და სალომე და ეკატერინე ჭავჭავაძეების შუამდგომლობა დასჭირდა. სოფიო დასთანხმდა, მაგრამ ცოლად მაინც ბეზაკს წაჰყვა.

შეიძლება განა სოფიოს ბეზაკზედ გათხოვება იმ გარემოებით აეხსნათ, რომ გრიგოლ ორბელიანი ამ დროს რუსეთში იყო და საქართველოში დროზედ ვერ ჩამოვიდა? რა თქმა უნდა არა! — მზისა შუქის მომლოდინე, ვარდი სამ დღეს არ დასჭყნების — ამბობდა რუსთაველი. შეუძლებელია; რომ მიჯნურობის ეს პირველი მცნება იმ ქალსაც არა სცოდნოდა, ვის წელსაც პოეტი — სიყვარულისა სარტყელით მოვლილს — უძახდა. ლოდინი, რომ ორბელიანიც ოდესმე დაბრუნდებოდა, სოფიოსაც შეეძლო; მაგრამ ის მაინც ბეზაკს გაჰყვა, რადგანაც ესმოდა, რომ მისი — აკვნის დანიშნული — სხვა ქალის უკურნებელი სიყვარულით იყო შეპყრობილი.



ლექსი «სადამო გამოსაღმებისა», რომელზედაც ფიქრობენ, რომ სოფიოს დაქვემდებარებას შეეხება, ამ ამბავს ისე გვიხატავს, თითქოს პოეტს დიდი ტრადედია განსცდის. ჩვენა ვფიქრობთ, რომ ეს ამბავი ნამდვილი დრამა სოფიოსათვის უფრო იყო.

III

გულის დრამა და უფრო ხანგრძლივი, გრ. ორბელიანმა სხვა სიყვარულში გამოსცადა.

ჩვენამდე მოღწეულ და გამოქვეყნებულ ლექსებში, სიყვარულის სტრიქონები პოეტის პირველსავე ლექსში გვხვდება. ეს ლესი დაწერილია 1827 წ. და ჰქვია «ანტონს». პოეტი ამბობს:


ახ, მეც ვიყავი ბედნიერი,
მეც მიყვარდა, მეც ვსტკებოდი...
ჰე დღერ სიხარულისავ,
ესრედ მსწრაფლად სად წახვედი?
მშვენიერო გახსოვს ოდეს
შუქით ღამეს მინათებდი?
როს გხედავდი განშორებულს,
ჩემს შორის სულს ვერ ვპოვებდი!

ვინა ჰყავს სახეში პოეტს არ ვიცით, მაგრამ ნათელია, რომ ლაპარაკი უკვე ძველ სიყვარულზედ არის და თანაც უბედურზედ. ზოგნი ფიქრობენ, უკვე ეს სტრიქონები ეხებიან ნინო ჭავჭავაძეს. სამაგიეროდ, ამკარად ნინოს ეხება 1827—29 წლებ შორის დაწერილი ლექსი:

საამო არს სახილველად
ოდეს ვარდი ნინას ეპყრას,
მაგრამ ვინ ჰსთქვას, ვინა სუნავს:
ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას?

იმ დროს, როცა ეს ლექსია დაწერილი, ნინო თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალი იყო. ის იყო-უმფროსი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სამს ასულში, რომელთაც მამამ, პოეტმა და საქართველოში პირველი განცხრომის კაცმა, ჩინებული აღზრდა და განათლება მისცა. მათ იცოდნენ უცხო ენები, მუსიკა და ჰქონდათ პოეზიის და მშვენიერების სიყვარული, ლექსები, რომელსაც პოეტი მამა სწერდა და პირველი სასიმღერო და სალხინო ლექსები იყვნენ მაშინ, პირველად მათ უნდა ემღერათ და ისე ეფინებოდნენ დანარჩენ საქართველოს. მათი სახლი, მათი წრე პირველთაგანი იყო ტფილისში. აქ იკრიბებოდა რაც იყო ახალი, ახალგაზდა და დროს შესაფერი მაშინდელ ტფილისის საზოგადოებაში. ეს სახლი ზაფხულებს და რთვლის დროს წინანდალში ატარებდა და მაშინ ადამიანთა სილამაზეს ზედ ერთვოდა კახეთის ბუნების მშვენიერება, ოცნებანი ალაზნის ველზედ, ფიქრები იისფერ მოლურჯო დაღესტნის მთებისა, დღის ნელი ციავი და კახეთის ღამეთა ლაქვარდი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლი — სალომე — ორბელიანთ ქალი იყო და მამასადამე, ნათესავი ჩვენის პოეტისა. ამ რიგად გრ. ორბელიანი ბავშობიდანვე იყო დაახლოვებული ნინოსთან. ასეთი სიახლოვე და ხშირი დაშორება, ვინაიდან გრ. ორბელიანს, უკვე თექვსმეტის წლიდან, სამსახური აქეთ-იქით ატარებდა, და ამით გამოწვეული მელანქოლია, საუკეთესო ნიადაგი იყო, რომ ჰაბუკ პოეტს ნინოზედ დაეწყო ფიქრი.



სწორედ ერთი განზორების დროს იყო, როდესაც ჭავჭავაძის სახლში შევიდა სხვა კაცი, რომელმაც ნინოს გული მოხიბლა და ჩვენს პოეტს სამუდამოდ წინ აეფარა, ეს სხვა კაციც პოეტი და შესანიშნავი პირთვენება იყო — რუსი ალექსანდრე გრიბოედოვი.

გრიბოედოვი პირველად 1818 წელს, ერმოლოვის მთავარმართებლობის დროს გაჩნდა საქართველოში. განათლებული და მდიდარი რუსის აზნაური, რომელსაც სამსახურშიაც მაღალი თანამდებობა ეჭირა, შეუძლებელია ჭავჭავაძის სახლში არ მოხვედრილიყო, რომელიც, როგორც ა. ხახანაშვილი ამბობს, იმ ხანებში, ხიდი იყო ქართველ—რუსთა გაერთიანებისა. 1804 წლის აჯანყების მონაწილე ალექსანდრე ჭავჭავაძე, ამის გამო თავის დროზედ დასჯილი, ბედის მომდურავი და ნაღვლიანი ჩანგის მღერალი, პატრიოტულ საქმეს უკვე მშვიდობიან განვითარების მსვლელობაში ჰხედავდა და თავისი სახლი იმ ახალი სიონს სავანედ გახადა, რომელმაც მაშინდელ საქართველოს დაჰქროლა. ქართველები და რუსები მის სახლში ხვდებოდნენ ერთმანეთს, ეცნობოდნენ და რიგდებოდნენ. ამ რუსთა შორის გრიბოედოვიც ერთია. ჩვენამდე მოაღწიეს მისმა წერილებმა, რომლებშიაც საქართველოში დამკვიდრებულ რუსულ წესებს რუსის პოეტი სასტიკადა სჯის. ალექსანდრე ჭავჭავაძის და მასთან შედარებით ახალგაზნდა გრიბოედოვის დაახლოება მით უფრო წარმოსადგენია, რომ რუსული წესებს უკმაყოფილო ჭავჭავაძე უფრო მეტად იყო, რაც 1843 წელს ქართველმა პოეტმა წერილობითაც განუმარტა რუსის მთავრობას.

სულ სხვა საკითხია, რა ნიადაგზედ მოხდა გრიბოედოვისა და ჭავჭავაძის ასულის დაახლოება. გრიბოედოვს ამ დროს დიდი პოეტის სახელი ჯერ არა ჰქონდა და მისი სახელგანთქმული კომედია მხოლოდ იწერებოდა, რაიცა მისმა ახლო მეგობრებმა თუ იცოდნენ. თანაც საქართველოში გრიბოედოვი ერთი დუელის შემდეგ ჩამოვიდა, რომელშიაც მისი მონაწილეობა მით უფრო უდიერო იყო, რომ ამ დუელში ის მხოლოდ სეკუნდანტი იყო, და საქმე ისე წაიყვანა, რომ ერთი მონაწილის სიკვდილით დამთავრდა. ამ დუელს გამოძახილი ტფილისშიაცა ჰქონდა, რომლის დროს სასროლად ეწეა თვით გრიბოედოვი უნდა გასულიყო და დაჰრილიც იქმნა.

პუშკინი სწერდა მასზედ: «გრიბოედოვის ცხოვრება ზოგი რამ ღრუბლით იყო ჩამობნელებული, ფიცხელის ვენებისა და ძლიერის გარემოებათა გამო»-ო.

თვით გრიბოედოვიც სწერდა თავის თავზედ: «თვალ წინ მუდამ მომაკვდავი შემემეტოვი მიდვას და ჩემი პეტერბურგში ყოფნა აუტანელი გახდა»-ო. აქედან ცხადია, რომ გრიბოედოვი პეტერბურგიდან გამოქცეული უფრო იყო, ვიდრე კარიერისათვის საქართველოში ჩამოსული.

გრიბოედოვი არ იყო თვალსაჩინო არც გარეგნულად და იმ ზომამდე ვერ ხედავდა, რომ მეგობრები «ბეცს» ეძახდნენ. — ნინო ზედ-მეტად ახალგაზდა იყო, რომ ამ დაღვრემილ ადამიანში, რომელსაც გონების წინ მუდამ მომაკვდავი ადამიანის ლანდი ედგა, ის ცით მონაბეჭი სული შეენიშნა, რომელიც, როგორც პოეტს, გრიბოედოვსაც უნდა ჰქონოდა. მაგრამ ის იყო ჩინებული მუსიკოსი, როგორც ყველა მისი თანამედროვე მოწმობს, და პირველი დამეგობრება პატარა ნინოსა და გრიბოედოვს შორის, პიანინოს ახლო მოხდა. ეს მით უფრო სარწმუნოა. რომ მუსიკას პატარა ნინოს თითონ გრიბოედოვი ასწავლიდა.

ძნელია სათქმელად, რაოდენად ალხობდა ეს მუსიკა რუსი პოეტის სატირულ სულს, რომელსაც პოეზიაში სხვა არავითარი დარგი არ ეხერხებოდა და რომლის მცირერიცხოვანი ლექსები მოკლებულნი არიან ნამდვილი პოეზიის მხიბლაობას.



მაგრამ ნინო ჭავჭავაძის ნაზ სულში, რომელიც ისეთ სახლში იყო აღზრდილი, სადაც პოეზია მუსიკაზედ იყო ჯვარდაწერილი, პიანინოს ნაზ ხმებს გრიბოედოვის და ლერემილი სახე სამუდამოდ უნდა ჩაებეჭდათ. როდესაც ნინო წამოიზარდა, საფიქრებელია, რომ მოეწონა გრიბოედოვსაც.

პუშკინი სწერდა მასზედ: «მან შეირთო ის, რომელიც უყვარდა»-ო. მაგრამ ეს სიყვარული ნელი იყო. გრიბოედოვის ბიოგრაფები მოგვითხრობენ, რომ პოეტს უყვარდა იდუმალად, თავშეკავებით და ცივად. ყველაზედ მართალი ის უნდა იყოს, რომ გრიბოედოვს ცივად უყვარდა. არ არსებობს არავითარი თვალსაჩინო მოწმობა, რომ გრიბოედოვს ეს სიყვარული, თუნდა ცივიც, მაშინაც თან დაჰქონდა, როდესაც საქართველო უტია და ჯერ სპარსეთში მსახურობდა, მერე რუსეთში დაჰყო. ის დანიშნეს ელჩად სპარსეთში და გზად საქართველოზე უნდა გამოეყო. მაგრამ მას არ აღფრთვინებდა ის აზრი, რომ თავის სატრფოს იხილავდა. პირიქით: მას სჩაგრავედა წინააღმდეგობა, რომ სპარსეთში სიკვდილი ელოდა.

« Vous ne connaissez pas ces gens-là ; vous verrez qu'il faudra jouer des couteaux... »

ეუბნებოდა ის პუშკინს.

«მშვიდობით ძმოს სტეპან», ეუბნებოდა ბეგიჩევს, «არა მგონია, რომ კიდევ ვნახათ ერთმანეთი». — ასეთი სულისკვეთება სრულიად შეუთავსებელია ისეთი სიყვარულისათვის, რომელშიაც ერთ მხარეზედ, ოცდათორმეტი წლის ახალგაზდა დიპლომატი იდგა, მეორეზედ თექვსმეტი წლის «მურტილოს მადონა», როგორც უძახდა გრიბოედოვი ნინო ჭავჭავაძეს.

მაგრამ ის კაცი, რომლის წინადგომლობა ისეთი იყო, რომ სპარსეთში სასიკვდილოდ მიდიოდა, არაფერს დაერიდა და ნინოს ხელი ითხოვა.

თქმაც არ უნდა, რომ თავის წინაგრძობაზე საცოლესთვის არაფერი უთქვამს. გვირგვინ ქვეშ გრიბოედოვს გააცია. — არავინ იცის, რა გაიფიქრა თექვსმეტი წლის საბრალო დანიშნულმა, როდესაც იმავე გვირგვინ ქვეშ მის საქმროს ნიშნობის ბეჭედი დაუვარდა.

ისინი წავიდნენ სპარსეთში, სადაც გრიბოედოვი მართლა მოჰკლეს.

ასე გახდა ეს საბრალო ქალი სამი თვის ცოლად, რომ შემდეგ, მთელი სიცოცხლე ქვრივად დარჩენილიყო. — ეს იყო 1829 წელს.

★

უცოლოდ გაატარა თავისი ოთხმოცდასამი წელიწადი გრიგოლ ორბელიანმაც ამ ხნის განმავლობაში მან მიადწია ყველაფერს... იყო დიდი პოეტი, დიდი კაცი, დიდი ხელისუფალი, მდიდარი, სახელგანთქმული და ყველასაგან საყვარელი. მაგრამ მას აკლდა ერთი რამ... პორტმონე არასოდეს ჰქონია!

— კნიაზო, რატომ პორტმანს არ იყიდი? — ეუბნებოდა მისი მოსამსახურე სოლომონი და კნიაზიც უპასუხებდა:

— პორტმანი რათ მინდა შვილო, ცოლი არა მყავს, შვილი არა მყავს...

სხვა პოეტი, მაგრამ იმავე გრიგოლ ორბელიანის დისწული, ნიკოლოზ ბარათაშვილი ასე სწერდა მაიკო ორბელიანს, აგრეთვე იმ დროის ერთ შესანიშნავ ქალთაგანს:

«მაიკო, ეს რისაგან არის, რა-კი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ, მაშინათვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს».

ეს წერილი იმ დროინდელი სტილისებურია. მართლა რომ იმ დროს ტფილისში ჭორი ყველაფერი იყო. «ჭორში» მაიკო არც პირველი იყო, არც ერთადერთი და მის თხზვაში პოეტი სხვაზედ ნაკლებ მონაწილეობას არ იღებდა; ამიტომ შეუძლებელია, ეს წერილი ისე მივიღოთ, როგორც ნამდვილი საყვედური; პირიქით, მაიკო ორბელიანი ღირსია, რომ პოეტის ბიოგრაფიაში მთავარი ადგილთაგანი ეჭიროს, როგორც მის ახლო ნათესავს და გულითად მეგობარს. მისმა ფერადიანმა სურათმა ჩვენამდე მოაღწია და პოეტის მეგობარი ქალი მეოცნებე და მელანქოლიურ არსებად გამოიყურება ჩარჩოდგან. მისი, მკერდზედ გველებად დაყრილი დალალები ძალაუნებურად პოეტის ლექსს გვაგონებენ:

შენი დალალნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ
ხან ნუგეშის თვის, ხან დასაწველად!

პატარა წერილმა, სულ რამოდენიმე სიტყვაში გამოთქმულმა და თვით პოეტის ხელით დაწერილმა, მაიკო ორბელიანის ხსოვნა სამუდამოდ გადააბა ქართულ მწერლობასთან.

არსებობს პოეტის ლექსების ერთი ვარიანტი, რომელსაც პირველ გვერდზედ ასეთი წარწერა აქვს:

«დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. — ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმაწვილობისათა და შეიბრალებ შენსა ყარბსა ძმასა. თ. ნ. ბარათაშვილი.»

ამ წერილში ბარათაშვილიც «ბევრთა საამოთა დღეთა»-ზე ლაპარაკობს. ეს პატარა წერილი იშვიათი და თითქმის ერთად ერთია პოეტის ლექსებსა და სხვა წერილებში, საიდგანაც ვტყობილობთ, რომ «საამო» დღე ბარათაშვილსაც ჰქონია.

შეუძლებელია ჯეროვანი არ ვაგოთ ამ ქართულ ხანას, მის იდუმალ მსიბლარებას და, შესაძლებელია, განუმეორებელს სილამაზეს, მთელს მეცხრამეტე საუკუნის სიგრძეზედ ქართულს ცხოვრებაში, მით უმეტეს, რომ ნამდვილად არც მაიკო ყოფილა ცხოვრებაში ბედნიერი და არც ბარათაშვილი. ერთიცა და მეორეც სიყვარულმა საკმაოდ დასაჯა, მაგრამ ამ ხანამ, როგორც გრიგოლ ორბელიანში, მათშიაც თავისი სილამაზე ბოლომდე შეიჩინა.

რა თქმა უნდა, მაიკო ორბელიანს და ბარათაშვილს ერთმანეთი არ ჰყვარებიათ. მათი გონება «სხვაგან ჰქროდა» და ქალი და კაცი, რომლებთანაც ერთმაცა და მეორემაც თავისი გულები წააგეს, სხვები იყვნენ. მაგრამ ამ უბედობამ მეგობრობა განუმტკიცა და პოეტმა თავისი მესაიდუმლე მაიკოში ნახა.

მაიკო, ლევან მელიქიშვილის, ბარათაშვილის სიყრმის ამხანაგის, დანიშნული იყო. მაგრამ მელიქიშვილმა სხვა ორბელიანი შეირთო. ამის შემდეგ მაიკო აღარ გათხოვილა, ხოლო ერთად ერთი შვილი ივანე, ნაყოფი ამ უბედო სიყვარულისა, ომში დაეღუპა.

ბარათაშვილის სიყვარულის ტანჯვანი ცოტა სხვანაირი იყვნენ და თავის სიყვარულში პოეტი ისე შორს არ წასულა, როგორც მაიკო. მისი სიყვარულის დევნი იყო: — «მინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო!»

ასე სიყვარული ასწლობით შეიძლება. ასეთი სიყვარული ის უანგარო სიყვარულია, პოეტთა შორის მიღებული, რომლისათვის ათასი ლექსი და ათასი პოემა იწერება, მაგრამ ქორწილით არასოდეს არა თავდება. ახალგაზდა ბარათაშვილი ასეთი პოეტური სიყვარულის ნამდვილი რაინდი იყო.

ცნობილია, რომ პოეტს ნინო ორბელიანი უყვარდა, რომელსაც უძღვნა ლექსი:
მიყვარს თვალები მიბნედილები,
ვშისა ცეცხლით დაქანცულები;...

მაგრამ ამ სიყვარულის ისტორია, პოეტის ბიოგრაფიაში, ფრიად მცირედ არის განმარტებული. ლევან მელიქიშვილის წერილიდგან სჩანს, რომ ამ სიყვარულზედ ბევრ მის ამხანაგსა და მახლობელსაც არა სცოდნია. მაგრამ ლევან მელიქიშვილი ამ სიყვარულს, პოეტის პირველ სიყვარულს უწოდებს. მაშასადამე, პოეტს სხვა ახალი გატაცებისა და სიყვარულის ეკლებიც უნდა ეგემნა.

ვილა იყო მეორე?

ერთი მესამედი ბარათაშვილის ლექსებისა არის ნაყოფი საყვარულის და მშვენიერების. ეკატერინე ჭავჭავაძისა, ნინო ორბელიანისა, ნინო გრიბოედოვისა, მისი დელფინა და სხვანი ერთი მეორეზედ უკეთესნი, შეადგენდნენ მისთვის დაუღველ წყაროს პოეზიისას»-ო ამბობს მისი ბიოგრაფი იონა მეუნარგია.

მაგრამ ის არაფერს ამბობს, რომელს ამთავანს ეკუთვნის პირველობის დაფნა? მათ რიცხვს რომ ნინო ორბელიანის ასული გამოეკალათ, რომლის შესახებ დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ პოეტის პირველი სიყვარული იყო, ვინ იყო დანარჩენ სამში ის ამალელებული არსება, რომელიც პოეტის გულს ყელაზდ მეტად და ხანგრძლივად იტაცებდა?

დავიწყეთ იმ სახელითგან, რომელიც ქართული სმენისათვის ყველაზედ უფრო უცნობი უნდა იყოს. ეს გახლავთ დელფინა. მეუნარგიას თქმით, დელფინა ტფილისელი ფრანგი «მებულკე» ლაბიერის ასული იყო. თქმაც არ უნდა, რომ დელფინა ლაბიერით გატაცება ეპიზოდური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ პოეტის ამ გატაცებას, მეუნარგია გაცილებით მეტ მნიშვნელობას აწერს და ამბობს, რომ პოეტის ერთი უღამაზესი ლექსთაგანი «ჩემს ვარსკვლავს» დელფინა ლაბიერისადმი არის მიძღვნილი. ეს შეცდომაა. იონა მეუნარგიას შეცდომა იმითი აიხსნება, რომ მას პოეტის ლექსების ყველა ვარიანტი არა სცოდნია. ამ უცოდინარობის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ ბარბარე ერისთავის ასულის ვარიანტი პოეტის ლექსებისა მეუნარგიას დროს იქნება არც იყო აღმოჩენილი. მაგრამ ამ უკანასკნელი ვარიანტის საშვალელებით, პროფ. ექვ. თაყაიშვილმა გამოარკვია, რომ ხსენებულ ლექსს ჯერ «ეკატერინას» სწერებია სათურად, შემდეგ ის თვით პოეტს წაუშლია და «ჩემს ვარსკვლავს» დაუწერია. ამ რიგად, თუ დელფინა ლაბიერით გატაცება ისე დიდი იყო, რომ პოეტს ლექსებსაც აწერინებდა, ამ სიყვარულის გამოძახილი სხვა ლექსებში უნდა ვეძებოთ და არა «ჩემს ვარსკვლავს»-ში, რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძისადმი არის მიძღვნილი! ესევე გვაფიქრებინებს, რომ დელფინა ლაბიერით გატაცება მისი მთავარი გატაცება არ უნდა ყოფილიყო.

ამ რიგად მეუნარგიას მიერ დასახელებულ ქალთა შორის ორი-ღა რჩება:



ეკატერინე ჭავჭავაძე და ნინო გრიბოედოვისა. — ჩვენ ვიცით, რომ ეს ორდღიანი ღიადობა იყვნენ. ფიქრი, რომ პოეტს ორივე უყვარდა, ან მით უმეტეს, ერთსა და იმავე დროს — არაბუნებრივი იქნებოდა. თქმაც არ უნდა, რომ თვით მეუნარგისაც ნინო გრიბოედოვისა დასახელებული ჰყავს უფრო როგორც «წყარო პოეზიისა და მშვენიერებისა», რომლისადმი ალტაცება პოეტისა, შესაძლებელია, სრულიად უანგარო ყოფილიყო. დასასრულ, წინათქმულიდან ჩვენ ვიცით, რომ ნინო გრიბოედოვის სამიჯნურო ისტორიაში ახალგაზდა ბარათაშვილი არავითარ როლს არა თამაშობდა. მაშასადამე რჩება მხოლოდ ეკატერინე ჭავჭავაძე — შემდეგში სამეგრელოს დედოფალი!

ეკატერინე დაიბადა სწორედ ამავე 1816 წელს, როდესაც ბარათაშვილიც. მაგრამ ძნელია სხვა მეორე მაგალითის მოყვანა, როცა ორი ერთ დროს დაბადებული არსების ბედი ისე სხვადასხვანაირად წარიმართა, როგორც ეკატერინესი და ბარათაშვილისა. მათ სიყვარულს სიყვარულიც არ ეთქმის. იგი ჩაჯდა მათ შორის როგორც განთიადი ღამისა და დღის მიჯნაზედ, და როცა გაჰქარა, მხოლოდ უმზეო ამინდი დასტოვა.

ძნელია თქმა, რასა ჰქონდა გადამქრელი მნიშვნელობა: ეკატერინეს ქალურ აღლოს, რომელსაც იგი დედოფლის გვირგვინისაკენ მიჰყავდა, თუ გენიოს «ტლუ ბიჰის» დაღვრემილ სახეს, — მაგრამ ისინი ერთმანეთს უნდა გასცლოდნენ.

ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის სახლები მეგობარი და მახლობელი სახლები იყვნენ. ბარათაშვილი მათი ყოველდღიური სტუმარი იყო. რამდენჯერ უმღერიათ ერთად, რამდენჯერ უცეკვიათ, რამდენი ლექსი უთქვამთ ამ სახლში, ვინ მოსთვლის... ეკატერინე ამ საზოგადოების სული და გული იყო.

პოეტი რომ ეკატერინეს მართლა დედოფლურ სილამაზეს ვერ გადურჩებოდა, ეჭვიც არ უნდა გვექონდეს და ამისი თავდები თვით პოეტის ლექსებია. ეკატერინე ის ერთად ერთი ქალია, რომელსაც პოეტი აშკარად უძღვნის ლექსებს.

ცნობილია ზოგიერთი ამ ლექსის წარმოშობის ამბავიც. ეკატერინე მას ისე მოსწონდა, რომ ერთ ადგილზედაც ვერ ჩერდებოდა. ერთი წვეულებიდან გამოვარდნილი, რომელზედაც ეკატერინეც იყო. ის ეუბნება ლევან მელიქიშვილს:

— ლევან, ლევან! გავგიჟდი! მეტი აღარა ვარ! ეკატერინე იქ არის და იმისმა

საყურის თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი უკეთეს ვერას ნახავს... და იმ საღამოს სახსოვრად ლექსი «საყურე» დასწერა.

დასასრულ, იმისი საბუთი, რომ პოეტის გული ღრმად და ხანგრძლივად ეკატერინეს ეკუთვნოდა და არა სხვას, თითონ მეუნარგისმა ნახა ეკატერინეს არქივში:

სამეგრელოს დედოფალი დიდ ხანს ინახავდა პოეტის ხელით გადაწერილ პატარა რვეულს, სადაც ხუთი ლექსი ყოფილა მოთავსებული და მათ შორის ისინიც, რომლებიც თვით ეკატერინესადმეა მიძღვნილი. ამათ რიცხვსკეკუთვნის «ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი» და ჩვენის აზრით, «ცისა ფერს, ლურჯსა ფერს». ამ უკანასკნელი ლექსის დაწერის ამბავი ასეთია:

რუსული ლექსი: «ჩორნი ცვეტ, მრანჩი ცვეტ, ტი მნე მილ» პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძემ გადმოსთარგმნა, ეკატერინეს მამამ, და ეკატერინე ხშირად მღეროდა მას. ეტყობა ბარათაშვილს სურდა, რომ ეკატერინეს ეს კილო მისი ლექსით ემღერა და მის ნაცვლად — ცისა ფერს, ლურჯსა ფერს — დასწერა. ასევე უნდა ითქვას ლექსზედ: — როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა —, რომელიც აგრეთვე რუსული ლექსის წაბაძვია და იმავე ეკატერინესათვის არის დაწერილი, პიანინოზედ სამღერლად.



ამ რიგად: პოეტის ლექსებში ექვსი ისეთი ლექსი მოიპოვება. რომლებშიც
ოთხი აშკარად ეკატერინეს სახელს ატარებს და ორიც, თუ აშკარად მიძღვნილი არა,
დასამღერებლად მისთვის საგანგებოდ დაწერილი.

ექვსი ლექსი და ისიც ასე მშვენიერი და მეორეს მხრით, არც ერთი სხვა ქალის
სახელი დანარჩენ მის ლექსებში, საკმაო საბუთია ვსთქვათ, თუ ვიზედ ფიქრობდა მგო-
სანი, როდესაც სწერდა: —

მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო!...

ამ სიყვარულის ეპილოგი პოეტისა და ეკატერინესათვის სხვადასხვანაირი
იყო, — ბართაშვილი უფერულ გარემოებაში მოკვდა. ეკატერინე დედოფალი გახდა.
მაგრამ სამეგრელოს მთავრების სახლში, პოეტის სატრფო ქალი მისი ლექსების კონით
შევიდა...

ს. შავმთიელი

ანტიმთიანული

Antim Iverianul

წელს შესრულდა სამასი წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად ქართული წიგნი დაიბეჭდა. ამ დიდი და მართლაც საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ვბეჭდავთ მოგონებას, რომელიც ქართული სტამბის ერთ შემქნელთაგანს ეხება.

რედაქცია.

ქართველი ერის ტრადედია ახალი ამბავი არ არის; მისი ცხოვრების ისტორიაში ხშირად ყოფილა ის აოხრებული და განადგურებული; ის ამას მიჩვეულია, ამ ტრადედიაში გამოიჭედა მისი სული და გული, მისი მტკიცე იმედები კვლავ აღდგენისა და თავისუფლებისა.

ქართველის ნიჭსა და მოღვაწეობას არა ერთი და ორი ქვეყანაგაუკვირებია:— ბევრი გამოჩენილი და სახელოვანი ქართველი განისვენებს სხვა და სხვა ქვეყანაში, სადაც ისინი ბედით თუ უბედობით გარდაიხვეწნენ. ბევრი მაგალითი გვაქვს იმის შესახებ, რომ რომელიმე ქართველს დიდი როლი უთამაშნია სხვა ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ მოგონების მიზანია გაგაცნოთ ერთი ქართველი, რომელმაც თავისი ერი დიდათ ასახელა.

ეს ქართველი გახლავთ ანთიმოზ ივერიელი ანუ როგორც მას რუმინეთში უწოდებენ, ანტიმ ივერიანულ, გვარად მგონი აბაშიძე; თუ ნამდვილად რა გვარისა არის, ან რა პირობებში მოხვდა ეს სახელოვანი ქართველი რუმინეთში, ამის შესახებ თვით რუმინეთში არაფერი იციან; იციან მხოლოდ, რომ ის ქართველი იყო და სახელად ანთიმოზი ერქვა.

1919 წელს რუმინეთს ეწვია საქართველოს დიპლომატიური მისია. ჩასვლის მესამე დღეს, მისიის თავჯდომარემ მიიღო წერილი აკადემიკოს პროფეს. ბიანოსაგან დაახლოებით შემდეგი შინაარსისა: —

სულით და გულით მივესალმები რა ქართული მისიის ჩვენში ჩამოსვლას, ჩვენს ორ ქვეყნის შორის კავშირის გასაბმელად, ბედნიერი ვარ ვისარგებლო ამ



შემთხვევით და გაცნობით, რომ თქვენ პირველი ქართველი არ ბრძანდებით, რომელიც საქართველოს ჩემს ქვეყანას აცნობს. მეჩვიდმეტე საუკუნეში რუმინეთს ეწვიეთ. თი ქართველი ახალგაზდა, ანთიმოზ ივერიელი, რომელმაც თავისი არაჩვეულებრივი ნიჭით და პატიოსნებით, სამართლიანად დაიმსახურა მაშინდელი რუმინეთის პატივისცემა და სიყვარული. იმ ქართველის მოღვაწეობა იმდენად ნაყოფიერი და თვალსაჩინო შეიქნა, რომ ის გახდა სრული ბატონ-პატრონი სასულიერო უწყებისა და მიაღწია უმაღლეს ხარისხს, შეიქნა მიტროპოლიტი ბუქარესტისა, რაც მას პირველ ადგილს ანიჭებდა მაშინდელ რუმინეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

ამ წერილის მიღების მეორე დღესვე, მისიის თავჯდომარემ ინახულა პროფესორი ბიანა, რომელმაც გვაჩვენა აკადემიის წიგნთსაცავში შენახული სახარება, ანთიმოზის მიერ დაბეჭდილი და გამოცემული ვახტანგ მე-VI სურათით.

პროფესორი მოგვითხრობდა, რომ ანთიმოზ ივერიელმა გააკეთა მბეჭდავი მანქანა საქართველოსათვის, რუმინეთისათვის და კიდევ რომელიღაც მესამე ქვეყნისათვის, რომლის სახელიც სამწუხაროდ აღარ მახავს. ანთიმოზ ივერიელმა ეს მბეჭდავი მანქანა გაუგზავნა ვახტანგ მეექვსეს და გააყოლა ერთი უნგრელი მბეჭდავი-ო.

როგორც ბიანამ გვიამბო: — ომის შემდეგ პირველად გაიხსნა რუმინეთის აკადემიის კრება. სწოდმის საგანი იყო საქართველოსა და რუმინეთის დამოკიდებულება. ამ კრების საბაზი იყო ახლად ჩამოსული ქართული მისსია და მოხსენება ეხებოდა უმთავრესად ანთიმოზ ივერიელს.

აკადემიის სწოდმის შემდეგ, მისიის თავჯდომარე გავმგზავრა იმ ეკლესიის სანახავად, რომელიც ანთიმოზ ივერიელს აუშენებია. პატარა ლამაზი ეკლესია შუა ბუქარესტში. ჩუქურთმა თვით ანთიმოზის ხელით არის გაკეთებული.

ეკლესიაში შესვლისას ყურადღებას იქცევს ორი დიდი სურათი, კედელზე გამოხატული: მარცხნივ, ანთიმოზ ივერიელი; მარჯვნივ, კონსტანტინე ბრაცოვანი, მაშინდელი ვალახიის მთავარი. ეს ორი დიდი პირი განაგებდა ამ დროის რუმინეთს; საერთო უწყებაში ორივე და სასულიეროში მართლდ ანთიმოზი. რუმინეთის სკოლებში ასწავლიან ანთიმოზ ივერიელის შესახებ, თუ რა როლი ითამაშა მან რუმინეთის საზოგადო ცხოვრებაში.

როგორც ამბობენ, ანთიმოზ ივერიელი დაღუპულა თათრების ერთ-ერთ შემოსევის დროს.

ამ წარჩინებულმა ქართველმა რუმინეთის ისტორიაში შექნა სახელოვანი ხანა: ასახელა თავი და მოხბელი ერი.

შენიშვნა რედაქციისა:

«მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს», ამბობს ზაქარია ჭიჭინაძე, «რალაც ბედნელ ვალახიაში ყოფილა ერთი ქართველი ეპისკოპოზი... ბუკრი მიწერ-მოწერის შემდეგ, ზემოხსენებულ ეპისკოპოზს ვალახიაში ჩამოუსხმევნებია ქართული ასოები და ამ ასოების ნიმუშები საქართველოში გაუგზავნია... ქართველ ეპისკოპოზსაც ესიამოვნა ესეთი ნატვრა, მეფის ვახტანგის ბრძანება უმაღლვე შეასრულა, მალე იშოვნა ოსტატი კაცები მოიპოვა ყველა სასტამბო იარაღი, ჩამოასხმევინა ქართული ასოების ყალიბები, ყალიბებს მოჰყვა თვით ასოების ჩამოსხმა და მეფის ვახტანგის და ლეონ ირანთა მსაჯულის ხარჯით საქართველოშიაც გამოგზავნილი... ჩვენის აზრით ეს რიცხვი უნდა შეეხებოდეს 1707 წ. არა უგვიანეს, რადგანაც 1709 წ. ტფილისში უკვე გამოიცენ ქართული წიგნები».

პირველი საბეჭდავი გუტენბერგმა მოაწყო 1455 წ.; პირველი ქართული სტამბა გამართულ იქმნა რომში და პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა რომშივე 1629 წ.

ბ. ვარდანი

ჩვენის მიზანშეწონის საკითხები

არ მინტერესებს სიტყვათა რახარუხი; საქმე მაქვს სინამდვილესთან და მასთან კი დაკავშირებულია ის საჭირობოროტო საკითხები, საქართველოს მეურნეობას რომ განსაკუთრებით აწუხებს. აქ შევეხები მხოლოდ რამოდენიმეს: —

სახნავ-სათესი მიწა საქართველოში

საქართველოს ტერიტორია შეიცავს 6. 952. 300 ჰექტარს ანუ 69. 523 კვადრატ კილომეტრს.

სასოფლო-სამეურნეო მიწის რაოდენობა უდრის 1. 425. 600 ჰექტარს ანუ მთელი ტერიტორიის 20,5 პროცენტს. ზამოუსადეგარი მიწის ფართობი კი წარმოადგენს მთელი ტერიტორიის 18,8 პროცენტს.

აღმოსავლეთ საქართველოშია მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის — 25,3 პროც.; დასავლეთისაში — 20,6 პროც.; აფხაზეთში — 10,9 პროც.; აჭარაში — 7,9 პროც.; სამხრეთ ოსეთში — 7,6 პროცენტს.

სახნავ-სათესი მიწა იყოფა: სარწყავ და ურწყავ მიწად. სარწყავ სახნავების ფართობი უდრის 115.300 ჰექტარს; აქედან — 97.200 აღმოსავლეთშია და 18.100 ჰექტარი დასავლეთში ანუ ხუთჯერ ნაკლები.

ურწყავ სახნავების ფართობი უდრის 1.080.400 ჰექ.; აქედან აღმოსავლეთშია — 651.100 და დასავლეთში — 429.300 ჰექ.

მთელს საქართველოში თითო კომლზედ საშუალოდ მოდის 2.87 ჰექ.; აქედან — სარწყავი 0.28 და ურწყავი 2.59.

ამგვარად: თვითეულ მცხოვრებზე მოდის სახნავ-სათესი მიწა სულ — 0.58 ანუ 1274 კვადრატული საყენი. ბევრია?!

მაზრების მიხედვით სურათი შემდეგია: თითო კომლზე მოდის: —

ტფილისის მაზრაში	1.1	ჰექ. სახნავი
ახალქალაქის	1.1	„
ბორჩალოში	0.9	„
სიღნაღის მაზრაში	0.8	„
გორის, დუშეთის და თელავის	0.7	„
ზუგდიდის	0.6	„
აფხაზეთში, ახალციხის და სენაკის მაზრაში	0.5	„
ქუთაისის და ოზურგეთის მაზ.	0.45	„
სამხრეთ ოსეთში და შორაპნის	0.3	„
ლეჩხუმში, რაჭაში და სვანეთში	0.25	„
აჭარაში	0.2	„



ასეთი არის მწარე სინამდვილე! და აქედან წარმოშობილი საქირბოროტო სტიქია, რომელიც საქართველოს მეურნეობისათვის საბედისწერაა: — მიწის, სახნავი მიწის უდიდესი სივიწროე! თვითეულ მცხოვრებზე საშუალოდ მოდის 1274 კვად. საყენი! და ესეც იმ ქვეყანაში, სადაც მიწის დამუშავების ხარისხი მეტად დაბალია! ამიტომ გასაკვირველი არ არის ის მოვლენა, რომ საქართველოში გლეხობის 44,2 პროცენტს არა ჰყოფნის პურეულობისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის ნაწარმოები! თავისი თავის გამოკვება შეუძლია გლეხობის მხოლოდ 46,4 პროცენტს და ისიც რა ღარიბულ პირობებში!

მეტი მოსდის ვინემ სჭირდება გლეხობის მხოლოდ 9,4 პროც. და ისიც რა ღარიბულ პირობებში!

სილატაკე კიდევ მეტია: — მთელს საქართველოში, მეურნეთა 12,8 პროც. მოკლებულია ყოველგვარი სახის ოთხფეხ საქონელს; მეურნეთა 37, 3 პროც. არა ჰყავს მუშა საქონელი; და მეურნეთა 21 პროც. არც მუშა საქონელი ჰყავს და არც მეწველი!

მეურნეთა 40,8 პროცენტი სრულიად მოკლებულია სასოფლო-სამეურნეო იარაღს. ასეთი არის ეს საშინელი ცნობები. სილატაკე წარმოუდგენელი!

მაგრამ ამას ზედ ერთვის მეტი უბედურება: — 1900 წელთან შედარებით ანუ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, სახნავ-სათესი მიწის ფართობი შემცირებულა, მას დაუკლია 228.000 ჰექტარით. მიწა გამოფიტულა და ის საბალახოდ გაუხდიათ! და ასეთი მიწის სიმცირის დროს, როდესაც ქართველი გლეხი მიწით შიმშილობს და საქმელი არ გააჩნია, მას სოციალიზმს უმყარებენ! სოციალიზმი სილატაკის?

მიწის ნორმა

1922 წლის 26 მაისს დამტკიცებულ იქნა მიწის ნორმები. საშუალო ნორმა ყველა კატეგორიის მიწისა (ნორმაში შედის სახნავ-სათესი, ვენახი, ბალი, სათიბი) სამიდან ხუთ სულიან ოჯახზე უდრიდა: ტფილისის, დუშეთის და ახალქალაქის მაზრაში — 7.63 ჰექ. სიღნაღის — 7.08; გორის, ბორჩალოს, ახალციხის მაზრაში, აფხაზეთში და ოსეთში — 6.54; თელავისა და სევანეთის მაზრაში — 5.45; ქუთაისის — 4.91; შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრაში და აჭარაში — 4.36 ჰექტარს. კანონით დაწესებული ეს მიწის ნორმები, როგორც სამართლიანად შენიშნავს ბ-ნი ვ. გოგილაძე, (საქათ. ეკონომისტი 7—11) არის «მხოლოდ და მხოლოდ საარსებო მინიმუმი» რომ კომლი ფიზიკურად არ გაწყდეს. მაშასადამე, საქართველოს მიწის ნორმები უნდა ჩაითვალოს მიწის სივიწროვით გამოწვეულ, ასე ვსთქვათ, გაჭირვების ნორმებად».

ერთად ერთი მაზრაა მთელ საქართველოში, სადაც მიწის ფართობი საკმაოდ ესე იგი, კანონის მიერ დაწესებული ნორმით ანუ «გაჭირვების ნორმით» შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს გლეხობა, — ესაა ახალქალაქის მაზრა. ყველგან: დანარჩენ საქართველოში, ნორმაზე ნაკლებია. მაგალითად: — აჭარაში, რაჭაში, ლეჩხუმში კანონით დაწესებული მიწის ნორმა უნდა იყოს — 4.37 ჰექტარი, სინამდვილეში კი კომლზედ საშუალოდ მოდის — 1.7 ჰექ. ანუ ორხანევარჯერ ნაკლები ვინემ «გაჭირვებული» კანონიერი ნორმა! შორაპნის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრაში საშუალოდ კომლზედ მოდის 2.0 — 2.8 ჰექ. (დაწესებულია კანონით — 4.36 ჰექ.) ანუ ორჯერ და სამჯერ ნაკლები ნორმაზე.

ბ. გოგილაძის გამოანგარიშებით: რომ კანონის მიერ ჩვენი გლეხობა დაკმაყოფილებული იქნეს, ანუ მიეცეს მას კანონით დაწესებული ნორმა, ამისათვის აკლია:



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ქუთაისის მაზრა	121.100	კვ.	8675
შორაპნისას	86.700	—	—
სიღნაღისას	74.100	—	—
გორისას	72.900	—	—
სენაკისას	55.500	—	—
ოსეთს	54.400	—	—
ზუგდიდისას	41.000	—	—
ტფილისისას	37.200	—	—
ახალციხისას	36.900	—	—
აჭარას	36.300	—	—
რაჭას	31.200	—	—
ლეჩხუმს	21.500	—	—
ბორჯალოს	10.600	—	—
და სვანეთს	3.800	—	—

«ამგვარად, ამბობს გოგილაძე, — რომ საქართველოს სოფლის მიწისმუშა მოსახლეობის დაკმაყოფილება გადაწყვეტილით კანონით დაწესებულ მიწის ნორმით, დაგვაკლდება 946.800 ჰექტარი.» ასეთი საშინელი მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში! და ამის მიუხედავად: — სხვა რესპუბლიკებიდან ჩვენში ასახლებენ! და ამ უკანასკნელ დროს შემთხვევით კალწოქა ან კალწოქა უკეთესი ნებანი! რაღა იქნება ეს? კოლექტივიზაცია სილატაკის?

სამოსახლოები


სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების ფართობი საქართველოში უდრის — 72.400 ჰექტარს; ქალაქითა და დაბებით დასახლებული — 37.900 ჰექ; სამოსახლოების ფართობი აღმოსავლეთ საქართველოში უდრის — 21.400; დასავლეთში — 51.000. (გავიხსენოთ: დასავლეთ საქართ. ტერიტორია 611.100 ჰექ. ნაკლებია აღმოსავლეთისაზე!) დასავლეთში კომლზე მოდის ორჯერ მეტი სამოსახლო მიწა ვიდრე აღმოსავლეთში, სადაც ის მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია (მიწური, შეჯგუფება...).

1900 წელთან შედარებით, სამოსახლოების ფართობი ერთი ორად შემცირებულია! მაშინ ის შეადგენდა საქართველოს ტერიტორიის 21 პროც. ესლა კია მხოლოდ ერთი პროცენტი.

სამოსახლოების ფართობის ასეთი შემცირება, იმის მიუხედავად, რომ ის საერთოდ მეტად მცირეა, შემცირება, რაც აიხსნება მიწის დიდი სიფარდით, იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ცხოვრება წინსვლის მაგიერ, უკან მიდის და ქვეყანა განსაცდელში ვარდება: ხალხის ნორმალური ზრდა დიდი საფრთხის წინაშეა.

სასოფლო საბალახოები

სასოფლო საბალახო არის კარზე საბალახო, სადაც შინაურ ცხოველთ აძლებენ. კარზე საბალახოს ფართობი უდრის 781.400 ჰექტარს ანუ საქართ. მთელი ტერიტორიის 11.2 პროცენტს. ყველაზე მეტი ასეთი საბალახო აქვს სიღნაღის მაზრას — 109.200 ჰექ. ყველაზე ნაკლები გურიას — 9.500. აღმოსავლეთი საქართველო მდიდარია ამ მხრივ დასავლეთზე — სამჯერ.



1900 წელში სასოფლო საბალახოების ფართობი უდრიდა — 380.200 ჰექტარს და ამ უკანასკნელად ის უდრის 781.400 ჰექტარს. იმის მაგივრად: რომ იზრდებოდნენ ხანავი და კულტურული ნაშენობის მიწა, იზრდება საბალახო, მაშინ როცა, საქონლის კვება უნდა ხდებოდეს ბაგაზე, როგორც ეს სხვა კულტურულ ქვეყნებშია. მაშასადამე: სამეურნეო კულტურის შექმნა უდიდესი საკითხია ქართული მეურნეობისათვის! ასეთი რამ დეკრეტებით არ მოდის, რასაკვირველია!

ს ა ძ ო ვ რ ე ბ ი

საძოვრების ფართობი მთელ საქართველოში უდრის მისი ტერიტორიის — 24.9 პროც. ანუ მთელი ტერიტორიის ერთ მეოთხედს; ამნაირად: საძოვრების ფართობი მეტია სახნავსათეს მიწაზე ოთხი პროცენტით!

საზაფხულო საძოვრები უდრის 717.000 ჰექტარს, საზამთროსი კი სამჯერ ნაკლებია. როგორაა ეს საკითხი მოგვარებული?

ჩვენი მეცხვარეობას მისდევს შვიდი ათასი მოსახლე (პროფ. ჯანდიერის: ობ ოვცეცხვადსტვე) და მთელი შემოსავალი მეცხვარეობისა უდრის არა ნაკლებ ათ მილიონ მანეთს, მარა? «ჩვენი საძოვრები ამ უამად ვერ აძლევენ ცხვარს საჭირო რაოდენობით კვებას»-ო. ამბობს ა. გძელიშვილი (საქართველო. ეკონომ.). რა მოხდა? ის, რომ ყარს-არაღანის საძოვრები ბოლშევიკებმა ოსმალეთს ჩააბარეს და მარტო ახალქალაქის მანრის საძოვრებს ჩააბოუჭათ 18.400 დესიატინა «და ისედაც შევიწროებულნი ჩვენი მეცხვარეობა უარეს მდგომარეობაში ჩავარდა».

ვ ე ნ ა ხ ი

1900 წელს საქართველოში ვენახს ეჭირა 66.000 ჰექტარი, ეხლა კი მხოლოდ 37.5000 ჰექტარს. ანუ: ვენახი თითქმის განახევრებულია!

ასეთი და სხვა მრავალი საკითხი საჭირობროტო საკითხია საქართველოს მეურნეობისათვის და მის შესაფერის. გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული ქართველი ხალხის ბედი. ჯერ-ჯერობით მას უფსკრულისაკენ მიაქანებენ!

ს. ცომაია

ანდრია რაზმაძე

(1890 — 1929)

ჯერ კიდევ არ მოგვეშუშებია სახელოვან მეცნიერის პროფ. პ. მელიქიშვილის, ცნობილი სახეს პროფ. ნ. კახიანი და ახალგაზდა მეცნიერის ჯგუფი იოსელიანის საცვდილით გამოწვეული იარა და აი კიდევ თავზარდამცემი ამბავი: — ერთი საუკეთესო მათემატიკოსთაგანის პროფ. ანდრია რაზმაძის სიკვდილი.

ანდრია რაზმაძის სიკვდილი — ესაა საქართველოს კულტურის კერის, ტფილისის უნივერსიტეტის თავზე უდიდესი მნათობის ჩაქრება; ესაა გამოცლა ერთი იმ დელაბრატაგანის, რომელზედაც აშენდა და გამაგრდა ქართული უნივერსიტეტი; ესაა ჩამონგრევა იმ ზღუდის, რომლის აღება მოსკოვსაც გაუჭირდა და რომლის საფარშიც ტფილისის უნივერსიტეტი დღემდე ქართულად მუშაობდა; ეს იყო დიდი მეცნიერი, ქართული კულტურის მესვეფერი და ჩირაღდანი.

პროფ. რაზმაძე იყო საგანგებოდ მეცნიერებისათვის გაჩენილი; და როგორც თითონ ამბობდა: უბედნიერეს ადამიანად მაშინ გრძნობდა თავს, როცა ჩაეფლობდა მათემატიკის ფორმულებში; ეს ფორმულები ხორცს ისხამდენ და წარმოაგენაში ახორჩადებოდნენ როგორც ცოცხალი არსებანი, რასაც მოჰყვებოდა ახალი აღმოჩენები და ახალი მიღწევანი.

პროფ. რაზმაძე მიჩნეული იყო ევროპაში როგორც საუკერესო მათემატიკოსი. მთელი რიგი მისი აღმოჩენებისა კიდევ დიდ ხანს იქნება ხელი ხელ საგოგმანები ყველა კულტურულ ქვეყანაში. მისი აღმოჩენანი უმთავრესად შეეხებოდა მათემატიკის ურთულეს და უმნიშვნელოვანეს დარგს — ვარიაციათა აღრიცხვას.

პროფ. რაზმაძის აღმოჩენები შედეგია ხანგრძლივი დაკვირვებისა, სისტემატიური მუშაობისა და რაც მთავარია ინტუიტიურ ძალისა, რითაც უხვად იყო ის დაჯილდოვებული. ვარიაციათა აღრიცხვაში ან. რაზმაძემ წამოაყენა და ბრწყინვალედ გადასჭრა მთელი რიგი პრობლემათა, რითაც სამოღამოდ ჩაეწერა უდიდეს მეცნიერთა სიაში.

დამოუკიდებელი და ორიგინალური დასმა და გადაწყვეტა საკითხების, განზოგადოების ძალა, ვირტუოზული ფლობა სიმბოლიური აზროვნების აპარატით — აი მუდმივი თვისებანი პროფ. ანდრია რაზმაძის შემოქმედებითი მუშაობისა.

სამწუხაროდ, რაზმაძის მოღვაწეობის ფართე საზოგადოებისათვის გაცნობა შეუძლებელია, რადგან მათემატიკური პრობლემების ასახსნელად საჭიროა სპეციალური ენა, რომელიც გასაგებია მხოლოდ მათემატიკოსებისათვის.

პროფ. რაზმაძის შრომებში დასმულია და გადაჭრილი სრულიად ახალი საკითხები; ასეთია მისი პირველი შრომა. დაბეჭდილი გერმანულ მთავარ მათემატიკურ ჟურნალში: «მათემატიკა ანალენ»; ასეთივეა მისი სადოკტორო დისერტაცია «წყვეტილი გარდაწყვეტიანი ვარიაციათა აღრიცხვაში», რომელიც მან ბრწყინვალედ დაიცვა პარიზში 1924 წ.

მაგრამ ან. რაზმაძეს აქვს კიდევ სხვა შრომები, რომელიც ეკუთვნის ე. წოდ. კრიტიკულ მიმართულებას, მაგალითად. «ძირითადი ლემა ვარიაციათა აღრიცხვაში», რომელიც დაბეჭდილია პროფ. აინშტაინის წინასიტყვაობით გერმანულად 1921 წ. ეს შრომა იმდენად საყურადღებოა, რომ შეაქვთ ვარიაციათა აღრიცხვის ყველა სახელმძღვანელოში.

პროფ. რაზმაძის გამოკვლევანი არ განისაზღვრებიან მარტო ვარიაციათა აღრიცხვით; მას აქვს შრომები მათემატიკის სხვა დარგშიც; მაგ. დიფერენციალურ გეომეტრიაში, «მინიმალურ ზედაპირთა თეორია», რომელიც დაიბეჭდა საფრანგეთში 1922 წელს და სადაც აღმჩენილია სრულიად ახალი ფორმულები ისეთ საკითხში, რომელზედაც მანამდე ბევრ გამოჩენილ მათემატიკოსს უშუშავნია.

პროფ. რაზმაძის გამოკვლევები დაბეჭდილია ქართულ, გერმანულ, ფრანგულ, ამერიკულ და რუსულ ჟურნალებში და კონგრესების ანგარიშებში. უდიდესი ყურადღება მიიპყრო ან. რაზმაძის მოხსენებამ მათემატიკოსთა მსოფლიო კონგრესზე, ამერიკაში 1924 წ., სადაც მას საპატიო წევრის სახელი შესთავაზეს. სენსაცია გამოიწვია მორიგმა მისმა მოხსენებამ რუსეთის მათემატიკოსთა კონგრესზე 1926 წ. და უკანასკნელად 1928 წ. მოსკოვის მათემატიკოსთა საზოგადოებაში წაკითხულმა უკანასკნელმა. ჯერ დაუბეჭდავმა შრომამ «ვარიაციათა აღრიცხვის ზეციურ მექანიკაში გამოყენება»-ზე.

ასეთი იყო პროფ. რაზმაძის მნიშვნელობა საერთოდ მეცნიერებისათვის, ხოლო მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის, ქართული უნივერსიტეტისათვის კიდევ უფრო დიდი და დაუფასებელია. ის კლდესავით იდგა ქართული უნივერსიტეტის სადარაჯოზე და მისთვის ჩვეული სიმტკიცით იგერიებდა მოსკოვის შემოტევებს. და ისეთ მომენტში, როდესაც სწყდებოდა ხოლმე ქართული უნივერსიტეტის ბედი, ხმას იმაღლებდა ან. რაზმაძე და მისი ხმა ახარებდა საქართველოს.

ამ დიდი ქართველის წყალობით ტფილისის უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტი საუკეთესოდ ითვლება მთელს კავშირში. ქართული უნივერსიტეტისათვის ის არ ზოგავდა არც ენერგიას, არც საშვალებას; ეს იყო მისი ერთად ერთი საზრუნავი. მან ჩაუყარა საფუძველი ქართულ მეცნიერულ მათემატიკურ ტერმინოლოგიას; მანვე გამოსცა პირველი ქართული სახელმძღვანელო უმაღლესი მათემატიკისა და უკანასკნელამდე კითხულობდა ლექციებს შემდეგ საგნებში: ანალიზის შესავალი, დიფერ. აღრიცხვა, ანალ. ფუნქ. თეორია, ალბათობის თეორია და სხ. პატარა წერილში შეუძლებელია მისი მოღვაწეობისა და მეცნიერული მუშაობის სრული დახასიათება...

დავკარგეთ დიდი მეცნიერი, ჩვენი კულტურისათვის საამაყო ადამიანი.

გ ი ლ გ ა მ ე შ ი ა ნ ი

გ ი ლ გ ა მ ე შ ი ა ნ ი. ეპოსი.

მესამე ათეული ქრისტეს წინ.

ბაბილონურითგან ქართულად თარგმნილი მ. წერეთლის მიერ.

გამოცემა კონსტანტინეპოლის ქ. კ. სავანისა.

არის იშვიათი წიგნები, რომელნიც თანაბრად საინტერესონი არიან ესთეტ-თათვის და მკვლევართათვის. ეს მოვლენა თავისთავად ბედნიერებაა; მაგრამ არის იშ-ვითად ბედნიერი წიგნები, რომელთა შესახებ გინდათ ბევრი, ძალიან ბევრი სთქვათ, მაგრამ სდუმხართ და გრძნობთ; ეს ის ღუმელია, რჩეულობით რომელიც შეეფერება წიგნის ხარისხს.

მაშ, რა უნდა სთქვათ ამ ბაბილონურ საგზებელზე? გილგამეშიანზე?

რა მთასხსენებელია მტკიცება იმისა, რომ ეს არის უუძველეს საუკუნეთა გან-საცვიფრებელი სუნნელება, რაიც აღწევს ჩვენამდე და გვაბრუნებს; რომ ეს არის უხვი და უდრეკი ღონე, ხელაღე რომ გვიმორჩილებს და გვაბარბაცებს; ან იქნებ ისა, თუ რაოდენ დიდის ბუნებისა და უშრეტის სიბრძნისა უნდა ყოფილიყო მომღერალი, რომელსაც გაბედულის თვალით მწვერვალები და უფსკრულები სამყაროსი ეხილა და შემდეგ ეგზომ ღონაური ფიქრი გაეწია, რომ გილგამეშიანი ემღერა.

ეხლა კიდევ ისინი — ვინაც ისმენდენ!

ისმენდენ უთუოდ თავიანთ წარმოდგენებში გართულნი; სტკებოდენ და არა კკითხულობდენ — ვინ იმდერისო; სჩანს ამათ ბუნებაშიაც ყოფილა ასეთი სიუხვის პი-რობა და გილგამეშიანის მთქმელის ვინაობა არ შეინახეს; ან იქნებ გატაცება იყო გილ-გამეშიანი თუ საზღვრო და ასეთი გატაცება დროსა და ადგილს არა სტოვებდა შემომ-ქმედის საძიებლად.

და სწორედ, პირველ პწყარებსავე თქვენ შეყავხართ დატვირთულ ჰაერში და იქმნება გრგვინვის მოლოდინის განწყობილება.

«იგი იყო, რომელმან ყოველი იხილა ქვეყნის საზღვრებამდე» —

აი, პირველი ხმა, პოემის დასაწყისი.

აქ დიდი კალაპოტია შემოფარგლული; ან უკეთ რომ ვსთქვათ, კალაპოტი სრულებით არ არის, არამედ სივრცეა აღებული კალაპოტად. სივრცე, რასაც შინაარ-სი ეძლევა მხოლოდ სიმშვიდის სიბრძნით.

შემდეგ სიმშვიდეს ემატება უდრეკი ყინი, ზედერთვის აბორგებული გონება და თვალ წინ იშლება დაუვიწყარი სურათები სამყაროს უფსკრულთა და სიღრმეთა. არსად მთელი პოემის სივრცეზე, პირველი ხმა არა თუ არ არის გამრუდებული, არა-მედ ოღნავ დაშვებულიც კი. ასეთ მღელვარებათა ხმაურში გაისმის აგრეთვე ისეთი

ნაწი გამოთქმები, რომელნიც მხოლოდ უდიდეს ოსტატს შიენდობოდა, დაემორჩილებოდა; მართლაც ოსტატს შესანიშნავის რეჟისორობით, უშიშრად გაუწესებია ისინი ამ ატეხილს ღმუილში და ეს სათნო და კდემა-მოსილი სახეები და გამოთქმები — არც ჩარჩობებშია, არც დაკარგულან და ანათებენ ჩუმად:

— ჩვენს სახლში შემოდი ფიჭვის სუნი რომ დგას. —

— სუამე პური, ენდიკუ, ცხოვრებისა იგი!
სვი ღვინო, ჩვეულება იგი ქვეყნისა. —

— ძილი კაცს რომ გადაეხსნის, დაეცა შას. —

— ღმერთს ხომ არ გაუვლია? რად დამიუძღურდა სხეული? —
ან კიდევ:

— ჭრელი მეცხვარე შეიყვარე.
დაჰკარი, მოსტეხე ფრთა!
ტყეშია იგი და იძახის: «კაპკი» —
ამის თანაბრად:

— მთის ძირში ჩამიყვანა, მასვა წყალი, განმიგრილა გული,
და დასდვა დედამიწა ჩემს ფერხთა თანა. —

არა პარალელისათვის, არამედ უნებურად აქ მაგონდება უელლის გულცივი ჭოემა «მონ-ბლან», მაგრამ ამდენ სიდიადეს იქ ვერა ვპოულობთ. და განა მარტო სიდიადეშია საქმე? საოცარია იმ ხერხთა უამრაობა, რაიც გილგამეშიანის მთქმელს გააჩნია; მაგრამ ეს მოვლენა ამ უამად არ არის ჩემი საგანი. ხოლო ის, რაც იყო საგანი, თითქოს დასრულდა, თითქოს დაბოლოვდა; თითქოს (ვიმეორებთ), რადგან ეს თემა, მთელ წიგნს დაიჭერდა, ისე კი, დუმილი უმჯობეს იყო.

და თუ ესეც წამოვიწყეთ, შესაძლებელია მეტ-წილად იმისათვის, რომ ჩვენი სიხარული და ამ სიხარულის გამო მადლობა გვემცნო ბედნიერ წიგნის ბაბილოზური-თგან ქართულად უბადლო მთარგმნელისათვის.

ვ. ბოჯგუა

ჯ ვ ა რ ო ს ა ნ თ ა დ რ ო ი დ ა ნ


ზ. ავალიშვილი. ჯ ვ ა რ ო ს ა ნ თ ა დ რ ო ი დ ა ნ . ოთხი საისტორიო ნარკვევი. პარიზი. 1929 წ. ფასი ათი ფრ.

ჩვენ დიდი ხანია დავკარგეთ გემო ქართული მეცნიერული წიგნის, საქართველოს ვინც მოწყვეტილი ვართ, იმათ განსაკუთრებით. აქ უცხოეთში მეტად მწირი სულიერი საზრდოთი ვიკვებებით, ან უკეთ რომ ვსტევათ, ვმუღვედებით. და როცა გავიგეთ, ბ. ზ. ავალიშვილის გამოკვლევა იბეჭდებოდა, იმედი დაგვებადა: — იქ აღბად ვიპოვით იმას, რაც ასე გვწყურია და გვაკლია: — სულს მაძიებელს, მკვლევარს, მეცნიერულს. უნდა გამოვტყდეთ: ვიპოვეთ კიდევ ის, რასაც ველოდით; ვიპოვეთ მეტიც; ვინემ გვეგონა.

ბ. ზ. ავალიშვილის წიგნი, მისი ოთხი ნარკვევი, მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანია. იგი არაემიგრაციასაც დაამშვენებდა, და არა გგვონია, რომელიმე სამეცნიერო აკადემია მის თავის გამოცემაში მოთავსებას სიამოვნებით არ შეეგებებოდა.

ოთხი ნარკვევი ეხება ოთხ ეპიზოდს, რომელნიც მთელი საუკუნით არიან ერთი მეორეზე დაშორებული, სწორედ იმ საუკუნეს, ოქროს ხანად რომ არის შთამომავლობაში გადმოსული. მისი თავი და ბოლო, ისიც მხოლოდ ორ-ორი მომენტით აქვს აღნიშნული ავტორს. ჯვარისა და ერთი ომის ამბავი დასაწყის ეკუთვნის; ტრაპიზონის საქმე და სხივი დასავალისა უკანასკნელ ხანებს. მათ აერთებს ერთი რამ: საგარეო სფეროში, სპეციალურად ჯვაროსანთა რიგებში და მით ევროპაშიც, საქართველოს გავლენა, თუ განმაურება, გამოძახილი, რომელიც მან იქ მოიპოვა, ერთი სიტყვით: საქართველოს გამოსვლა ფართო საერთაშორისო ასპარეზზე, მსოფლიო შარაზე.

ჩვენ საგსებით ვიზიარებთ მეთოდს, რომლითაც ავტორი ხელმძღვანელობს. მას აქვს კონცეპცია მთელის, ისტორიული მთლიანი ეპოქის, აქვს მისი სერიოზული და ღრმა შემეცნება; მაგრამ ის ზოგად ისტორიას არ სწერს, არამედ მხოლოდ ეპიზოდებს; ესაა სისტემა მონოგრაფიების, თვითეულ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენის ცალკე გამოკვლევის, ხშირად მისი ერთი რომელიმე მთავარი მხარისა: პოლიტიკურის ან ეკონომიურის დასხ. ესაა მზადება საისტორიო მასალებისა; და როცა ასეთი მონოგრაფიებით სადაო კითხვები გაშუქებულია, შემდეგ იწყება შედგენა ისტორიის, როგორც ამ კვლევა-ძიების დაგვირგვინება. მართალია, ახლაც საჭიროება გვაძიებებს და იწყება ისტორია, მარა მას ნაკლი აქვს, რამდენად ასეთი გამოუკვლეველი მოვლენები კიდევ მოიპოვება.



ამ ოთხი ეპიზოდისგან, რომელიც ავტორს აქვს გარჩეული, თქვენ დაინახავთ, როგორ თანდათან მალლა იწვევს საქართველოს სახელი. ზღაპრულ გოგ-მაგოვის დაჯგუჯის როლიდან (ერთი ჯვარის გარშემო) იგი შემდეგ დიდ რეალურ ფაქტორად იქცევა ჯვაროსან ევროპიელთათვის: დიდგორთან გამარჯვებით და საქართველოს განთავისუფლებით (ერთი ომის გარშემო), აქტიურად ერევა მცირე აზიის პოლიტიკაში ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით; ბოლოს მოსჩანს (სხივი დასავალისა) უკვე დაცემის ხანის წინამორბედიც.

ავტორი სრული ობიექტივობით აღნიშნავს, რომ მართლმორწმუნე დავით აღ-მქმნებელი სულაც არ ფიქრობს ჯვაროსნულ ლაშქრობაზე; მას თავისი ღრმა პოლიტიკური მოსაზრებები და მიზნები აქვს თავისი ქვეყნის მდგომარეობიდან წარმოშობილი, მისი ამაღლების, გაზრდისათვის პირობების შექმნის უშრეტო წყურვილით გამო-წვეული. ის მხოლოდ სარგებლობს ჯვაროსანთა ომებით და თავის მხრივ ჯვაროსნე-ბიც სარგებლობენ მისი დაკვირით, რომელიც საერთო მტრის წინააღმდეგ არის მიმარ-თული. დავით II არავითარ ფორმალურ კავშირით არ ებმის ჯვაროსანთ და ეს არის მაჩვენებელი მისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის, მისი შორსგამჭვრეტე-ლობის, პოლიტიკურ აზრთა ღრმა მოფიქრების.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში თავსდება — მწვერვალია იმ საერთაშო-რისო ძლიერების, რომელსაც მიაღწია დავითის დაფუძნებულმა საქართველომ თამა-რის დროს. ლაშა გიორგის და რუსუდანის ხანაში კი, როცა ჯვაროსნობა და სარწმუნო-ებრივი ექსტაზი განელეზულია, საერთო სულიერი განწყობილება გაძლიერებულია, რუ-სუდანი ჯვაროსნებს კავშირს პირდება. აქ ისახება პირველი ნიშნები არა სიძლიერის, არამედ სახელმწიფოებრივი ენერჯის მაღალ მწვერვალიდან თავქვე დაქანების. რომე-ლსაც ჯერ კიდევ ახლავს სურვილი მწვერვალის სიმაღლეზე ხელოვნურად მობლაუჭე-ბისა.

ჩვენ განგებ არ ვეხებით აქ მრავალ ფრიად საინტერესო აზრებს და შეხე დუღებებს, რომელნიც ავტორს გაკვირთ აქვს გამოთქმული ნარკვევებში. მკითხველმა თვით ისიამოვნოს მათი პირველ წყაროდან შეთვისებით. ერთს კი გვინდა ხაზი გავუს-ვათ: სახელდობრ იმ ბრძნულ კავკასიურ პოლიტიკას, რომელიც დავით აღმაშენებე-ლმა საფუძვლად დაუდვა თავის აღმშენებლობას და რომელიც ასე ღრმად წვდება ის-ტორიულ ჩარხის ტრიალს — პოლიტიკა კავკასიის ერებთან — სომხებთან და მაჰმა-დინებთან — კომპრომისისა და შეთვისების.

სხვა მრავალგან გაფანტული აზრები, როგორც მაგალითად: კონცეპცია ის-ტორიულად დამოკიდებული ციკლისა, დაცემაში ისე, როგორც აყვავებაში შინაგან საზოგადოებრივ პროცესების და ურთიერთობის უპირატესი მნიშვნელობის გარეშე მტრის შემოსევისა თუ უკუგდებაზე და სხვა, — მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ გა-ხსილვას ჩვენ აქ არ ვკისრულობთ. ავტორმა თვით უნდა სცადოს და ვისურვებთ მა-ღლე სცადოს მათი დასაბუთება, გამოკამათება კიდევ სპეცილისტებზე იყოს. როგორც არა სპეციალისტი ჩვენ აქ ვიტყვით მხოლოდ ერთს: — წამოყენებულ დებულებებს აქვს სახე სინამდვილის ღრმა მეცნიერული მიწვდომის.

აღნიშნავთ კიდევ ერთ თვისებას: — ობიექტივობა, წმინდა მეცნიერული ძი-ება ისტორიული სიმართლის, ისტორიულ მოვლენათა შინაგანი, ნამდვილი აზრის და მნიშვნელობის ამოკითხვა — ყველა ეს დაკვირვების და ღრმა ანალიზის მაღლიანი ნიჭით არის აღბეჭდილი.



ავტორი არ ხელმძღვანელობს რაიმე გარეშე მოსაზრებით ან პოლიტიკით, არაფრით გარეშე ისტორიულ სიმართლის და მხოლოდ სიმართლის გამოჩინებისა.

მხოლოდ ორი ფრაზა შეგვხვდა, სადაც ავტორი თანამედროვე მოვლენებთან ერთგვარ ანალოგიას შეეცადა (გვ. 27 და 63), და ორივეგან ანალოგია სუსტობს, ობიექტივობაში კი კაჭლდება. ამას არც მივაქცევდით ყურადღებას, მაგრამ ჩვენს ისტორიკოს მკვლევარებში საკმაოდ ხშირი შეიქნა ისტორიულ მოვლენათა გამო წაკითხვა მთელი ნოტაციებისა, ანდა თანამედროვე პოლიტიკისათვის დიდაქტიური მითითებანი, რაც მკითხველსაც უშლის ხელს ისტორიის გულდამშვიდებით გაგებას და მკვლევარსაც მრუდე გზაზე აყენებს. ისტორიის მორალიზაცია ძალიან საფრთხილო საქმეთ მიგვაჩნია და რომ ობიექტიურ კვლევაში მას სულ არ დაურჩებოდეს ადგილი, გვგონია, ბევრათ უკეთესი იქნებოდა.

ჩვენს ავტორს ასეთ მორალიზაციას ვერ დავწამებთ — კლიო, ისტორიის ქალღმერთი, მის ნაშრომს წიგნს ვერ დასდებს წუნს, ძალიან მაგარი მოთხონილებებიც რომ წაუყენოს. მარა ქართულ ენას თუ ჰყავს თავისი მფარველი, მის წინაშე ავტორს უთუოდ დასჭირდებოდა მისი გულკეთილობისათვის მიემართა. ქართული ენა და წყობა ძალზე დაკოჭლებულია..

ეს ნაკლი მაინც ვერ ამცირებს წიგნის ღირებულებას და ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, წაკითხონ და შეისწავლონ ეს წიგნი. იგი ყოველმხრივ სასარგებლო და გამოსადეგი იქნება მათთვის.

გამოცემა ჩვენი პირობებისათვის სუფთა და ლაშაზია. ფასიც წომიერი.

რ. ა რ ი თ ს ი

ახალი ლიტერატურა

უცხოეთის ლიტერატურის ქრონიკა.

დაისტამბა ანდრე მორუას შრომა ბაირონის შესახებ.

გამომცემლობა ბისსარი ბეჟდავს გერმანული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. ერთ გვერდზე დაიბეჭდება გერმანული ტექსტი, მეორეზე ფრანგული თარგმანი. გამოცემა ახალგაზდა მწერალ ემანუელ რობენის რომანი «ბრალდებულთა წამოღება». ამ რომანმა მიიღო პირველი პრიზი.

მოკლე ხანში გამოიცემა ანდრე ლევენსონის წიგნი: «ამერიკული სახეები». წიგნი შეიცავს 18 მონოგრაფიას თანამედროვე ამერიკულ მწერლებზე.

ახალი რომანები: ფილიპე სუპო: «დიდი ადამიანი»; ბლენ სანდაუი; «ვან იაკ»; მორის დეკობრა: «ნელსონების ვეფხი»; რაშილდ: «ქალი სპილენძის ხელებით»; პიერ დომინიკ: «რაპჯა ბორნეოდან»; დანიელ როს: «შავი სული»; იაკობ დე ლავრე ტელი: «ნილბერმანის დაბრუნება»; პოლ ბურჟე: «ცხოვრების შურისძიება»; მარსელ პრეველ: «აი შენი ბატონი»; ეჟენ დაბი: «ოტელ დუ ნორ»; პოლ დე როზ: «ახალი არაფერია»; ე. ელინა: «მოჩვენებანი დუქანში»;

ფრანგული გამომცემლობა უშვებს წიგნს: — თანამედროვე პოეტები —. წიგნში მოთავსდება 74 პოეტის ნაწარმოები და მათი კრიტიკული განხილვა.

ფრანგულად გადათარგმნეს და გამოსცეს სტეფან ცვაიგის რომანი: — სერჟანტ გრიშას შემთხვევა. —

დაიბეჭდა ედგარ პოს წერილების ფრანგული თარგმანი.

გამოცემა ემილ ლუდვიგის მიერ დაწერილი მიქელ ანჯელოს ბიოგრაფია.

რომენ როლანმა გამოსცა ორ ტომიანი შრომა — ვივეკანანდის ცხოვრება და მსოფლიო სახარება. —

ერის მარია რემარკე სწერს ახალ წიგნს — გერმანია ომის შემდეგ. ერთმა ამერიკულმა ფირმამ შესთავაზა ავტორს 500.000 დოლარი.

დაისტამბა დიზრაელის წერილები ანდრე მორუას წინასიტყვაობით.

იტალიის აკადემიის წევრმა ან. ბელტრამელმა დაბეჭდა მეტად საინტერესო შრომა: — ჰარიბალდის ცხოვრება. —

გამოცემა ორი ბიოგრაფია: ვასიერმანის კოლუმბზე; სტ. ცვაიგის — ფუშეზე.

მ ა ლ ო ბ ა

კრებული «კავკასიონი»-ს რედაქცია და გამომცემლობა გულითად მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოგვიჩინეს.

მივიღეთ შემდეგი შემოწირულებანი:

ბორდოს ქართველებისაგან	310 ფრანკი
ვიკ. ნოზაძის ლექციიდან წმინდა შემოსავალი	200 —
შალიკო შენგელიასაგან	100 —
პავლე სარჯველაძე	70 —
X	50 —
ვ. ქავთარაძე	50 —
მალ- არჩუაძე	50 —
მ. მელიქაძე	25 —
ბ. დოლიძე	25 —
ქართული კომიტეტისგან ვარშავიდან	100 ზლოტი
პოლკ. ალ. ბაგრატიონი	21 —
გენ. ალ. ზაქარიაძე	15 —
გენ. ბაქრაძე	10 —

აგრეთვე დიდ მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ ლევან მამულაიშვილს, რომელიც ჩვენ საქმეს თავიდანვე დახმარებას უწევს.

დაისტამბა და იყიდება

ზ. ავალიშვილის

წიგნი

ჯვაროსანთა დროიდან

ოთხი საისტორიო ნარკვევი:

- I. ერთი ჯვარის გარშემო.
- II. გარშემო ერთის ომისა.
- III. ტრაპიზონის საქმე.
- IV. სხივი დასავალისა.

წიგნი შეიცავს 158 გვერდს და ღირს ათი ფრანკი.

კოტე რაჭმადის

წიგნაკი

მდგომარეობა საქართველოში

ფასი სამი ფრ.

დავით შარაშიძის
წიგნი ფრანგულ ენაზე:

პ. ბარბიუსი,

საბჭოები

და

საქართველო.

კარლ გაუცკის წინასიტყვაობით

ფასი 12 ფრ.

ყველა წიგნის გამომწერა შეიძლება «კავკასიონი»-ს მისამართითაც.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რეზ ამონი — დედა	3
„ „ — გზაზე	4
რალფი — გოგოტას	7
„ — ხსოვნა	8
სტეფანე კასრაძე — სანაპირო ქალაქი (დასასრული)	9
ერის მარია რემარკე — დასავლეთით ახალი არაფერია (გერმანულით)	29
რაბინდრანათ ტაგორე — სახლი და ქვეყანა (გაგრძელება)	61
თამარ ვარდანიძისა — თათქარიძის მოდგმა (თეიმურაზ ხევისთავი)	67
<u>ი. მანწყავა — ერის მარია რემარკე</u>	73
მ. წულუკიძე — ილია და აკაკი (პროფილი)	<u>77</u>
შალვა ამირეჯიბი — აჩრდილნი შარავანდედთანი	82
ს. შავმთიელი — ანთიმოზ ივერიელი	96
ბ. ვარდანი — ჩვენი მეურნეობის საკითხები	98
ს. ცომაია — ანდრია რაზმაძე	102
ვ. ბოჯგუა — გილგამეშიანი	104
რ. არიოსი — ჯვაროსანთა დროიდან	106

ყდა: მხატვარ ბილანიშვილის.

რედაქცია და გამომცემლობა:

ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება.

მისამართი

V. NOSADSE

48, rue de Bagneux, SCEAUX (Seine) France.

